

მართლმსაჯულება და კანონი
N 4²²
კანონი

Justice and Law Legal Journal
#4(76) 2022

მართლმსაჯულება და კანონი

Justice and Law

4
2022



საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის სამეცნიერო-პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი

The Scientific-Practical Legal Journal of the Supreme Court of Georgia and the Association of Judges of Georgia

რედაქტორი
ნინო ძიძიგური

რედაქტორის მოადგილე
ირმა ბექაური

ნომერზე მუშაობდა:
მარინე ვასაძე
დიმიტრი
ბესიკ დანელია



აგრძელდება აქ გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილობითი ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე.

სარედაქციო საბჭო:
დიანა ბერეკაშვილი
თამარ ზამბახიძე
მზია თოდუა
გიორგი მიქაუტაძე
ზურაბ ძლიერაშვილი
ჯონი ხეტურიანი

Editorial Board:
DIANA BEREKASHVILI
TAMAR ZAMBAKHIDZE
MZIA TODUA
GIORGI MIKAUTADZE
ZURAB DZLIERISHVILI
JONI KHETSURIANI

Editor:
NINO DZIDZIGURI

Deputy Editor:
IRMA BEKAURI

The issue was prepared by
MARINE VASADZE

Designed by
BESIK DANELIA

English version of articles has been provided by Candidates of Law faculty of Tbilisi State University

უპკ (UDC) 340.11+340.130.5
მ-306

ISSN 1512-259X

5	ია ხარაზი საქონლის შიდა გადამუშავების პროცედურის სამართლებრივი რეგულირების სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტები	LEGAL AND ECONOMIC ASPECTS OF THE LEGAL REGULATION OF THE INTERNAL PROCESSING OF GOODS IA KHARAZI
27	დავით გეფერიძე, შოთა ჭითანავა საჰაერო სივრცისა და ფრენის უფლების პრობლემები საერთაშორისო საჰაერო სამართალში	AIRSPACE AND RIGHT-OF-FLIGHT PROBLEMS IN THE INTERNATIONAL AIR LAW DAVIT GEPERIDZE, SHOTA CHITANAVA
51	ვლადიმერ წითლაური არასრულწლოვანთა ბანრიდების თავისებურებანი	FEATURES OF JUVENILE DIVERSION VLADIMER TSITLAURI
73	თებეა გოგისვანიძე გენდერული კვოტირების მნიშვნელობა და ისტორია	GENDER OBLIGATORY QUOTAS AND IT'S LEGISLATIVE EFFECTS TEBEA GOGISVANIDZE
81	ბესიკ ტეტელოშვილი სამისდღეო რჩენის ხელშეკრულების საგანი, როგორც ხელშეკრულების არსებითი პირობა	THE SUBJECT OF A LIFETIME ANNUITY CONTRACT AS AN ESSENTIAL CONDITION OF THE CONTRACT BESIK TETELOSHVILI
107	ირაკლი ლეონიძე კომლის შემადგენლობაში არსებული მიწის ნაკვეთის მემკვიდრეობით მიღების პრობლემა საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით	THE PROBLEM OF INHERITING A HOUSEHOLD LAND ACCORDING TO GEORGIAN JUDICIAL PRACTICE IRAKLI LEONIDZE

141

ნინო გოგელაშვილი

საქართველოს სააღსრულებო სისტემის შესაბამისობა
ევროპულ სტანდარტებთან

COMPLIANCE OF THE GEORGIAN ENFORCEMENT SYSTEM WITH
EUROPEAN STANDARDS
NINO GOGELASHVILI

158

ხვიჩა ბეგიაშვილი

პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე
უარის თქმის სამართლებრივი შედეგები

LEGAL CONSEQUENCES OF THE PROSECUTOR'S WAIVER TO FILE
A STATE CHARGE
KHVICHA BEGIASHVILI

საქონლის შიდა გადამუშავების პროცედურის სამართლებრივი რეგულირების სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტები

შედარებითსამართლებრივი კვლევა

ია ხარაში

სამართლის დოქტორი,

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,

ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი

1. შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენება

**გადამუშავების ოპერაციების მარეგულირებელი
ნორმატიულსამართლებრივი ბაზა**

საერთაშორისო საბაჟო შეთანხმებები (კერძოდ, კიოტოს 1973 წლის კონვენცია), მთელი რიგი ქვეყნების, მათ შორის, ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობა,¹ იმის მიხედვით, თუ რომელ ქვეყანაში მიმდინარეობს საქონლის გადამუშავება და რომელია გადამუშავებული საქონლის წარმოშობის ქვეყანა,

ასხვავებენ **გადამუშავების ორ ტიპს – აქტიურს და პასიურს. პირველს** მიეკუთვნება შემთხვევა, როცა უცხოური წარმოშობის საქონლის გადამუშავება ხდება ეროვნულ საბაჟო ტერიტორიაზე, ხოლო **მეორე**, როცა წარმოშობით ეროვნული საქონელი გადამუშავდება ქვეყნის საბაჟო ტერიტორიის გარეთ.² ძირითადად, საქართველოს საბაჟო კოდექსი და ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანება არეგულირებენ საქონლის შიდა და გარე გადამუშავების პროცედურებს.

2019 წლის საბაჟო კოდექსმა დაადგინა გადამუშავების ორი დამოუკიდებელი საბაჟო პროცედურა: **საქონლის შიდა გადამუშავება და საქონლის გარე გადამუშავება**, ნაცვლად, 1998 წლის საბაჟო კოდექსისა, რომელიც ფაქტობრივად იცნობდა გადამუშავების 3 საბაჟო რეჟიმს: საქონლის გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე, საქონლის გადამუშავება საბაჟო კონტროლის ქვეშ და საქონლის გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ. ჩვენს მიერ სამეცნიერო ნაშრომებში არაერთხელ გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ საბაჟო კანონმდებლობით საქონლის გადამუშავების სამი რეჟიმის (დღეს პროცედურა, სპეციალური ოპერაცია) დაწესება საბაჟო კანონმდებლობით საკანონმდებლო ხარვეზი იყო და არა მარტო ხარვეზი, იგი გარკვეულწილად, აბნევდა ამ რეჟიმის გამოყენებელთ. საუბარია „საქონლის გადამუშავებაზე საბაჟო ტერიტორიაზე“ და საბაჟო კონტროლქვეშ,“ რომლებიც ფაქტობრივად ერთი პრინციპით ახდენდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავებას (თუმცა, გარკვეული განსხვავებებით). არსებული ხარვეზი დღეს უკვე გამოსწორებულია და საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავება და საბაჟო კონტროლქვეშ გადამუშავება მოექცა ერთ – შიდა გადამუშავების პროცედურაში.

გადამუშავების ოპერაციების რეგლამენტში არჩეული ბევრი საერთოს გათვალისწინებით, საბაჟო კოდექსი შეიცავს რიგ „გამჭვირვალე მუხლებს,“ რომლებიც ერთდოულად არეგულირებენ გადამუშავების ორივე ტიპს. მხედველობაშია საბაჟო კოდექსის ის მუხლები (142, 143, 145, 148, 150 და ა. შ.), რომლებმაც განამტკიცა გადამუშავების ოპერაციების ზოგადი ნორმები, დამახასიათებელი ორივე პროცედურისათვის. ასევე, გადამუშავების მარეგულირებელ ნორმებში გაწერილია ზოგადი დებულებები ლიცენზიის მიღების, გადამუშავების ვადების, გამოსავლიანობის ნორმების დადგენის და ა. შ. შესახებ.

გადამუშავების შესაძლო ოპერაციების, საქონლის გადამუშავების ლიცენზიის გაცემის, მისი უკან გამოთხოვის ან ანულირების საფუძვლების, გადამუშავების ოპერაციების გამოყენების საბაჟო პირობების, შეზღუდვებისა და მოთხოვნების წრე დარეგულირებულია უშუალოდ საბაჟო კოდექსით, ფინანსთა მინისტრის 2019 წლის N257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტ-

რუქციებით „შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ,“ (დანართი N13) და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის N257 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით (დანართი N14) „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ,“ ასევე, სხვა ნორმატიული აქტებით.

გადამუშავების სპეციალური ოპერაციების საქართველოს სინამდვილეში სრული დატვირთვის ამოქმედება სახელმწიფოსათვის დიდი ეკონომიკური სარგებლის მომტანი იქნება. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ საბაჟო კოდექსის შემდგენლებს გათვალისწინებული აქვთ მათი დიდ ეკონომიკური სარგებლიანობა და მომგებიანობა ქვეყნისათვის და მას საკმაოდ ვრცელი მუხლები აქვს დათმობილი.

და მაინც, გამოვთქვამთ მოსაზრებას გადამუშავების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის შესახებ: კერძოდ, საჭიროა აღინიშნოს, რომ იგი გამოირჩევა უაღრესი დაქსაქსულობით, ფინანსთა სამინისტროს და კონკრეტულად საბაჟო დეპარტამენტის მიერ მიღებული დიდი რაოდენობის სამართლებრივი აქტები საჭიროებს გარკვეულ სისტემატიზაციას საერთაშორისო საბაჟო შეთანხმებებთან, კერძოდ, საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ საერთაშორისო კონვენციასთან, უნიფიკაციას, რომელიც მიღებულ იქნა 1973 წლის 18 მაისს, კიოტოში შემდგარი საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს სესიაზე (შემდგომში კიოტოს კონვენცია).³ აღნიშნული კონვენცია შედგება ორი ნაწილისაგან. ერთი მხრივ, საკუთრივ კონვენციის ტექსტი, რომელშიც შედის 19 მუხლი. მათში მოცემულია ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ზოგადი დებულებანი, რომლებიც ეხება კონვენციის სტრუქტურას, მისი გამოყენების წესსა და სფეროებს. დადგენილია მასთან შეერთების,⁴ შესწორებისა დამატების შეტანის პროცედურა. მეორე მხრივ, 30 დანართის ტექსტი, რომელთაგან თითოეული ეძღვნება რომელიმე ცალკეული საბაჟო პროცედურის ან საბაჟო პროცედურების კომპლექსის რეგლამენტაციას და წარმოადგენს საერთაშორისოსამართლებრივ დოკუმენტს. კიოტოს კონვენციის დანართები პრაქტიკულად, მთლიანად მოიცავენ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ყველა საბაჟო პროცედურას, რომლებიც ამჟამად გამოიყენება საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს წევრ ქვეყნებში. ამიტომ მოცემული კონვენცია შეიძლება განხილულ იქნას, როგორც სამართლებრივი დოკუმენტი, რომელსაც გარკვეულწილად, სისტემაში მოჰყავს საბაჟო პროცედურების რეგულაცია საერთაშორისო დონეზე.

„გადამუშავების ოპერაციებს“ ეძღვნება კიოტოს კონვენციის სპეციალური დანართი F, რომელიც შედგება ოთხი თავისაგან და რომელთაგან თითოეული ეძღვნება დამოუკიდებელ:

1. საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების რეჟიმს;
2. საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების რეჟიმს;
3. დაბრუნების რეჟიმს;
4. თავისუფალი მიმოქცევისათვის გადამუშავების რეჟიმს.

თითოეული განსაზღვრავს გადამუშავების ოპერაციების გამოყენების სფეროს, ოპერაციაში საქონლის მოთავსების, საქონლის ყოფნის და მისი მოქმედების დამთავრების წესს და აგრეთვე, ბაჟებისა და გადასახადების გამოყენების წესს.⁵

გადამუშავების ოპერაციებისათვის დამახასიათებელი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები

როგორც აღვნიშნეთ, საბაჟო კანონმდებლობა იცნობს გადამუშავების 2 ტიპს: შიდა გადამუშავება და გარე გადამუშავება. როგორც იკვეთება, მათთვის დამახასიათებელია საერთო ნიშანი – საქონლის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა მისი საბოლოო გადამუშავებისათვის. ერთ-ერთი დასახელებული ოპერაცია ითვალისწინებს ქართული საქონლის გატანას და გამოყენებას საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადასამუშავებლად, ხოლო მეორე – პირიქით, უფლებამოსილებით აღჭურავენ გადამამუშავებელს გამოიყენოს უცხოური საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადასამუშავებლად. ორივე შემთხვევაში ხდება მხოლოდ საქონლის გადამუშავება, რომელიც საგადასახადო შეღვათებით სარგებლობს. ორივე ოპერაციისათვის საბაჟო კანონმდებლობა მოითხოვს საბაჟო კონტროლის განხორციელებას გადასამუშავებელ საქონელზე. ერთ-ერთ ფორმად ითვლება საბაჟო კონტროლისა დროებითი შენახვის საწყობის, საბაჟო საწყობის, უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის და სხვა ადგილების დათვალიერება, სადაც შეიძლება ინახებოდეს კონტროლს დაქვემდებარებული გადასამუშავებელი საქონელი. არსებითად, ეს ორი ოპერაცია ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ საგადასახადო რეგულირებით. თუ საქონელი, რომელიც მოთავსებულია გადასამუშავებლად საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, გათავისუფლებულია შემოტანის საბაჟო გადასახადებისა და სხვა გადასახდელებისაგან. საქონლის გადამუშავებისას საბაჟო ტერიტორიაზე საბაჟო გადასახადები გადაიხდევენ მისი შესაძლო შემდგომი დაბრუნებით.

საბაჟო კოდექსის 117-ე მუხლისა და ინსტრუქციის „შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ“ მე-2 მუხლის გათვალისწინებით, შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენებით, უცხოური საქონლის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას გადამუშავების ერთი ან რამდენიმე ოპე-

რაცია, რაც არ იწვევს: იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულების წარმოშობას; საქონლის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიების გამოყენებას, თუ ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალული არ არის.

შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცევის შემთხვევაში, საქართველოს საქონელი კარგავს საქართველოს საქონლის სტატუსს და იძენს უცხოური საქონლის სტატუსს. შიდა გადამუშავების პროცედურაში საქონლის დეკლარირება ხორციელდება საქონლის საბაჟო დეკლარაციის წარდგენით.

„ნარჩენები, რადგან მათზე არ ვრცელდება გადამუშავების ოპერაციები, ყოველთვის ინარჩუნებენ გადამუშავების ოპერაციაში თავდაპირველად მოთავსებული საქონლის სტატუსს. საწარმოო ნარჩენები შესაძლებელია გაშვებულ იქნას როგორც თავისუფალ მიმოქცევაში იმპორტის პროცედურის შესაბამისად, ასევე მოექცეს სხვა პროცედურაში, ხოლო საწარმოო დანაკარგები ყოველთვის რჩება საბაჟო ტერიტორიაზე და საბაჟო გაფორმებას არ ექვედებარება. ნაშთი, რომელიც არ იქნა გამოყენებული გადამუშავების პროცესში, შეიძლება მოექცეს ნებისმიერ შესაძლო პროცედურაში, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა კრძალავს ნარჩენების შემოტანას გადამუშავებისათვის (საქართველო ბაზელის კონვენციის⁶ მონაწილე ქვეყანაა, რომლის დებულებაში პირდაპირაა მითითებული, რომ აკრძალულია კონვენციის მონაწილე ქვეყნებში ნარჩენების შეტანა გადასამუშავებლად, რადგან მან შეიძლება გამოიწვიოს გარემოს დაბინძურება). ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში, თუ იქნება გარემოს დაცვის სამინისტროს ნებართვა, საბაჟო დეპარტამენტის დონეზე, შეიძლება დაშვებული იყოს ნარჩენების შემოტანა საქართველოს ტერიტორიაზე გადასამუშავებლად. ამავე დროს, საბაჟო დეპარტამენტს აქვს პრიორიტეტული უფლება იმაზეც, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში არ დაუშვას ნარჩენების შემოტანა გადასამუშავებლად, თუ მისი ეკოლოგიური სისუფთავე სათუთა.“⁷

„გარანტიის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი N4) პირველი მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, გარანტიის წარდგენა სავალდებულოა: „...შიდა გადამუშავებისას...“ საგარანტიო თანხის ოდენობა შეადგენს: ...შიდა გადამუშავებისას – იმპორტის გადასახდელის შესაბამის თანხას, რომელიც განისაზღვრება გადამუშავებელი საქონლის სახეობისა და საბაჟო ღირებულების საფუძ-

ველზე, შიდა გადამუშავების საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს გადამუშავებული საქონლისათვის მოქმედი იმპორტის გადასახდელის განაკვეთებით...”

ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, საბაჟო ორგანოს თანხმობით, შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონელი შესაძლებელია გადამუშავდეს საბაჟო საწყობში, შიდა გადამუშავების პროცედურით განსაზღვრული პირობებისა და საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული სპეციალური ნორმების დაცვით, თუ აღნიშნული უარყოფითად არ იმოქმედებს საბაჟო ზედამხედველობის განხორციელებაზე. ამ შემთხვევაში საქონელი არ განიხილება საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეულად.

საქონლის მიმართ დასაშვები ქმედებები

„შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ“ ინსტრუქცია ითვალისწინებს **ეკვივალენტური საქონლის გამოყენების შემთხვევებს**, საბაჟო ორგანოს მიერ გადამამუშავებლის განცხადების საფუძველზე, **ავტორიზაციის გაცემით**.

2. შიდა გადამუშავებისას გამოსავლიანობის ნორმის განსაზღვრა

გამოსავლიანობის ნორმა — ეს არის გადამუშავებული პროდუქტის ოდენობა ან ამ ოდენობის პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც მიღებულია შიდა გადამუშავების პროცედურაში ან გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული, განსაზღვრული რაოდენობის საქონლის გადამუშავების შედეგად.⁸ **გადამუშავების პროდუქტების გამოსავლიანობის** რაოდენობა წარმოადგენს იმ საქონელს, რომელიც გადამუშავების საგანია და განმცხადებლის მიერ მითითებული საწარმოო პროცესის მიხედვით, დამხმარე საქონლის გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი პროდუქტების რაოდენობას განსაზღვრავს და საბაჟო ოპერაციის განმცხადებლის მიერ განისაზღვრება საბაჟო ორგანოში ლიცენზიის მისაღებად, საბუთების პაკეტის შეტანისას. **გამოსავლიანობის ნორმა** არის საწარმოო პროცესის შესაბამისად, საქონლის (რომელიც გადამუშავების საგანს წარმოადგენს) და დამხმარე საქონლის ერთი ერთეულიდან მიღებული გადამუშავების პროდუქტების რაოდენობა აბსოლუტური მნიშვნელობით ან პროცენტულად.⁹ გამოსავლიანობის ნორმის გამოყენებისას, საწარმოო პროცესში წარმოშობილი გადამუშავების თითოეული პროდუქტის რაოდენობა იანგარიშება საქონლის (რომელიც გადამუშავების საგანს წარმოადგენს) რაოდენობის გადამრავლებით მოცემული პროდუქტის გადამუშავების გამოსავლიანობის ნორმაზე. ხარჯვის ნორმის გამოყენებისას,

საწარმოო პროცესში წარმოქმნილი გადამუშავების თითოეული პროდუქტის გამოსავლიანობის რაოდენობა გამოიანგარიშება საქონლის გადამუშავების საგნის რაოდენობაზე გაყოფით, ერთეული სასაქონლო პროდუქციის წარმოებისათვის გამოყენებული საქონლის ხარჯვის ნორმაზე.¹⁰ მაგალითად: პირმა საქართველოდან გაიტანა 5 ტონა სპირტი კონიაკის მისაღებად, საიდანაც დამზადდა 4 ტონა კონიაკი. გამოსავლიანობის ნორმა იქნება 4 ტონა გადამუშავების პროდუქტი (კონიაკი).

კიოტოს კონვენცია განამტკიცებს დებულებას, რომ საბაჟო სამსახურებმა უნდა დაადგინონ ან შეათანხმონ პროდუქციის გამოსავლიანობის ნორმა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელზე ტარდება წარმოების ან გადამუშავების ოპერაციები. ამასთან, კიოტოს კონვენციით გათვალისწინებულია გამოსავლიანობის სტანდარტული ნორმის დადგენის შესაძლებლობა ერთობლივად, შემდეგი პირობების დაცვისას: შიდა გადამუშავების პროცედურაში მოთავსებულ საქონელს პრაქტიკულად, მუდმივი მახასიათებელი აქვს; გადამუშავების ოპერაციები ჩვეულებრივ ხორციელდება ზუსტად განსაზღვრული ტექნიკური პირობების შესაბამისად; გადამუშავების ოპერაციები იწვევს უცვლელი რაოდენობის საკომპენსაციო პროდუქტების გამოსავლიანობას (სპეციალური F დანართის 1-ლი თავის პუნქტი 13).¹¹

დღეს, საქართველოში გამოსავლიანობის ნორმების დადგენა „აქილევსის ქუსლია“ – საკანონმდებლო ნორმის არარსებობის გამო (რომელიც ერთ სივრცეში დაარეგულირებდა გამოსავლიანობის ნორმების განსაზღვრებას გადამუშავების ოპერაციებისთვის), რომელიც შესაძლებლობას აძლევს გადამამუშავებელ საწარმოებს თავად განსაზღვრონ მათთვის მისაღები გამოსავლიანობის ნორმები, რაც უარყოფითად აისახება სახელმწიფო ბიუჯეტზე. მიგვაჩნია, რომ ეკონომიკის სამინისტრომ უნდა აღწეროს თითოეული გადამამუშავებელი საწარმოს წარმადობა და ამის შემდეგ, კონკრეტული გადამამუშავებლისათვის კონკრეტული გამოსავლიანობის ნორმა დადგინდეს.

3. შიდა გადამუშავების პროცედურაში მოსაქცევი საქონლის იდენტიფიკაცია

გადასამუშავებელი საქონლის იდენტიფიკაცია სასაქონლო პროდუქციასთან ნიშნავს იმ ფაქტის დადგენის საშუალებას, რომელიც დაადასტურებს, რომ სასაქონლო პროდუქციის მიღების მიზნით, გადამუშავების ოპერაციებში მონაწილეობდა უშუალოდ გადასამუშავებელი საქონელი. შიდა გადამუშავების პროცედურაში მოსაქცევი საქონლის იდენტიფიკაციისთვის

გამოიყენება შემდეგი საშუალებები: საქონლის შტამპით ან ციფრული ან სხვაგვარი მარკირებით მონიშვნა; საქონლის დაწვრილებითი აღწერა, ფოტოგადაღება ან მასშტაბურად გამოსახვა; საქონლის სინჯის ან/და ნიმუშის გამოკვლევა ან ანალიზი მისი შედეგების შემდგომი შედარების მიზნით; საქონელზე მწარმოებლის მიერ გამოსახული სერიული ნომრების ან სხვაგვარი მარკირება და ა. შ.

როგორც ვიცით, ამჟამად, შეუძლებელია გადამუშავების ისეთ პროდუქტებში ქართული საქონლის იდენტიფიკაციის ჩატარება, როგორიცაა ავეჯი, სახერხი მასალები, მერქნის ფილები, ნატურალური და ხელოვნური ტყავის ნაწარმი ფეხსაცმლის ჩათვლით, საიუველირო ნაკეთობანი.

უნდა აღინიშნოს, რომ საბაჟო დეპარტამენტმა შეიძლება დაადგინოს შემთხვევები და პირობები, როდესაც გადამუშავების ოპერაციები ეძლევათ, იდენტიფიკაციის ჩატარების შესაძლებლობის მიუხედავად. ასე მაგალითად, შიდა გადამუშავების ოპერაციის გამოყენებისას, სასაქონლო პროდუქციაში გადამუშავების საგნის იდენტიფიკაცია არ არის საჭირო იმ შემთხვევაში, როდესაც გადამუშავებელი იყენებს ტექნოლოგიურ პროცესს, რომელიც მიეკუთვნება წარმოების უწყვეტ ციკლს ან უნიკალურ ტექნოლოგიურ პროცესს, რომელიც გამორიცხავს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ანალოგიური და/ან იდენტური სასაქონლო პროდუქციის წარმოებას.

საკომპენსაციო პროდუქტებში შემოტანილი საქონლის არსებობის დადგენის შესაძლებლობა ასევე, განხილულია კიოტოს კონვენციაში, როგორც გადამუშავების პროცედურაში საქონლის მოთავსების აუცილებელი პირობა. ამასთან, შიდა გადამუშავების პროცედურის რეკომენდებული წესების სახით განმტკიცებულია, რომ საკომპენსაციო პროდუქტებში შემოტანილი საქონლის არსებობის დადგენის შესაძლებლობა არ უნდა იყოს განხილული, როგორც შიდა გადამუშავების აუცილებელი პირობა, როდესაც საქონლის იდენტიფიკაცია შეიძლება საკომპენსაციო პროდუქტების წარმოებით დახარჯული რესურსებისა და ტექნოლოგიის შესახებ დაწვრილებითი მონაცემების წარდგენის გზით ან გადამუშავების ოპერაციების ჩატარების დროს, საბაჟო კონტროლის განხორციელების გზით. აგრეთვე, როდესაც სპეციალური ოპერაცია მთავრდება საბაჟო ტერიტორიაზე შიდა გადამუშავების პროცედურაში გადასამუშავებლად მოსაქცევი საქონლის აღწერით, ხარისხითა და ტექნიკური მასალებით იდენტური, გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტების გატანით (კიოტოს კონვენციის სპეციალური F დანართის თავი 1, პუნქტი 7).¹²

4. შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენების პირობები

გადამუშავების პროცედურის გამოყენებისთვის აუცილებელია: გადამუშავებული პროდუქტის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა არ იყოს ეკონომიკურად მომგებიანი; დეკლარანტმა წარადგინოს დასაბუთებული მონაცემები: იმ პირის შესახებ, რომელიც უშუალოდ ახორციელებს საქონლის გადამუშავების ოპერაციას; შიდა გადამუშავების პროცედურაში მოსაქცევი საქონლის, გადამუშავებული პროდუქტის, ნაშთისა და ნარჩენის აღწერილობის, ხარისხისა და რაოდენობის შესახებ.

გადამუშავების ობიექტებისა და გადამუშავებული პროდუქტების ასევე, ნაშთის საბაჟო გაფორმება ხორციელდება ლიცენზიის მოქმედების პერიოდში, მხოლოდ იმ საბაჟო ორგანოს მიერ, რომელიც მითითებულია ლიცენზიაში. გადამუშავებისას გამოყენებული სამამულო საქონლის საბაჟო გაფორმება საჭიროებას არ წარმოადგენს. რიგ შემთხვევაში, გადამუშავების საგანი მთლიანად არ გამოიყენება, რასაც მოსდევს ნარჩენების წარმოქმნა, რომელშიც მოიაზრება გადამუშავების პროცედურაში მოთავსებული იმ საქონლის ნაწილი, რომელიც არ იყო გამოყენებული გადამუშავების პროდუქტის დასამზადებლად და კლასიფიცირებულია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურით იმავე სასაქონლო პოზიციაში, როგორც საბაჟო პროცედურაში თავდაპირველად მოქცეული საქონელი.

გადამუშავების განხილული პროცესი ეთანხმება მტკიცებას, რომელიც გვხვდება ლიტერატურაში, რომლის შესაბამისად, სამეწარმეო საქმიანობის შედეგს წარმოადგენს საქონელი, ნარჩენები და ფინანსური სახსრები (მოცემულ შემთხვევაში ფინანსები არ არის შეტანილი საქონლის გადამუშავების პროცესში, ვინაიდან ისინი გადამუშავების პროცედურის გამოყენებასთან დაკავშირებით აღმოცენებულ ურთიერთობათა მიღმა რჩება).

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა იცნობს ზემოთ მოტანილი გადამუშავების საერთო აქტებიდან გადახვევის შემთხვევებსაც. ასე მაგალითად, ფინანსთა მინისტრის 2019 წლის N257-ე ბრძანებით, „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“,“¹³ ინსტრუქცია „შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ“ ან კიდევ ინსტრუქცია „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ.“

ეს ინსტრუქციები ითვალისწინებს, რომ გადამუშავებულ საქონელს აფორმებენ საბაჟო ორგანოები ექსპორტის პროცედურისათვის გათვალისწინებული წესით, საქართველოს

ტერიტორიის გარეთ მისი ფაქტობრივად გატანის გარეშე, რის შედეგად იგი მოთავსდება საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების პროცედურაში შემოსატანი საბაჟო გადასახადებისა და სხვა გადასახადების გადახდის გარეშე და საბაჟო კონტროლქვეშ საქონლის მიტანის წესის შესაბამისად ხდება მისი გადაზიდვა გადამუშავების ადგილზე. ამასთან, ექსპორტიორად იცნობა საქართველოს პირი, რომელმაც უცხოელ პირს მიჰყიდა ნედლეული საქონელი მისი შემდგომი შიდა გადამუშავებისათვის. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთმა ოპერაციამ მიიღო „საშინაო ტოლინგის“ სახელწოდება. ამ წესის მოქმედება ვრცელდება ისეთ საქონელზე, როგორიცაა ფერადი ლითონები და მათი შენადნობები, მათი წარმოება, ნედლეული, ფერადი ლითონების ნაგლინი, მადანი და რკინის კონცენტრატები, მანგანუმის კონცენტრატები, ქვანახშირი, შავი ლითონების ნარჩენები, ჯართი და ა. შ.

5. შიდა გადამუშავების პროცედურის ვადა (ლიცენზიის მოქმედების ვადა), მონაცემების აღრიცხვა

შიდა გადამუშავების (როგორც გარე გადამუშავების) პროცედურის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა გადამუშავების ვადების დაცვა. საბაჟო ორგანო განსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც უნდა დასრულდეს შიდა გადამუშავების პროცედურა. საქონლის გადამუშავების ვადა აითვლება შიდა გადამუშავების პროცედურაში საქონლის მოქცევის დღიდან, ხოლო ამ პროცედურაში საქონლის ცალკეულ სასაქონლო პარტიებად მოქცევისას – მასში საქონლის პირველი პარტიის მოქცევის დღიდან. წინასწარ განსაზღვრული ვადა შეიძლება გაგრძელდეს დეკლარანტის მოტივირებული განცხადების საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, როცა საბაჟო ორგანო პირის განცხადების საფუძველზე და იმ პირობით, რომ საბაჟო ზედამხედველობის მიზნისთვის უზრუნველყოფილი იქნება პროცედურის სათანადო განხორციელება, გასცემს ავტორიზაციას შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად, ეკვივალენტური საქონლისგან მიღებული გადამუშავებული პროდუქტის ჩასანაცვლებელი საქონლის შემოტანამდე გატანაზე – გადამუშავებული პროდუქტის წინასწარი ექსპორტის განხორციელების შემთხვევაში, საბაჟო ორგანომ უნდა განსაზღვროს ვადა, რომლის განმავლობაშიც უნდა განხორციელდეს უცხოური საქონლის შიდა გადამუშავების პროცედურაში დეკლარირება. ეს ვადა უნდა იყოს **არაუმეტეს, 6 თვისა**. ამ ვადის განსაზღვრისას გაითვალისწინება უცხოური საქონლის შესყიდვისა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ტრანსპორტირებისთვის საჭირო დრო. აღნიშნული ვადა აითვლება შესაბამისი ეკვივალენტური საქონლისგან მიღებული

გადამუშავებული პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან დაკავშირებული ექსპორტის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან.¹⁴ საბაჟო ორგანოს შეუძლია შიდა გადამუშავების პროცედურის ავტორიზაციის მფლობელის განცხადების საფუძველზე, ამავე მუხლის ზემოთ აღნიშნული ნ-თვიანი ვადა გააგრძელოს **არაუმეტეს 12 თვისა**, თუ ეს განცხადება იმავე ვადის ამოწურვამდეა წარდგენილი. საქართველოს ფინანსთა მინისტრის N257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით, „შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ“, საქონლის გადამუშავებასთან დაკავშირებული მოქმედებისთვის ან ცალკეული საქონლის გადამუშავებისთვის შეიძლება დადგინდეს კონკრეტული ვადები, კერძოდ, საბაჟო ორგანო განსაზღვრავს შიდა გადამუშავების პროცედურის დასრულების ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს **3 წელს**. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს დეკლარანტის მოტივირებული განცხადების საფუძველზე.

ლიცენზიის მოქმედების ვადა. საბაჟოს მიერ დადგენილი ლიცენზიის მოქმედების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ზღვრულ ვადას (შიდა გადამუშავების ზღვრული ვადა 3 წელს შეადგენს). აქვე აღვნიშნავთ, რომ ლიცენზიაში მითითებული გადამუშავების ვადა ამავე დროს არის ლიცენზიის მოქმედების ვადა და შეიცავს დროს, რომელიც საჭიროა: გადასამუშავებელი საქონლის საბაჟო გაფორმებისათვის; საწარმოო პროცესში გადამუშავების ობიექტის ჩართვისა და მოზიდვისათვის, სასაქონლო პროდუქტის (გადამუშავების პროდუქტის) სრულ დამზადებამდე; გადამუშავების პროდუქტების ექსპორტისა და/ან სხვა პროცედურაში მოსაქცევად.

მონაცემების აღრიცხვა. დეკლარანტმა, პროცედურის მფლობელმა ან ნებისმიერმა პირმა, რომელიც ახორციელებს საქონლის გადამუშავებასთან დაკავშირებულ საქმიანობას, საქართველოს საბაჟო კოდექსის 112-ე მუხლის¹⁵ შესაბამისად, უნდა აწარმოოს შემდეგი მონაცემების აღრიცხვა: შიდა გადამუშავების საბაჟო დეკლარაციის ნომერი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური საბაჟო პროცედურა დასრულებულია – ინფორმაცია საბაჟო პროცედურის დასრულების შესახებ;¹⁶ საბაჟო დოკუმენტების, საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევასთან და პროცედურის პირობების შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა დოკუმენტის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები; მონაცემები საქონლის იდენტიფიკაციისთვის საჭირო ნიშნების, საიდენტიფიკაციო ნომრების, შეფუთვის რაოდენობისა და სახეობის, საქონლის რაოდენობისა და ნორმალური კომერციული ან ტექნიკური აღწერილობისა და კონტეინერის საიდენტიფიკაციო ნიშნების შესახებ; ინფორმაცია საქონლის ადგილმდებარეობისა და მისი ნებისმიერი გადაადგილების შესახებ; საქონლის საბაჟო სტატუსი და ა. შ.

6. გადამუშავების პროცედურით გათვალისწინებული სამართლებრივი შეღავათები

შიდა და გარე გადამუშავების არასაგადასახადო უპირატესობებს შორის უწინარეს ყოვლისა, უნდა დასახელდეს: 1. გადამუშავების საგნის; 2. გადამუშავების პროდუქტების; 3. ნარჩენების მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის გამოუყენებლობა.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ შიდა გადამუშავების პროცედურის დებულებით განმტკიცებული ნორმას, რომლის შესაბამისად, შიდა გადამუშავების პროცედურაში მოსათავსებელი უცხოური საქონლის და ასევე, ექსპორტის პროცედურაში მოსათავსებელი გადამუშავებული პროდუქტების მიმართ გამოიყენება არასატარიფო რეგულირების ზომები, საქართველოს კანონმდებლობის მოქმედი აქტების შესაბამისად. ამ დებულების ნორმებს ორმაგი მნიშვნელობა აქვს. ერთი მხრივ, იგი შეიცავს კანონმდებლობის სხვა აქტებზე მითითებას (არასატარიფო რეგულირების¹⁷ ზომების შესახებ, რომელიც გამოიყენება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში), მეორე მხრივ, იგი შეიცავს სატარიფო ზომების დაცვის მოთხოვნას (გამოიყენება არასატარიფო რეგულირების ის ზომები, რომლებიც დადგენილია კანონმდებლობის აქტებით). აღნიშნული განმარტების სისწორის დადასტურებას წარმოადგენს დებულება, რომელიც ამტკიცებს, რომ შიდა გადამუშავების პროცედურის შესაბამისად, საქონლის საბაჟო გაფორმება ხორციელდება ერთდროულად, რამდენიმე პირობის შესრულებისას, მათ შორის, არასატარიფო რეგულირების ზომების დაცვის დროს.

იმის გათვალისწინებით, რომ არასატარიფო რეგულირების ზომები არსებითად წარმოადგენს ეკონომიკური პოლიტიკის ზომებს, რომლებიც არ შეიძლება იქნას გამოყენებული არც შიდა გადამუშავების ოპერაციაში მოსათავსებელი საქონლის მიმართ, არც მისი გადამუშავების პროდუქტების მიმართ, ეწინააღმდეგება საბაჟო კოდექსს და გამოყენებას არ ექვემდებარება.

გადამუშავების პროცედურების გამოყენებასთან დაკავშირებული საგადასახადო შეღავათების სახით დადგენილია შემდეგი: გადახდილი საბაჟო გადასახადის დაბრუნება; საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლება; საბაჟო გადასახადის განაკვეთის შემცირება.

შიდა გადამუშავების და ასევე, გარე გადამუშავების პროცედურებში მოქცეული საქონლის მიმართ გათვალისწინებული გადახდილი შემოტანის ან გატანის საბაჟო გადასახადებისა და სხვა გადასახდელების თანხის დაბრუნების სახით შეღავათები პირობითი ხასიათისაა. მისი

გამოყენება პირდაპირ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად „დანიშნულებისამებრ“ იყენებს პირი ამ პროცედურებს და ასევე, სხვა პირობების შესრულებაზე. ასე მაგალითად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გადამუშავების საგნის გატანისას გადახდილი საბაჟო გადასახადების და სხვა გადასახდელების დასაბრუნებლად, საკმარისია გადამუშავების ოპერაციების პირობების, შეზღუდვებისა და მოთხოვნების შესრულება (საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოქცევისათვის გაშვების პროცედურაში პროდუქტების მოთავსება, გადამუშავების პროდუქტების გამოსავლიანობის რაოდენობის, გადამუშავების ვადებისა და ა. შ. დაცვა). ამასთან, გადახდილი შემოსატანი და გასატანი საბაჟო გადასახადები და სხვა გადასახდელები ექვემდებარება დაბრუნებას გადამუშავების პროცედურაში მოთავსებული საქონლის მხოლოდ იმ ნაწილისათვის, რომელიც იყო გამოყენებული სასაქონლოდ (გადამუშავების პროდუქტის) დასამზადებლად და ამ დროს საწარმოო პროცესში მიღებული ნარჩენებისათვის.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსატანი და შიდა გადამუშავების პროცედურაში მოსათავსებელი საქონელი ექვემდებარება საბაჟო გადასახადებისა და სხვა გადასახდელებისაგან გათავისუფლებას. **შედარებისათვის:** საქონლის გარე გადამუშავების პროდუქტების მიმართ არ ხდება საბაჟო გადასახადებისა და სხვა გადასახდელების გადახდევინება. **მაგალითად,** თავისუფალი მიმოქცევისათვის გაშვების პროცედურაში საქონლის მოთავსების დროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადამუშავების მიზანი იყო კანონმდებლობით, ინსტრუქციებით ან ხელშეკრულების ვადით გატანილი საქონლის უსასყიდლოდ განხორციელებული რემონტი (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც თავისუფალ მიმოქცევაში საქონლის თავდაპირველი გაშვებისას ნაკლის არსებობა იყო გათვალისწინებული). სხვა შემთხვევებში (ანაზღაურებითი რემონტის განხორციელება, გადამუშავების სხვა ოპერაციის ჩატარება) გამოიყენება საბაჟო გადასახადებისა და სხვა გადასახდელების ნაწილობრივი გათავისუფლება. ამასთან, აღნიშნული შეღავათების მისაღებად საბაჟო კანონმდებლობა ადგენს დამატებით პირობას. გადამუშავების პროდუქტები თავისუფალი მიმოქცევისათვის გაშვების პროცედურაში მოსათავსებლად უნდა განაცხადოს გადამუშავების ლიცენზიის მიმღებმა პირმა ან აღნიშნულ პირთან ხელშეკრულებით საბაჟო ბროკერმა.

კიოტოს კონვენცია განამტკიცებს შემდეგ პრინციპს: „საბაჟო ტერიტორიაზე გადასამუშავებლად დაშვებული საქონელი ყველა შემთხვევაში ექვემდებარება შემოსატანი საბაჟო გადასახადებისა და გადასახდელებისაგან გათავისუფლებას. მაგრამ შემოსატანი საბაჟო გადასახადები და გადასახდელები შეიძლება იქნას გადახდილი ყოველი პროდუქტიდან, შიდა გადამუშავებაში გადასამუშავებლად დაშვებული იმ საქონლის გადამუშავების ან წარმოების შედეგად წარმოქმ-

ნილი ნარჩენების ჩათვლით, რომელიც არ იქნა გატანილი ან არ გადამუშავდა კომერციულად უვარგის მდგომარეობაში (სპეციალური F დანართის 1-ლი თავის პუნქტი 2).“

კიოტოს კონვენციით ასევე, განმტკიცებულია ორი სპეციალური წესი, რომელიც ეხება საბა-
ჟო გადასახადებისა და გადასახდელების გამოყენებას, რომლებიც არაა დამახასიათებელი
საქართველოს საბაჟო კანონმდებლობისათვის და რომელზეც ღირს ყურადღების მიქცევა.

ჯერ ერთი, სხვა საბაჟო პროცედურაში გადამუშავების პროდუქტების მოთავსება თავისუფალი
მიმოქცევისათვის გაშვების პროცედურის შესაბამისად, მის გაფორმებამდე, არ კარგავს ამ
საქონლის გაშვებისას, შემოსატანი საბაჟო გადასახადებისა და გადასახდელებისაგან სრული
ან ნაწილობრივი გათავისუფლების უფლებას.

მეორე, საგადასახადო შეღავათების მიღების უფლება ასევე, შენარჩუნებულია საკომპენსაციო
(ეკვივალენტურ) პროდუქტებზე საკუთრების უფლების მქონე მესამე პირისათვის გადაცემის
შემთხვევაში, თავისუფალ მიმოქცევაში მათ გაშვებამდე (სპეციალური F დანართის მე-2
თავის პუნქტი 17, 18).

8. შიდა გადამუშავების პროცედურის დასრულება

შიდა გადამუშავების პროცედურა დასრულდება, თუ ამ პროცედურაში მოქცეული საქონელი
ან/და გადამუშავებული პროდუქტი ან/და ნარჩენი/ჯართი: ექცევა სხვა საბაჟო პროცედურაში
ან გატანილია საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან, განადგურდება ნარჩენების გარეშე
ან გადაცემულია სახელმწიფოსათვის.

შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენებისას, გადაუმუშავებელი საქონელი, გადამუ-
შავებული პროდუქტი, ნარჩენი ან/და ჯართი საქონლის გადამუშავების ვადის გასვლამდე
უნდა მოექცეს შესაბამის საბაჟო პროცედურაში ან/და გატანილ იქნას საქართველოს საბაჟო
ტერიტორიიდან.

რა შეეხება სპეციფიკურ ტვირთებს: ელექტროენერგიას, გაზს, ნავთობის მსუბუქ, საშუალო და
მძიმე დისტილატებს, მილსადენით გატარებულ საქონელს – საქართველოს საბაჟო კანონმ-
დებლობა მათ შიდა გადამუშავების პროცედურით გადამუშავების ნებართვას არ იძლევა.
საბაჟო დეპარტამენტის ნებართვის საფუძველზე, შეიძლება გადამუშავდეს მხოლოდ გაზი და

ისიც მხოლოდ ერთ კონკრეტულ შემთხვევაში – გვარჯილის მისაღებად. სხვა შემთხვევაში, სხვა ენერგორესურსების გადამუშავება კანონმდებლობით ნებადართული არ არის.

საქართველოს საკანონმდებლო დონეზე არ არის დარეგულირებული ფერადი ლითონების გადამუშავება შიდა გადამუშავების პროცედურით. მხოლოდ საბაჟო დეპარტამენტის მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე ხდება ჯარტის გადამუშავება (და ისიც მკაცრ კონტროლზეა აყვანილი, რადგან გადამუშავების პროცესში არ ჩაერიოს მაღალი რადიაციის მქონე ლითონი).

შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენებისას გადამუშავებელი საქონელი, გადამუშავებული პროდუქტი, ნარჩენი ან/და ჯარტი საქონლის გადამუშავების ვადის გასვლამდე უნდა მოექცეს შესაბამის საბაჟო პროცედურაში ან/და გატანილ იქნას საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან, ხოლო გადამუშავებული პროდუქტის ნარჩენის/ჯარტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის მიზნით წარედგინება საქონლის საბაჟო დეკლარაცია.

დასკვნის სახით, კიდევ რა შეიძლება ვიცოდეთ შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ? როგორია ამ პროცედურის პერსპექტივა საქართველოს ეკონომიკისათვის?

გადასამუშავებლად საქონლის შემოტანას საქართველოში შიდა გადამუშავებისათვის გარკვეული სარგებელი მოაქვს, რამეთუ იგი საშუალებას იძლევა დასაქმდეს მუშახელი და მიიღოს დამატებითი მატერიალური რესურსები ქვეყნის შიგნით. ეკონომიკური საფუძველი დღეისათვის კი, საქართველოს მუშახელის სიააფეა.

შიდა გადამუშავებით, საქართველოში უკვე მუშაობს 2 000-ზე მეტი დიდი თუ მცირე საწარმო და მათი რაოდენობა თანდათან იზრდება. მაგალითად, სს თბილავიამშენი, სს მადნეული, სს ბესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ქ. ბათუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი და სხვ.

სს თბილავიამშენი შიდა გადამუშავების ოპერაციით მუშაობდა საერთოდ და საკმაოდ ეფექტიანადაც. თავის დროზე, ამ საწარმომ საქართველოში 1500-ზე მეტი მუშახელი დაასაქმა, საქართველოს მძიმე ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე საკმაოდ მაღალი ანაზღაურებით. ეკონომიკური თვალსაზრისით ასევე, წარმატებულია ქ. ბათუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის მუშაობაც, შიდა გადამუშავების სპეციალური ოპერაციით. აღნიშნულ კომბინატს ნედლეული – ტყავი შემოაქვს მეზობელი ქვეყნებიდან (შუა აზიიდან), აწარმოებს პროდუქციას და უშვებს თავისუფალ მიმოქცევაში (დასაქმებული ჰყავს 200-ზე მეტი მუშახელი).

შიდა გადამუშავების პროცედურა, სამეურნეო საქმიანობისა და ეკონომიკური კვლავწარმოების პროცესში, მათი რიგისა და ადგილიდან გამომდინარე, წარმოადგენენ **ეკონომიკურ ოპერაციებს**, რომლებიც უშუალოდ პასუხობენ მრეწველობის ინტერესებს (აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ პროცედურით მუშაობას დიდი სიფრთხილით უნდა მივუდგეთ, რადგან საქართველოს მუშახელის სიიაფემ უცხოელ ბიზნესმენტა მიერ ქართული ბაზრის წაღეკვა არ გამოიწვიოს), განსაკუთრებით ეს ეხება ერთობლივ საწარმოებს. არც თუ იშვიათია შემთხვევა, როცა მეწარმეს საქართველოში შემოაქვს იაფი ნედლეული შიდა გადამუშავებისათვის (შემდგომ, ექსპორტზე ან იმპორტში გასაშვებად) და „კაპიკებად“ ამუშავებენ საწარმოებში საქართველოს მუშახელს, სადაც ხშირად, უსაფრთხოების ელემენტარული წესებია დარღვეული.

რაც უფრო შრომატევადია წარმოება, მით უფრო ხელსაყრელია უცხო მეწარმისათვის საქართველოში საწარმოების განთავსება (განსაკუთრებით, საქართველოს მეწარმეებთან ერთობლივად) და იაფი მუშახელის მოზიდვა ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან და დაუსაქმებლობის მაღალი მაჩვენებლებიდან გამომდინარე, როცა პირს სამუშაოს არჩევის საშუალებაც არა აქვს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში გათვალისწინებული იქნება საქართველოს სამეცნიერო პოტენციალიც და უცხოელები საქართველოში განათავსებენ სამეცნიერო საწარმოებსაც.

გადამუშავების რეჟიმის სპეციფიკური თავისებურებები

საკუთრივ საქონლის გადამუშავებისა და დამუშავების ოპერაციას ახასიათებს საქონლის (რომელიც გადამუშავების საგანს წარმოადგენს) და გამოყენებული დამხმარე საქონლის ინდივიდუალური ხასიათის დაკარგვა და ამ ხასიათის შენარჩუნება გადამუშავების პროდუქტში (სასაქონლო პროდუქცია). სასაქონლო პროდუქციის დამზადების ოპერაციისათვის დამახასიათებელია სასაქონლო პროდუქციაში აღნიშნული საქონლის აღდგენა ან შეცვლა, რომელიც გადამუშავების საგანია, რეკლამაციის მიხედვით, დეფექტების აღმოფხვრა ასევე, ზოგიერთი საქონლის გამოყენებაში, რომელიც ხელს უწყობს გადამუშავების პროდუქტების წარმოებას ან აადვილებს მას, რომელშიც მოიაზრება სასაქონლო პროდუქციის წარმოების ან ამ პროცესის გასაადვილებლად გადამუშავების პროცედურაში მოთავსებული საქონლის გამოყენება, თუ ეს საქონელი მთლიანად ან ნაწილობრივ გამოიყენება გადამუშავების პროცესში (კატალიზატორები, ფლუსი-მდნობი, ელექტროდები და ა. შ.).

ამასთან, გადამუშავების ოპერაციებს (როგორც შიდა, ასევე გარე გადამუშავებას) არ შეიძლება ეკუთვნოდეს საქონელი, რომლის იდენტიფიკაციაც შეუძლებელია, მათ შორის ელექტრული, თბური და სხვა სახეობის ენერგიები, აგრეთვე ის საქონელი, რომელთა გადამუშავების პროდუქტს წარმოადგენს ელექტრული, თბური და სხვა სახის ენერგია.

საბაჟო დეპარტამენტს ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით, შეუძლია დაადგინოს შეზღუდვები საქონლის გადამუშავების ცალკეული ოპერაციის ჩატარებაზე, ხოლო შიდა გადამუშავების პროცედურისათვის – მათი ჩატარების პირობებზე დამხმარე საქონლის გამოყენების შესაძლებლობისა და წესის ჩათვლით. ასე მაგალითად, შიდა გადამუშავების ტერიტორიაზე გადამუშავების პროცედურის ჩარჩოებში შეზღუდულია საკუთრივ გადამუშავებისა და დამუშავების, აგრეთვე რემონტის ოპერაციათა გამოყენება შემდეგი საქონლის აღდგენისა და წესრიგში მოყვანის ჩათვლით:

- ინსტექციდები, ჰერბიციდები, სადებინფექციო ან მისი ანალოგიური საშუალებები, რომლებიც საცალი გაყიდვისათვის დაფასოებულია ფორმებში ან საფუთავებში ან წარმოდგენილია მზა პრეპარატების ან ნაწარმის სახით;
- რადიექტიური ნარჩენები.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა იქიდან ამოდის, რომ საქონლის გადამუშავების ნუსხა ერთიანია გადამუშავების ორივე პროცედურისათვის. ამასთან, საერთაშორისო საბაჟო შეთანხმებებში ოპერაციები დიფერენცირებულია გადამუშავების პროცედურების მიხედვით. ასე მაგალითად, კიოტოს კონვენციის შესაბამისად, შიდა გადამუშავების ან გარე გადამუშავების პროცედურებში მოთავსებულ საქონელზე შეიძლება ჩატარდეს წარმოების, გადამუშავების ან რემონტის ოპერაციები (ეს გამომდინარეობს აღნიშნული პროცედურების განსაზღვრებიდან), მაგრამ თავისუფალი მიმოქცევისათვის საქონლის დამუშავების პროცედურის ფარგლებში რემონტის ჩატარება დაუშვებლად მიგვაჩნია, რომ ეს დაკავშირებულია ამ პროცედურის თავისებურებებთან, რომელთა შესახებ ზემოთ უკვე არის ნათქვამი. ანალოგიური კონცეფცია შეინიშნება ევროკავშირის (EEC) საბაჟო კოდექსშიც.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობისაგან საერთაშორისო საბაჟო კანონმდებლობის მნიშვნელოვან განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ იგი უშვებს შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენების შეცვლას. ასე მაგალითად, კიოტოს კონვენციის სპეციალური F დანართის რეკომენდებული წესი (1-ლი თავის პუნქტი 17) გვაუწყებს, რომ შიდა გადამუშავების გასაგრძელებლად, გათვალისწინებული უნდა იყოს პირობა შემოსატან საქონელსა და ეკვივალენტურ¹⁸ პროდუქტებზე საკუთრების უფლების მესამე პირისათვის გადაცემის შესახებ, თუ ეს პირი თავის თავზე იღებს იმ პირის ვალდებულებებს, ვისაც მისცეს შიდა გადამუშავების ოპერაციის საქონლის გადამუშავების ნებართვა. მითითებული წესი, ჩვენი აზრით, ხელს უწყობს სამეწარმეო აქტივობის განვითარებას და შესაძლებლობას აძლევს მეურნე-სუბიექტებს უფრო მოქნილად მოახდინონ რეაგირება სხვადასხვა გარემოებებზე.¹⁹

შენიშვნები:

- ¹ The Union Customs Code (UCC), https://taxation-customs.ec.europa.eu/customs-4/union-customs-code_en
- ² ხარაზი ი., გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება, დისერტაცია, თსუ, 2006; გვ. 59; ხარაზი ი., გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება (მონოგრაფია), თბ., 2006; ხარაზი ია., საგადასახადო სამართლებრივ რეგულირებაში პრეზუმპციული მეთოდების გამოყენების შესახებ, ჟურნ. დიპლომატია და სამართალი, #1(4), 2018, გვ. 46-68; ხარაზი ი., ქოიავა კ., საბაჟო საქმისა და საბაჟო სამართლის კონსტიტუციურსამართლებრივი საფუძვლები, ჟურნ. სამართალი, #1-2, 2008, გვ. 17-20; ხარაზი ი., ცინცაძე გ., ირემაშვილი გ., საბაჟო რეჟიმების სტრუქტურა და შინაარსი (საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით), ჟურნ. სამართალი, # 1-2, 2007, გვ. 17-23; ხარაზი ი., ხარაზი ქ., გადამუშავების საბაჟო რეჟიმების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, ჟურნ. სამართალი, #3-4, 2007, გვ. 42-45; უერთაშვილი ნ., ხარაზი ი., საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტები, საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომათა კრებული, I, თბ., 2010, გვ. 194-212; ხარაზი ი., კვინიკაძე ქ., სასაქონლო ოპერაციები, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, #4(31), 2011, გვ.148-160; ხარაზი ი., უერთაშვილი ნ., გერგედავა თ., საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტების თავისებურებათა შესახებ, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, #1(24), 2010; ხარაზი ი., უერთაშვილი ნ., ორჯონიკიძე მ., საბაჟო სამართლის ნორმათა განმარტების თავისებურებანი, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, #4(27), 2010, გვ. 56-67; Харazi И. В., Мchedlishvili E. Д., Чагунава Д. X., Леонидзе И. М., Правовые аспекты классификации таможенных режимов, AIR TRANSPORT, ВОЗДУШНЫЙ ТРАНСПОРТ, Aviation University of Georgia, Тб., #2(5), 2010, стр. 125-137; კიოტოს 1973 წლის კონვენცია „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ“, საქართველოს აღნიშნულ კონვენციას შეუერთდა 2018 წლის 20 ივლისს, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4270130?publication=0>.
- ³ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო პერიოდში სულ უფრო თვალშისაცემი ხდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის მიახლოება ევროპულ საბაჟო კანონმდებლობასთან, რომელიც დამსახურებაა კიოტოს კონვენციასთან საქართველოს შეერთებისა და ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულებისა.
- ⁴ საქართველო 2018 წელს შეუერთდა.
- ⁵ ხარაზი ი., გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება, დისერტაცია, თსუ, 2006, გვ. 62; ხარაზი ი., გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება (მონოგრაფია), თბ., 2006.
- ⁶ ბაშელის კონვენცია „სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების გადამიღვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485058?publication=0>
- ⁷ ხარაზი ი., გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება, დისერტაცია, თსუ, 2006.
- ⁸ საბაჟო კოდექსი, მ. ნ. „ტერმინთა განმარტება“, „ძ“ ქვეპუნქტი.
- ⁹ ხარაზი ი., გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება, დისერტაცია, თსუ, 2006, გვ. 92-93.
- ¹⁰ იქვე.

¹¹ იხ.: კიოტოს 1973 წლის კონვენცია „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ.“

¹² განხილულ საკითხებთან დაკავშირებით იხ.: კიოტოს 1973 წლის კონვენცია „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ;“ ინსტრუქცია „საბაჟო კონტროლის შესახებ;“ ასევე, ხარაზი ი., გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება დისერტაცია, 2006; ხარაზი ი., გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება (მონოგრაფია) 2006; ხარაზი ი., საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა გეორგიკა, თბ., 2021; ხარაზი ი., საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბ., 2013; ხარაზი ი., საბაჟო სამართალი, თბ., 2007; ხარაზი ი., საბაჟო სამართალი, თბ., 2010; ურიდია გ., არახამია ფ., საბაჟო საქმის თეორია, თბ., 2009; ურიდია გ.; საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, გამომცემლობა მერიდიანი, თბ., 2011; ლორთქიფანიძე ე., საბაჟო საქმის საფუძვლები, თბ., 2002; ჯგერენაია ე., საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, თბ., 2022; ურიდია გ., არახამია მ., რუხაია ფ., საბაჟო რეჟიმები, თბ., 2005; ხარაზი ი., ცინცაძე გ., ირემაშვილი გ., საბაჟო რეჟიმების სტრუქტურა და შინაარსი (საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით), ჟურნ. სამართალი, #1-2, 2007, გვ. 17-23; ხარაზი ი., ხარაზი ქ., გადამუშავების საბაჟო რეჟიმების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, ჟურნ. სამართალი, #3-4, 2007, გვ. 42-45; უერთაშვილი ნ., ხარაზი ი., საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტები, საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომათა კრებული, I, თბ., 2010, გვ. 194-212; ხარაზი ი., კვინიკაძე ქ., სასაქონლო ოპერაციები, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, #4(31), 2011, გვ. 148-160; ხარაზი ი., უერთაშვილი ნ., გერგელავა თ., საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტების თავისებურებათა შესახებ, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, #1(24), 2010; ხარაზი ი., უერთაშვილი ნ., ორჯონიკიძე მ., საბაჟო სამართლის ნორმათა განმარტების თავისებურებანი, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, #4 (27), 2010, გვ. 56-67; Харazi И. В., Мchedlishvili E. Д., Чагунава Д. X., Леонидзе И. М., Правовые аспекты классификации таможенных режимов, AIR TRANSPORT, ВОЗДУШНЫЙ ТРАНСПОРТ, Aviation University of Georgia, Тб., #2(5), 2010, стр. 125-137.

¹³ <https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf>

¹⁴ საბაჟო კოდექსი, მ. 146. ნ. 4., აღნიშნული ნაწილი გამოიყენება 117-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტთან ერთობლიობაში.

¹⁵ თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ავტორიზაციის მფლობელმა, პროცედურის მფლობელმა (გარდა ტრანზიტის პროცედურის მფლობელისა) ან ნებისმიერმა პირმა, რომელიც ახორციელებს საქონლის შენახვასთან ან გადამუშავებასთან დაკავშირებულ საქმიანობას ანდა თავისუფალ ზონაში საქონლის გაყიდვას ან შეძენას, უნდა აწარმოოს სათანადო აღრიცხვა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული ფორმით. აღრიცხვა გულისხმობს ისეთი მონაცემისა და სხვა ინფორმაციის შენახვას, რომლებიც საბაჟო ორგანოს საშუალებას მისცემს, შეაფასოს გეგმიური შესაბამისი საბაჟო პროცედურას, კერძოდ, ამ პროცედურაში მოქცეული საქონლის იდენტიფიკაციასთან, საბაჟო სტატუსთან და გადაადგილებასთან დაკავშირებით. მიიჩნევა, რომ საბაჟო გამარტივებასთან დაკავშირებული ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი ასრულებს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ვალდებულებას, თუ მის მიერ წარმოებული აღრიცხვა შეესაბამება სპეციალური პროცედურის მიზნებს.

- ¹⁶ იხ.: საბაჟო კოდექსის 113-ე მუხლის კომენტარი: ხარაზი ი.; საბაჟო სამართალი, 2021.
- ¹⁷ კვოტირება, ლიცენზირება, მინიმალური და მაქსიმალური ფასების დაწესება და ა. შ.
- ¹⁸ წინა მოქმედი საბაჟო კანონდებლობებით საკომპენსაციო საქონლად იწოდებოდა.
- ¹⁹ ხარაზი ი., გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება, დისერტაცია, თსუ, 2006; ხარაზი ი., გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება (მონოგრაფია), 2006; ხარაზი ი., გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება (დისერტაცია), თსუ, 2006; ხარაზი ი., სავადასახადო სამართლებრივ რეგულირებაში პრეზუმციული მეთოდების გამოყენების შესახებ, ჟურნ. დიპლომატია და სამართალი, #1(4), 2018, გვ. 46-68; ხარაზი ი., ქოიავა კ., საბაჟო საქმისა და საბაჟო სამართლის კონსტიტუციურსამართლებრივი საფუძვლები, ჟურნ. სამართალი, #1-2, 2008, გვ. 17-20; ხარაზი ი., ცინცაძე გ., ირემაშვილი გ., საბაჟო რეჟიმების სტრუქტურა და შინაარსი (საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით), ჟურნ. სამართალი, # 1-2, 2007, გვ. 17-23; ხარაზი ი., ხარაზი ქ., გადამუშავების საბაჟო რეჟიმების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, ჟურნ. სამართალი, #3-4, 2007, გვ. 42-45; უერთაშვილი ნ., ხარაზი ი., საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტები, საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომათა კრებული, I, თბ., 2010, გვ. 194-212; ხარაზი ი., კვინიკაძე ქ., სასაქონლო ოპერაციები, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, #4(31), 2011, გვ.148-160; ხარაზი ი., უერთაშვილი ნ., გერგედავა თ., საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტების თავისებურებათა შესახებ, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, #1(24), 2010; ხარაზი ი., უერთაშვილი ნ., ორჯონიკიძე მ., საბაჟო სამართლის ნორმათა განმარტების თავისებურებანი, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, #4(27), 2010, გვ. 56-67; ურიდია გ., არახამია მ., რუხაია ფ., საბაჟო რეჟიმები, თბ., 2005; Харази И. В., Мчедlishvili E. Д., Чагунава Д. Х., Леонидзе И. М., Правовые аспекты классификации таможенных режимов, AIR TRANSPORT, ВОЗДУШНЫЙ ТРАНСПОРТ, Aviation University of Georgia, Тб., #2(5), 2010, стр. 125-137; Харази И. В., Мосулишвили М. И., Мчедlishvili E. Д., Проблемы и своеобразие Таможенного кодекса Грузии, AIR TRANSPORT, ВОЗДУШНЫЙ ТРАНСПОРТ, Aviation University of Georgia, Тб., 2009, #1(3), стр. 119-130.

სამართაშორისო აქტები:

1. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>
2. კიოტოს 1973 წლის კონვენცია „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ“, „საქართველო აღნიშნულ კონვენციას შეუერთდა 2018 წლის 20 ივლისს, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4270130?publication=0>;
3. ევროკავშირის საბაჟო კოდექსი, The Union Customs Code (UCC), https://taxation-customs.ec.europa.eu/customs-4/union-customs-code_en
4. საქართველოს ნორმატიული აქტები:
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf>
ინსტრუქცია შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ (დანართი №13), <https://www.rs.ge/LegalEntityCustomsProcedures?cat=8&tab=1>
ინსტრუქცია გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ (დანართი №14), <https://www.rs.ge/LegalEntityCustomsProcedures?cat=9&tab=1>

LEGAL AND ECONOMIC ASPECTS OF THE LEGAL REGULATION OF THE INTERNAL PROCESSING OF GOODS

COMPARATIVE-LEGAL RESEARCH

IA KHARAZI

*Associate Professor of Sokhumi State University
Visiting Professor of Kutaisi State University*

The article talks about one of the current institutions of customs law – the procedure of internal processing of goods, which has a certain legal and at the same time economic meaning because bringing goods for processing to Georgia has certain benefits for internal processing because it creates opportunities for employment and additional material resources within the country. Unfortunately, the economic basis for this nowadays is the low cost of labor in Georgia.

According to the customs legislation of the European Union and at the same time of Georgia the list of goods processing is uniform for both processing procedures. In addition, operations in international customs agreements are differentiated according to processing procedures. So, for example, by the Kyoto Convention, production, processing, or repair operations can be carried out on goods placed in internal processing or

external processing procedures (this comes from the definitions of the said procedures); But I consider it inadmissible to carry out repairs within the framework of the procedure for processing goods for free circulation, as it is related to the peculiarities of this procedure, which have already been mentioned above. A similar concept is observed in the European Union (EEC) Customs Code.

An important distinguishing feature of the international customs legislation from the Georgian customs legislation is that it allows changing the user of the internal processing procedure. For example, the recommended rule of the special Annex F of the Kyoto Convention (Chapter 1, Clause 17) informs us that to continue internal processing, a condition must be provided for the transfer of ownership rights to imported goods and equivalent products to a third party, if this person assumes the obligations of that person who were permitted to process the goods of the internal processing operation. The specified rule, in my opinion, promotes the development of entrepreneurial activity and allows farmers-subjects to react more flexibly to various circumstances, etc.

საჭაერო სივრცისა და ფრენის უფლების პრობლემები საერთაშორისო საჭაერო სამართალში

დავით გეფერიძე

საერთაშორისო სამართლის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

შოთა ჭითანავა

საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (თსუ)

შესავალი

სატრანსპორტო რევოლუციის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი იყო განვითარებული საავიაციო ინდუსტრია და მისი სწრაფი გაფართოება – პრაქტიკულად, მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში. ძმები რაიტების მართოხელა ფრენას მოჰყვა ავიაციის საოცრად მრავალფეროვანი აპლიკაციები კერძო, სამხედრო და კომერციული გამოყენებისათვის. ინდუსტრიის ზრდას თან ახლავს დიდი ობიექტების მშენებლობა საჭაერო ხომალდების მძიმე ტრაფიკის მოსაგვარებლად, რაც აუცილებელია საჭაერო მოგზაურობის კომფორტზე საზოგადოებრივი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. კომერციული საჭაერო ხომალდები, შედარებით მცირე ზომის პროპელერირი ხო-

მაღდიდან, გადაიქცა დიდ მექანიზმებად, რომლებსაც დღეს იყენებენ საერთაშორისო სა-
მოქალაქო ავიაციის ბაზარზე მოქმედი ძირითადი ავიახაზები. დატვირთული აეროპორტები,
რომლებიც ყოველდღიურად ემსახურებიან ჩვენს ქალაქებს და ასობით, თუნდაც ათასობით
ასეთი დაშვებისა და აფრენის მოწმენი არიან. გასაკვირი არ არის, რომ ამ უკიდურესად
ხმაურიანი ობიექტების განთავსებამ და ფუნქციონირებამ აეროპორტის ოპერატორის მიერ
შექმნილ საკუთრებასა და კერძო მესაკუთრეების მფლობელობაში არსებულ საკუთრებას
შორის გამოიწვია შეჯახება – საჭაერო ტრანზიტის საზოგადოებრივ საჭიროებასა და საკუთ-
რების უფლების ტრადიციულ კონცეფციებს შორის.¹

დღესდღეობით, საჭაერო ტრანსპორტის ინდუსტრიაში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური
პრობლემა არის ხმაური. ეს საკითხი მნიშვნელოვანია სამართლებრივი თვალსაზრისით,
რადგან ავიაკომპანიის ოპერატორის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საზღვრები,
შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ არ არის კარგად განსაზღვრული.²

ამავდროულად, სამართლის უკიდევანო სივრცეში ალბათ, არ არსებობს არც ერთი საკითხი ან
სფერო, რომელიც მის ისტორიას უფრო შორს მიჰყვება ან რომელიც უფრო მნიშვნელოვანია
ფართო საზოგადოებისთვის, მათ შორის, ყოველდღიური ცხოვრების უამრავი ელემენტის
ჩათვლით, ვიდრე სამართლის ის სფერო, რომელიც ეხება კერძო საკუთრებას. ტერმინს
„საკუთრება“ აქვს მრავალფეროვანი გამოყენება. თუმცა, ძირითადად, იგი გამოიყენება ორი
მნიშვნელობით: საკუთრების ან უფლების და ასევე, იმ res-ის³ აღსანიშნავად, რომელზედაც
საკუთრება არსებობდა ან განხორციელდა. ეს ერთი სიტყვა გამოიყენება, როგორც გვარის,
ასევე სახეობის გამოსახატად. ურთიერთობა ინდივიდსა და „res“-ს შორის, რომელიც მისი
საკუთრებაა, ცნობილია, როგორც საკუთრების უფლება. აუცილებელია გავითავისოთ, რომ
ინდივიდი არის აღნიშნული საკუთრების უფლების მატარებელი პირი. შესაბამისად, უფლება
სათავეს იღებს ინდივიდსა და საკუთრების საგანს შორის ურთიერთობისგან. გამოდის, რომ
სუბიექტსა და ობიექტს შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობას აქვს დიდი ისტორიული,
სამართლებრივი და სოციალური მნიშვნელობა.

ვიდრე საკუთრების უფლების ცნებას მივადგებით, ორიოდ სიტყვა უნდა ითქვას უფლება-
მოვალეობების ზოგად თეორიაზე, ბუნებრივ უფლებებსა და მათ კანონიერ უფლებებთან
ურთიერთობის საკითხზე დისკუსიაში შესვლის გარეშე. ჩვენ დისკუსიაში შემოვიფარგლებით
მხოლოდ იმით, რაც ცნობილია, როგორც კანონიერი უფლებები – ის უფლებები, რომლებიც
აღიარებულია და დაცულია თავად სამართლებრივი სისტემის მიერ. ამ მიზნით, თუ გავხსენ-

ნებთ საყოველთოდ აღიარებულ კრიტერიუმებს, დავინახავთ, რომ უფლების არსებობისთვის აუცილებელია სახეზე გვქონდეს: უფლების მატარებელი, ქმედება, რომელსაც ეხება უფლება, შესაბამისი უფლების ობიექტი და პირი, რომელსაც ეკისრება შესაბამისი ვალდებულება არ ხელყოს სხვისი საკუთრება.⁴

ზემოხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, კერძო საკუთრებასა და ავიაკომპანიებს შორის უფლებრივი კვეთა შესაძლოა წარმოიშვას ორი მიმართულებით. პირველი, კერძო საკუთრებაში ტერიტორიული შეღწევის ფაქტით და მეორე, ინდუსტრიული განვითარების ფონზე, ქმედების შედეგად გამოწვეული ხმაურით. აღნიშნული ჩარევის გზებით, შესაძლებელია შეილახოს ინდივიდის არა მხოლოდ საკუთრების უფლება, არამედ შესაძლოა მივიდეთ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცული პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლების დარღვევამდეც.

არ იქნება არალოგიკური თუ ვიტყვით, რომ საკვლევი თემის აქტუალობა წლების განმავლობაში ცვალებადი იყო. მეოცე საუკუნის 30–40–იან წლებში, საჰაერო მიმოსვლის თანდათანობით გაზრდის კვალდაკვალ, თემის აქტუალობაც საგრძნობლად გაიზარდა. აღნიშნულ განვითარებას შესაბამისი რეაგირება მოჰყვა სასამართლო პრეცედენტების განვითარების თვალსაზრისითაც. თუმცა, აღსანიშნავია, რომ პრეცედენტული სამართალი ნაკლებად იყო წარმოშობილი საერთაშორისო დონეზე, იგი ძირითადად, ლოკალურ ხასიათს ატარებდა.

აღნიშნულმა საჯარო ფონმა რა თქმა უნდა, გავლენა იქონია თემის ფარგლებში გამოყენებულ კვლევის მეთოდოლოგიაზე. თემის ძირითადი ნაწილი დამყარებულია საერთაშორისო დონეზე არსებული სამართლებრივი დოკუმენტაციისა და პრეცედენტული სამართლის ანალიზზე. აღნიშნული ანალიზი გულისხმობს არა მხოლოდ არსებული დოკუმენტების თანამედროვე ფორმაში არსებული ტექსტის განმარტებას, არამედ მათი შემუშავების ისტორიის შესწავლას, შემუშავების განმაპირობებელი გარეშე ფაქტორების გათვალისწინებას. რაც შეეხება ქართულ საკანონმდებლო სივრცეს, ამ ნაწილში განვითარებული მსჯელობა დამყარებული იქნება შედარებით-სამართლებრივ ანალიზზე და მიმართულია მისი კრიტიკული გაანალიზებისაკენ. აღნიშნული მეთოდების კვლევის ფარგლებში დანერგვისათვის გამოყენებული არის სამართლებრივი ბაზის მიღმა წყაროები, როგორებიცაა: სტატიები, კვლევები, სამეცნიერო ლიტერატურა და სხვა შესაბამისი წყაროები.

1. საჭაერო სივრცის საკუთრების თეორიები და მათი განვითარება

თანამედროვე სამყარო იქცა მზარდი ანტაგონიზმის ადგილად მიწის მესაკუთრეებსა და მათ ზემოთ, ცაში მობინადრე აერონავტებს შორის. უძრავი ქონების დეველოპერები თავიანთ მინისა და ფოლადის კონსტრუქციებს ცისკენ უბიძგებენ, მაშინ როცა ჯერ კიდევ, შეიძლება ითქვას, ახლად რეგულირებული საჭაერო სივრცე საჭაერო ხომალდებს ძალიან აახლოებს მიწასთან.

საკუთრება არის ის საკითხი, რომელიც უკვე წლებია აწუხებს მკვლევრებს, მაგრამ დებატები იმის შესახებ, თუ ვინ ფლობს ცას, ხანდახან პრაგმატისტების დაცინვის საგანიც ხდებოდა, რადგან მათი აზრით, არსებობდა საკუთრების სფეროსთან დაკავშირებული „უფრო აქტუალური“, არაერთი საკითხი. თუმცა, საჭაერო სივრცის საკუთრების უფლებების განხილვა აღარ შეიძლება ჩაითვალოს არასერიოზულ აკადემიურ სწავლებად, რადგან ის სავსეა რეალური და პრაქტიკული შედეგებით. დღევანდელ სამყაროში, ნებისმიერ ინდივიდს აქვს მიზეზი და შესაბამისი საფუძველი, იფიქროს, რამდენად შორს ვრცელდება ეს მისი საკუთრების უფლება.

1.1. Ad coelum თეორია

საუკუნეების წინ, ვიდრე კაცობრიობა საფრენი აპარატის შექმნის იდეამდე მიაღწევდა, არსებობდა ლათინური მაქსიმა „*Cujus est solum ejus ad coelum*“, რაც არსებითად გულისხმობდა, რომ „მიწის მესაკუთრის უფლება ვრცელდება ცამდე“ ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „ვისაც აქვს მიწა, ფლობს იმასაც, რაც მის ზემოთ არის.“ სხვა ვერსიების თანახმად კი, „ის, ვინც ფლობს მიწას, ფლობს ყველაფერს მის ზემოთ და ქვემოთ (ზეციდან ჯოჯოხეთამდე)“⁶⁵ და „ის, ვინც ფლობს მიწას, ფლობს ცას.“⁶⁶ ისტორიული განვითარებისა თუ მაქსიმას განხილვისას, უნდა გავითვალისწინოთ, რომ „მაქსიმები არ არის კანონი“ და არ ენიჭება იგივე ეფექტი, რაც ენიჭება სამართლებრივ წესებს იმ შემთხვევებში, როდესაც მათი გამოყენება არაგონივრულია. „მაქსიმა არის სიგნალი, რომელიც ორიენტირებაში ეხმარება მოგზაურს, მაგრამ არ განსაზღვრავს მისი დანიშნულების ადგილს.“⁶⁷ სიტყვასიტყვით თარგმნილ შემოაღნიშნულ მაქსიმას მივყავართ აშკარა აბსურდულობამდე – პრეტენზია კერძო ექსკლუზიური საკუთრების შესახებ (დომინიუმი) მიწის ზემოთ სივრცეში, უსასრულობამდე. მაგრამ ამ მაქსიმას აქვს შეზღუდვები და ეს შეზღუდვები დროდადრო იჩენდა თავს სასამართლო პრეცედენტებში. მიწათმფლობელებსა და საჭაერო ხომალდებს შორის უფლებების კონფლიქტის ადეკვატურად შესასწავლად და ამ მაქსიმის მნიშვნელობის

გასაგებად, აუცილებელია ამ უკანასკნელის წარმოშობის წყაროებისა და შემდეგ მისი ისტორიული განვითარების მიკვლევა.

რომის სამართლებრივმა სისტემამ როგორც ჩანს, იცოდა მხოლოდ საკუთრების სრული და აბსოლუტური უფლება. რომის სამართალი არსებითად პრაქტიკული იყო და არასოდეს განიხილავდა მიწას მხოლოდ, როგორც ბრტყელ ზედაპირს, რომელიც მთლიანად განცალკევებულია მის ზემოთ არსებული სივრცისგან. რომის სამართალი იცავდა მიწის მესაკუთრის აუცილებელ უფლებებს მისი მიწის ზემოთ სივრცით საკუთრებისა და სარგებლობის შესახებ, მიუხედავად იმისა, ათვისებული იყო თუ არა იგი შენობებით ან სხვა ნაგებობებით ან თუ გამოიყენებოდა მიწა სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის, რაც გულისხმობდა (თუმცა, არ მიუთითებდა), რომ ამ სივრცისადმი არსებული უფლებები წარმოადგენდა „დომინიუმს.“ მაგრამ სივრცის სიმაღლე, რომელზედაც ეს უფლებები ვრცელდება, არასოდეს ყოფილა განსაზღვრული. რომის სამართლის კლასიკური „დომინიუმი“ გულისხმობდა ყველაფრის სრულ და თავისუფალ გამოყენებას, მიწის ზემოთ ჰაერში ჩარევის თავისუფლებას.⁸ რომის სამართალი არეგულირებდა საჰაერო სივრცის ინტერესებს საზოგადოებრივ მიწებზე, არა-კომერციულ მიწებზე (რელიგიური საკუთრება და სამარხები) და კერძო მიწებზე. უილიამ ბაკლენდი თვლიდა, რომ თუ რომაელებს თანამედროვე პრობლემების წინაშე დავაყენებდით, ისინი ალბათ ჩათვლიდნენ, რომ არ არსებობდა საკუთრების ზედა ზღვარი და რომ შენობებისა და ხეების სიმაღლის განსაზღვრა დიდ ზიანს ვერ მიაყენებდა საკუთრების საჯარო ინტერესს.⁹ მიწის ზემოთ საჰაერო სივრცეს, რომელიც არ ექვემდებარება კერძო საკუთრებას, როგორიცაა საჯარო და რელიგიური მიწები, გააჩნდა იგივე სამართლებრივი სტატუსი, როგორიც ჰქონდა ზედაპირს და რომ სახელმწიფო ახორციელებდა კონტროლს ასეთ საჰაერო სივრცეში ნებისმიერი ხელყოფის თავიდან ასაცილებლად. კერძო მიწებს ზემოთ საჰაერო სივრცე ან იყო მიწის მესაკუთრის ექსკლუზიური საკუთრება განუსაზღვრელ სიმაღლემდე, ექვემდებარებოდა სამშენებლო შეზღუდვებს ან სახელმწიფოს მიერ დაწესებულ სხვა შეზღუდვებს, ან მასზე მიწის მესაკუთრის მიერ დაკავების ან გამოყენების ექსკლუზიური უფლება იყო მინიჭებული.¹⁰

საჰაერო ნაოსნობის გაჩენა ახალ მნიშვნელობას ანიჭებს მაქსიმას და აღვიძებს ინტერესს მისი წარმოშობისა და მასშტაბის მიმართ. მაქსიმას პრინციპების ხელახალი შემოწმება და დაბუსტება მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც ავიაცია გახდა ფაქტი და მოცემულობა, როგორც ახალი სატრანსპორტო ინსტრუმენტი. როდესაც მიწის მესაკუთრეებმა, რომელთა მიწაზეც საჰაერო ხომალდები დაფრინავდნენ კომერციული გადაყვანა-გადაზიდვებით, წა-

მოაყენეს ბრალდებები ავიაკომპანიების წინააღმდეგ და ამ უძველესი მაქსიმას გარკვეული კონსტრუქცია ან ინტერპრეტაცია გახდა საჭირო. თითქმის ყველა მკვლევარმა, ვინც ოდნავ მაინც შეეხო ავიაციის საკითხს, უკუაგდო ლათინური ფრაზის პირდაპირი მნიშვნელობით გამოყენება. ჰენრი ჰოჩისი თვლის, რომ მაქსიმა, რომელიც დიდი ხნის წინ შეიქმნა, არც მორალურად და არც სამართლებრივად არ უნდა აკონტროლებდეს ავიაციას, რომელიც უცნობი და მოაზრებულიც კი არ იყო მისი შემუშავების დროს.¹¹

ნათელია, რომ „*Cujus est solum*“ დოქტრინის მკაცრმა გამოყენებამ შეიძლება მიგვიყვანოს მხოლოდ იმ დასკვნამდე, რომ ყოველი ფრენა, ფრენის სიმაღლისა თუ მიყენებული ზიანის მიუხედავად, არის დარღვევა. პირველი საავიაციო შემთხვევა, რომელიც ეხება საკუთრებით საჰაერო სივრცეში შეჭრას, არის ჯონსონი კუტრისის¹² წინააღმდეგ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელე ცდილობდა მაქსიმას გამოყენებით დაემტკიცებინა, რომ საჰაერო ხომალდის ფრენა მისი მიწის ზემოთ, რაოდენ მაღალიც არ უნდა იყოს სიმაღლე, წარმოადგენდა დარღვევას. სასამართლომ უარყო მაქსიმას პირდაპირი გამოყენება და დაადგინა, რომ „ეს წესი, ისევე როგორც კანონის სხვა მრავალი ცნება, არის ზოგადი და არ არის სათავე კანონმდებლობაში, მაგრამ მიღებულია იმ დროს, როდესაც მიწის ზემო მომიჯნავე ჰაერის ნებისმიერი პრაქტიკული გამოყენება არ განიხილებოდა ან შესაძლებლად არ მიიჩნეოდა. ახლა სრულიად განსხვავებული ვითარების წინაშე ვარსებობთ... საჰაერო სივრცე არის ბუნებრივი მემკვიდრეობა, რომელიც საერთოა ყველა ხალხისთვის და მისი გონივრული გამოყენება არ უნდა იყოს შეფერხებული კანონის უძველესი ხელოვნური მახასიათებლით, როგორც მაგალითისთვის, არის ეს მაქსიმა. სასამართლოებს კრიტიკულად არასდროს გაუანალიზებიათ მაქსიმას მნიშვნელობა და დიდი ეჭვი არსებობს, რომ მისი მკაცრი და ფრთხილი თარგმანი დატოვებს და შემოგვთავაზებს მას იმდენად ფართო მნიშვნელობით, რომ იგი გავრცელდება საჰაერო სივრცის მაღალ დონეებზეც.“¹³

ამ მიმართულებით წამყვანი პრეცედენტული მაგალითია საქმე, აშშ ქოსბის წინააღმდეგ, რომელშიც აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ საბოლოოდ უარყო საკუთრების უფლების თეორია საჰაერო სივრცეში ყველა სიმაღლეზე. „მართალია, ძველი დოქტრინაა, რომ საერთო სამართლის თანახმად, მიწის საკუთრება ვრცელდება სამყაროს პერიფერიაზე, მაგრამ ამ დოქტრინის ადგილი თანამედროვე სამყაროში არ არის. საჰაერო სივრცე არის მიმოსვლის საჯარო გზატკეცილი... და ასეთი კერძო პრეტენზიების აღიარება საჰაერო სივრცის მიმართ, დაბლოკავს ამ მაგისტრალს, სერიოზულად ჩაერევა მათ კონტროლსა და განვითარებაში საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.“¹⁴ სიტყვასიტყვით თარგმნილი და გამო-

ყენებული, ეს უძველესი პრინციპი, რომელიც შეიქმნა მაშინ, როდესაც ადამიანის ფრენა განიხილებოდა, როგორც ოცნება, მიგვიყვანდა აბსურდულ დასკვნამდე, რომ მიწის მესაკუთრე ფლობს მთელ საჰაერო სივრცეს მისი მიწის ზემოთ. თუმცა, ზემოაღნიშნული შემთხვევებიდან აუცილებლად უნდა დავასკვნათ, რომ „ad coelum“ თეორია არასოდეს ყოფილა ნორმა ავიაციის სფეროში. მართალია, ეს მაქსიმა თეორიულად აძლევს მიწის მესაკუთრეს უფლებას გამოიყენოს თავისი საკუთრება ფრენების ჩარევის გარეშე, რაც აფერხებს მის რეალურ სარგებლობას ხმელეთზე, მაგრამ მას არასოდეს აძლევს აბსოლუტურ უფლებას თავისი მიწის ზემოთ საჰაერო სივრცეში.

1.2. აბსოლუტური საკუთრების თეორია

1920 წლიდან 1926 წლამდე, როდესაც ფრენის კანონიერების საკითხი პირველად განიხილებოდა, გაბატონებული შეხედულება იყო „კომპრომისული სერვიტუტის“ თეორია. ეს თეორია პარალელურია „ad coelum“ თეორიისა, რადგან ის ამტკიცებს, რომ საჰაერო სივრცე ეკუთვნის მიწის მესაკუთრეს შეუზღუდავ სიმაღლეზე. მაგრამ, შემდეგ ის ადგენს, რომ ეს საკუთრება ექვემდებარება საზოგადოებრივ „სერვიტუტს“ საჰაერო ტრანზიტისათვის. საჰაერო ფრენა განიხილება საჰაერო სივრცის პრივილეგირებულ შესვლად ასეთ სიმაღლეზე, საგარაუდოდ, რადგან ეს არ უშლის ხელს მიწის მესაკუთრის უფლებას ისარგებლოს მის საკუთრებაში არსებული მიწით. ამ თეორიას ჰყავდა რამდენიმე დამცველი და ბევრი კრიტიკოსი და იგი უარყოფილი იქნა ამ პრობლემის განმხილველი თითქმის ყველა სასამართლოს მიერ.¹⁵

1.3. ზონალური თეორია

ზონალური თეორია საჰაერო სივრცეს ჰყოფს ორ ზონად – ზედა და ქვედა ზონებად. ეს შეხედულება ამტკიცებს, რომ კერძო საკუთრება არსებობს ქვედა ზონაში სიმაღლეზე, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს კონკრეტული გარემოებების მიხედვით, მაგრამ ამ სიმაღლეზე ზემოთ საჰაერო სივრცე არავის ეკუთვნის (res nullius) და წარმოადგენს საზოგადოების საკუთრებას (res communia). პირველი ნაბიჯი ამ თეორიისკენ გადაიდგა აშშ-ში, კერძოდ, ფედერალური საჰაერო ვაჭრობის 1926 წლის აქტის მე-10 სექციით, რომლის თანახმადაც, „საჰაერო სივრცე, რომელშიც დაშვებული იყო ფრენა,“ ნიშნავდა საჰაერო სივრცეს ფრენის მინიმალურ უსაფრთხო სიმაღლეებზე ზემოთ, რომელიც განსაზღვრული იყო სამოქალაქო აერონავტიკის ორგანოს მიერ და ასეთი საჰაერო სივრცე ექვემდებარებოდა სახელმწიფოთაშორისი და უცხოური საჰაერო ფრენის თავისუფლებას. როგორც ჩანს, ეს ჩანაწერი სცილდება „სერვიტუ-

ტის“ თეორიას. თუ მინიმალური უსაფრთხო სიმაღლის რეგულირება საკუთრების უფლების განმსაზღვრელია, მაშინ იგულისხმება მოქნილი ზონის თეორია ან საერთოდ საკუთრების არარსებობა. ზონის თეორია განიცდის განუსაზღვრელობას, რადგან თითოეულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა განსაზღვროს ეფექტიანი ფლობის ზონები, ფაქტებიდან გამომდინარე. ზედა და ქვედა ფენებს შორის გამყოფი ხაზის რეალური მდებარეობა განუსაზღვრელია და შეიძლება შეიცვალოს მიწის ზედაპირის გამოყენების სპეციფიკიდან გამომდინარე. ეს ფაქტიკი, ფრენის უფლებას გარკვეულწილად, ბუნდოვან მდგომარეობაში აქცევს.

1.4. სხვა პოპულარული თეორიები

საჯარო სერვიტუტის თეორია მხარს უჭერდა იმ აზრს, რომ მესაკუთრე ფაქტობრივად, ფლობს საჯარო სივრცეს თავის საკუთრებაზე მაღლა, მაგრამ ეს ქონება ექვემდებარება საავიაციო მიმოსვლის საჯარო სერვიტუტს. ეს თეორია არის „ad coelum“ წესის ორი მოდიფიკაციიდან ერთ-ერთი. ის, რომ მესაკუთრე რეალურად ფლობს თავის საკუთრებაზე მაღლა მდებარე მთელ საჯარო სივრცეს, აღიარებულია, მაგრამ თვითმფრინავს სამართლიანად აქვს უფლება (სერვიტუტი), რომ გადალახოს ეს საკუთრება. საკუთრების თავზე ფრენა დარღვევად შესაძლებელია მხოლოდ სერვიტუტის არასწორად გამოყენების შემთხვევაში იქნას განხილული.

საჯარო სერვიტუტის თეორიის მსგავსად, ეს დელიქტური თეორია ასევე, არის „ad coelum“ წესის მოდიფიკაცია. მიწის მესაკუთრე კიდევ ერთხელ აღიარებულია მისი საკუთრების ზემოთ არსებული ყველა საჯარო სივრცის მფლობელად. როდესაც საჯარო ხომალდი მიფრინავს მესაკუთრის ქონების თავზე, სახეზე გვაქვს დარღვევა, მაგრამ ეს დარღვევა პრივილეგირებულია. პრივილეგია მოქმედებს, როგორც დაცვის მექანიზმი მესაკუთრის მიერ წამოყენებული დარღვევის პრეტენზიაზე. ქონების მესაკუთრე გაიმარჯვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღმოჩნდება, რომ პრივილეგია იქნა ბოროტად გამოყენებული ან უფლება იქნა გადაჭარბებული. ეს დელიქტური მიდგომა განსხვავდება ზემოთ ჩამოთვლილი ქონების მიდგომისგან მხოლოდ თეორიულ ასპექტში. კერძოდ, ორივე მიდგომის თანახმად, საჯარო ხომალდს შეუძლია თავისუფლად გადალახოს საჯარო სივრცე, ვიდრე არ არის დარღვეული პრივილეგიის ან სერვიტუტის ფარგლები.

ფიქსირებული სიმაღლის თეორიისათვის საკუთრება არის „ზონის“ კონცეფციის ორი ვარიანტიდან პირველი. მიწის მესაკუთრის საკუთრების უფლება საჯარო სივრცეზე მკაცრად არის განსაზღვრული ჰორიზონტალური საზღვრით, რომელიც ჰყოფს საჯარო სივრცეს საკუთ-

რებრივ ზონებად. ყველა საჰაერო სივრცე საზღვრის ზემოთ, მიწის დონიდან ფიქსირებულ სიმაღლეზე, არის საზოგადოებრივი ან საჯარო საკუთრება. საზღვრის ქვემოთ არსებული ყველა საჰაერო სივრცე მიწის მესაკუთრის საკუთრებაა. ამ თეორიის მიხედვით, გადაფრენის შემთხვევები საკმაოდ მარტივი გასაანალიზებელი ხდება. თუ საჰაერო ხომალდი გაფრინდა საზღვრის ზემოთ, მიწის მესაკუთრეს სამართლებრივი ქმედების მიზეზი და საფუძველი არ გააჩნია, ხოლო თუ იგი გაფრინდა საზღვრის ქვემოთ, მოხდა ქმედითი დარღვევა. ეს საზღვარი როგორც წესი, ამ თეორიის მომხრეების მიერ განსაზღვრულია, როგორც განსაზღვრული სიმაღლეები, როგორც „საფრენი საჰაერო სივრცე.“¹⁶

შესაძლო ეფექტიანი ფლობის თეორიის თანახმად, მიწის მესაკუთრის საჰაერო სივრცის საკუთრების უფლება შემოიფარგლება ეფექტიანი ფლობის ფიქსირებული სიმაღლით. ეს სიმაღლე დამოკიდებულია მიწის ბუნებაზე და მის შესაძლო გამოყენებაზე. მაგალითად, სიმაღლის ეს ზღვარი არ დაუშვებს Empire State Building-ის აშენებას თხილის პლანტაციის შუაგულში. „ზონის“ კონცეფციიდან ეს გადახვევა აიძულებს სასამართლოს განსაზღვროს, თუ სად არის საკუთრების უფლების ზღვარი თითოეულ შემთხვევაში. როგორც კი ეს მოხდება, აღნიშნული თეორია ფიქსირებული სიმაღლის თეორიის იდენტური ხდება. მიწის მესაკუთრის შესაძლო ეფექტიანი ფლობის ზემოთ არსებული ყველა საჰაერო სივრცე არის საჯარო ან საზოგადოებრივი საკუთრება, რომელზეც მფლობელს არ შეუძლია მოითხოვოს კანონიერი უფლება.¹⁷

ფრენის თავისუფლების პროპაგანდის გამტარებელი „არა საკუთრების“ ე. წ. ჰინმანის თეორია,¹⁸ უზრუნველყოფს მიწის მესაკუთრის უფლებებს მხოლოდ იმ საჰაერო სივრცეზე, რომელიც რეალურად არის დაკავებული მიწის მესაკუთრის მიერ. ამ თეორიის თანახმად, გადაფრენა კომპენსირებადია მხოლოდ მაშინ, როდესაც სახეზეა ქონების რეალური ფიზიკური დაზიანება, ფრენის სიმაღლის მიუხედავად.

1.5. პრობლემის გადაჭრისკენ მიმართული პირველი პრეცედენტული ნაბიჯები

მიუხედავად იმისა, გავამახვილებთ თუ არა იმ ფაქტზე ყურადღებას, რომ პირველი აქტუალობა ამ თემის საკვლევმა საკითხმა მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში შეიძინა, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საერთაშორისო საჰაერო სამართლის მარეგულირებელი დოკუმენტი თითქმის არ არსებობდა, დღესაც კი, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საკითხთან დაკავშირებულ პრეცედენტულ სამართალს. მსგავსი შემთხვევების გაცნობა მიგვიყვანს

დასკვნამდე, რომ საკუთრებისა და ფრენის უფლების კოლიზია უნდა გადაწყდეს სუბიექტური და ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით. ამიტომაც, არ უნდა გაგვიკვირდეს ის მოცემულობა, რომ საქმის განმხილველი სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილება და განვითარებული მსჯელობა ერთმანეთისგან განსხვავდება, რაც საქმის განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებებით არის ნაკარნახევი.

ქოსბიმდე¹⁹ და მის შემდეგ

1942 წელს, ჩრდილოეთ კაროლინაში, გრინსბოროს მახლობლად, უმოქმედო მუნიციპალური აეროპორტი იჯარით გადაეცა აშშ-ის ფედერალურ მთავრობას და მალე სხვადასხვა მსხვილმა სამხედრო ხომალდებმა დაიწყეს აღნიშნული აეროპორტით სარგებლობა. მოვლენების მსგავსმა განვითარებამ დიდად შეაწუხა ქოსების ოჯახი, რომლებსაც ჰქონდათ სახლი და ქათმების ფერმა ასაფრენი ბილიკის ბოლოდან 800 იარდის დაშორებით. ქოსბის საკუთრებაში არსებული მიწის თავზე, დიდი, ოთხმოტორიანი ბომბდამშენები ხშირად გადადიოდნენ ხეების სიმაღლის დონეზე. იმის გამო, რომ ოჯახის ქათმების ბიზნესი ფაქტობრივად განადგურდა და ღამით განხორციელებული ოპერაციებიდან გამომდინარე, სიკაშკაშემ და ხმაურმა ოჯახს ძილი დაურღვია, ქოსბი იძულებული გახდა შეეტანა სარჩელი შეერთებული შტატების მთავრობის წინააღმდეგ. საჩივრების განმხილველმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა დარღვევას, რომლისთვისაც ქოსბის უფლება ჰქონდა მოეთხოვა კომპენსაცია. შემდეგ სასამართლომ დაასკვნა, რომ 2 000 აშშ დოლარის ღირებულების სერვიტუტი იყო „აღებული“, მაგრამ ვერ დაადგინა სერვიტუტის სპეციფიკა ან მისი ხანგრძლივობა. ხაზი გაესვა რა, წარმოდგენილი საკითხის მნიშვნელობას, უზენაესმა სასამართლომ დაადგინა საკუთარი იურისდიქცია, რათა დაედგინა, იყო თუ არა ქოსბის საკუთრება მეხუთე მუხლის²⁰ დაცვის ქვეშ. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, ქვეყნის უმაღლესი სასამართლო განიხილავდა იმ საკითხს, რომელმაც წლების განმავლობაში რიგი განსხვავებული შედეგი გამოიღო საქმეებში, სადაც თითქოსდა მსგავსი ფაქტობრივი გარემოებები ფიგურირებდა. რეალურად, უზენაეს სასამართლოს ჰქონდა რამდენიმე თეორია და ამღვრეული საჯარო პოლიტიკის ძირითადი მოსაზრებები ასარჩევად. როგორც უზენაესი სასამართლოს ყველა გადაწყვეტილების შემთხვევაში, სრულიად საპირისპირო შეხედულებების მქონე ფრენის თავისუფლების მომხრეები და მიწის მესაკუთრეები დიდი ინტერესით ელოდნენ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას ქოსბის საქმეზე.

როგორც ზემოთ უკვე ერთხელ ვახსენეთ, სასამართლოს გადაწყვეტილება საჯაროდ მოსამართლე დუგლასმა გამოაცხადა. საქმის ფაქტებისა და შეერთებული შტატების მთავრობის

არგუმენტების მოკლე მიმოხილვის შემდეგ, მოსამართლე დუგლასმა სწრაფად უარყო „ad coelum“ დოქტრინა, როგორც ავიაციის გადაფრენის შემთხვევებთან შეუსაბამო თეორია. თუმცა, სასამართლომ ასევე, უარყო მოსაზრება, რომ მიწის მესაკუთრეს არ გააჩნდა ქონებრივი ინტერესი მისი საკუთრების თავზე მდებარე საჰაერო სივრცეზე. ამრიგად, მოსაზრების პირველი რამდენიმე გვერდის ფარგლებში, როგორც „ad coelum“ თეორია, ასევე „არა საკუთრების“ თეორია განდევნილი იქნა საჰაერო სივრცის საკუთრების უფლებებზე დებატებიდან. სასამართლო შუა, „ოქროს“, გზაზე მიდიოდა. შემდეგ მოსამართლე დუგლასმა გაასაჯაროვა ტექსტი, რომელიც გამოიყენებოდა იმის დასადგენად, გვექონდა თუ არა სახეზე დარღვევა. სასამართლომ დაასკვნა, რომ ქონების მფლობელი ფლობდა „ზედამიმდებარე“ საჰაერო სივრცეს მისი საკუთრების ზემოთ და ამ საჰაერო სივრცეში შეჭრა უნდა განიხილებოდა, როგორც ფაქტობრივი შეჭრა ზედაპირზე. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ უარი თქვა ამ „ზედამიმდებარე“ საჰაერო სივრცის ზუსტი საზღვრების დადგენაზე, მან განაცხადა, რომ დარღვევა არ იქნებოდა სახეზე, თუ გადაფრენები არ იქნებოდა „ისე დაბალი და ისეთი ხშირი, რომ პირდაპირი და მყისიერი ჩარევა არ მოხდებოდა ხმელეთის სარგებლობასა და გამოყენებაში.“²¹ სასამართლოს მოსაზრებების ადრინდელი განცხადებებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მიწის სარგებლობასა და გამოყენებაში ჩარევა ხდება მაშინ, როდესაც ქონების ღირებულება რეალურად მცირდება გადაფრენების გამო. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ აღიარა, რომ „საკუთრების“ განმარტება ჩვეულებრივ მიიღება ადგილობრივ კანონმდებლობაზე მითითებით, სასამართლომ, როგორც ჩანს, განიხილა საკუთარი მოსაზრება, რომელიც განსაზღვრავს საჰაერო სივრცის საკუთრებას დამოუკიდებლად სახელმწიფო განსაზღვრებისგან. უფრო მეტიც, ერთი რამ არის გარკვეული, სასამართლომ ნამდვილად დაასკვნა, რომ საჰაერო სივრცე არის საკუთრების შემადგენელი ნაწილი.²²

ივან ვაზოვის ცნობილი ფრაზის²³ მსგავსად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უზენაესმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში ალბათ, უფრო მნიშვნელოვანი რამ არ ახსენა, ვიდრე რამე თქვა. სასამართლო, როგორც ჩანს, არ ითვალისწინებდა ზემოთ ახსნილი საჰაერო სივრცის თეორიებიდან არცერთს. „ad coelum“ თეორია და „არა საკუთრების“ თეორია, რა თქმა უნდა, უარყოფილი იყო, მაგრამ საქმის ყურადღებით წაკითხვა საჭირო დარჩენილი თეორიების ბედის დასადგენად. როგორც ჩანს, სასამართლომ არ გამორიცხა „საჯარო სერვიტუტის“ ან „პრივილეგირებული ხელყოფის“ თეორიები, რადგან ჩრდილოეთ კაროლინა, როგორც ტერიტორიული ერთეული, მიჰყვებოდა და იზიარებდა ამ თეორიებს და სასამართლომ მიიჩნია, რომ ისინი საქმის მსგავს გადაწყვეტილებასთან შესაბამისობაშია. თუმცა, სასამართლო არ მიუთითებს რა, წინასწარ არსებული პრივილეგიის ან სერვიტუტის ბოროტად გამოყენებაზე, ამ

თეორიებს მცირე მნიშვნელობას ანიჭებს საჰაერო სივრცის, როგორც საკუთრების განხილვის პროცესში. როგორც ჩანს, სასამართლომ მიიღო „შესაძლო ეფექტიანი ფლობის“ თეორია, როგორც აბსოლუტური მინიმალური დაცვა, რომლის უფლებაც ჰქონდა მიწის მესაკუთრეს. გარდა ამისა, სასამართლომ უარი თქვა იმის დადგენაზე, თუ კონკრეტულად სად მთავრდებოდა მიწის მესაკუთრის საკუთრების უფლებები ნებისმიერი საჰაერო სივრცის მიღმა, რაც საჭირო იყო მიწის გამოყენებისა და სარგებლობის უზრუნველსაყოფად.

ასევე, სასამართლომ განიხილა „ფიქსირებული სიმაღლის“ კონცეფცია. სწორედ ამ საჰაერო სივრცის საკუთრების თეორიასთან მიმართებაშია, რომ ქოსბის შემდგომი გადაწყვეტილებები უმეტესწილად, სრულიად არასწორად აანალიზებს უზენაესი სასამართლოს მოსაზრებას.

კერძოდ, ქოსბის საქმეზე გადაწყვეტილების მიღების დროს, საჰაერო ნაოსნობისთვის ნებადართული სივრცე განისაზღვრებოდა, როგორც „საჰაერო სივრცე ფრენის მინიმალური უსაფრთხო სიმაღლეზე, რომელიც დადგენილი იყო სამოქალაქო აერონავტიკის ორგანოს მიერ.“ ორგანომ მართალია განსაზღვრა მინიმალური უსაფრთხო სიმაღლეები მარშრუტზე ფრენისთვის, მაგრამ უგულებელყო მინიმალური უსაფრთხოების განსაზღვრა აფრენისა და დაფრენის სიმაღლეებისათვის. მას შემდეგ, რაც ფრენები ქოსბის საკუთრების თავზე განხორციელდა მაშინ, როდესაც საჰაერო ხომალდები ეშვებოდნენ მარშრუტზე მინიმალური უსაფრთხო სიმაღლეზე ბევრად ქვემოთ, სასამართლოსთვის ცხადი იყო, რომ ხომალდები არ იმყოფებოდნენ ნაოსნობისთვის განკუთვნილ საჰაერო სივრცეში. თუმცა, ამით არ დასრულებულა სასამართლოს გამოძიება „ფიქსირებული სიმაღლის“ თეორიის შესახებ. სასამართლომ განაცხადა, რომ თუ დაბალი სიმაღლეები, რომლებიც გამოიყენებოდა ქოსბის საკუთრებაზე გადაფრენის დროს, სამოქალაქო აერონავტიკის ორგანოს მიერ დანიშნულ მინიმალურ უსაფრთხო სიმაღლეებად იქნებოდა განსაზღვრული, მაშინ სასამართლო განიხილავდა ამგვარი რეგულაციის ვალიდურობას. სასამართლოს თანახმად, შეერთებულმა შტატებმა კი აღიარა, რომ თუ ფრენები იმდენად ახლოს იქნებოდა ხმელეთთან, რომ იგი საცხოვრებლად გამოუსადეგარი გახდებოდა, მაშინაც კი, თუ ფრენის სიმაღლეები ფრენის „მინიმალური უსაფრთხო სიმაღლის“ დონეზე იქნებოდა, სახეზე გვექნებოდა დარღვევა.

მიუხედავად ამისა, შემდგომი გადაწყვეტილებები²⁴ კვლავ აგრძელებდნენ ქოსბის ციტირებას იმ მიზნებისთვის, რომ დაემტკიცებინათ ხომალდები საჰაერო სივრცეში, როგორც ეს განსაზღვრულია ფედერალური საავიაციო ორგანოს მიერ დადგენილი მინიმალური უსაფრთხო სიმაღლით, არ არღვევს მიწის მესაკუთრეთა რაიმე საკუთრების უფლებას. მიუხედავად იმისა,

რომ შეიძლება ითქვას, რომ უზენაესმა სასამართლომ არ გამოიყენა ეს მტკიცება, საქმე რა თქმა უნდა, არ არის დაფუძნებული ამ მოსაზრებაზე.²⁵

როგორც ჩანს, ქოსბის საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში უზენაეს სასამართლოს განზრახული ჰქონდა დაეცვა ის მინიმალური უფლებები, რომლებიც უნდა მიეღო მიწის მესაკუთრეს. უპირველეს ყოვლისა, მიწის მესაკუთრეს ხელი არ უნდა შეეშალოს თავისი მიწით სარგებლობაში და გამოყენებაში. გარდა ამისა, მიწის მესაკუთრეს აქვს უპირველესი უფლება, გამოიყენოს საკუთრების პრეროგატივები მთელ დაუკავებელ საჰაერო სივრცეზე, რომლის ფლობაც მას შეუძლია. ამ საჰაერო სივრცის ნებისმიერი უწყვეტი და არასასურველი გამოყენება წარმოქმნის ქონებრივი ინტერესის კომპენსირებად დარღვევას.²⁶

2. საჰაერო სივრცის საკუთრებისა და ფრენის უფლებების პრობლემების მოწესრიგება თანამედროვე საერთაშორისო და ქართულ სამართალში

იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენს მიერ განხილული პრობლემა არც ახალია და თან ახლავს თანმდევი, მრავალრიცხოვანი სასამართლო პრაქტიკა, ბუნებრივია, უნდა არსებობდეს სამართლებრივი რეგულირება, რომელიც ნათელს მოჰფენდა ამ თითქოსდა სუბიექტურ შეფასებებზე დამყარებულ სფეროს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, ყურადღება დაეთმოს საერთაშორისო საზოგადოებაში არსებულ შესასრულებლად სავალდებულო რეგულაციებსა და ასევე, შესაბამის „რბილ სამართალს“, ხოლო შემდგომ, მათ ასახვას ქართულ კანონმდებლობაში.

2.1. საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება

ვიდრე ქართულ კანონმდებლობას მიმოვიხილავთ, მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ პრობლემის გადაჭრის საერთაშორისო სამართლებრივ ან უცხო სახელმწიფოთა მიერ მოწესრიგების კარგ პრაქტიკაზე. მსგავსი ქმედება დაგვეხმარება განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომ კარგად გავანალიზოთ, ქართული კანონმდებლობის შესაბამისად,²⁷ საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები.

მიწის ან წყლის თავზე არსებული საჰაერო სივრცე განკუთვნილია საჰაერო ხომალდების მთლიანი ან ნაწილობრივი მიმოსვლის ან გადაადგილებისათვის. აეროდრომის მსგავს განმარტებას გვთავაზობს სამოქალაქო ავიაციის შესახებ ჩიკაგოს კონვენციის მე-14 დანართი.²⁸

თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ აეროდრომი არის აეროპორტის შემადგენელი ნაწილი და შინაარსობრივად აეროპორტის ტექნიკურ ნაწილს მოიცავს. შესაბამისად, იქნება თუ არა აეროპორტი საერთაშორისო, ამ ფაქტზე გავლენას ვერ მოახდენს აეროდრომი, რადგან მარტივად რომ ვთქვათ, იგი ასრულებს აეროპორტის ძირითადი შემადგენელი ელემენტის ფუნქციას. იმისათვის, რომ აეროპორტს მიენიჭოს საერთაშორისო სტატუსი, აუცილებელია გათვალისწინებული იქნას გარემოება იმასთან დაკავშირებით, თუ რა სახის მომსახურებას ახორციელებს კონკრეტული აეროპორტი. კერძოდ, აუცილებელია, რომ იგი ემსახურობდეს საერთაშორისო ფრენებს. მსგავს დასკვნამდე მისვლა არ არის განპირობებული რომელიმე საერთაშორისოსამართლებრივ დოკუმენტში მოცემული ჩანაწერით, არამედ ნაკარნახევია იმ სახელმწიფოების პრაქტიკით, რომელთაც საერთაშორისო საჰაერო სამართალი აძლევს საშუალებას თავად განსაზღვრონ მათი იურისდიქციის ქვეშ არსებული აეროპორტების სამართლებრივი სტატუსი.²⁹

მხოლოდ ამ ერთ ელემენტზე დაყრდნობით საერთაშორისო აეროპორტის სტატუსის განსაზღვრა კომპლექსური საკითხია. მართალია, საერთაშორისო აეროპორტი უნდა ახორციელებდეს საერთაშორისო ფრენების განმახორციელებელი საჰაერო ხომალდების მიღებას, თუმცა, ამასთან საჭიროა, მას ჰქონდეს აღნიშნული მოვალეობის შესრულებისთვის აუცილებელი ისეთი პუნქტები, როგორებიცაა აეროდრომი, სამგზავრო ტერმინალი, სასაზღვრო, საბაჟო და საკარანტინო შემოწმების პუნქტები.

საერთაშორისო აეროპორტების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა და მათი ზედამხედველობა, როგორც წესი, შიდასახელმწიფოებრივი სამართლის განსაკუთრებული ნორმებით რეგულირდება. ამის მარტივ მაგალითად შეიძლება მოვიხმოთ საქართველოს კონსტიტუციაც, რომელიც ავიაციას მიაკუთვნებს საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებული გამგებლობის სფეროს. სახელმწიფოთა პრაქტიკას თუ შევხედავთ, ვნახავთ, რომ აეროპორტების კონტროლი და მართვა სრულდება ცენტრალური ან რეგიონული წარმომადგენლობის მიერ ან ზოგიერთ შემთხვევაში, აღნიშნული უფლებამოსილება სახელმწიფო ერთეულებს შორის არის გადანაწილებული. მაგალითად, აშშ-ში საერთაშორისო აეროპორტები წარმოადგენენ მუნიციპალიტეტის საკუთრებას თუმცა, აეროპორტის მართვა და კონტროლი სრულდება შესაბამისი კომპეტენციის მქონე სახელმწიფო უწყებების მიერ.

მსგავსი მიდგომა კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ავიაციის სფეროში, საერთაშორისოსამართლებრივი მექანიზმები შეიძლება მივიჩნიოთ რეგულირებისკენ მიმართული ზოგადი

წესის განმსაზღვრელ ინსტიტუტებად, ხოლო პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა, უშუალოდ სახელმწიფოს კომპეტენციას მიეკუთვნება.

ჩიკაგოს კონვენცია

მიუხედავად იმისა, რომ საკუთრებისა და ფრენის უფლებების კოლიზიის საკითხი რეგულირებით ნაკლებად დატვირთულია, საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ 1944 წლის ჩიკაგოს კონვენცია ითვალისწინებს ზოგადი ხასიათის ჩანაწერებს, რომელიც მიზნად ისახავს უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტების დაწესებას. აღნიშნული მიმართულებით საერთაშორისოსამართლებრივი დოკუმენტის მიდგომა ნათელია: უსაფრთხოებისა თუ საჰაერო ხომალდის ოპერირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სტანდარტის შემოღების მანდატი გადაცემულია ხელშემკვრელი სახელმწიფოსათვის. მაგალითისთვის, ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს ეძლევა საშუალება, სამხედრო ან უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, აკრძალოს თავიანთ საჰაერო სივრცის გარკვეულ ნაწილებში უცხო სახელმწიფოს საჰაერო ხომალდების ფრენა.³⁰

თუმცა, აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ჩიკაგოს კონვენციის შემუშავების პროცესის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი მოტივი იყო სამოქალაქო ავიაციის სფეროში ერთიანი მიდგომის დანერგვა. აღნიშნული სულისკვეთების მარტივად ამოცნობა შეიძლება კონვენციის მე-12 მუხლში, რომელიც მართალია, თითოეულ სახელმწიფოს აძლევს უფლებას დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარ იურისდიქციას დაქვემდებარებულ სივრცეში მოქმედი ფრენის წესები თუმცა, ამავდროულად აწესებს ვალდებულებას, რომ აღნიშნული წესები მაქსიმალურად ემსახურებოდეს ერთმანეთთან მიახლოებული ან ერთგვაროვანი პრაქტიკის დაწესებას.³¹

მიუხედავად იმისა, რომ კონვენციაში არა გვაქვს პირდაპირი ჩანაწერი, საგულისხმოა, რომ მის მეორე თავში მოცემული თითოეული დანაწესი სამოქალაქო ავიაციის სფეროში უსაფრთხო და ერთგვაროვანი წესების მიღების მიზნებისათვის ზოგადი, პრინციპის დონეზე დანაწესის შექმნას ისახავს მიზნად.

გემოხსენებული გარემოებების თვალთახედვაში მიღების გარეშეც კი, ჩიკაგოს კონვენციის განსაკუთრებული მნიშვნელობა ნათელია მის მიერ სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნიდანაც.³² კონვენცია განსაზღვრავს რა, ორგანიზაციის მიზნებს, ასეთად

ითვალისწინებს საერთაშორისო ნაოსნობის პრინციპებისა და მეთოდების შემუშავებას, სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხო და მოწესრიგებულ განვითარებას.³³

ამერიკული მაგალითი: მოდელური ზონირება

აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიებზე მიწის დამუშავებამ შეიძლება ხელი შეუშალოს აეროპორტის მუშაობას. იმისათვის, რომ დაეხმაროს საზოგადოებას, რომელსაც სურს შეზღუდოს შენობის სიმაღლე და გამოიყენოს აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, აშშ-ში, FAA-მ გამოაქვეყნა საკონსულტაციო ცირკულარი 150/5190-4A, მოდელური ზონირების განკარგულება აეროპორტების გარშემო ობიექტების სიმაღლის შეზღუდვისთვის. საკონსულტაციო ცირკულარში ნათქვამია, რომ საავიაციო უსაფრთხოება მოითხოვს მინიმალურ სუფთა სივრცეს (ან ბუფერს) მოქმედ საჰაერო ხომალდსა და სხვა ობიექტებს შორის. როდესაც ეს სხვა ობიექტები სტრუქტურებია (როგორიცაა შენობები), ბუფერის მიღწევა შესაძლებელია საჰაერო ხომალდის ოპერაციების შეზღუდვით, ამ ობიექტების მდებარეობისა და სიმაღლის შეზღუდვით ან ამ ფაქტორების კომბინაციით. ზონირების მიზანი აეროპორტების სიახლოვეს არსებული ობიექტების სიმაღლის შეზღუდვა და მათი აეროპორტის უსაფრთხო და ეფექტიან მუშაობაში ჩარევის თავიდან აცილებაა.

მოდელური ზონირების განკარგულება ადგენს რამდენიმე განსხვავებულ ზონას აეროპორტის გარშემო და თითოეულ ზონაში მოქმედებს სიმაღლის შეზღუდვები. მოდელური ზონირების განკარგულება ასევე, შეიცავს გამოყენების შეზღუდვებს აეროპორტის ზონაში. სიმაღლის მიუხედავად, აეროპორტის ზონაში ხმელეთზე არ შეიძლება განთავსდეს არც ერთი მოწყობილობა ან სტრუქტურა, თუ ის ქმნის ელექტროენერგიას, რომელიც ზემოქმედებს სანაოსნო სიგნალებთან ან რადიოკავშირთან, ურთულებს პილოტებს განასხვავონ აეროპორტის განათება და სხვა წყაროდან მომავალი განათება, არღვევს პილოტის ხილვადობას ან საფრთხეს უქმნის საჰაერო ხომალდის დაშვებას, აფრენას ან მანევრირებას.

მოდელური ზონირების განკარგულება ასევე, შეიცავს პროცედურებს შეუსაბამო გამოყენებასთან დაკავშირებით. შეუსაბამო სტრუქტურა არის ის, რომელიც არ არის ნებადართული ზონირების განკარგულებით, მაგრამ მიუხედავად ამისა, ნებადართულია მისი ადგილზე დარჩენა. არსებობს მრავალი გზა, რომლითაც საკუთრება შეიძლება იყოს „უფლებამოსილი“ არ იქნას დეკონსტრუირებული და გაგრძელდეს მისი „შეუსაბამო გამოყენება.“ მაგალითად,

თუ ქონება კონკრეტული მომენტისათვის სარგებლობაში იყო ზონირების განკარგულების ამოქმედებამდე და ზონირების განკარგულება არ შეიცავს დებულებას, რომელიც განკარგულებას მიანიჭებს უკუქცევით ძალას, დაშვებული იქნება აღნიშნული კონტრუქციის შენარჩუნება ანუ იგი შენარჩუნდება, როგორც საკუთრების შეუსაბამო გამოყენება. იმისდა მიხედვით, თუ როგორ არის დაწერილი ზონირების განკარგულება, ქონების მფლობელებს ასევე, შეიძლება ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიმართონ გამოყენების ცვალებადობას, რათა დაშვებული იქნას შეუსაბამო სტრუქტურა ან მისი გამოყენება პრაქტიკაში. ზონირების მოდელის განკარგულება მოითხოვს მიწის მესაკუთრეებისგან, რომლებსაც აქვთ შეუსაბამო საკუთრება, ნება დართონ აეროპორტის ხელისუფლებას შევიდნენ მათ მიწაზე პოტენციური საფრთხის შესამოწმებლად და განათების ან სხვა შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნების დაყენების მიზნით, რათა გააფრთხილონ პილოტები შეუსაბამო გამოყენების შედეგად შექმნილი პოტენციური საფრთხის შესახებ.

2.2. საკითხის რეგულირება ქართულ სამართალში

საქართველოს საჰაერო კოდექსი აეროდრომს განმარტავს, როგორც მიწის ან წყლის ზედაპირის გარკვეულ ფართობს (მასზე განლაგებული შენობებით, ნაგებობებითა და მოწყობილობებით), რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ განკუთვნილია საჰაერო ხომალდების მიღების, მოძრაობისა და გაშვებისათვის,³⁴ ხოლო ამავე სამართლებრივი დოკუმენტის თანახმად, აეროპორტი ეწოდება საავიაციო საწარმოს, რომელიც ახორციელებს საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვებს, საჰაერო ხომალდების მოძრაობის მომსახურებას და ამ მიზნით აქვს აეროდრომი, აეროვაგზალი, აგრეთვე სხვა მიწისზედა ნაგებობები, მოწყობილობები და ჰყავს მომსახურე პერსონალი.³⁵

ქართული კანონმდებლობა ადგენს რა, მსგავს განმარტებებს, შემდეგ უკვე შეიცავს რეგულირებას საკვლევი თემის საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებზე. მაგალითად, იმისათვის, რომ აეროდრომის ტერიტორიაზე განთავსდეს რაიმე სახის ნაგებობა, საჭიროა ფრენის უსაფრთხოების მიზნების უზრუნველსაყოფად აუცილებელი რამდენიმე გარემოება. პირველი, მსგავსი ნაგებობების მფლობელები ან მესაკუთრეები ვალდებული არიან აეროდრომის მესაკუთრისგან მიიღონ ნებართვა. ამავდროულად, არსებობს სხვა კუმულატიური წინაპირობაც, კერძოდ, მშენებლობასთან თუ სხვა საქმიანობასთან დაკავშირებული საქმიანობა მფლობელის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა განხორციელდეს.³⁶

უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებას ემსახურება შენობა-ნაგებობების მფლობელებისათვის დაკისრებული ვალდებულება – განათავსონ საკუთრებაში არსებულ ქონებაზე სადღეღამისო ნიშნები. ამავდროულად, ეს ნიშნები არ უნდა იწვევდეს აღრევას აეროდრომისა და საფრენი აპარატის ნიშნებს შორის.³⁷

აეროდრომების მესაკუთრეებისათვის უსაფრთხოების ზომების მაქსიმალურად დამკვიდრებაში ხელის შეწყობისაკენ მიანიშნებს საქართველოს საჰაერო კოდექსის ის ჩანაწერიც, რომლის მიხედვითაც, აეროდრომის ტერიტორიის მიმდებარედ შენობა-ნაგებობის მშენებლობის პერიოდში, უსაფრთხოების ზომების დარღვევის შემთხვევაში, მესაკუთრეები ვალდებული არიან, აეროდრომის მესაკუთრის მოთხოვნის შესაბამისად, მოიყვანონ აღნიშნული ნაგებობები დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაში ან უზრუნველყონ აღნიშნული ობიექტების აღება და დეკონსტრუქცია თავისივე ხარჯებით.³⁸

ერთი შეხედვით, ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების სასიკეთოდ მიმართული საკანონმდებლო ჩანაწერები არ ასახავენ საკითხის ეროვნული რეგულირების მთლიან სულისკვეთებას. სხვანაირად ალბათ, წარმოდგენელიც იქნებოდა. როგორც სოციალური სახელმწიფო, საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის საკუთრების უფლებას და მისი მხოლოდ საჯარო ინტერესით, კანონით განსაზღვრული და დადგენილი წესის შესაბამისად, შეზღუდვის გზებს ცნობს.³⁹ სხვა ნორმატიულ აქტებში მსგავსი სულისკვეთების განმეორების ვალდებულება კი, საქართველოს კონსტიტუციის იერარქიული და საერთაშორისო ხელშეკრულებების პრიმატით არის ნაკარნახევი. შესაბამისად, საქართველოში სამოქალაქო ავიაციის მარეგულირებელი მთავარი ნორმატიული აქტი, საქართველოს საჰაერო კოდექსი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს საჰაერო ხომალდების მიერ ნაკლები ხმაურისა და გამონაბოლქვის წარმოქმნის საკითხს და შესაბამის ვალდებულებას აკისრებენ აეროდრომის მფლობელს, მის ექსპლუატანტს და საჰაერო ხომალდის ეკიპაჟს.⁴⁰

გარდა ამისა, დასახლებულ პუნქტებსა და ხომალდის მოქმედების არეალს შორის მანძილის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით, საქართველოს საჰაერო კოდექსი აწესებს ვალდებულებას მფრინავისთვის იფრინოს ისეთ დასაშვებ სიმაღლეზე, რომელიც მისცემს მას დროსა და საშუალებას, ავარიული სიტუაციის შექმნის შემთხვევაში, ხომალდი დაეშვას აღნიშნული დასახლებული პუნქტისგან მოშორებით.⁴¹

ბუნებრივია, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქართული კანონმდებლობა ცნობს ფრენისათვის სახიფათო, შეზღუდულ და აკრძალულ არეებს.

დასკვნა

სამართლის ნებისმიერი სფეროს ან საკითხის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია არსებობდეს ერთიანი მიდგომა, რომელიც სამომავლოდ, ერთგვაროვან პრაქტიკასა და გამოცდილებას მისცემს საერთაშორისო საჰაერო სამართლის ძირითად სუბიექტებს. საერთაშორისო საჯარო სამართლის დედაბრძოლს ალბათ, ამ ლოკომოტივში მდგომარეობს. ეს არის ერთგვარი, იდეალურთან მიახლოებული მოსაზრება, რომელიც შემდგომ განვითარებას საჭიროებს. ხოლო „იდეის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა კი, აუცილებელი წინაპირობაა ყველა წევრი სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირების საქმეში.“⁴²

კაცობრიობის კოსმოსური ეპოქისკენ წინსვლის ფუნდამენტური პრობლემა არის დავა მიწის მესაკუთრეებსა და საჰაერო სივრცეს შორის. სამართალი და კანონი იბრძება მეცნიერების განვითარებასთან და კაცობრიობის პროგრესთან ერთად. მან უნდა წაახალისოს, განავითაროს და ხელი არ შეუშალოს ამ პროგრესს. „კანონი ასახავს ერის განვითარების ისტორიას მრავალი საუკუნის განმავლობაში და მას არ შეიძლება ისე მოექცეთ, თითქოს ის შეიცავდეს მხოლოდ აქსიომებსა და დასკვნებს, როგორც მათემატიკის წიგნი.“⁴³ მართებულია, რომ ახლა, როდესაც საჰაერო ხომალდი არსებობს და გამოიყენება მთელ მსოფლიოში, უნდა არსებობდეს რეგულირების ახალი სფერო, ყველა შესაბამისი სამართლებრივი წესითა და პრინციპით, რომელიც არეგულირებს მიწის მესაკუთრეთა უფლებებს საჰაერო სივრცეში.

არც ერთ სასამართლოს არ დაუდგენია, რომ მიწის მესაკუთრე ფლობს საჰაერო სივრცეს მისი საკუთრების ზემოთ განუსაზღვრელ სიმაღლემდე. მაგრამ, მიწის მესაკუთრეს პრაქტიკაში აქვს თავისი ქონებით ეფექტიანი სარგებლობისა და მისი გამოყენების უფლება. მაშასადამე, ხმელეთის ზემოთ არსებული საჰაერო სივრცე შეიძლება გამოიყენონ საჰაერო ხომალდებმა ჩაურევლად, თუ აღნიშნული ფრენები არსებითად არ შეუშლის ხელს მიწით სარგებლობის პროცესს.

საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის განხილვამ დაგვანახა, რომ საკუთრების, ფრენისა და უსაფრთხოების წესების მარეგულირებელი ნორმების შემუშავების პროცესი

სირთულეებით აღსავსე იყო. რთულია, არ გაუგო საერთაშორისოსამართლებრივი მარეგულირებელი დოკუმენტების სულისკვეთებას. საჭაერო მიმოსვლა იმდენად სპეციფიკური საკითხია და განსხვავდება თითოეული სახელმწიფოს შემთხვევაში, რომ წარმოდგენელია, თუ როგორ შეიძლება ავუქციოთ გვერდი ამ სახელმწიფოებისათვის გარკვეული დისკრეციული უფლებამოსილების გადაცემის პრაქტიკას. რთულია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციამ, თუნდაც სპეციალიზებულმა, შექმნას ფრენის ისეთი წესი, რომელიც ორასამდე სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმოქმედებს ერთგვაროვნად და ერთნაირი წარმატებით. ჰიპოთეტური მსჯელობის ფარგლებში, მაგალითისთვის, საჭაერო სამართალის განსაკუთრებული ბუნებიდან გამომდინარე, საერთაშორისოდ მიღებული რაიმე კონკრეტული წესი შეიძლება სრულად შეუსაბამო იყოს საქართველოში მისაღებ და შესაბამისი ორგანოს მიერ დადგენილ ფრენის უსაფრთხოების წესთან. შესაბამისად, საერთაშორისო საჭაერო სამართალი მაქსიმალურად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას – მიიღოს სამოქმედო პრინციპები, რომლის შესაბამისად იმოქმედებს საქართველოც, რადგან ამის ვალდებულებას აკისრებს კონსტიტუციის მე-4 მუხლი.

თანამედროვე მოცემულობაში, ფრენასთან დაკავშირებულ პოტენციური სარჩელის აუცილებლობისას, მიწის მესაკუთრემ დარწმუნებით უნდა შეაფასოს თავისი საქმის ზოგიერთი ფაქტორი. იმის გამო, რომ ჯერ არ არის აშკარა საბოლოო სტანდარტი და ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოები აღრეული მიდგომით გამოირჩევიან, მიწის მესაკუთრეებს მაინც უნდა აინტერესებდეთ, თუ რა არის მათი საკუთრების უფლებები მათი მიწის ზემოთ არსებულ საჭაერო სივრცეზე. ამ კითხვაზე ნებისმიერმა პასუხმა უნდა დააბალანსოს მიწის მესაკუთრის კონსტიტუციური და ეკონომიკური უფლებები სამოქალაქო ავიაციის ეკონომიკურ და ეროვნულ ინტერესებთან. ერთი რამ, რაც ნამდვილად არის გარკვეული, არის ის ფაქტი, რომ მიწის მესაკუთრეს აქვს საკუთრების ინტერესი საჭაერო სივრცეში. სირთულედ რჩება სიზუსტით იმის აღწერა, თუ რას მოიცავს ეს ქონებრივი ინტერესი. შესაძლოა, თავად საჭაერო სივრცის ბუნება სამუდამოდ გამორიცხავს ზუსტ პასუხს. შესაძლოა, დაბალ სიმაღლეზე საჭაერო სივრცე ყოველთვის იქნება საკუთრების უფლება თეორიით – „არავის მიწა.“

სახელმწიფოებისათვის ფრენის უსაფრთხოების წესების განსაზღვრის, საერთაშორისო აეროპორტების სამართლებრივი რეგულირების დისკრეციული უფლებამოსილების გადაცემა შესაძლებელია ზემოხსენებული არა ერთი ობიექტური მიზეზით იყოს ნაკარნახევი. თუმცა, საკუთრების უფლებებს შორის არსებული დაპირისპირების მოგვარების მიზნებისთვის, აუცილებელია ჩამოყალიბდეს დავის გადაწყვეტის ერთგვაროვანი პრაქტიკა, რომელიც მიწის



მესაკუთრეს არ მისცემდა ზოგადი ხასიათის ინფორმაციას იმის შესახებ თუ რა უფლებები გააჩნია მას თავისი საკუთრების თავზე არსებული საჰაერო სივრცის მიმართ. თითოეული სადავო შემთხვევის უნიკალურობიდან გამომდინარე, თუ მსგავსი ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბება შეუძლებელია სამართლებრივ დოკუმენტებში შესასრულებლად სავალდებულო ნორმების შემოღებით, მაშინ აუცილებელია, გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის შექმნისაკენ და ერთსა და იმავე დასმულ კითხვზე პასუხი მუდმივად მსგავსი იყოს.

შენიშვნები:

- ¹ Hill J. D., Liability for Aircraft Noise-The Aftermath of Causby and Griggs, p. 19 (1964).
- ² Calkins G. N., The Landowner and the Aircraft, journal of air law and commerce, p. 1 (1958).
- ³ იგულისხმება კონკრეტულ „საგანზე“ საკუთრების უფლება;
<https://www.merriam-webster.com/dictionary/res#:~:text=Definition%20of%20res,used%20especially%20in%20legal%20phrases> [28.09.2022].
- ⁴ Paton M., a Text Book of Jurisprudence, p. 207 (3rd edition, 1948).
- ⁵ Manion C. E., Law of the Air – Cases and Materials, Indianapolis, p. 1 (1950).
- ⁶ Zollman C., Law of the Air, Washington, p. 6 (1927).
- ⁷ Moller N. H., The Law of Civil Aviation, p. 136 (1936).
- ⁸ Roby H. J., Roman Private Law in Times of Cicero and the Antonines, p. 498 (1902).
- ⁹ Buckland W.W., The main Institutions of Roman Private Law, Cambridge, p. 103 (1931).
- ¹⁰ Cooper J. C., Roman Law and Maxim „Cujus est solum“ in International Air Law, გვ. 19 (1952).
- ¹¹ Hotchkiss H.G., A Treatise on Aviation Law, p. 33 (1938).
- ¹² Johnson v. Curtiss Northwest Airplane Corp. (1923), Harvard University Press, p. 123-124 (2008).
- ¹³ Abramovitch Y., Property Rights in Airspace, Montreal, p. 38 (1963).
- ¹⁴ U.S. v. Causby, App. 56, 66 Supp. C. 1062, 90 L. Ed. 1206, 328 (US Supreme Court; 1946).
- ¹⁵ Atkinson v. Bernard, App. 355, U.S.Av.R.636 (US Sepreme Court, 1960).
- ¹⁶ Wright R., The Law of Airspace, p. 119-127 (1968).
- ¹⁷ Cahoon C., Low Attitude Airspace: A Property Rights No-Man’s Land, p. 166 (1990).
- ¹⁸ აღნიშნულ თეორიაზე პრეცედენტული მსჯელობა წარიმართა საქმეზე
Hinman v. Pacific Air Transportation, App. 84 F.2d 755 (9th Cir. 1936).
- ¹⁹ იხ.: 15, პარ. 755-756.
- ²⁰ Fifth amendment of the US Bill of Rights.
- ²¹ იხ.: 15, პარ. 266.
- ²² Wright R., The Law of Airspace, p. 155 (1968).
- ²³ იგულისხმება ფრაზა ცნობილი ბულგარელი მწერლის, ივან ვაზოვის ნაწარ-
მოებიდან „დამონებულნი“ – „იქნებ ჯოჯოხეთში არ ვხვდებით იმ ქმედებე-
ბისთვის, რაც გავაკეთეთ, არამედ იმისთვის, რაც არ გავგვიკეთებია.“
- ²⁴ Lacy v. United States, App. 595 F.2d 614, 615 (Ct. Cl. 1979); Hero Lands Co. v.
United States, App. 554 F. Supp. 1262, 1264-65 (Cl. Ct. 1983); Matson v. United
States, App. 171 F. Supp. 283, 285-86 (Ct. Cl. 1959); Stephens v. United States,
App. 11 Cl.Ct. 352, 358-59 (1986); Drybread v. City of St. Louis, App. 634 S.W.2d
519, 520 (Mo. Ct. App. 1962).
- ²⁵ იხ.: 15, გვ. 155.
- ²⁶ Anderson, Some Aspects of Airspace Trespass, p. 348 (1960).
- ²⁷ იგულისხმება საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ,
კერძოდ, მისი მე-7 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ნორმატიული აქტების
იერარქიას. აღნიშნული იერარქია რა თქმა უნდა, თავის მხრივ, შესაბამისო-
ბაშია საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 ნაწილთან, რომელიც
ამბობს, რომ საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო
სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, რომლე-
ბიც თავის მხრივ, არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს კონსტიტუ-
ციასა და კონსტიტუციურ კანონს.
- ²⁸ The Convention on International Civil Aviation, Annex 14, https://www.icao.int/safety/airnavigation/nationalitymarks/annexes_booklet_en.pdf

- ²⁹ გეფერტი დ., საერთაშორისო საჰაერო სამართალი, გვ. 181 (2021).
- ³⁰ კონვენცია საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ, მუხლი 9 (1944).
- ³¹ იქვე, მუხლი 12.
- ³² იქვე, მუხლი 43.
- ³³ იქვე, მუხლი 44.
- ³⁴ საქართველოს კანონი, საქართველოს საჰაერო კოდექსი, მუხლი 1 (1996).
- ³⁵ იგივე.
- ³⁶ იხ.: 58, მუხლი 41.
- ³⁷ იქვე, მუხლი 42.
- ³⁸ იქვე, მუხლი 41(2).
- ³⁹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 21, (1995).
- ⁴⁰ იხ.: 58, მუხლი 47.
- ⁴¹ იქვე, მუხლი 48.
- ⁴² გეფერტი დ., საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების ასპექტები, გვ. 141 (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009).
- ⁴³ Holmes o. Wendell, The Common Law, p. 1 (1981).

AIRSPACE AND RIGHT-OF-FLIGHT PROBLEMS IN THE INTERNATIONAL AIR LAW

DAVIT GEPERIDZE

Doctor of International Law

Professor at Gori State University

SHOTA CHITANAVA

Master of International Law (TSU)

The paper discusses the theories of ownership of airspace and current issues of their development, modern features of the ownership regulation, and flight rights problems, according to Georgian legislation and international law. The content of legal (international-legal) problems is understood based on the opinions of various scientists. Using the method of comparative legal research, among other things, international practice, specific examples and their legal bases, the scope of responsibility and cases of its increase or decrease, and possibilities of limitation or exclusion of responsibility are studied. The abovementioned is analyzed concerning the 1944 Chicago Convention and Georgian legislation.

The paper analyzes legal problems, the issue of correct legal regulation of legal problems, and relevant flexible mechanisms in judicial practice. An important emphasis is placed on the issues of relevant theories of airspace use.

არასრულწლო- ვანთა განრიდების თავისებურებანი

ვლადიმერ წითლაური

საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი

1. სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა აღდგენით მართლმსაჯულებაში

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ადგენს განსხვავებულ მიდგომებს, აწესებს გაცილებით მაღალ სტანდარტებს სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, მართლმსაჯულების სფეროში მოხვედრილ არასრულწლოვანებთან მომუშავე პირების სპეციალიზაციის მიმართულებით.¹

საკითხის განხილვის დასაწყისშივე ჩნდება კითხვა, რატომ არის სპეციალიზაცია ასეთი მნიშვნელოვანი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში? ამ კითხვას უნდა ვუპასუხოთ ფართო გაგებით, არასრულწლოვნის სტატუსის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვინაიდან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მთელი რიგი ინდივიდუალური მიდგომებია საჭირო.² საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცესის სირთულისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება

მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი პირების სპეციალიზაციას.³ სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ის მიმართულებაა, სადაც უამრავი სპეციფიკაა გასათვალისწინებელი.⁴

დავიწყოთ იმით, რომ არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესების (პეკინის წესები) დათქმა,⁵ რომელიც შეეხება არასრულწლოვანთა საქმის განხილვაში მონაწილე პირთა პროფესიონალიზმსა და მომზადების აუცილებლობას და განმარტავს, რომ არასრულწლოვანთა საქმეებით დაკავებულ მთელ კონტინენტს ესაჭიროება აუცილებელი პროფესიული კომპეტენტურობის უზრუნველყოფა და შენარჩუნებისათვის აუცილებელი პროფესიული მომზადება, მუშაობის პროცესში სწავლების, გადამზადების კურსებისა და სწავლების სხვა შესაბამისი სახეების გამოყენება. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ორგანოების პერსონალი შერჩეული უნდა იყოს არასრულწლოვანთა სხვადასხვა კატეგორიის გათვალისწინებით, რომლებსაც აქვთ მართლმსაჯულებასთან კონტაქტი.⁶ ბავშვთა და მოზარდთა განვითარების საკითხებში გამოცდილების მქონე კვალიფიციურ პროფესიონალთა არსებობა სწორედ თითოეული არასრულწლოვანისათვის დამახასიათებელი თავისებურებებისა და საჭიროებების ადეკვატურად შეფასების, აგრეთვე საუკეთესო ინტერესების მხედველობაში მიღებისა და დაცულობის აუცილებლობით აიხსნება.⁷

პეკინის მე-12 წესის⁸ მიხედვით, აუცილებელია არასრულწლოვანთა საქმეებში მონაწილე მართლწესრიგის განხორციელებელი ყველა თანამდებობის პირის (პოლიციელის) სპეციალური მომზადება. თავისი ფუნქციების საუკეთესოდ განხორციელების მიზნით, პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც ხშირად ან განსაკუთრებულად არიან დაკავებულები არასრულწლოვანთა საქმეებით ან რომლებიც ძირითადად, დაკავებულები არიან არასრულწლოვანთა შორის დანაშაულობის პროფილაქტიკით, სისტემატურად უნდა გადიოდნენ სპეციალურ ინსტრუქტაჟს და მომზადებას. სპეციალიზაციის საკითხის სწორი გადაჭრა მართლმსაჯულების ისეთ მიმართულებაში, როგორც არასრულწლოვანების მიმართ სისხლის სამართალმწარმოების პროცედურების წარმოებაა, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და ფაქტი თემაა.⁹ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაცია გარკვეულწილად, პირდაპირ მიმართებაშია არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებთან. ვინაიდან არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესები და ზოგადად, ბავშვის უფლებები არასრულწლოვანებთან მომუშავე თითოეული უფლებამოსილი პირის ძირითადი ყურადღების საგანს წარმოადგენს.¹⁰ აღნიშნულთან დაკავშირებით, ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი მიანიშნებს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესის პრინციპის

შესრულების ვალდებულების დაკისრების განზრახვას ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალთა როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორისათვის.¹¹ აღნიშნულთან დაკავშირებით, ი. ვარძელაშვილი განმარტავს, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა წითელ ზოლად გასდევს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს.¹²

აღსანიშნავია, რომ საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებამდე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეზე პროცესის განმახორციელებელ მოსამართლეთა, პროკურორთა და გამომძიებელთა მიერ პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში სპეციალური მომზადების გავლის ვალდებულებას.¹³ სპეციალიზაცია¹⁴ საქართველოს კანონმდებლობისათვის სიახლეს არ წარმოადგენს, თუმცა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა უფრო მეტი დეტალიზება შესძინა აღნიშნულ საკითხს, დაადგინა უფრო მაღალი სტანდარტები, ასევე მნიშვნელოვნად გააფართოვა სპეციალიზებულ პირთა წრე და მოიცვა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი/მონაწილე ყველა პირი. განსაკუთრებით ეს ეხება ადვოკატთა სპეციალიზაციას, ვინაიდან კანონმდებელმა ადვოკატის თავისუფალ პროფესიაზე მაღლა არასრულწლოვნის ჭეშმარიტი, საუკეთესო ინტერესი დააყენა. სპეციალიზაცია ხელს უწყობს მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე პირების ცნობიერებისა და პატივისცემის ამაღლებას ბავშვის უფლებათა სფეროში არსებული საერთაშორისო სტანდარტებისადმი, რაც წარმოადგენს კარგ მაგალითს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირისათვის, რათა განიმსჭვალოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისადმი პატივისცემის გრძნობით.¹⁵

ამკ-ის მე-3 მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი პირი/პროცესის მონაწილე პირი არის მოსამართლე, გამომძიებელი, პროკურორი, პოლიციელი, ადვოკატი, სოციალური მუშაკი, მედიატორი, პრობაციის ოფიცერი, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების პერსონალი, შესაბამისი პატიმრობის დაწესებულების პერსონალი, რომელიც მონაწილეობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში და გავლილი აქვს სპეციალური მომზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, ხოლო ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევაში, აგრეთვე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი.

ბავშვთა და მოზარდთა განვითარების საკითხებში გამოცდილების მქონე კვალიფიციურ პროფესიონალთა არსებობა სწორედ თითოეული არასრულწლოვნისათვის დამახასიათე-

ბელი თავისებურებებისა და საჭიროებების ადეკვატურად შეფასების, აგრეთვე, საუკეთესო ინტერესების მხედველობაში მიღებისა და დაცულობის აუცილებლობით აიხსნება.¹⁶

მართალია, საქართველოში არ მოქმედებს სპეციალიზებული სასამართლო¹⁷ თუმცა, ამ მხრივ, მყარი სამართლებრივი საფუძველი შექმნა საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციურმა კანონმა და კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტში პირდაპირ განისაზღვრა სპეციალიზებულ სასამართლოთა შექმნის შესაძლებლობა, განსხვავებით მანამდე მოქმედი რედაქციისაგან.¹⁸ იურიდიულ ლეტერატურაში მოცემულია, რომ არასრულწლოვანთა სასამართლო იმთავითვე ჩამოყალიბდა, როგორც სრულწლოვანთა სასამართლოს ალტერნატივა.¹⁹ აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან 20 მათგანში არსებობს სპეციალიზებული სასამართლო. ზოგ შემთხვევაში, ცალკე ერთეულის სახით (ბელგია, გერმანია, საბერძნეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, ხორვატია, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, მალტა, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, გაერთიანებული სამეფო (ინგლისი და უელსი, ჩრდილოეთ ირლანდია), ხოლო ზოგ სახელმწიფოში ჩვეულებრივი სასამართლო ადაპტირებულია ბავშვების საჭიროებებისათვის, მათ შორის, სპეციალიზებულ მოსამართლეთა მონაწილეობის თვალსაზრისით.²⁰

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფართო სისტემა ასევე, მოითხოვს სპეციალიზებული ერთეულების შექმნას პოლიციის, სამართალდამცავი ორგანოების, სასამართლოს, პროკურატურის, იურიდიული დახმარების ან მსგავს სისტემებში, რომლებიც იურიდიულ ან სხვა სახის დახმარებას უწევენ ბავშვს.²¹

საინტერესოა, როგორ განისაზღვრება სპეციალიზაციის სტანდარტი ქართულ რეალობაში და რა ნორმატიული ბაზა არსებობს, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მწარმოებელ თუ მონაწილე პირთა სპეციალიზაციის სტანდარტს განსაზღვრავს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 ნაწილის თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი და ამ პროცესის მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ხოლო მოსამართლის შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განმახორციელებელი და ამ პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტი დამტკიცებული იქნა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №668 დადგენილებით,²² რომლითაც დამტკიცებულია სავალდებულო მოდულები და მათი გავლა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მონაწილე ყველა

პირს მოეთხოვება. აღნიშნული მოდულები შემდეგ სამ მიმართულებას მოიცავს: სამართალი, ფსიქოლოგია, უნარები. აღნიშნული ნორმატიული აქტები არ ითვალისწინებს განგრძობადი ტრენინგების ჩატარების აუცილებლობას, რაც ნაწილობრივ, ხარვეზად შეგვიძლია მივიჩნიოთ მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელ პირთა სპეციალიზაციის ეფექტიანობის თვალსაზრისით.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაციასთან დაკავშირებით, საინტერესოა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 29 იანვრის განჩინება სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც განმარტებულია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მოთხოვნების ეფექტიანი იმპლემენტაცია დაკავშირებულია სწორედ სპეციალიზებული ინსტიტუტების დროულად მომზადებასა და მათ ეფექტიან მუშაობასთან.²³ ამავე განჩინებაში სასამართლო განმარტავს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაცია – ეს არის ბავშვის საუკეთესო ინტერესზე დაფუძნებული ინდივიდუალური მიდგომა. ეს ნიშნავს, რომ მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ ყველა ბავშვს უნდა მოეპყრან თავისი საჭიროების მიხედვით. პირველ ყოვლისა, ეს საჭიროებები უნდა იყოს კარგად შესწავლილი ნებისმიერ ეტაპზე და კანონით სავალდებულო გახდა პროფესიონალთა სპეციალიზაცია, რაც კონკრეტულ შემთხვევაში გულისხმობს პროკურორისა და ადვოკატის, როგორც ბრალდებისა და დაცვის მხარის ვალდებულებას, ჰქონდეთ სპეციალური მომზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. აქედან გამომდინარე საინტერესოა, გავაანალიზოთ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან პირველადი კონტაქტის უფლებამოსილი თანამდებობის პირების სპეციალიზაცია და მისი არსი.

2. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან პირველი კონტაქტი

ბოლო წლების განმავლობაში, სისხლის სამართლის პოლიტიკა არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ მნიშვნელოვნად შეიცვალა.²⁴ სწორედ ამ რეფორმების შედეგია პოლიციელთა/გამომძიებელთა და პროკურორთა გადამზადება მოზარდთა პედაგოგიკაში და ფსიქოლოგიაში. ამკ-ის მე-18 და მე-19 მუხლი ითვალისწინებს სპეციალიზებული პოლიციელის/გამომძიებლის და პროკურორის ინსტიტუტს. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთან მუშაობა, მით უფრო მას შემდეგ, როდესაც ის მართლმსაჯულების სფეროში ექცევა, ნამდვილად მოითხოვს განსაკუთრებული უნარ-ჩვევების ფლობის აუცილებლობას.²⁵ მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით პირველადი რეაგირების გატარებისას, პოლიციელი/გამომძიებელი და პროკურორი აქტიურ როლს ასრულებენ. საინტერესოა ეს ორი უწყება განვიხილოთ არასრულწლოვანთა

მართლმსაჯულებაში სპეციალიზაციის მიმართულებით. პერსონალის სათანადო კვალიფიკაციას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. აუცილებელი იყო სპეციალისტების შესაბამისი მომზადება და კვალიფიკაცია.²⁶ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს სწორედ პირველი მოქმედების დროს მართებთ მეტისმეტი სიფაქიზე არასრულწლოვანთა მიმართ.²⁷ ვინაიდან კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, არასრულწლოვნები გამოირჩევიან მსუბუქი ხასიათის დანაშაულის ჩადენით, თანამშრომლობენ გამოძიებასთან, ისინი ჯერ კიდევ, ჩამოუყალიბებული პიროვნებები არიან.²⁸

კანონმდებელი ამკ-ის მე-18 მუხლის პირველი ნაწილში იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ არასრულწლოვნის საქმეს იძიებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული გამომძიებელი. ამავე კოდექსის მე-16 მუხლით განსაზღვრულია სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, რომლის თანახმადაც, თუ არასრულწლოვნის მიმართ საპროცესო მოქმედება არასპეციალიზებულმა პირმა განახორციელა, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულ პირს, რომელმაც უნდა განაგრძოს პროცესი, ხოლო არასპეციალიზებული პირი დაუყოვნებლივ უნდა ჩამოშორდეს არასრულწლოვნის მართლმსაჯულების პროცესს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი გარემოებები, თუ როდიდან გახდა ცნობილი უფლებამოსილი პირისთვის არასრულწლოვნის სტატუსის თაობაზე და მის შემდეგ რა ღონისძიებები გატარდა.

ზემოაღნიშნული ისე არ უნდა იყოს გაგებული, თითქოს სპეციალიზაციის სტანდარტის დაცვა აუცილებელია მხოლოდ იმ სისხლის სამართლის საქმეებში, სადაც განსარიდებელი, ბრალდებული, მსჯავრდებული/გამართლებული არასრულწლოვანია. სპეციალიზაციის სტანდარტი აუცილებლად უნდა იქნას დაცული დაზარალებულ და მოწმე არასრულწლოვანთა მიმართ, სხვაგვარად საუბარიც ზედმეტია დაზარალებული და მოწმე არასრულწლოვნის განმეორებით ან ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან არიდებაზე.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებელი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-19 მუხლის პირველ ნაწილს აყალიბებს შემდეგნაირად: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში არასრულწლოვნის საქმეს აწარმოებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პოლიციელი. ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილი გრძელდება შემდეგი შინაარსით: არასრულწლოვნის მიმართ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით²⁹ გათვალისწინებულ მოქმედებებს ახორციელებს არასრულწ-

ლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი. ამ შემთხვევაში კანონმდებელი ხაზს უსვამს და ამოდის იმ გარემოებებიდან, რომ საქართველოში შინაგან საქმეთა სამინისტრო არის სამართალდამცავი უწყება, რომელსაც მნიშვნელოვანი ფუნქციები აქვს, როგორც მართლწესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის, ისე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით.³⁰ ასევე, პირველი შემხებლობა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ პირს, ეს იქნება სისხლის სამართლის საქმეზე თუ ადმინისტრაციული საქმის წარმოების ფარგლებში.³¹ კანონმდებელი ამ შემთხვევაში ამოდის პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლიდან, სადაც განმარტებულია, რომ საქართველოს პოლიცია არის სამინისტროს სისტემაში შემავალი, აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სამართალდამცავი დაწესებულებების სისტემა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში ახორციელებს პრევენციულ და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად.

ვინაიდან პოლიციელს ან გამომძიებელს პირველი შეხება აქვს კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდთან, მას უყალიბდება გარკვეული წარმოდგენა სახელმწიფო სტრუქტურებზე.³² თავის მხრივ, ეს კონტაქტი განაპირობებს შემდგომში როგორც მისი (მოზარდის) სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის სურვილს, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებისადმი ნდობის ჩამოყალიბების საკითხს. უფრო მეტიც, კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან ან გამომძიებელთან პირველი ურთიერთობა (კომუნიკაცია) შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობის თვალსაზრისით. ადგილი თუ ექნება მოზარდისადმი არასასიამოვნო დამოკიდებულებას, შემცირდება მოზარდის მხრიდან გამოძიების დროს თანამშრომლობის ალბათობა, ხოლო დაიკარგება ნდობა სახელმწიფო სტრუქტურებისადმი, რაც მოზარდის სახელმწიფო და საზოგადოებისაგან გაუცხოებას და კრიმინალური სუბკულტურისადმი მიდრეკილებას გამოიწვევს.³³ იურიდიულ ლიტერატურაში მოცემულია – იმისათვის, რომ არასრულწლოვანი დამნაშავეს აღზრდაზე აქცენტი გაკეთდეს მისი სამართალდამცავ ორგანოებთან პირველი კონტაქტიდანვე, კრიმინოლოგები გვთავაზობენ, რომ არასრულწლოვანთა საქმეებით ძირითადად, ქალები დასაქმდნენ, ვინაიდან ისინი (ქალები) აღზრდის განსაკუთრებულ თვისებებს ფლობენ, რომელთა გამოყენება ხელს შეუწყობდა მოზარდი დამნაშავეს რესოციალიზაციას.³⁴

არასრულწლოვანთან პირველი კონტაქტი, მის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, სწორედ პოლიციელს/გამომძიებელს და პროკურორს უწევს. ისინი წარმართავენ გამოძიებას, ვიდრე საქმე სასამართლოში განსახილველად გადაიგზავნება და შესაბამისად, არასრულწლოვნის მომავლის განსაზღვრაში დიდ როლს ასრულებენ. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი არ ითვალისწინებს შსს-ს ორგანოების მხრიდან აღმზრდელობითი ხასიათის პრევენციული ღონისძიებების განხორციელების საკითხს. იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სასურველი იქნებოდა თუ პოლიცია აღმზრდელობითი ხასიათის საუბრებს განახორციელებდა მეორე დონის პრევენციის ფარგლებში, ანუ დანაშაულზე, სავარაუდო სამართლებრივ შედეგზე და ა. შ. გაესაუბრებოდა იმ მოზარდებს, რომლებიც მაღალი რისკის ქვეშ არიან, რომ დანაშაული ჩაიდინონ.³⁵

იურიდიულ ლიტერატურაში განმარტებულია, პოლიცია საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის უზრუნველსაყოფად ახორციელებს პრევენციული ხასიათის ღონისძიებებს, რომლებიც განსაზღვრულია პოლიციის შესახებ კანონით.³⁶

უდავოა, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან პირველად შემხებლობაშია შინაგან საქმეთა სამინისტროს საპოლიციო დანაყოფები, რომლებსაც დიდი წვლილი შეაქვთ საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვასა და პრევენციის განხორციელებაზე.³⁷ შესაბამისად, ხსენებული სამინისტროს თითოეულ წარმომადგენელს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის მიმართულებით.

რაც შეეხება პროკურორის სპეციალიზაციას, კანონმდებელი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრავს შემდეგს: არასრულწლოვნის საქმეზე საპროკურორო საქმიანობას ახორციელებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პროკურორი. შესაბამისად, ზედმიწევნით კარგი მომზადება მოზარდის ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მის მიერ დისკრეციული უფლების სწორად და სამართლიანად გამოყენებას. საქართველოს მთავარი პროკურორის 2014 წლის 30 დეკემბრის № 201-მ ბრძანებით, 2015 წლის პირველი იანვრიდან არასრულწლოვანი ბრალდებულის სისხლის სამართლის საქმეზე უფლებამოსილებას ახორციელებენ ის პროკურორები, რომლებმაც გაიარეს დამატებითი მომზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე პროკურორები და გამომძიებლები ინტენსიურად გადიან გადამზადების ტრენინგებს. მათ გადაეცემათ შესაბამისი სერტიფიკატები და უფლება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ არასრულწლოვანთა საქმეების განხილვაში. პროკურორებისა და გამომძიებლების კარგი გადამზადება ასევე, განპირობებულია სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებისა და გამოძიების დროს მოზარდის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინების პრინციპებიდან გამომდინარე.

პროკურორისა და გამომძიებლის განგრძობადი ტრენინგები და მათთვის განვითარებული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის ინტენსიური მიწოდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, გარკვეულწილად, კავშირშია არასრულწლოვანთა მიმართ სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებასთან.³⁸ ამაზე მეტყველებს არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების და განრიდების/მედიაციის ყოველწლიურად მზარდი მაჩვენებელი.³⁹ უფლებამოსილი პირებისთვის ტრენინგების ჩატარება უნდა იყოს ინტენსიური ხასიათის, ვინაიდან მხოლოდ ერთჯერადმა გადამზადებამ შეუძლებელია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მართლმსაჯულების პროცესის ეფექტიან წარმართვაში.⁴⁰ იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ სასურველი იქნებოდა თუ პოლიცია აღმზრდელობითი ხასიათის საუბრებს განახორციელებდა მეორე დონის პრევენციის ფარგლებში, ანუ დანაშაულზე, სავარაუდო სამართლებრივ შედეგზე და ა. შ. გაესაუბრებოდა იმ მოზარდებს, რომლებიც მაღალი რისკის ქვეშ არიან, რომ დანაშაული ჩაიდინონ.⁴¹

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია არა მხოლოდ იმ პირების გადამზადება, ვისაც უშუალო კავშირი აქვს არასრულწლოვანთან – იქნება ეს პირველი კონტაქტი სისხლის სამართლის საქმის გამოძიების თუ ადმინისტრაციული საქმის წარმოების ეტაპზე, არამედ ამ ტრილში ხელმძღვანელი თანამდებობის პირების გადამზადებაც.

3. განრიდების გადაწყვეტილების მიმღები ორგანო და მისი უფლებამოსილება

არასრულწლოვნობის ასაკის დინამიკიდან გამომდინარე, სამომავლოდ, დანაშაულის გარეშე ცხოვრება მეტად რთული დასაჯერებელია თუმცა, აქ უკვე ყურადღება მოზარდის მოტივაციას, სოციალურ გარემოს და ქვეყანაში არსებულ სარეაბილიტაციო პროგრამებს ექცევა.⁴² ამ ტრილში განსაკუთრებით საყურადღებოა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში განრიდების გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს უფლებამოსილება. აღსანიშნავია, რომ

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 39-ე მუხლის თანახმად, განრიდება შეიძლება აგრეთვე, გამოყენებულ იქნას საქმის სასამართლოში წარმართვის შემდეგ. სასამართლო უფლებამოსილია განრიდების გამოსაყენებლად საკუთარი ინიციატივით ან მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება წინასასამართლო სხდომაზე ან პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე და საქმე დაუბრუნოს პროკურორს, რომელიც არასრულწლოვან ბრალდებულს განრიდებას შესთავაზებს და მისი თანხმობის შემთხვევაში, მიიღებს გადაწყვეტილებას განრიდების შესახებ.

სასამართლო ასევე, ამ გადაწყვეტილების მიღებამდე მეორე მხარის პოზიციასაც ისმენს. როგორც ვხედავთ, კანონმდებელმა განრიდების შესახებ გადაწყვეტილების უფლებამოსილება პროკურატურასთან ერთად, სასამართლოსაც მიანიჭა და ამით გააფართოვა გადაწყვეტილების მიღება ორგანოთა სამართლებრივი მექანიზმი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, განრიდება გახდა პრიორიტეტული და კრიტერიუმების არსებობის შემთხვევაში, პროკურორი ვალდებულია პირველ ყოვლისა, განიხილოს განრიდების შესაძლებლობა და მხოლოდ შემდეგ დაიწყოს ფიქრი სისხლისსამართლებრივ დევნაზე. განრიდება გავრცელდა 14-18 წლის არასრულწლოვნების გარდა, 18-დან 21 წლამდე პირებზეც. განრიდების უფლებამოსილება აგრეთვე, მიენიჭა სასამართლოსაც. კერძოდ, 2016 წლის 1-ლი იანვრიდან მოსამართლე უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით, ან/და საკუთარი ინიციატივით, საქმე დაუბრუნოს პროკურორს განრიდების მიზნით.⁴³

მ. შალიკაშვილი აღნიშნავს, რომ მოსამართლის ჩართვა განრიდების პროცესში მისასაღებელია. ეს მოსაზრება აიხსნება იმით, რომ არასრულწლოვანს ეძლევა შანსი, იმ შემთხვევაში, თუ პროკურორმა სისხლის სამართლის საქმის განრიდებაზე უარი თქვა, ეს განრიდება მოსამართლის მიერ მოხდეს პროკურორის მეშვეობით.⁴⁴ ამასთან, აღნიშნულმა გარემოებამ შესაძლებელია განრიდების საქმეების ზრდა გამოიწვიოს, რადგან პროკურორი განრიდების პირობების არსებობის შემთხვევაში, აღარ დაიწყებს ისეთ საქმეზე სისხლისსამართლებრივ დევნას, რომელზეც ეჭვი ექნება, რომ შესაძლებელია მოსამართლის მიერ განრიდების მოთხოვნით უკან დაუბრუნდეს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი არ განსაზღვრავს გარემოებებს, რომელთა არსებობისაც სასამართლომ მხარის დასაბუთებული შუამდგომლობა შესაძლოა არ გაითვალისწინოს და უარი განაცხადოს განრიდების გამოსა-

ყენებლად საქმის პროკურორისათვის დაბრუნების თაობაზე, რაც გარკვეულ ბუნდოვანებას ქმნის.⁴⁵

ხსენებული მოსაზრების გამოხმაურებაა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 07 დეკემბრის განჩინება⁴⁶ არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდების მიზნით საქმის პროკურატურისთვის დაბრუნების შესახებ. ხსენებულ საქმეში სასამართლო განმარტავს, რომ არასრულწლოვან ბრალდებულს ბრალად ედებოდა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა, რომლისთვისაც ბრალდებულის ასაკის და ნასამართლობის არქონის გამო, სასჯელის სახედ გათვალისწინებულია მხოლოდ შინაპატიმრობა ნ თვიდან 1 წლამდე ვადით. მოცემულ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლომ დანაშაულის ხასიათის, არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის, მისი პიროვნული მახასიათებლების შეფასების შედეგად, იმ მიზნით, რომ არასრულწლოვანმა სრულად გააცნობიეროს და გაიაზროს მის მიმართ ბრალად შერაცხული დანაშაული, უფრო ეფექტიანად მიიჩნია არასრულწლოვნის აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიებაში ჩართვა. ი. აქუბარდია იურიდიულ ლიტერატურაში განმარტავს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ხაზგასმულია სასამართლოს უფლებამოსილებაზე და არა ვალდებულებაზე მხარეთა შუამდგომლობის შემთხვევაში, დაუბრუნოს საქმე პროკურორს. თუმცა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში არ არის აღნიშნული, თუ რა საფუძვლით შეიძლება სასამართლომ უარი თქვას საქმის პროკურორისათვის დაბრუნებაზე⁴⁷ და ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ ეს საკანონმდებლო ხარვეზად უნდა ჩაითვალოს.

ბრალდებულის მხარემ ყველა შესაძლო საშუალება უნდა გამოიყენოს იმისთვის, რომ არასრულწლოვნის მიმართ ვიდრე დაიწყებს განრიდების მექანიზმის განხორციელებას, ჯერ დეტალურად შეისწავლოს და გაანალიზოს ე. წ. წინასაგანრიდებო მოსამზადებელი ეტაპი, სადაც ასევე, იგულისხმება კითხვაზე პასუხი, გარდა ნასამართლობის არქონისა ხომ არ მონაწილეობს კონკრეტული არასრულწლოვანი სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეებში და მისი სტატუსიდან გამომდინარე, საქმის ირგვლივ რა მოლოდინები შეიძლება არსებობდეს?

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა განვიხილოთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 04 მაისის გადაწყვეტილება, საიდანაც ირკვევა, რომ მარნეულის რაიონული პროკურატურიდან თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში 2017 წლის 12 აპრილს განსახილველად შევიდა სისხლის სამართლის საქმე ბრალდებულ ე. ნ.-ს მიმართ, სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული

დანაშაულის ნიშნებით. 2017 წლის 28 თებერვალს, გამოტანილი იქნა დადგენილება ე.ნ.-ს ბრალდების შესახებ და იმავე დღეს წარედგინა ბრალი, ხოლო 2017 წლის 01 მარტს, აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო 1000 ლარის ოდენობით. 2017 წლის 13 მარტს გამოძიების ორგანოს მიმართა ბრალდებულმა ე.ნ.-მ და ითხოვა მის მიმართ განრიდების გამოყენება. 2017 წლის 24 მარტს მიღებული იქნა გადაწყვეტილება ე.ნ.-ს მიმართ განრიდების გამოყენების შესახებ. განრიდების პირობების თანახმად, ე.ნ.-ს უნდა გადაეხადა 1000 (ათასი) ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ და ვადად განისაზღვრა 2017 წლის 26 მარტი. ე.ნ.-მ შეასრულა განრიდების პირობა 2017 წლის 24 მარტს. 2017 წლის 28 მარტს კი, პროკურორმა გამოიტანა დადგენილება განრიდების წარმოების პროცესის შეწყვეტის შესახებ, ვაინაიდან არსებობდა სისხლისსამართლებრივი დევნის საჯარო ინტერესი. პროკურორმა აღნიშნა, რომ ხელმძღვანელობს ბრალდებულის პიროვნებით, რომ მას ჩადენილი აქვს განზრახი დანაშაული, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით და ხსენებული დადგენილების საფუძველზე პროკურორის მიერ 2017 წლის 28 მარტს შედგენილი იქნა ოქმი განრიდებაზე უარის თქმის შესახებ, რის შემდეგაც საქმე წარიმართა სასამართლოში. ასევე, საქმეში წარმოდგენილია იგივე გამომძიებლის (რომელიც აწარმოებს გამოძიებას მიმდინარე საქმეზე) წარმოებაში არსებული სხვა სისხლის სამართლის საქმის მასალები.⁴⁸

სასამართლომ განმარტა, რომ ამკ-ით განსაზღვრული განრიდების შეთავაზება მიიჩნევა, როგორც პროკურორის მხრიდან უკვე მიღებული გადაწყვეტილება, რომ პირზე გავრცელებული იქნას სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი. ასევე, მოსამართლე გადაწყვეტილებაში მსჯელობს, რომ სასამართლოსთვის გაუგებარია 2017 წლის 28 მარტს ე.ნ.-ს მიმართ განრიდების წარმოების შეწყვეტის თაობაზე პროკურორის მიერ გამოტანილი დადგენილების და 2017 წლის 28 მარტს შედგენილ განრიდებაზე უარის თქმის შესახებ ოქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით ცალსახად დგინდება, რომ პროკურორის უფლებამოსილება პირის (განრიდების სუბიექტის) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან განახლების თაობაზე, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირი არ შეასრულებს განრიდების პირობებს, ანუ თუ არ განხორციელდება განრიდება.⁴⁹

დღევანდელი გადასახედიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმეების წარმოების პროგრამით ბრალდების მხარეს აქვს საშუალება, მაქსიმალურად მოკლე დროში დეტალურად გაარკვიოს დაწყებულია თუ არა იგივე პიროვნების მიმართ სხვა ფაქტთან დაკავშირე-

ბით გამოძიება. თუმცა, სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეში მოწმის სტატუსის მქონე არასრულწლოვანის მიმართ გარკვეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდგომ, შესაძლებელია გამოიკვეთოს ბრალის სტანდარტი, აქედან გამომდინარე, ბრალდების მხარეს მაქსიმალური წინდახედულობა მართებს, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს არასრულწლოვანის მიმართ უკვე შეთავაზებულ განრიდებაზე შემდგომში უარის მაჩვენებელი.

საინტერესოა თუ როგორ გამოიყურება სასამართლოდან არასრულწლოვანთა საქმეების განრიდების მიზნით, პროკურორთან დაბრუნების სტატისტიკური მონაცემები. საქართველოს გენერალური პროკურატურის განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ანალიზზე დაყრდნობით,⁵⁰ 2019 წლის მონაცემებით, სულ არასრულწლოვანის წესით განრიდებული 797 პირის საქმიდან, სასამართლომ გამოძიებაში განრიდების მიზნით დააბრუნა 51 პირის საქმე. ასევე აღსანიშნავია, რომ 2020 წლის მონაცემებით კი, 298 პირის საქმიდან, სასამართლომ განრიდების მიზნით პროკურორს დაუბრუნა 27 არასრულწლოვანის საქმე. ამათაგან, სასამართლოს ინიციატივით დაბრუნდა მხოლოდ 1 საქმე, დანარჩენ 26 შემთხვევაში, საქმე პროკურორის განრიდების მიზნით, ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე დაუბრუნდა. ძირითად შემთხვევებში, სასამართლოდან საქმის განრიდების მიზნით დაბრუნების ინიციატორი ადვოკატია. აღსანიშნავია, რომ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის წარმართვის პერიოდში მოსამართლის მიერ განრიდებაზე პროკურორისთვის საქმის გადაცემა კანონის თანახმად, პირდაპირ ავალდებულებს პროკურორს არასრულწლოვანს გაუფორმოს განრიდება.

არასრულწლოვანისთვის განრიდებაზე უარის თქმით შესაძლებელია მისი ცხოვრება სრულიად შეიცვალოს, ვინაიდან მას ერთმევა იმის ერთი შანსი, რომ დაუბრუნდეს კანონმორჩილ საქმიანობას, უარი თქვას მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაზე და ახალი ფურცლიდან დაიწყოს ცხოვრებისეული ნაბიჯების გადადგმა. აქედან გამომდინარე, განრიდებაზე უარის თქმის გასაუბრების ოქმი მაქსიმალურად დასაბუთებული უნდა იყოს. არასრულწლოვანის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება არ ეკისრება მხოლოდ სასამართლოს, არამედ ვრცელდება მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელ ყველა იმ პირზე, რომლებიც კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთან მიმართებით, არსებითი მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებებს ღებულობენ.⁵¹ თუმცა, კანონმდებელი განსხვავებით სხვა სიტუაციებისგან, პროკურორს არ ავალდებულებს ამის თაობაზე და ამკ-ს 39-ე მუხლის მეოთხე ნაწილში განმარტავს, რომ არასრულწლოვანისთვის განრიდებაზე უარის თქმის შემთხვევაში, დგება გასაუბრების ოქმი, რომელშიც აღინიშნება განრიდებაზე უარის თქმის მიზეზი. ამ შემთ-

ხვევაში კანონმდებელი პროკურორს აძლევს საშუალებას, რომ განრიდებაზე უარის თქმის გასაუბრების ოქმი დაასაბუთოს ან მხოლოდ ფაქტების ზედაპირულად დაფიქსირებით შემოიფარგლოს. ვფიქრობთ, რომ ამკ-ის 39-ე მუხლის მეოთხე ნაწილის პირველ წინადადებას უნდა დაემატოს მიზეზის წინ შემდეგი ტერმინი „დასაბუთებული“. ამ შემთხვევაში პროკურორი უკვე საკანონმდებლო დონეზე იქნება ვალდებული, რომ განრიდებაზე უარის თქმის მიზეზი დეტალურად დაასაბუთოს და ყოველგვარი მოსალოდნელი შემდეგი, რამაც შესაძლებელია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვას საფრთხე შეუქმნას, თავიდან იქნება აცილებული. მნიშვნელოვანია, გადაწყვეტილების მოტივაცია ცხადად ასახავდეს არასრულწლოვანთან დაკავშირებულ ყველა ფაქტობრივ გარემოებას, საუკეთესო ინტერესების შეფასებისას გამოვლენილ რელევანტურ ელემენტებს, მათ შინაარსს და მნიშვნელობას საუკეთესო ინტერესის განსასაზღვრად.⁵² ამასთან, ამკ-ს 39-ე მუხლის მე-5 ნაწილში გაწერილია, რომ პროკურორის მიერ განრიდებაზე უარის თქმის შემთხვევაში, არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს ან ადვოკატს უფლება აქვს განრიდების მოთხოვნით ზემდგომ პროკურორს მიმართოს. შესაბამისად, განრიდებაზე უარის თქმის პროკურორის გასაუბრების ოქმს აქვს გასაჩივრების ფუნქცია, რაც ცალკეულ სამართლებრივ სტანდარტს გვთავაზობს.⁵³ თუ ამ საკითხს არ შევხედავთ ფართო სამართლებრივ ჭრილში გამოდის, რომ პროკურატურის სისტემის თანამდებობრივი ვერტიკალიდან გამომდინარე, ეს უფლება ფორმალურ ხასიათს ატარებს. ამ შემთხვევაში თუ განრიდებაზე პროკურორის უარის თქმის გასაუბრების ოქმი (დადგენილება) იქნება დეტალურად დასაბუთებული ბუნებრივია, რომ არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს ან ადვოკატს ალარ მოუწევთ ზედმეტი ხარჯის გაღება, დროის რესურსის კარგვა მხოლოდ ფორმალური ხასიათის გასაჩივრების უფლების განსახორციელებლად.

აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში კანონმდებელი ბრალდების მხარეს არ აძლევს იმის უფლებას, რომ მოსამართლის გადაწყვეტილება არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გამოყენებისთვის საქმის უკან დაბრუნების თაობაზე, გასაჩივროს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. სასამართლო და პროკურატურის ორგანოების პრაქტიკაში ამ საკითხის წამოჭრით არ ვფიქრობთ, იმას რომ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის ფარგლებში მოსამართლის უფლებამოსილება გარკვეულწილად, შეიზღუდება ან პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებას მიადგება ჩრდილი. აქედან გამომდინარე აუცილებელია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ითვალისწინებდეს განრიდების გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოთა გარკვეული უფლებამოსილების გადანაწილების ბალანსს. ბრალდების მხარისთვის მოსამართლის მიერ

განრიდების მიზნით საქმის უკან დაბრუნების გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მინიჭებით, ასევე, ჩაერთვება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კონტროლი, რაც ვფიქრობთ, უფრო გამჭვირვალეს და ობიექტურს გახდის ხსენებულ პროცესს.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სპეციალიზაციას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, როგორც ეროვნული კანონმდებლობის ისე საერთაშორისო დონეზე, დიდი ყურადღება ექცევა. აქედან გამომდინარე, აუცილებელ გარემოებას წარმოადგენს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმეზე პოლიციელი, გამომძიებელი, პროკურორი, ადვოკატი, მოსამართლე და შემხებლობაში მყოფი ყველა უფლებამოსილი პირი იყოს სპეციალიზებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. ამ კუთხით აუცილებელია, რომ არასრულწლოვანთა შემხებლობაში მყოფ პირველად თანამდებობრივ რგოლთან ერთად სპეციალიზებული იყოს ხელმძღვანელ პოზიციაზე მყოფი უფლებამოსილი პირებიც, ვინაიდან სწორედ მათ მიერ ხდება გარკვეულწილად, მთელი რიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება. ასევე, სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკაში, ხშირია როგორც რიგით თანამშრომელთა, ისე ხელმძღვანელ უფლებამოსილ პირთა სამსახურებრივი როტაცია, თანამდებობრივი დაქვეითება ან დაწინაურება და აღნიშნულმა ხელი არ უნდა შეუშალოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვას.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ეს საკითხი საკანონმდებლო დონეზე უნდა იყოს დარეგულირებული და ამკ-ის მე-18 და მე-19 მუხლებს უნდა დაემატოს დათქმა „არასრულწლოვანთა საქმეებზე საპროკურორო, საგამომძიებო და საპოლიციო ფუნქციების შესრულებისას, მიმართულებების მიხედვით, ხელმძღვანელ პოზიციაზე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პირი.“ ამ შემთხვევაში სავალდებულო გახდება საპოლიციო, საგამომძიებო და საპროკურორო ორგანოების ხელმძღვანელ პოზიციაზე მყოფ იმ პირთა სპეციალიზაცია, რომლებთანაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების გარკვეული საკითხების გავლა/შეთანხმება უწევს უშუალოდ რიგითი რგოლის წარმომადგენელს. გარდა ამისა, ამ პოზიციებზე მყოფი პირებისაგან, მაშინ როცა თითოეული მათგანი სპეციალიზებული იქნება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ვფიქრობთ, რომ გამჭვირვალობისა და კონტროლის სტანდარტი ბევრად მაღალ დონეზე იდგება. დღევანდელი გადასახედიდან გამომდინარე, პროკურატურისა და პოლიციის ხელმძღვანელ რგოლში არასრულწლოვანთა მიმართულებით სპეციალიზაცია არ არის სავალდებულო და მხოლოდ სასურველ ხასიათს

ატარებს, რაც შესაძლებელია არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის მიმართულებით არ იყოს გამართლებული.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მნიშვნელოვანია დაზუსტდეს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან მიმართებაში განრიდებაზე უარის თქმის ფარგლები და მისი გასაჩივრების სამართლებრივი მექანიზმები. ვინაიდან განრიდებასთან დაკავშირებით გასაუბრების ოქმის გასაჩივრება, ეს არც სისხლის სამართლის და არც ადმინისტრაციული სამართლის ჩარჩოებში არ ჯდება. ამასთან, კანონმდებლობაში არ არის დაკონკრეტებული თუ რა ვადაში საჩივრდება ხსენებული ოქმი და შესაბამისად, რა ვადაში იღებს გადაწყვეტილებას ზემდგომი პროკურორი. მოცემული ბუნდოვანება ვფიქრობთ, გამოსწორდებოდა თუ პროკურორი განრიდებაზე უარის თქმის გასაუბრების ოქმის ნაცვლად, სისხლის სამართლის საქმეზე გამოიტანდა დასაბუთებულ დადგენილებას განრიდებაზე უარის თქმის შესახებ, რაზეც ასევე, დასაბუთებულობის სტანდარტი მაღალია და პირდაპირ კავშირში იქნებოდა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ამკ-ის 39-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „არასრულწლოვნისთვის განრიდებაზე უარის თქმის შემთხვევაში, პროკურორს გამოაქვს დადგენილება, რომელშიც დასაბუთებულად აღინიშნება განრიდებაზე უარის თქმის მიზეზი. დადგენილებას პროკურორი გააცნობს არასრულწლოვანს ან/და მისი კანონიერ წარმომადგენელს.“

საკვლევ თემასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის უფლება გაასაჩივროს განრიდებაზე უარი ზემდგომთან, პროკურატურის მუშაობის ფუნდამენტური პრინციპებიდან გამომდინარე, ფორმალური ხასიათის მატარებელია. ვინაიდან რიგითი პროკურორი უფლებამოსილების განხორციელების ეტაპზე იცავს სუბორდინაციას და იერარქიულ ფარგლებს, რის შედეგადაც ზემდგომ პროკურორთან ათანხმებს ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას. შესაბამისად, განრიდებაზე უარის თქმის გადაწყვეტილება ფორმალური ხასიათისაა იმდენად, რამდენადაც საჩივრდება იმ პირთან, ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღო.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსამართლის მიერ არასრულწლოვნის მიმართ სისხლის სამართლის საქმის განრიდების მიზნით დაბრუნება პროკურორისთვის სავალდებულო ხასიათს ატარებს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიდან გამომდინარე,

დანაშაულის კატეგორიის მიუხედავად, პროკურორს არა აქვს უფლება ასეთ შემთხვევაში, ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში გაასაჩივროს მოსამართლის მიერ განრიდების მიზნით, საქმის უკან დაბრუნება. ამ კუთხით ვფიქრობთ, რომ საკითხი ეხება განრიდების გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს შორის უფლებამოსილებათა გარკვეულწილად, ერთპიროვნულ გადანაწილებას, რა შემთხვევაშიც არ არის გამორიცხული, რომ სუბიექტივიზმის ნიშნებმა გარკვეული გავლენა იქონიოს უფლებამოსილი პირის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვა სასამართლომ და პროკურატურამ მინიჭებულ უფლებამოსილებათა მკაცრად განსაზღვრული ბალანსის დაცვის შედეგად უნდა განახორციელოს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, პროკურორს უნდა ჰქონდეს მოსამართლის მიერ განრიდების მიზნით საქმის უკან დაბრუნების ზემდგომი სასამართლო ინსტანციაში გასაჩივრების უფლება. შესაბამისად, ამკ-ის 39-ე მუხლს უნდა დაემატოს მე-2 პრიმა ქვეპუნქტი „პროკურორი უფლებამოსილია შესაბამის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივროს მოსამართლის მიერ განრიდების მიზნით, საქმის დაბრუნების თაობაზე გადაწყვეტილება.“ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცევა ზემდგომი სასამართლო ინსტანციის კონტროლს, რაც ვფიქრობთ, სამოსამართლო და საპროკურორო პრაქტიკაში გარკვეულწილად, დააბალანსებს არასრულწლოვნის საუკეთესო და საჯარო ინტერესს.

შენიშვნები:

- ¹ ჩხეიძე ი., არასრულწლოვნის ინდივიდუალური საჭიროებები მართლმსაჯულების პროცესში, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, №3, 2021, გვ. 92.
- ² ივანიძე მ., სასჯელის შეფარდების ზოგადი საწყისები საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის მიხედვით, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები №1, 2017, გვ. 10.
- ³ შეცილაძე ხ., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში, 2019, გვ. 192.
- ⁴ Cipriani, D., Children's Rights and the Minimum Age of Criminal Responsibility A Global Perspective, 2009, p. 38.
- ⁵ იხ.: <https://idsdge.files.wordpress.com/2017/06/e1839ee18394e18399e18398e1839c> [27.12.2021].
- ⁶ შალიკაშვილი მ., მიქანაძე, გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), 2016, გვ.180.
- ⁷ იხ.: Handbook for Professionals and Policymakers on Justice in Matters Involving Child Victims and Witnesses of Crime, United Nations Office on Drugs and Crime, New-York, 2009, p.108.
- ⁸ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ, იხ.: <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/arasrw.martl4> [29.12.2021].
- ⁹ ჩხეიძე ი., სპეციალიზაციის სტანდარტი არასრულწლოვანთა ქართულ მართლმსაჯულებაში, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი №3, 2018, გვ. 86.
- ¹⁰ Martins C., How Can We Ensure that the Best Interests of the Child Are a Primary Consideration in Social Work?, in: The Best Interests of the Child Dialogue Between Theory and Practice, 2016, p. 117.
- ¹¹ Zermatten J., The Best Interests of the Child: Literal Analysis, Function and Implementation, Working Report, Institut international des droits de l'enfant, 2010, p.152.
- ¹² ვარძელაშვილი ი., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები №1, 2017, გვ. 72.
- ¹³ შეცილაძე ხ., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში, 2019, გვ. 192.
- ¹⁴ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მწარმოებელ პირთა სპეციალიზაციასთან დაკავშირებით, საკმაოდ საინტერესოა ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული კომისიის მიერ შექმნილი დოკუმენტი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და ადამიანის უფლებები ამერიკაში“, რომლის მე-3 ნაწილი სწორედ სპეციალიზაციას ეხება, §84 კი, უშუალოდ სპეციალიზაციის სტანდარტზე საუბრობს და მიუთითებს, რომ სასამართლო და პროცესის სხვადასხვა ეტაპზე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მწარმოებელი პირები განსაკუთრებულად უნდა გადამზადდნენ ბავშვთა უფლებებსა და ფსიქოლოგიაში. ასევე, ისინი უნდა ფლობდნენ სხვადასხვა სახის პროცედურების იმგვარად წარმოების უნარებს, რომ უზრუნველყოფილი იყოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ობიექტურობა, არასრულწლოვანთა მიმართ ყველა გამოყენებული ღონისძიების მიზანშეწონილობა და პროპორციულობა. ამავე დოკუმენტის §85-ში კი, საუბარია პირთა წრეზე, რომლებიც ექვემდებარებიან სპეციალიზაციას და ესენი გახლავთ, როგორც გადაწყვეტილების მიმღებები არასრულწლოვანთა მიმართ, აგრეთვე

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ჩართული ნებისმიერი პირები, რომლებსაც უწევთ გადაწყვეტილებების აღსრულება არასრულწლოვანთა მიმართ. იხ.: <https://www.cidh.oas.org/countryrep/JusticiaJuvenileng/jjii.eng.htm> [27.12.2021].

¹⁵ იხ.: General Comment No. Children's Rights in Juvenile Justice, UN Committee on the Rights of the Child, Forty-fourth Session (15 January–2 February), CRC/C/C/GC/10, Geneva, 2007, p.13.

¹⁶ Hooijdonk E., Children's Best Interests: A Discussion of Commonly Encountered Tensions, in: The Best Interests of the Child, 2016, p. 41.

¹⁷ საინტერესოა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, „ს.ქ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, სადაც სასამართლო მიიჩნევს, რომ როდესაც საქმე ეხება ისეთ ბავშვს, რომელთანაც არსებობს რისკი, რომ იგი ახალგაზრდა ასაკისა და შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობების გამო ვერ შეძლებს სისხლის სამართლის საქმის განხილვაში ეფექტიანად მონაწილეობას, მნიშვნელოვანია, რომ საქმის განხილვა მოხდეს სპეციალიზებული სასამართლოში, რომელსაც შესწევს უნარი, გაითვალისწინოს ყველა დაბრკოლება, განახორციელოს სწორი მოქმედებები და მოახდინოს საჭიროებისამებრ ადაპტირება. აღსანიშნავია, რომ სპეციალიზებული კადრების არსებობა და არასრულწლოვანთა საქმეების საერთო სასამართლოსაგან დამოუკიდებლად განხილვა ევროპული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი პრაქტიკაა. მაგალითად, გერმანიაში არსებობს არასრულწლოვანთა სპეციალური სასამართლო, რომელიც სამი ტიპის სანქციას აწესებს: აღმზრდელობითს, დისციპლინურს და თავისუფლების აღკვეთას. ფრანგული კანონმდებლობის თანახმად კი, არ შეიძლება არასრულწლოვნის საერთო სასამართლოს მიერ გასამართლება. შემთხვევის სიმძიმის მიხედვით, საქმეს განიხილავენ ბავშვთა სასამართლოები ან სპეციალური არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის სასამართლოები. იხ.: კავთუაშვილი ე., სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, ჟურნ. სამართალი და მსოფლიო, №5, 2016, გვ. 34.

¹⁸ იხ.: <https://rm.coe.int/compilation-venice-commission-covid19-geo-2/16809e6513> [29.12.2021].

¹⁹ ადლერი ფ., მიულერი გ.ო., ლაუფერი ვ.ს., შედარებითი კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში, 2012, გვ.55.

²⁰ იხ.: Summary of Contextual Overviews on Children's Involvement in Criminal Judicial Proceedings in the 28 Member States of the European Union, European Union, European Commission – Directorate-General for Justice, 2014, 8, 9 Table (3.2.).

²¹ კავთუაშვილი ე., სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, ჟურნ. სამართალი და მსოფლიო, 2016, გვ. 36

²² <https://www.gov.ge/files/43956125173444229> [23.08.2022].

²³ იხ.: ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 29 იანვრის განჩინება სისხლის სამართლის საქმეზე სახელმწიფო ბრალმძღულის პროკურორისა და ბრალდებულის ადვოკატების აცხადების შესახებ, https://www.court.ge/courts/batumis_saqalao_sasamarTlo/?page=25&id=2765 [12.08.2022].

²⁴ შალიკაშვილი მ., მიქნაძე, გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), 2016, გვ. 173.

²⁵ ჩხეიძე ი., სპეციალიზაციის სტანდარტი არასრულწლოვანთა ქართულ მართლმსაჯულებაში, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი №3, 2018, გვ. 87.

²⁶ კავთუაშვილი ე., სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, ჟურნ. სამართალი და მსოფლიო, 2016, გვ.37.

²⁷ ბოხაშვილი ი., ბენიძე მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები, სამართლის ჟურნალი №2, 2009, გვ. 44.

- ²⁸ Ostendorf H., Jugendgerichtsgesetzkommentar, Baden-Baden, 2009, გვ.146.
- ²⁹ იხ.: „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, 2013, საქართველოს პარლამენტი.
- ³⁰ ტურავა პ., საქართველოს პოლიციის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან, სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში, 2014, გვ. 120.
- ³¹ ყურაშვილი კ., პოლიციის პრევენციული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების სამართლებრივი ფორმების გამიჯვნა, 2018, გვ. 24.
- ³² იხ.: <https://police.ge/files/pdf/etikis%20kodeqsi/Georgian%20Police%20Code%20of%20Ethics%20Georgian%20final> [18.08.2022].
- ³³ ჩხეიძე ი., სპეციალიზაციის სტანდარტი არასრულწლოვანთა ქართულ მართლმსაჯულებაში, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი №3, 2018, გვ. 88.
- ³⁴ Eisenberg U., Kriminologie, München 2010, p. 172.
- ³⁵ შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), 2016, გვ. 173.
- ³⁶ ტურავა პ., საქართველოს პოლიციის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან, სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში, 2014, გვ. 119.
- ³⁷ შალიკაშვილი მ., თანდილაშვილი ხ., პოლიციელი, როგორც მსხვერპლი, პროფ. რ. გოგშელიძის საიუბილეო კრებული, 2022, გვ. 291.
- ³⁸ შეყილაძე ხ., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში, 2019, გვ. 194.
- ³⁹ იხ.: <http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report%202020%206%20months> [04.12.2022]
- ⁴⁰ შეყილაძე ხ., პრობაციის სამსახურის როლი პირობით ვადამდე გათავისუფლებულ განსაკუთრებული კატეგორიის მსჯავრდებულთა მიმართ, კრიმინოლოგიის ჟურნალი, №1, 2016, გვ.170.
- ⁴¹ Meier B-D., Rössner D., Schöch, H., Jugendstrafrecht. München, 2013, გვ.150.
- ⁴² Diemer H., Schatz H., Sonnen, B-R., Jugendgerichtsgesetz Kommentar, München, 2011, გვ. 166.
- ⁴³ იხ.: <http://prevention.gov.ge/page/28/geo> [20.06.2021].
- ⁴⁴ შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება(სახელმძღვანელო) 2016, გვ. 95.
- ⁴⁵ აქუბარდია ი., განრიდების ინსტიტუტის სრულყოფის შესახებ, გურამ ნაჭყებიას საიუბილეო კრებული, 2016, გვ. 65.
- ⁴⁶ იხ.: <https://tcc.court.ge/ka/Decision/arasrulwlovnis-sisxlissamarTlebrivi-pasuxismgeblobisgan-ganridebis-mizniT-saqme-prokurors-daubruna> [12.05.2021].
- ⁴⁷ აქუბარდია ი., განრიდების ინსტიტუტის სრულყოფის შესახებ, პროფ. გ. ნაჭყებიას საიუბილეო კრებული, 2016, გვ. 69.
- ⁴⁸ იხ.: თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქმე №1გ/622-17, 2017 წლის 04 მაისის გადაწყვეტილება.
- ⁴⁹ შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), 2016, გვ. 173.
- ⁵⁰ იხ.:<https://pog.gov.ge/uploads/429f65a7-ganrideba-2019-weli-converted> ხელმოწერით 2021 წლის 14 მაისის მდგომარეობით.
- ⁵¹ შეყილაძე ხ., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში, 2019, გვ. 196.

- ⁵² შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), 2016, გვ. 173.
- ⁵³ ქუთათელაძე მ., განრიდება და მედიაგია სისხლის სამართალში, 2017, გვ.126.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შეყილაძე ხ., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში, 2019;
2. Cipriani D., Children's Rights and the Minimum Age of Criminal Responsibility A Global Perspective, 2009;
3. შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), 2016;
4. Handbook for Professionals and Policymakers on Justice in Matters Involving Child Victims and Witnesses of Crime, United Nations Office on Drugs and Crime, New-York, 2009;
5. Martins C., How Can We Ensure that the Best Interests of the Child Are a Primary Consideration in Social Work?, in: The Best Interests of the Child Dialogue Between Theory and Practice, 2016;
6. Zermatten J., The Best Interests of the Child: Literal Analysis, Function and Implementation, Working Report, Institut international des droits de l'enfant, 2010;
7. General Comment No. Children's Rights in Juvenile Justice, UN Committee on the Rights of the Child, Forty-fourth Session (15 January-2 February), CRC/C/GC/10, Geneva, 2007;
8. Hooijdonk E., Children's Best Interests: A Discussion of Commonly Encountered Tensions, in: The Best Interests of the Child, 2016;
9. ადლერი ფ., მიულერი გ.ო., ლაუფერი ვ.ს., შედარებითი კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში, 2012;
10. Summary of Contextual Overviews on Children's Involvement in Criminal Judicial Proceedings in the 28 Member States of the European Union, European Union, European Commission – Directorate-General for Justice, 2014, 8, 9 Table (3.2.).
11. Ostendorf, H. Jugendgerichtsgesetzkommentar, Baden-Baden, 2009;
12. ტურავა პ., საქართველოს პოლიციის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან, სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში, 2014;
13. ყურაშვილი კ., პოლიციის პრევენციული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების სამართლებრივი ფორმების გამოცვლა, 2018;
14. Eisenberg U., Kriminologie, München 2010;
15. შალიკაშვილი მ., თანდილაშვილი ხ., პოლიციელი, როგორც მსხვერპლი, პროფ. რ. გომეზიდიის საიუბილეო კრებული, 2022;
16. Meier B-D., Rössner D., Schöch H., Jugendstrafrecht. München, 2013;
17. Diemer H., Schatz H., Sonnen, B-R., Jugendgerichtsgesetz Kommentar. München, 2011;
18. აქუბარდია ი., განრიდება ინსტიტუტის სრულყოფის შესახებ, გურამ ნაჭყებიას საიუბილეო კრებული, 2016;
19. ქუთათელაძე მ., განრიდება და მედიაგია სისხლის სამართალში, 2017.

FEATURES OF JUVENILE DIVERSION

VLADIMER TSITLAURI

The University of Georgia

Ph.D. student at the School of Law

The minor has always been at the center of attention of the legislative, as well as of the civil and scientific community and so will be due to their legal status. Based on today's perspective, every democratic country tries to focus essential attention on the style and approaches of dealing with a minor in conflict with the law. By the international legal obligations assumed by Georgia, the rights of minors should be protected both during the investigation stage and criminal prosecution, as well as during the implementation of the diversion/mediation program. Based on these requirements, the Code of Juvenile Justice, on the one hand, provides for a different procedure for juvenile proceedings, the specialization of the process participants, and on the other hand, certain features for the involvement of the minor in the diversion-mediation program.

გენდერული კვთირების მნიშვნელობა და ისტორია

თბაბა გოგისვანიძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი

*„ქალების ადგილი არის ყველგან,
სადაც გადაწყვეტილების მიღება ხდება.“
რუთ ბეიდერ გინზბურგი¹*

საარჩევნო უფლება, დემოკრატიული პროცესების განხორციელების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. შეგეძლოს არჩევა და იყო არჩეული – ერთ-ერთი მთავარი დემოკრატიული პრინციპია. საქართველოს კონსტიტუცია რამდენიმე მუხლში ასახავს იმ კონსტიტუციურ პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად უდევს საარჩევნო უფლებას.²

საარჩევნო უფლება, სახელმწიფოს ყველა მოქალაქის უფლებაა. თანასწორი არჩევნების კონსტიტუციური პრინციპი მოითხოვს, რომ ყოველ მოქალაქეს ჰქონდეს შესაძლებლობა თავისი (აქტიური თუ პასიური) საარჩევნო უფლება შეძლებისდაგვარად, თანაბრად და თანასწორად გამოიყენოს.³

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლი განსაზღვრავს საქართველოს ყველა მოქალაქის თანასწორ უფლებას, დაიკავოს ნებისმიერი საჯარო თანამდებობა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, 25-ე მუხლი განამტკიცებს საქართველოს ყოველი მოქალაქის უფლებას, დაიკავოს როგორც არჩევითი, ისე დანიშნითი თანამდებობა.⁴

კვოტირება წარმოადგენს კანონმდებლობით დეკლარირებულ ნორმას, რომელიც ხელს უწყობს საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ ხელისუფლებაში ქალების მონაწილეობის გაზრდას.

პოლიტიკურ პროცესებში ქალთა ინტეგრირება მეტად მნიშვნელოვანია. წლების განმავლობაში, საარჩევნო უფლებები და ქალთა ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში არ იყო დაცული და იზღუდებოდა. დღევანდელ ეპოქაშიც კი, არსებობს სახელმწიფოები, სადაც ქალები ისევ არ სარგებლობენ ამ უფლებით. ძირითადად, ქალთა პრობლემები გეოგრაფიულია და იგი პირდაპირ კავშირშია ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და რელიგიური განვითარების დონესთან და ხასიათთან.

ტრადიციულად, სამოგადოებრივი ცხოვრება უფრო მამაკაცის კუთვნილ ასპარეზად აღიქმება და ქალებს არა აქვთ საშუალება დაკავდნენ პოლიტიკით და პოლიტიკასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხებით. ეს ირიბი წნეხი, ხშირად წარმოადგენილი საყოფაცხოვრებო სახით იმდენად დიდია, რომ ქალი იჯერებს მისი მხრიდან მსგავსი საქმიანობის წარმართვის შეუძლებლობას. სწორედ ასეთ დროს, როცა სოციალური მიდგომები მკაცრი და უსამართლოა, სახელმწიფომ უნდა შეძლოს კანონების მიღების გზით, უთანასწორობის აღმოფხვრა და ქალების მხარდაჭერა.

გენდერული კვოტები პოლიტიკაში, ასევე ცნობილია მეორე ტერმინით „საარჩევნო გენდერული კვოტები“ და ერთ-ერთი მთავარი საარჩევნო რეფორმაა მსოფლიო პოლიტიკაში, 1990-იანი წლებიდან. ეს არის ქმედება, რომელიც მოითხოვს ქალების გარკვეულ რაოდენობას ან პროპორციას პოლიტიკურ პროცესებში და წარმომადგენლობით ორგანოებში.⁵

პირველად, 80-იან წლებში, სკანდინავიურ ქვეყნებში სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დაიწყო ქალების მინიმალური კვოტების გამოყენება შიდა ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბების დროს. მოგვიანებით, მათი საარჩევნო სიების ფორმირებისას, გამოყენებულ იქნა ე. წ. პარტიული კვოტები.⁶

კანონით, კვოტების მიღების ბოლო ტენდენცია, რომელიც სავალდებულოა ყველა მხარისთვის, დაიწყო არგენტინაში, 1991 წელს. ეს კანონი მოითხოვდა საარჩევნო სიებში თითოეული სქესის კანდიდატების მინიმუმ, 30 პროცენტს. ინდოეთი იყო ასევე, ერთ-ერთი პირველთა შორის, თუმცა განსხვავებული, რეზერვირებული ადგილების კვოტებით: 1993–1994 წლებში,

საკონსტიტუციო ცვლილებების მეშვეობით, ადგილობრივ საბჭოებში ადგილების მესამედი დაცული იყო ქალებისთვის.

2010-იანი წლების ბოლოს, მსოფლიოს ქვეყნების ნახევარზე მეტმა მიიღო გარკვეული ტიპის საარჩევნო გენდერული კვოტები. ის კვლავ საკამათო საკითხად რჩება, თუნდაც ფემინისტ მკვლევარებს შორის, მაგრამ დადასტურდა, რომ ის ნამდვილად წარმოადგენს ეფექტიანი დადებითი მოქმედების ღონისძიებას (სწრაფი პოლიტიკა).⁷

საარჩევნო გენდერული კვოტების ლეგიტიმურობა დამოკიდებულია კვოტების ხასიათსა და იმ მდგომარეობაზე, თუ რა პროცენტული მაჩვენებელია ამ ქვეყანაში გენდერული მონაწილეობის პოლიტიკაში.

გაეროს ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების კომისიის მიერ 1990 წელს განისაზღვრა მინუმუმ, 30-პროცენტიანი ქალთა ჩართულობა, რათა მათ შეძლონ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაზე. რეკომენდაცია ამბობს: „The UN Economic and Social Council resolution 1990/15 calls on governments, political parties, trade unions, and professional and other representative groups to adopt a 30 percent minimum proportion of women in leadership positions, with a view to achieving equal representation.“⁸

1979 წლის CEDAW⁹ კონვენციამ გზა გაუხსნა გენდერულ კვოტირებას შემდეგი განმარტებით: „დროებითი სპეციალური ზომების მიღება, რომელიც მიზნად ისახავს მამაკაცისა და ქალის დე ფაქტო თანასწორობის დაჩქარებას, არ უნდა ჩაითვალოს დისკრიმინაციად“ (მუხლი 4.1).¹⁰ მოგვიანებით, გაეროს სამოქმედო პლატფორმა, რომელიც მიღებულ იქნა პეკინში 1995 წელს, ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში, დემოკრატიის განვითარებას დაუკავშირა. ქალთა ტრანსნაციონალურმა მოძრაობებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ ახალი გლობალური დისკურსის მიღებაში, ხოლო ქალთა ეროვნულმა მოძრაობებმა განხორციელეს.¹¹

საქართველოში, ქალების ჩართულობა პოლიტიკურ ცხოვრებაში ყოველთვის ატარებდა დემოკრატიულ და პროგრესულ ხასიათს. ამის მიუხედავად, პოლიტიკურ არენაზე ქალთა სიმცირე მაინც შეინიშნება. ეს არ არის მხოლოდ ჩვენი ქვეყნის პრობლემა და იგივე საკითხის წინაშე დგას განვითარებული მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა. ქალების რიცხვი

პოლიტიკაში უკიდურესად ნელა იზრდება. ამის კორექციისათვის, გენდერული კვოტირება როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეფექტიანი მექანიზმია.

გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით, 2013 წელს, საქართველოში ჩატარდა კვლევა საზოგადოების დამოკიდებულების გასარკვევად გენდერული თანასწორობის მიმართ პოლიტიკასა და ბიზნესში.¹² როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ პოლიტიკა უფრო მეტად მამაკაცთა საქმიანობის სფეროდ განიხილება.

საზოგადოების აზრით, ქალის ადგილი პოლიტიკაში რთულად მოიძებნება. რაოდენობრივი კვლევის მონაწილეების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ზოგადად, კაცს უფრო შეეფერება პოლიტიკური საქმიანობა, ვიდრე ქალს (66%), ხოლო 61% მიიჩნევს, რომ კაცები ქალებთან შედარებით უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან.¹³

მაშინ რატომ არის კვოტირების ხასიათი ხშირად სადავო? იქნებ, იმიტომ, რომ იძულებითი ხასიათის ღონისძიება და ერთგვარად ხელოვნური ჩარევა პროცესში და ამის გამო აღიქმება დისკრიმინაციად. იქიდან გამომდინარე, რომ ეს დისკრიმინაცია ცალსახად პოზიტიურ ხასიათს ატარებს და ემსახურება სხვა უფრო მნიშვნელოვან მიზანს, შეიძლება ითქვას, რომ როგორც დროებითი ღონისძიების სახე იგი გამართლებული და საჭიროა. გასათვალისწინებელია, რომ ბევრ ქალს არ სურს მოხდეს მათი არჩევა მხოლოდ იმიტომ, რომ ქალია.

სტატისტიკა გვეუბნება, რომ ყველაზე მაღალი ჩართულობა ქალების საზოგადოებრივ ცხოვრებაში იმ ქვეყნებს აქვთ, ვინც საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრა ქალთა კვოტირების თემა, იგი მაინც საკამათო ზომაა. ფემინისტური ორგანიზაციებისა და აქტივისტების მიერ მოტანილია სხვადასხვა არგუმენტები კვოტების შემოღების მხარდასაჭერად და წინააღმდეგ.

ქალები ისევე კვალიფიციურები არიან, როგორც მამაკაცები, მაგრამ ქალების კვალიფიკაცია დაქვეითებულია და მინიმუმამდეა დაყვანილი მამაკაცების ხელოვნური ჩარევის და მათ მიერ დომინირებული პოლიტიკური პოზიციების დაკავების შედეგად.

კვოტირების დროს, პოლიტიკური პარტიები აკონტროლებენ უბრალოდ, პროცენტულობას და არა რაიმე სხვას. ამომრჩეველი თავად წყვეტს ვინ აირჩიოს. შესაბამისად, კვოტები არ წარმოადგენს ამომრჩეველთა უფლებების დარღვევას.

ამავდროულად, სავალდებულო კვოტები ეწინააღმდეგება ყველასთვის თანაბარი შესაძლებლობების პრინციპს, ვინაიდან ქალებს უპირატესობა ენიჭებათ მამაკაცებზე. საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია თანასწორობის საყოველთაო პრინციპი. საყოველთაო პრინციპი გულისხმობს საქართველოს მოქალაქეთა თანასწორობას, განურჩევლად ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. როცა კონსტიტუციის ეს ჩანაწერი ცალსახად აღიარებს თანასწორობას და აკრძალულია სქესის ნიშნით დისკრიმინაცია, მაშინ ამ კუთხით, კვოტები დისკრიმინაციულია თუმცა, ემსახურება სხვა უფრო კეთილშობილ მიზანს – დემოკრატიული პრინციპების გაუმჯობესებას.

კვოტების შემოღება ქმნის მნიშვნელოვან კონფლიქტებს პარტიულ ორგანიზაციებში თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კვოტები თითქმის არღვევს ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებს, მაგრამ ეს მრავალი ქვეყნის მიერ გამოცდილი მექანიზმია და შეიძლება ითქვას, ამაზე უკეთესი ბერკეტი თანასწორობის მისაღწევად ჯერ არ მოუგონიათ.¹⁴

სავალდებულო კვოტირება საქართველოში

საქართველოში სავალდებულო გენდერულ კვოტირებაზე საუბარი ჯერ კიდევ, 2011 წელს დაიწყო. თავიდან, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ კანონში განხორციელდა ცვლილება, რომლიც ადგენდა ფინანსური წახალისების სისტემას. ის პარტია, რომელიც პროპორციული საარჩევნო სიის ყოველ ათეულში ორ ქალ კანდიდატს წამოაყენებდა, დამატებით მიიღებდა საბაზისო დაფინანსების 10 %-ს.¹⁵

2017 წლის 12 ივნისს, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფმა პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი სავალდებულო გენდერული კვოტირების შესახებ.

2020 წლის 2 ივლისს, საქართველოს პარლამენტმა საარჩევნო კოდექსში ცვლილებები მიიღო. დამტკიცდა 25%-იანი გენდერული კვოტირების მექანიზმი, რომლის მიხედვით, პროპორციულ პარტიულ სიებში პოლიტიკური პარტიები ვალდებული იქნებიან სულ ცოტა, ყოველი მეოთხე ადამიანი განსხვავებული სქესის იყოს. ეს წესი გამოყენებული იქნება 2024 წლის არჩევნებზეც, ხოლო 2028 წლის ოქტომბრის არჩევნებზე, ამ ცვლილების მიხედვით, პარტიულ სიებში ყოველი მესამე ადამიანი განსხვავებული სქესის უნდა იყოს.¹⁶

ცვლილებების მიღებას პროტესტის გარეშე არ ჩაუვლია. ფემინისტების ერთ ჯგუფს და ასევე, ზოგიერთ პოლიტიკურ გაერთიანებას არ მიაჩნია მართებულად ქალთა სავალდებულო კვოტირების არსებობა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა პოლიტიკური გაერთიანების სარჩელი, რომელიც სავალდებულო გენდერული კვოტირების არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვდა. მოსარჩელები აპელირებდნენ იმაზე, რომ აღნიშნული ქმედება არის დისკრიმინაციული ხასიათის და ასევე, მნიშვნელოვანია წარმომადგენლობით ორგანოში და პარტიაში ადამიანები მოხვდნენ არა სქესის, არამედ უნარების, ცოდნის და გამოცდილების ნიშნით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „საქართველოს პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალია და ბოლო სამი მოწვევის ფარგლებში, 5-დან 16 პროცენტამდე მერყეობს. საუკეთესო მაჩვენებელი, რაც კი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პროპორციული სისტემის ფარგლებში არჩეულ დეპუტატებს შორის ქალთა წარმომადგენლობის კუთხით დაფიქსირებულა, შეადგენს მხოლოდ 23,38 პროცენტს (2016 წლის საპარლამენტო არჩევნები). ქალთა დაბალ წარმომადგენლობას არა ერთჯერადი, არამედ განგრძობადი ხასიათი აქვს (დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, ქალთა წარმომადგენლობა არასოდეს ყოფილა 16 პროცენტზე მეტი). შესაბამისად, ეს რეალობა არ შეიძლება ჩაითვალოს უბრალო შემთხვევითობად, რომელიც შესაძლოა, უახლოეს მომავალში სახელმწიფოს ჩარევის გარეშე, თავისთავად შეიცვალოს. ამგვარ უთანასწორო წარმომადგენლობას შესაძლოა განაპირობებდეს მრავალი ფაქტორი, მათ შორის იმგვარიც, რომელიც არ არის დაკავშირებული ქალებისთვის არც კანონისმიერი და არც გარკვეული საზოგადოებრივი ბარიერების არსებობასთან.“¹⁷

მოგვიანებით, სხვა პოლიტიკურმა პარტიამ კვლავ შეიტანა სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში თუმცა, სასამართლომ იგი განსახილველად არ მიიღო.

დასკვნა

საზოგადოება ეტაპობრივად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქალთა ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათ შორის, პოლიტიკურ პროცესებში აუცილებელია.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მკვლევარი, ქალთა უფლებების დაცვის ორგანიზაცია და პოლიტიკური პარტია ეწინააღმდეგება ამ იდეას, მნიშვნელოვანია იმ მუხტის შენარჩუნება, რაც ქალთა სავალდებულო კვოტირებას ახლავს თან.

დავა იმის შესახებ, რომ ქალის განსხვავება მხოლოდ სქესის ნიშნით არასწორია და აქცენტი მის უნარებზე უნდა გაკეთდეს, პრაქტიკული თვალსაზრისით უშედეგოა. პოლიტიკური პარტიები, სწორედ უნარისა და გამოცდილების გამო არჩევენ კანდიდატებს. კანონის ძალით შექმნილი შესაძლებლობები უბრალოდ, აძლიერებს მათ პოზიციებს. სავალდებულო კვოტირება წახალისებს, გააძლიერებს და ბიძგს მისცემს ქალთა აქტიურობას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

შენიშვნები:

- ¹ ამერიკელი იურისტი და აშშ-ის უზენაესი სასამართლოს წევრი, 1993–2020.
- ² კუბლაშვილი კ., ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებანი, მეხუთე გამოცემა, გვ. 324.
- ² იქვე, გვ. 327.
- ⁴ იქვე, გვ. 329–330.
- ⁵ <https://www.oxfordbibliographies.com/view/document/obo-9780199756223/obo-9780199756223-0295.xml>
- ⁶ იქვე.
- ⁷ Dahlerup D., Gender Quotas in Politics, Oxford Bibliographies, 2020.
- ⁸ გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეზოლუცია 1990/15 მოუწოდებს მთავრობებს, პოლიტიკურ პარტიებს, პროფკავშირებს და პროფესიულ და სხვა წარმომადგენლობით ჯგუფებს, მიიღონ ქალთა მინიმალური პროპორცია ხელმძღვანელ თანამდებობებზე, თანაბარი წარმომადგენლობის მისაღწევად.
- ⁹ გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მიღებულია 1979 წლის 18 დეკემბერს.
- ¹⁰ <https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/convention-elimination-all-forms-discrimination-against-women>
- ¹¹ იქვე.
- ¹² <https://www.undp.org/ka/georgia/publications/>
- ¹³ იქვე.
- ¹⁴ <https://www.idea.int/data-tools/data/gender-quotas/quotas>
- ¹⁵ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28324>
- ¹⁶ საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ, 02.07.2020.
- ¹⁷ <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=10127>

GENDER OBLIGATORY QUOTAS AND IT'S LEGISLATIVE EFFECTS

TEBEA GOGISVANIDZE

*Ph.D. Student of Law
at the Caucasus International University*

Gender quotas in politics, also named “electoral gender quotas,” represent one of the major electoral reforms in world politics since the 1990s. Given the slow speed by which the number of women in politics is growing, there are increased calls for more efficient methods to reach a gender balance in political institutions.

By the end of the 2010s, more than half the world's countries had adopted some type of electoral gender quota. It remains a controversial policy, even among feminist researchers, yet has proven to be an efficient affirmative action measure (a fast-track policy), depending, however, on how quota rules fit the electoral system in place, additional rank order rules, and sanctions for non-compliance.

The legitimacy of electoral gender quotas depends on the quota design and the prevailing discourses on why women are under-represented – or why men are over-represented – seen in relation to their share of the population. At the same time quotas raise serious questions and, in some cases, strong resistance. What are quotas and in what way can quotas contribute to the political empowerment of women? Are electoral gender quotas a violation of the principles of liberal democracy? Although negative arguments, the fact is: quotas do work.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების საბანი, როგორც ხელშეკრულების არსებითი პირობა

ბესიკ ტაბულოშვილი

სამართლის დოქტორი

შესავალი

ხელშეკრულების დადება ნების თავისუფალი გამოვლენაა. ხელშეკრულების თავისუფლად დადება გულისხმობს, რომ არავინ არის ვალდებული, დადოს ხელშეკრულება.¹ ხელშეკრულების ფარგლებში მხარეს სამოქალაქო უფლებათა განხორციელების შესაძლებლობა წარმოეშობა.² ხელშეკრულების თავისუფლებამ მიიღო სახე, რომელსაც სახელშეკრულებო ურთიერთობებში, კანონის ფარგლებში, ქმედების თავისუფლად განხორციელება ეწოდება და რომლის ნორმატიულ დონეზე მოწესრიგებაც, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ფუძემდებლური სამართლებრივი წინაპირობა გახდა.³ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებასთან მიმართებაში, იურიდიული კლასიფიკაცია წარმოადგენს განსაკუთრებულ სირთულეს. ალექატორულია ორმხრივად სინალაგმატური ხელშეკრულება, რომლის ეკვივალენტი მდგომარეობს ხელშეკრულების თითოეული მხარის შესაძლებლობაში, მიიღოს მოგება ან ზარალი უცნობი მოვლენის დადგომის შემთხვევაში. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაში სარისკო პირობად ითვლება არა მარტო სარჩენის

გარდაცვალების ფაქტი, არამედ მისი გარდაცვალების დროც. უცნობია, როდის დადგება სარჩენის გარდაცვალება. ამიტომ შეუძლებელია მომავალში, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების მიხედვით მისაღები სამისდღეშიო სარჩოს ზუსტი ოდენობის გამოანგარიშებაც. შესაბამისად, რჩენის ხელშეკრულება რისკთან კავშირშია იმდენად, რამდენადაც სარჩოს გადახდის ოდენობა გადაცემული ქონების ღირებულებასთან შედარებით, მეტი ან ნაკლები აღმოჩნდება. პირველ ყოვლისა, რისკავს სარჩენი, რამდენადაც ქონების გადაცემიდან მისაღები შემოსავალი მისი გადახდის ხანგრძლივ პერიოდზეა გათვლილი. ამ პერიოდის განმავლობაში, სხვადასხვა გარემოების ძალით, მაგალითად, ეკონომიკის არამდგრადობა, პოლიტიკური და სოციალური სიტუაციები, ინფლაცია, ფულადი ერთეულის დევალვაცია, ფასების უეცარი რყევა, სარჩოს ოდენობა უნდა შეიცვალოს.⁴ თუმცა, მარჩენალი ასევე, ეწევა რისკს, რომ რჩენის ურთიერთობის საერთო თანხა უფრო მეტი ღირებულების აღმოჩნდება, ვიდრე მასზე გადაცემული ქონების ღირებულებაა.

1. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების საგანი

მეცნიერ-ცივილისტების მიერ ტერმინი „ხელშეკრულების შინაარსი“ არაერთმნიშვნელოვნად განიმარტება. ხელშეკრულების შინაარსში პირველ ყოვლისა, ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობებია გაგებული. მეორე მხრივ, ეს შეიძლება იყოს პირობების ერთობლიობა, რაზედაც მხარეთა შეთანხმებაა მიღწეული.⁵ კანონი შესაძლებლობას აძლევს მხარეებს უფრო თავისუფლად დაადგინონ მათთვის მისაღები უფლებები და მოვალეობები. თუმცა, თუ მხარეები არ ისარგებლებენ ამ შესაძლებლობებით, მაშინ ვალდებულნი არიან მიიღონ და შეასრულონ ის წესები, რომელსაც დისპოზიციური ნორმები სთავაზობს ურთიერთობის მონაწილეებს და რომლებიც იქცევიან იმპერატიულ წესებად.⁶ როგორც სამართლიანად აღნიშნავს ი. ბ. ნოვიცკი, იმისათვის, რომ ხელშეკრულების დადებულად ცნობა იყოს შესაძლებელი, აუცილებელია, მხარეებმა ყველა არსებით პუნქტზე ურთიერთ კანონით მოთხოვნილ ფორმაში თანხმობა გამოუხატონ.⁷

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327.1 მუხლის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმების შედეგია. შეთანხმება გულისხმობს მხარეთა თანმხედრი ნების გამოვლენას, რომელიც მიმართულია ერთი და იმავე სამართლებრივი მიზნის მიღწევისკენ.⁸ უპირველესად, უნდა გავარკვიოთ, რა არის ხელშეკრულების არსებითი პირობები, არის თუ არა ეს პირობები ერთმნიშვნელოვნად

ყველა ხელშეკრულებისათვის არსებითი. საქართველოს სკ-ის 327.2 მუხლის თანახმად, არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომელზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნას შეთანხმება ან ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ. არცერთი ქვეყნის კანონმდებლობას, ბუნებრივია, არ ექნებოდა იმის ამბიცია, რომ განესაზღვრა და მოქმედ კანონმდებლობაში ხელშეკრულების არსებითი პირობების ნუსხა გაეკეთებინა. უნდა ითქვას, რომ ცალკეული ტიპის ხელშეკრულებებისათვის ასეთი არსებითი პირობების გარკვეული მინიმუმი მაინც არსებობს, ურომლისოდაც მხარეებს შორის გარიგება უბრალოდ ვერ შედგებოდა, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებაში გარიგების საგანი და ფასი. ჩვეულებრივ, არსებითად მოიაზრება პირობები, რომელიც გამოხატავს შესაბამისი ხელშეკრულების ბუნებას. ტრადიციულად, როგორც დოქტრინის, ისე პრაქტიკის მიერ ჩამოყალიბდა საკითხთა წრე, რომელზეც მხარეთა შეთანხმება აუცილებლადაა მიჩნეული – საგანი, ფასი და ხელშეკრულების ვადა – თუმცა, ესენი ვერ იქნება გამოყენებული ყველა ტიპის ხელშეკრულების მიმართ. მაგალითად, ფასი ყველა ხელშეკრულებისათვის ვერ იქნება არსებითი პირობა, რადგან არსებობს ე. წ. უსასყიდლო ხელშეკრულებებიც.⁹ შეიძლება ითქვას, რომ კანონით „მკაცრად“ დადგენილ არსებით პირობებს მიეკუთვნება ზოგადად, ხელშეკრულების სახე და საგანი, რომლის მითითების გარეშე ხელშეკრულება არ არსებობს.¹⁰

ნებისმიერი ხელშეკრულებისათვის არსებით პირობას წარმოადგენს შეთანხმება გარიგების საგანზე. გარიგების საგნის ცნება სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტების ცნებასთანაა თანაფარდობაში. საქართველოს სკ-ის მე-7 მუხლის თანახმად, ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი და არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული. ხელშეკრულების საგანი როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გაგებით ხელშეკრულების არსებობის უპირველესი საფუძველია. პრაქტიკული დატვირთვიდან გამომდინარე, მისი ძალაში შესვლა ან შემდგომი მოქმედების განხორციელების საშუალება სწორედ მის საგანზეა დაფუძნებული.¹¹

2. სამისდღეშიო სარჩოს მიღების სანაცვლოდ გადაცემული უძრავი ქონება

საქართველოს კონსტიტუციის მე-19.4 მუხლის შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსი, შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფოს, თვითმმართველი ერთეულის, საქართველოს მოქალაქის ან საქარ-

თველოს მოქალაქეთა გაერთიანების საკუთრებაში.¹² ამიტომ ხელშეკრულების მიხედვით, სამისდღეშიო სარჩოს მიღების სანაცვლოდ, შეიძლება გადაცემული იქნას არა ნებისმიერი უძრავი ქონება, არამედ მხოლოდ ის, რომელიც კანონის შესაბამისად შეიძლება არსებობდეს მოქალაქის საკუთრებაში.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების თავისებურებას წარმოადგენს, რომ იგი ორი ელემენტისაგან შედგება. მარჩენალისათვის სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების საგნის ელემენტად უდავოდ გამოდის უძრავი ქონება, რომელიც მას სამისდღეშიო სარჩოს მიღების პირობით გადაეცემა. სარჩენისათვის რჩენის ხელშეკრულების საგნის ანალოგიურ ელემენტს რჩენისათვის აუცილებელი გადახდები წარმოადგენს, რომელიც საკვლევ ხელშეკრულებაში სარჩოს ფორმას ატარებს და რომელსაც სარჩენი იღებს. ხელშეკრულების საგნად უძრავი ქონების განხილვისას სარჩოს გადახდები თავისებური ეკვივალენტის სახით უნდა განვიხილოთ. სარჩოს გადახდების განხილვისას კი, როგორც ხელშეკრულების საგანი, მის ეკვივალენტად უძრავი ქონება უნდა ჩაითვალოს.

მაშასადამე, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების საგნის პირველ ელემენტს სამისდღეშიო სარჩოს მიღების სანაცვლოდ გადაცემული ქონება წარმოადგენს. უძრავი ქონების გადაცემის შემთხვევაში, ხელშეკრულება სანოტარო წესით უნდა დამოწმდეს. მოქმედ კანონმდებლობაში არსებული უძრავი ქონების ცნება საკმაო სიცხადით ეხმიანება განმარტებას, რომელიც ცნობილი ცივილისტის, გ. ფ. შერშენევიჩის მიერაა მოცემული. იგი აღნიშნავდა, რომ „უძრავი ქონების სახელის ქვეშ, პირველ ყოვლისა, მიწის ზედაპირის ნაწილი და ყველაფერი ის იგულისხმება, რაც მასთან იმდენად მყარ კავშირშია, რომ ნივთის სახისა და დანიშნულების დარღვევის გარეშე კავშირის გაწყვეტა შეუძლებელია.“¹³

საქართველოს სკ-ის 149-ე მუხლის მიხედვით, უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე. ამ დეფინიციისაგან განსხვავებულია „საჯარო რეესტრის“ შესახებ საქართველოს კანონში გამოყენებული უძრავი ნივთების ცნება: უძრავი ნივთი – მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე. შენობა-ნაგებობა (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული), შენობა-ნაგებობის ერთეული (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული) და ხაზობრივი ნაგებობა. სამართლებრივად ამ განსხვავებას არა აქვს დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან ხაზობრივი ნაგებობა (საკომუნიკაციო ნაგებობა, საავტომობილო გზა, რკინიგზა, ელექტროგადამცემი ხაზი, კავშირგაბმულობის ხაზი, ფუნი-

კულიორი, დამბა, არხი) საქართველოს სკ-ის გაგებით უძრავი ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილია.¹⁴ მიწის ნაკვეთის ცნება ასევე, მოიცავს გაუშენებელ ტერიტორიასაც.¹⁵ ბუნებრივია, მიწაზე არსებული მცენარეებისა და შენობა-ნაგებობების განხილვა შეიძლება არა დამოუკიდებელ უძრავ ნივთებად, არამედ იმ მიწის ნაკვეთის შემადგენელ არსებით ნაწილად, რომელთანაც არიან დაკავშირებული და ექცევიან შესაბამისი ნაკვეთის მიმართ მოქმედ სამართლებრივ რეჟიმში.¹⁶ ასევე, უძრავ ნივთებს მიეკუთვნება საჯარო რეესტრის რეგისტრაციას დაქვემდებარებული საჭაერო და წყლის ხომალდები, შიდა ნაოსნობის გემები. მოცემული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. უძრავ ქონებას კანონით შეიძლება ასევე, სხვა ქონებაც მიეკუთვნოს.

ყველა სახის უძრავი ნივთი პირობითად, შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს. პირველ ყოვლისა, მიზანშეწონილია მიწის ნაკვეთები, წიაღისეული და გამოცალკევებული წყლის ობიექტები გაერთიანდეს, რამდენადაც ისინი უძრავ ნივთებს თავიანთი ბუნებრივი მახასიათებლების ძალით, „ბუნებრივ“ უძრავ ნივთად წარმოადგენენ. როგორც აღნიშნავს ი. ვ. რომანენცი, მას აქვს განსაკუთრებული ღირებულება, წარმოადგენს საზოგადოებრივ ინტერესს, რომ მისი მიზნობრივი დანიშნულება იყოს დაცული და გამოყენების სპეციალური სამართლებრივი რეჟიმი დადგინდეს.¹⁷ მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები შეიძლება გასხვისდეს ან გადაეცეს ერთი პირიდან სხვა პირს, სხვა წესით იმ ფარგლებში, რომელშიც მისი ბრუნვა მიწის ან სხვა ბუნებრივი რესურსების შესახებ კანონითაა დასაშვები. ამის შესაბამისად, სხვადასხვა კატეგორიის მიწის, ასევე წყლის ობიექტების ბრუნვა შეიძლება შეზღუდული ან პრაქტიკულად გამორიცხული იყოს. წიაღისეული ნაკვეთების სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლებაზე სერიოზული საუბარი ნაადრევია, რამდენადაც საქართველოში წიაღისეულის საკუთრებაზე დაცულია სახელმწიფოს განსაკუთრებული უფლება.¹⁸

მეორე ჯგუფში შეიძლება გამოიყოს ტყეები და მრავალწლოვანი ნარგაობები, რომელიც თავისი სპეციფიკით, პირველ ყოვლისა, ბუნებრივ ობიექტებს წარმოადგენს და მეორე მხრივ, განუყოფლად დაკავშირებული არის მიწასთან, რის გამოც მათი გადაადგილება არათანაზომიერი ზიანის გარეშე შეუძლებელია.

მესამე ჯგუფში მიწასთან მყარად დაკავშირებული ხელოვნურად შექმნილი ობიექტებია გაერთიანებული. დღესდღეობით სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებათა აბსოლუტური უმრავლესობა საცხოვრებელი სადგომის, სახლის, ბინის თაობაზე იდება. ეს აიხსნება იმით, რომ სამისდღეშიო სარჩოს მიღების საჭიროების მქონე მოქალაქეთა უმრავლესობას, სხვა

უძრავი ქონება, რომელიც მათ საკუთრების უფლებით ექნებოდათ, უბრალოდ არ გააჩნიათ.

დასაშვებად ვთვლით, რომ სკ-ში რაიმე შეზღუდვების არარსებობის გამო, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება შესაძლებელია დაიდოს არა მარტო უძრავ ობიექტებთან დაკავშირებით, როგორც ერთიანი, სრული, არამედ მის ნაწილზე, მაგალითად, ერთი ოთახი. 1964 წლის სსკ-ით გარდაცვალებამდე რჩენის ხელშეკრულების საგანს საცხოვრებელი სადგომი ან მისი ნაწილი წარმოადგენდა, რომელიც პირს კერძო საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა. ო. ს. იოფე თვლიდა, რომ უნდა მივიჩნიოთ საცხოვრებელი სადგომის ნაწილი ხელშეკრულების საგნად მხოლოდ მაშინ, როცა თავად გამსხვისებელი ფლობს არა საცხოვრებელ სადგომს სრულად, არამედ მხოლოდ მის ნაწილს ან როცა სადგომის ერთი ნაწილი გასხვისებულია სხვა სახის ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო მეორე ნაწილი – გარდაცვალებამდე რჩენის ხელშეკრულებით. ამიტომ როგორც კი გამსხვისებელი გადასცემს შემძენს სადგომის ნაწილს, ხოლო ნაწილს თავისთვის დაიტოვებს, არ განიცდის რა, ამით საცხოვრებელ სადგომზე მოთხოვნების დაკმაყოფილებაში საჭიროებას, „მიუხედავად კერძო საკუთრების სამომხმარებლო დანიშნულებისა,“ მას შეუძლია სადგომის ეს ნაწილი გასაქირავებლად გამოიყენოს.¹⁹

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება ასევე, შეიძლება საწარმოს, როგორც ქონებრივი კომპლექსის მიმართებაში დაიდოს, რომელიც საქართველოს სკ-ის 149-ე მუხლის შესაბამისად, უძრავ ნივთს წარმოადგენს და მოცემულ კვლევაში ცალკე, უძრავი ნივთების მეოთხე ჯგუფშია გამოყოფილი. საწარმოს სპეციფიკა აიხსნება იმით, რომ იგი წარმოადგენს ქონებრივ კომპლექსს, რომლის შემადგენლობაშიც არა მარტო სხვადასხვა ქონება შედის, არამედ ვალდებულებითი უფლება, მოთხოვნები და ვალები, ასევე, განსაკუთრებული უფლებები. საწარმო წარმოადგენს უძრავ ქონებას არა იმიტომ, რომ იგი მყარადაა დაკავშირებული მიწასთან, არამედ კანონმდებლის გადაწყვეტილებით ამ სპეციფიკურ ობიექტზე უძრავი ნივთებისათვის დადგენილი განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმის გავრცელებით. ლიტერატურაში ასეთი სახით უძრავი ქონება განიხილება როგორც უძრავი ქონება დანიშნულებისამებრ,²⁰ უძრავი ქონება კანონის ძალით.²¹ თუმცა, დღეს პრაქტიკაში სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით საწარმოს, როგორც ქონებრივი კომპლექსის გადაცემა არ გვხვდება, რაც დაკავშირებულია იმ მოქალაქეთათვის საწარმოებზე საკუთრების უფლების არარსებობით, რომლებიც სამისდღეშიო სარჩოს მიღებას საჭიროებენ.

მეხუთე ჯგუფში უნდა გამოიყოს ობიექტები, რომელთა შემადგენლობაშიც საჭაერო და წყლის ხომალდები, შიდა ნაოსნობის ხომალდები, კოსმოსური ობიექტები შედის. აღნიშნული ობიექტები ასევე, მიეკუთვნებიან უძრავ ნივთებს დანიშნულებისამებრ. ასეთი სახის ობიექტებისათვის მიკუთვნება არ საჭიროებს მათ აუცილებელ კავშირს კონკრეტულ მიწის ნაკვეთთან. უფრო მეტიც, ეს შეუძლებელიცაა. საჭაერო და წყლის ხომალდების, შიდა ნაოსნობის ხომალდებისა და კოსმოსური ობიექტების გვარეობითი ერთობა „მოძრავი უძრავი ნივთების“ მნიშვნელოვანი ღირებულებით და მათი ინდივიდუალიზაციის უზრუნველყოფი საჯარო რეესტრის რეგისტრაციის აუცილებლობითაა განპირობებული.²² თუმცა, უნდა დავეთანხმოთ გ. ბ. ლეონოვას მოსაზრებას, რომ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით საჭაერო და წყლის ხომალდებთან მიმართებაში, შიდა ნაოსნობის ხომალდების და კოსმოსური ობიექტებიდან სარჩოს პოტენციური მიღებისათვის ასეთ ნივთებზე საკუთრების უფლების უქონლობის გამო, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა ფრიად საეჭვოა.²³

3. სამისდღეშიო სარჩოს მიღების სანაცვლოდ გადაცემული მოძრავი ნივთები

სანივთო სამართლის თვალსაზრისით, უძრავ და მოძრავ ნივთებს შორის განსხვავებას მნიშვნელოვანი პრაქტიკული დატვირთვა აქვს. ეს განსხვავება საკუთრების წარმოშობის განსხვავებულად განხორციელებაში ვლინდება. ნივთების დაყოფის დასახელებული კლასიფიკაციის გარდა, სამოქალაქო კანონმდებლობა იცნობს მოძრავი ნივთების დაყოფას – შეცვლად და შეუცვლად, გვაროვნული და ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრულ, ასევე მოხმარებად და მოუხმარებად ნივთებად. სხვა ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებისაგან განსხვავებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ლეგალური დეფინიციების დონეზე ამგვარ კლასიფიკაციას არ იცნობს. ამიტომ არსებითად, საუბარია მოძრავი ნივთების დოგმატურ, მეცნიერულ კლასიფიკაციაზე.²⁴ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმებიდან გამომდინარე, სარჩენის მხრიდან სამისდღეშიო სარჩოს მიღების სანაცვლოდ შეიძლება გათვალისწინებული იქნას არა მხოლოდ უძრავი ქონების გადაცემა, არამედ მოძრავი ნივთისაც. სამისდღეშიო სარჩოს მიღების სანაცვლოდ გადაცემული მოძრავი ნივთი შეიძლება იყოს როგორც გვაროვნული, ასევე ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული, შეცვლადი და შეუცვლადი ან მოხმარებადი და მოუხმარებადი ნივთი. მაგალითად, 10 ტონა მარცვლეული ან ანტიკვარული ავეჯი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კანონმდებლობა სამისდღეშიო სარჩოს მიღების სანაცვლოდ გადასაცემი უძრავი ქონების მსგავსად აუცილებელ სანოტარო დამოწმებას არ აწესებს, არამედ მხარეთა მიერ ხელშეკრულების მხოლოდ წერილობითი ფორმით ჩამოყალიბებაა საკმარისი.

ქონებრივი ბრუნვის სამართლებრივი რეგულირებისათვის, ნივთების ინდივიდუალური და გვაროვნული ნიშნით განსაზღვრულ ნივთებად დაყოფამ დიდი მნიშვნელობა შეინარჩუნა. ნივთების ამა თუ იმ ჯგუფისადმი მიკუთვნებისას, სახელშეკრულებო ვალდებულების რეალური შესრულების უზრუნველსაყოფად, ასევე, დარღვეული უფლების დაცვის საშუალების შერჩევისათვის, მათი იურიდიულად და ფაქტობრივად აღიარებისათვის შეცვლადი და შეუცვლადი ნივთების როლისა და მნიშვნელობის ცოდნა აუცილებელია. საჯარო რეესტრში რეგისტრაციით სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით გადაცემული უძრავი ქონების ინდივიდუალური სახით განსაზღვრა ხდება, რამდენადაც უძრავ ქონებაზე გარიგების დადებისას, რეგისტრაციას რეალურად არსებული უფლება ექვემდებარება. გარდა ამისა, ხელშეკრულებაში უძრავი ქონების ინდივიდუალური ნიშან-თვისებები უნდა იყოს ასახული, ისეთი როგორიცაა, მისი ადგილმდებარეობა, შემადგენლობა, ფართობი და ა. შ. არსებით პირობებზე შეუთანხმებლობის არარსებობის მიზეზით გარიგების საგნის მსგავსი მონაცემების არარსებობისას – ხელშეკრულება დადებულად არ ჩაითვლება.

4. სამისდღეშიო სარჩო როგორც სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების საგანი

4.1. ფულადი სარჩო, მისი მიწოდების ფორმა, ოდენობა და წესი

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების საგანი ერთი მხრივ, უძრავი ქონებაა, რომელსაც სარჩენი სამისდღეშიო სარჩოს მიწოდების სანაცვლოდ მარჩენალს გადასცემს, ხოლო მეორე მხრივ, ხელშეკრულების საგანია თავად სამისდღეშიო სარჩო. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, იგი გადახდილი იქნება პერიოდულად მისაწოდებელი ფულადი გადახდის თუ ნატურალური სარჩოს სახით. სამისდღეშიო სარჩოს მიწოდების სანაცვლოდ გადაცემული უძრავი ქონების გარიგებაში მითითებული უნდა იყოს მონაცემები, რომელიც შესაძლებელს გახდის, განისაზღვროს ინფორმაცია უძრავი ქონების, შესაბამისი მიწის ნაკვეთის ან სხვა ქონების შემადგენლობაში არსებობის შესახებ.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებისათვის მეორე ჯგუფის არსებით პირობებს შორის, რომელიც დასახელებულია კანონში და სხვა სამართლებრივ აქტებში, სსკ აღნიშნავს, რომ მასში სარჩენისათვის მისაწოდებელი სარჩოს მთლიანი ოდენობა უნდა იყოს ასახული. არსებით პირობას შეიძლება მივაკუთვნოთ კიდევ რიგი პირობები: ქონების ფასი, რომელიც

სარჩოს გადახდის სანაცვლოდაა გადაცემული და კონტრაჰენტის სარჩენად პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებების ფასი.

რაც შეეხება სარჩოს, კანონმდებელი თავდაპირველად, მას „ნატურალური“ სახით, როგორც მოცემული ხელშეკრულების სოციალურ სპეციფიკას განამტკიცებს. მასში საცხოვრებელ სადგომზე, კვებაზე და ტანსაცმელზე საჭიროების უზრუნველყოფა, ასევე, მოვლა-პატრონობა იგულისხმება, თუ ამას სარჩენი მხარის ჯანმრთელობის მდგომარეობა მოითხოვს. ბუნებრივია, რომ შემდგომში საკამათო საკითხების თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია ეს დებულებები დაკონკრეტდეს. ასევე, დაკონკრეტებული უნდა იყოს რომელი საცხოვრებელი სადგომი, რა სახის კვება, ტანსაცმელი უნდა მიაწოდოს მარჩენალმა ნატურალური სარჩოს სახით, რაში უნდა გამოიხატებოდეს სარჩენის მოვლა-პატრონობის არსი.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაში განსაზღვრული უნდა იყოს სარჩოს ოდენობა. საქართველოს სკ-ის 943-ე მუხლის შესაბამისად, იგი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. თუმცა, მიგვაჩნია, რომ სარჩოს საერთო ოდენობა თვეში არ უნდა იყოს შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმის ორმაგ ოდენობაზე ნაკლები. „საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, საარსებო მინიმუმი გამოიანგარიშება ნორმატიულ-სტატისტიკური მეთოდის საფუძველზე, მიმდინარე (შესყიდვის) საშუალო ფასების მიხედვით. ნორმატიული მეთოდის გამოყენებით ფორმირდება სასურსათო კალათა, რომელიც ითვალისწინებს კვების პროდუქტების მოხმარების მინიმალურ ნორმებს, ხოლო სტატისტიკური მეთოდით განისაზღვრება დანახარჯები არასასურსათო საქონელსა და მომსახურებაზე, რომელიც ითვალისწინებს მოხმარების ფაქტობრივ დონეს. საარსებო მინიმუმის ფორმირებას საფუძვლად უდევს შრომისუნარიანი მამაკაცის სასურსათო კალათა.²⁵ მოცემული ნორმის გაანალიზებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სარჩოს მთლიანი ოდენობა, აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში. თუმცა, ამის გამოთვლა შეუძლებელია, რამდენადაც სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება წყვეტს მოქმედებას განსაზღვრული მოვლენის – სარჩენის გარდაცვალების შემთხვევაში ან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მოქმედების ვადის (ხუთი, ათი წელი ან სხვ.) ამოწურვის შედეგად. თუმცა, როგორც პირველ ისე მეორე შემთხვევაში უნდა გავაკეთოთ დასკვნა, რომ სსკ-ზე მუშაობისას კანონმდებელს მხედველობაში ჰქონდა სარჩოს მთლიანი ოდენობის განსაზღვრა ერთი თვის განმავლობაში და არა ხელშეკრულების მთელი მოქმედების პერიოდში. გამომდინარე იქიდან, რომ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრუ-

ლება გრძელვადიანი ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობაა და მისი შეწყვეტის კალენდარული თარიღი არცერთი მხარისათვის არ არის ცნობილი და ფულადი კურსის გაუფასურების, ინფლაციის თუ სხვა ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით მხარეები რამდენჯერ შეიძლება აღმოჩენილიყვნენ სარჩოს ოდენობის განსაზღვრის აუცილებლობის წინაშე, პრიორიტეტულად მიგვაჩნია, ფულადი თუ ნატურალური სახის სარჩოს ოდენობის განსაზღვრა შრომისუნარიანი მამაკაცის სასურსათო კალათის ორმაგი ოდენობის მიხედვით ხდებოდეს. ამასთან დაკავშირებით ვთვლით, რომ აუცილებელია საქართველოს სკ-ის 943-ე მუხლის შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბება: „სამისდღეშიო სარჩოს ოდენობა განისაზღვრება ერთი თვის განმავლობაში მისაწოდებელი სარჩოს ფარგლებში. ამასთან, მისი ოდენობა არ შეიძლება შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმის ორმაგ ოდენობაზე ნაკლები იყოს.“

სამისდღეშიო სარჩოს ოდენობის განსაზღვრისას ასევე, მისაღები ვარიანტი იქნებოდა, თუ უშუალოდ საარსებო მინიმუმის სიდიდიდან გამომდინარე ვიხელმძღვანელებდით.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით გადასახდელი სარჩო შეიძლება იყოს ფულადი ან ნატურალური სახის. მისი ოდენობა მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება, მაგალითად, ყოველთვიურად 300 ლარი. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სკ-ის 943-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა წარმოადგენს, სწორედ რომ ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლების გამოხატულებას.²⁶

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების არსებით პირობებად უნდა ჩაითვალოს პირობები ხელშეკრულების საგნის შესახებ და მარჩენალის მიერ სარჩენისათვის მისაწოდებელი სამისდღეშიო სარჩოს მთლიანი ოდენობის ღირებულება, ასევე რიგი სხვა პირობები, რომელიც საკვლევი ხელშეკრულებისათვის აუცილებელს წარმოადგენს. თუ ერთი-ერთი მხარის განცხადებით სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენების თაობაზე შესაბამისი პირობა, საკვლევი ხელშეკრულებისათვის ასეთი პირობა ასევე, არსებითად ჩაითვლება.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებისათვის არსებით პირობას წარმოადგენს შეთანხმება ხელშეკრულებით გადასაცემი ქონების ღირებულების თაობაზე. მოცემული პირობა, პირველ ყოვლისა, იმ გარიგებებისათვისაა აუცილებელი, როდესაც სამისდღეშიო სარჩოს მიღების სანაცვლოდ უძრავი ქონების გადაცემა გვაქვს სახეზე. მეორე მხრივ, მისაწოდებელი

სამისდღეშიო სარჩოს ოდენობის განსაზღვრაც გადასაცემი უძრავი ქონების ღირებულებაზე დამოკიდებული.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებისათვის არსებითს შეიძლება ასევე, მივაკუთვნოთ სამისდღეშიო სარჩოს პერიოდული ან ნატურალური სახით მიწოდების თაობაზე გადახდების პირობა. პერიოდულად მისაწოდებელი სარჩოს ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს არა შრომის მინიმალური ანაზღაურების ოდენობას, რომელიც შრომის კანონმდებლობით არაა განსაზღვრული და ერთადერთი აქტი, სადაც საუბარია კერძო სექტორში დასაქმებულ პირთათვის ხელფასის მინიმალურ ოდენობაზე, არის საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ივნისის №351 ბრძანებულება, რომლითაც მინიმალური ხელფასის ოდენობად დამტკიცებულია 20 ლარი.²⁷ შრომის მინიმალურ ანაზღაურებას, ბუნებრივია, არ შეუძლია უზრუნველყოს სარჩენის სრულფასოვანი არსებობა. ამიტომაც ორიენტირი უნდა გაკეთდეს არა შრომის მინიმალური ანაზღაურების ოდენობაზე, არამედ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ დადგენილ საარსებო მინიმუმის ოდენობაზე. 2020 წლის მარტში, შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმმა 206,1 ლარი შეადგინა, რაც სტატისტიკის წარმოების ისტორიაში მაქსიმალური მაჩვენებელია.²⁸

საქართველოში საარსებო მინიმუმს 1997 წლიდან ითვლიან. სწორედ ამ წელს მიიღო პარლამენტმა კანონი, რომელიც დღესაც მოქმედებს. მოცემული კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, საარსებო მინიმუმი არის ერთ სულ მოსახლეზე სამომხმარებლო საქონლის ღირებულებითი გამოხატულება, რომელიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის შესაბამისად უზრუნველყოფს ადამიანის მინიმალური ფიზიოლოგიური და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.²⁹

4.2. ნატურალური სარჩო, მისი მიწოდების ფორმა და მიწოდების ჯერადობა

თუ სარჩო განსაზღვრულია ნატურით (ბინით, კვებით, მოვლით და სხვა აუცილებელი დახმარებით), ასევე, დეტალურად უნდა განისაზღვროს ხელშეკრულებით მისი ოდენობა, კანონის ამ მოთხოვნის დაცვას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რამეთუ მასზეა დამოკიდებული ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას მხარეთა უფლება-მოვალეობათა მოცულობა.³⁰

სამისდღეშიო სარჩოს მიწოდებისას ზოგადი წესით ვალდებულების შესრულება ნატურალური სახით ყოველდღიური სასიცოცხლო მოთხოვნების უზრუნველყოფით უნდა სრულ-

დებოდეს. ამაში მდგომარეობს განსახილველი ხელშეკრულების სპეციფიკა. ამის მიუხედავად, სამისდღეშიო სარჩო, რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი მიწოდებული, ხელშეკრულებაში განსაზღვრულ ფულად ოდენობაში უნდა იყოს გამოხატული, რომელიც მისაწოდებელი სარჩოს საერთო ოდენობის ღირებულების ეკვივალენტური იქნება. სარჩოს საერთო ოდენობის განსაზღვრისას, არა მხოლოდ აუცილებელი ნივთებისა და კვების პროდუქტების შეძენაზე ფაქტობრივად გაწეული ხარჯები უნდა იქნას გათვალისწინებული, არამედ ასევე, სარჩენისათვის გაწეული მომსახურება, მისთვის შესრულებული განსაზღვრული სამუშაო და სხვა შეფასდება. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მოქმედი სსკ დასავლეთის ქვეყნების ან რუსეთის ფედერაციის სკ-გან განსხვავებით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს, რომ სამისდღეშიო რჩენის საერთო ოდენობა თვეში არ უნდა იყოს კანონით დადგენილი შრომის მინიმალური ანაზღაურების ორმაგ ოდენობაზე ნაკლები,³¹ სარჩოს ოდენობის განსაზღვრისათვის არანაირ დებულებას არ შეიცავს.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება იმითაცაა სპეციფიკური, რომ სარჩო არა ფულად ფორმაში, არამედ სარჩენის ყოველდღიური ცხოვრებისეული მოთხოვნების დაკმაყოფილების სახითაა წარმოდგენილი. აუცილებელია აღინიშნოს ხელშეკრულებით გადაცემული ნივთის ურთიერთკავშირი სარჩოს გადახდების ოდენობასთან შედარებით. პრაქტიკულმა კვლევებმა აჩვენა, რომ რაც უფრო მაღალია გადაცემული ქონების ღირებულება, გადასახდელი სარჩოს ოდენობაც მით მაღალ ფასში დგინდება.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების ფასს გასხვისებული უძრავი ქონების ღირებულება წარმოადგენს. ხელშეკრულების ფასის დადგენისას, მხარეები ჩვეულებრივ უძრავი ქონების საინვენტარიზაციო ან სადაზღვევო ღირებულებას ეყრდნობიან. ამავე დროს მხარეებს უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების გათვალისწინება შეუძლიათ.³²

განსაზღვრულ ინტერესს წარმოადგენს შემდეგი მომენტი. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების დადებისას, აუცილებელი მოთხოვნაა, მთელი სამისდღეშიო რჩენის ოდენობა მიეთითოს. მოცემული დებულება გარკვეულ სირთულეს იწვევს. პირველ ყოვლისა, როგორც მართებულად აღნიშნა ა. პახომოვმა,³³ ხელშეკრულების დადების მომენტიდან მის დასრულებამდე შეუძლებელია ზუსტად იყოს დადგენილი სამისდღეშიო სარჩოს მთლიანი ოდენობა. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების ხანგრძლივობა სარჩენის სიცოცხლის ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული. სარჩოს მთელი ოდენობის წინასწარ განსაზღვრა სრულიად პირობით ხასიათს ატარებს, რამდენადაც ხელშეკრულების დადების მომენტისათ-

ვის შეუძლებელია გათვლილი იყოს სარჩენის სიცოცხლის ხანგრძლივობა, ასევე შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობა (მაგ., ხელშეკრულების დადებიდან 10-15 წლის შემდეგ), ხოლო შეფასებას ექვემდებარება, განისაზღვროს მომსახურება და საქონელი, კვების პროდუქტები, ტანსაცმელი, სამკურნალო პრეპარატები, ავადმყოფის მოვლა და სხვ. მეორე მხრივ, კანონმდებლის მიერ ამგვარი მოვალეობის დადგენა მიუთითებს ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შესაძლებლობაზე, რჩენის მთელი მოცულობის სრულად გადახდის შემდეგ, რაც განსახილველი ხელშეკრულების ალტერნატიულ ხასიათს ეჭვქვეშ დააყენებდა. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, სამისდღეშიო რჩენის სამართალურთიერთობების მოქმედების პერიოდი მოიცავს სარჩოს მიმღების სიცოცხლის ხანგრძლივობას, ამიტომ სარჩოს მთელი ღირებულების „სრულად გადახდის შემთხვევაშიც კი“, ³⁴ სარჩოს გადამხდელი მაინც ვალდებული იქნებოდა, გაეგრძელებინა თავისი ვალდებულების შესრულება. ამგვარი ნორმა განსახილველი ხელშეკრულების აზრს და მის კონსტრუქციას არღვევს. სირთულეს წარმოადგენს არა მხოლოდ სარჩოს ოდენობის განსაზღვრა, არამედ ყოველთვიური სარჩოს ოდენობის განსაზღვრაც. რამდენადაც ადამიანების მოთხოვნები განსხვავებულია. სარჩოს საერთო ოდენობის განსაზღვრის საკითხი ხშირ შემთხვევაში, მხარეთა შეუთანხმებლობის საგანს წარმოადგენს.

ხელშეკრულებაში ნატურალური სახის სარჩოს განსაზღვრას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მარჩენალისათვის, რამდენადაც დაუზუსტებელი გარემოებებისას, შეიძლება არა-ხელსაყრელი შედეგები წარმოიშვას. ამიტომ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა აღინიშნოს, მაგალითად, სად იცხოვრებს სარჩენი, თვეში რამდენჯერ უნდა მოხდეს ბინის დალაგება, მაღაზიაში საკვები პროდუქტებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენა და ა. შ. ნატურალური სახის სარჩო შეიძლება შეიცავდეს: მარჩენალზე გადაცემული ქონების ჯეროვან მდგომარეობაში შენარჩუნების მიზნით, კონკრეტული ღონისძიებების დასახვას, როგორც რეგულარულად განსახორციელებელი მიმდინარე და კაპიტალური რემონტის და მათი პერიოდულობის აღნიშვნის, ჩატარების სავარაუდო დროსა და წესებს; საცხოვრებელი სადგომის ან სხვა, სამისდღეშიო რჩენის სანაცვლოდ გადაცემული უძრავი ქონების კომუნალური და სხვა გადასახადების გადახდას; ყოველდღიურ სამჯერად კვებას, საცხოვრებელი სადგომის დალაგებას, ლოგინის თეთრეულისა და ტანსაცმლის გამოცვლას აუცილებლობის ზომების შესაბამისად, მათ გარეცხვას, თეთრეულისა და ტანსაცმლის განახლებას, პირადი ჰიგიენის უზრუნველყოფაში დახმარებას, საყოფაცხოვრებო ტექნიკით უზრუნველყოფას; ყოველთვიურ, ასევე, ავადმყოფობის გამწვავებისას, აუცილებლობის შემთხვევაში, სადღეღამისო მოვლას, სახლში სამედიცინო პერსონალის გამო-

ძახებას, მედიკამენტების შეძენასა და მკურნალობას; სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფას აუცილებლობის ზომების შესაბამისად; საფლავის მოპირკეთებას სარჩენის ანგარიშზე; სარჩენის გარდაცვალების შემთხვევაში, დაკრძალვის პროცესის ორგანიზებას თავისი ანგარიშით. მოცემული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და როგორც სარჩენის ინდივიდუალურ მოთხოვნებზე, ასევე სამისდღეშიო რჩენის სანაცვლოდ გადაცემული ქონების მახასიათებლებზეა დამოკიდებული.

დღეისათვის, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებათა აბსოლუტური უმრავლესობა საცხოვრებელი სახლის, ბინის თაობაზე იდება. პრაქტიკაში სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით წიაღისეული ნაკვეთების, გამოცალკევებული წყლის ობიექტების, ტყეებისა და მრავალწლოვანი ნარგავების, საწარმოს როგორც ქონებრივი კომპლექსის, ასევე საჭაერო და წყლის ხომალდების, შიდასანაოსნო ხომალდების და კოსმოსური ობიექტების გადაცემის შემთხვევები არ გვხვდება. ამის მიზეზი კი, სრულიად ელემენტარულია – პირველ ყოვლისა, სარჩოს პოტენციური მიმღები პირის ხელში ასეთ ნივთებზე საკუთრების უფლების არარსებობა.

მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის მიუხედავად, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების შესრულების პროცესი აუცილებელია დაფიქსირდეს, რაც უპირველესად, საჭიროა მარჩენალისათვის. აღრიცხვა რამდენიმე მეთოდით შეიძლება იქნას წარმოებული. როგორც ა. პახომოვი გვთავაზობს, პირველ ყოვლისა, ეს არის ნატურალური სახის სარჩოს მიწოდება-მიღებაზე მხარეთა მიერ ხელმოწერილი ორმხრივი აქტის შედგენა. მეორე მხრივ, სარჩენის მიერ ხელწერილის შედგენა იმის თაობაზე, თუ რა სახის მომსახურება ესაჭიროებოდა და რა მოცულობით იქნა იგი მარჩენალის მიერ მიწოდებული. მესამე მხრივ, თუ ხელშეკრულების მხარეები ცხოვრობენ ერთად და ეწევიან ერთიან მეურნეობას, მიზანშეწონილია წარმოებულ იქნას გასავლის წიგნი, რომელშიც მარჩენალმა ყველა ხარჯი, ყველა გადახდა და ჩეკი უნდა შეიტანოს. ასეთ შემთხვევაში, ყველა ხარჯი ორივე მხარის ხელმოწერით უნდა იქნას დამოწმებული. მეოთხე მხრივ, თუ გადახდა მოხდება რჩენის ფულადი ეკვივალენტით, მარჩენალს შეუძლია ფული სარჩენის პირად საბანკო ანგარიშზე ჩარიცხოს ან ფოსტით გაუგზავნოს იგი.³⁵

4.3. სამისდღეშიო სარჩოს ოდენობა და მისი გამომანგარიშების მეთოდი

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების ყველაზე გავრცელებული გამოყენება იმაში მდგომარეობს, რომ სარჩოს გადახდის პირობით უძრავი ქონების ან ბიზნესაქტივების გაყიდვა

ორმხრივად მავალდებულებელი (სინალაგმატური)³⁶ ხელშეკრულების სახით ხდება. თუ სამისდღეშიო რჩენა შეპირებულია როგორც საჩუქარი და მისი მიწოდება პერიოდულ გადახდებში გამოიხატება, მაშინ სამისდღეშიო სარჩოს გადახდის ვალდებულება მჩუქებლის (მარჩენალის) გარდაცვალებით შეწყდება, თუ შეპირებიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს. თავისთავად ივარაუდება, რომ ასეთი მხარდაჭერის ვალდებულება თავად სარჩენის გარდაცვალებით შეწყდება, რამეთუ მხოლოდ თავადაა კრედიტორი.³⁷ აღნიშნული ვალდებულების საპირისპიროდ შეიძლება ითქვას, რომ სარჩოს არსებობის ხანგრძლივობა შეიძლება მარჩენალის ან მხარეთა მიერ შეთანხმებული მესამე პირის სიცოცხლის ხანგრძლივობას ეფუძნებოდეს.³⁸ თუ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაში სარჩოს გადახდა შეთანხმებულია მესამე პირის მიმართ, საეჭვოობისას ივარაუდება, რომ მესამე პირმა უშუალოდ უნდა შეიძინოს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება ზუსტად ისე, როგორც ეს აზრი მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაშია გატარებული. ხელშეკრულებით ვალდებულების შესრულება მესამე პირის სასარგებლოდ შეიძლება შეთანხმდეს ისე, რომ შესრულების მოთხოვნის უფლება უშუალოდ მესამე პირმა შეიძინოს. სპეციალური დათქმის არარსებობისას, საქმის გარემოებებიდან კერძოდ, ხელშეკრულების მიზნიდან უნდა დადგინდეს, მესამე პირმა უნდა შეიძინოს თუ არა უფლება, მესამე პირის უფლება დაუყოვნებლივ წარმოიშობა თუ მხოლოდ განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას და ხელშეკრულების მხარეები ინარჩუნებენ თუ არა უფლებას, გააუქმონ ან შეცვალონ მესამე პირის უფლება ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე. სამისდღეშიო რჩენის თავისებურებაა, რომ იგი ყოველთვის ერთი ან რამდენიმე³⁹ პირის სიცოცხლესთანაა დაკავშირებული, ასე რომ გადასახდელი სარჩოს ოდენობა მხოლოდ და მხოლოდ ამ პირის ან პირების გარდაცვალებით განისაზღვრება.⁴⁰

მხარეთა შორის შეთანხმებული სამისდღეშიო სარჩოს ოდენობა რეგულარულად განისაზღვრება აქტუარული გამოანგარიშების გამოყენებით. აქტუარული შეფასება პერიოდულად მისაწოდებელი შესრულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვისაა მიზანშეწონილი. მარტინ ვინერი ეთანხმება აღნიშნულ მეთოდს: საუბარია არა სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით სამისდღეშიო რჩენის ვალდებულებითი ურთიერთობის შიდა ღირებულების „ჭეშმარიტ“ განსაზღვრაზე, არამედ უფრო ზუსტად მყარი სარგებლის ღირებულების განმარტებაზე ნორმალურ საბაზრო პირობებთან დაახლოებაზე.⁴¹ ღირებულების დათქმის თაობაზე კერძო ავტონომიური შეთანხმება ზოგადი დასაშვებობის ფარგლებშია შესაძლებელი.⁴² სამისდღეშიო სარჩო ინდექსაციის თაობაზე პუნქტის არარსებობისას შეიძლება იყოს კორექტირებული, თუ მას საპენსიო ხასიათი აქვს.⁴³ თუ მისი დანიშნულებაა

ბენეფიციარის ცხოვრების მიმდინარე ხარჯების დაფარვა და გარემოების შეცვლის შემთხვევაში კორექტირებას ექვემდებარება, რომელსაც მხარეები თვლიდნენ მუდმივად და შეცვლადად არ მიიჩნევდნენ.⁴⁴ თუმცა, იმისათვის, რომ სამისდღეშო პენსიის გადახდის შესაძლებლობა არსებობდეს, მხარეებმა მისი შინაარსი ხელშეკრულების ფარგლებში უნდა უზრუნველყონ.⁴⁵ საუბარია იმის თაობაზე, რომ სამისდღეშო სარჩოს გადახდა ფულადი სახით სიცოცხლის განმავლობაში თავიდანვე აღნიშნული. ასევე ის, რომ მხარეებმა სარჩოს მიღების სანაცვლოდ უარი თქვეს ცხოვრებისათვის გამიზნულ თავიანთ საცხოვრებელ უძრავ ქონებაზე და შესაბამისად, ეჭვგარეშეა, რომ აქვთ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზანი, ურთიერთის ყოველდღიურ ცხოვრებაში შეაქვთ თავიანთი წვლილი და ამ გზით სამისდღეშო სარჩო მათ შორის დადებული ხელშეკრულების გარანტირებული და განუყოფელი ნაწილი ხდება.⁴⁶ სამისდღეშო რჩენის ხელშეკრულების მხარეთა განზრახვა იმაში მდგომარეობს, რომ განემარტათ, ემსახურება თუ არა სამისდღეშო რჩენის ხელშეკრულების მიხედვით, მოთხოვნა რჩენას ან რჩენის გაუმჯობესებას და ამიტომ ის უნდა განვიხილოთ, როგორც მოთხოვნა რჩენის თაობაზე გაზრდილი შეფასების მიმართებით. თუმცა, იგი მოითხოვდა, რომ განხილვაში მარჩენალის მოსაზრების ჩართვა მხედველობიდან არ ყოფილიყო გამოტოვებული – ამგვარად, სარჩოს გადახდას შეეძლო მომსახურებოდა მარჩენალის ეკონომიკურ ინტერესებს, რომელიც არ არის მოვალე, გადაიხადოს ნასყიდობის ფასი ერთჯერადი გადახდით; გარდა ამისა, რჩენის ხასიათი შეიძლება იყოს შეცვლილი, მაგალითად, ფულადი გადახდების შეცვლა სამისდღეშო რჩენის ნატურალური სახით და პირიქით. არაა საკმარისი საპენსიო მოვალის მხოლოდ განცხადება იმის თაობაზე, რომ „შიშშილით არ მოკლავს პენსიონერს.“⁴⁷ პენსიის ვალორიზაციის⁴⁸ მოთხოვნა, რომელიც მხოლოდ ფულად ამორტიზაციას ეფუძნება, არ იქნება საკმარისი საფუძველი, რამდენადაც უძრავი ქონების ღირებულება და მისი შემოსავლები ამის პროპორციულად არ იქნება გაზრდილი.⁴⁹

სანოტარო და სასამართლო პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე ხელშეკრულების მხარეებს და ნოტარიუსებს ხელშეკრულების დამოწმებისას უნდა მიეცეთ რეკომენდაცია, ხელშეკრულების ტექსტში შეიტანონ პუნქტი სარჩოს ოდენობის ინდექსაციის შესახებ; ნატურით მისაწოდებელი სარჩოს პერიოდულობით გადასახდელი ფულადი სარჩოს სახით შეცვლის შესაძლებლობის ან შეუძლებლობის შესახებ; მარჩენალის მხრიდან ქონების გასხვისების, დაგირავების და სხვაგვარად დატვირთვის შესახებ სარჩენის წერილობითი თანხმობის აუცილებლობის შესახებ; სარჩენის მიერ გირავნობის უფლების შეძენა აღნიშნულ ქონებაზე; აგრეთვე აღნიშნული ქონების ღირებულების შემცირების დაუშვებლობაზე.

გამოანგარიშების მეთოდი, რომლის მიხედვითაც მხარეები განსაზღვრავენ სამისდღეშიო რჩენის ოდენობას კონკრეტულ გამოხატულებაში, საბოლოოდ, შესრულებისა და საპასუხო შესრულების ეკვივალენტურობის კოეფიციენტის შეფასებაზე ახდენს გავლენას და ამიტომ დაწვრილებით განხილვას საჭიროებს. ორ პირს შორის დადებული სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების შემთხვევაში, პრაქტიკულად განისაზღვრება სარჩოს გადახდის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, რომლის შესახებაც სიკვდილიანობის ცხრილიდან (table de mortalité) შეიძლება ვიმსჯელოთ, საპასუხო შესრულების შესაბამისი კაპიტალის სიდიდე და პროცენტი, რომელიც მოაქვს ან შეუძლია მოიტანოს ამ კაპიტალმა.⁵⁰ თუ საპასუხო შესრულების საგანს წარმოადგენს უძრავი ქონება, ნასყიდობის ღირებულება საჭიროების შემთხვევაში ე. წ. „სარგებლობის ღირებულების პაკეტს“ შეიცავს, იმ შემთხვევაში, თუ გამოყიდველმა ასეთი უფლება დაიტოვა.⁵¹ მიშელ არტა ასევე გვირჩევს, რომ სარჩენის ჯანმრთელობის მდგომარეობას არ გავუკეთოთ იგნორირება, მიუხედავად იმისა, რომ იგი ციფრებში ჯანმრთელობის განსაზღვრის სირთულეს აცნობიერებს.⁵² იმისათვის, რომ თვალსაჩინო გავხადოთ გამოანგარიშების მეთოდი, შემდეგი შინაარსის მაგალითზე შეიძლება მისი წარმოდგენა: 75 წლის პენსიონერს – ბერნარდ ლე კურს, რომლის მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა 15 წელია – დაბადების წელი და სიკვდილიანობის გამოსაყენებელი ცხრილი არ არის მითითებული – სამისდღეშიო სარჩოს გადახდის სანაცვლოდ 300 000,00 ევროდ ღირებული საცხოვრებელი ბინის გასხვისება და საცხოვრებელი ბინით სარგებლობის უფლების შენარჩუნება სურს: ლე კური თავისი 300 000,00 ევროდ შეფასებული უძრავი ქონებიდან შემოსავლის მიღებას ყოველთვიური საიჯარო ქირის სახით 900,00 ევროს ფარგლებში ვარაუდობს. ასევე იმას, რომ როგორც სარჩენი პირი დარჩენილი სიცოცხლის განმავლობაში თავისსავე საკუთარ უძრავ ქონებაში ცხოვრების უფლებით ისარგებლებს, რაც მას 162 000,00 ევროს დაზოგვის შესაძლებლობას მისცემს (900x12x15).⁵³ ლე კური წლიური სამისდღეშიო სარჩოს გამოსაანგარიშებლად, პირველ ყოვლისა, უკიდურესად გამარტივებული ვარაუდიდან გამოდის, რომ 100 ევროდ შეფასებული კაპიტალი მომდევნო 15 წელიწადში იძლევა 6,666 ევროს ერთი წლის განმავლობაში (ანუ 100:15). 138 000,00 ევროს ოდენობის პენსიისათვის (ანუ 300 000,00 ევროს გამოკლებული ცხოვრების უფლებისათვის 162 000,00) წლიური პენსია შეადგენს 9 199,08 ევროს (ანუ 138 000,00 x 6,666%),⁵⁴ რომელიც ყოველთვიურ სამისდღეშიო სარჩოს – დაახლოებით, 767,00 ევროს (9 199,08:12=766,59 ევრო) შეესაბამება.

სარჩოს სიმყარე ეფუძნება პირის ასაკს, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სამისდღეშიო რჩენის განსაზღვრასთან სარჩოს გადახდის ვადის დადგომასთან და არა ხელშეკრულების

დადების მომენტში არსებულ ასაკთან.⁵⁵ სამისდღეშიო სარჩოს ოდენობის შემცირების მიზანშეწონილობის განსაზღვრისათვის შედარება შეიძლება გატარებული იქნას ორი ხერხით, გაყიდვის შემთხვევაში რამდენიმე უპირატესობით, რომელიც ჩარიცხული უნდა იქნას უძრავი ქონების ნასყიდობის მაგალითზე სამისდღეშიო სარჩოს და ე. წ. „პაკეტის“ სანაცვლოდ: ან ქონების მიმდინარე ღირებულებიდან გამოიქვითება ფიქსირებული თანხა, ანუ ე. წ. „პაკეტი“, ხოლო დარჩენილი თანხა მყარ სარჩოსთან შედარდება ან ქონების ღირებულებისა და ფიქსირებული თანხის თანაფარდობა გაცემის მომენტისათვის მიმდინარე ღირებულებასთან და სარჩოსთან შედარდება.⁵⁶ გარიგების საფუძველში მოქცეული დოქტრინის ამგვარი განხილვით (théorie de l'imprévision),⁵⁷ შესაძლოა სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების ალუატორულ ბუნებაზე შეთანხმება იმ აზრით, რომ იგი მხოლოდ ეკონომიკურ ვითარებას ასახავს და მხარეთა თავდაპირველ გაცვლით ურთიერთობაზე გავლენას არ ახდენს.⁵⁸

4.4. ფულადი სარჩოს შეცვლა ნატურალური სარჩოთი და პირიქით

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით შესაძლებელია, გათვალისწინებული იყოს გადასახდელი ფულადი სარჩოს შეცვლა ნატურალური სახის გადახდით და პირიქით. მარჩენალის შემხვედრი მოთხოვნა, რიგი მოსაზრებით, რომ ნატურალური სახის სამისდღეშიო სარჩო პერიოდულად გადასახდელი ფულადი სარჩოთი შეიცვალოს, სასამართლოს მიერ ხშირად არ კმაყოფილდება. პირველ ყოვლისა, ეს თავად ხელშეკრულების ხასიათითაა განპირობებული. ასე, ა. პახომოვს მოჰყავს შემდეგი მაგალითი, რომ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების დადებისას, სარჩენმა გათვალა, პირველ ყოვლისა, მისთვის მიწოდებულ მომსახურებაზე ნატურით, იმდენად რამდენადაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეეძლო განეხორციელებინა მეურნეობის მართვა. იმის გამო, რომ მხარეთა პირადი ურთიერთობები მოშლილია, ხოლო სარჩენი მოვლას, მომსახურების მიღებას და ნატურალური სახის სარჩოს მიღებას საჭიროებს, სასამართლომ მხედველობაში მიიღო რა, რჩენის ხელშეკრულების პირადი ხასიათი, გამოიტანა განჩინება, დაეტოვებინა ცვლილებების გარეშე ხელშეკრულების მოშლის თაობაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში, ხოლო მარჩენალის შეგებებული სარჩელი ნატურალური სახის სარჩოს ფულადი სახის სარჩოთი შეცვლის თაობაზე მოთხოვნა – დატოვა დაკმაყოფილების გარეშე.⁵⁹

იმის გათვალისწინებით, რომ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების მიხედვით, შესაძლებელია სარჩოს გადახდა ფულადი ან ნატურალური სახით, არ უნდა გამოირიცხოს ასევე,

აღნიშნული სარჩოს გადახდის შერეული ფორმა. ამიტომაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ აღნიშნული დებულება საქართველოს სკ-ის 941-ე მუხლის შემადგენლობაში იქნას გათვალისწინებული: სამისდღეშიო სარჩო შეიძლება დადგინდეს ფულადი ან ნატურალური სახით (ბინით, კვებით, მოვლით და სხვა აუცილებელი დახმარებით) ან შერეული სარჩოს სახით. თუ ნატურალური სახის სამისდღეშიო სარჩო შეიცვლება პერიოდულად მისაწოდებელი ფულადი სახის სარჩოთი, ხელშეკრულებაში მიზანშეწონილია, განისაზღვროს მისი გადახდის კონკრეტული კალენდარული ვადა, მაგალითად, არაუგვიანეს მომდევნო თვის 3 რიცხვისა.

სარჩოს მიწოდების ხერხს აქვს არანაკლები მნიშვნელობა. ხელშეკრულებაში კონკრეტული თარიღის და სარჩოს გადახდის ხერხის მითითება სარჩენს ეხმარება, დაგვიანების შემთხვევაში, მარჩენალის პასუხისმგებლობის ზომა განსაზღვროს. ხელშეკრულების მხარეები ფულადი სარჩოს გადახდის შემთხვევაში, შემდეგი ხერხიდან ერთ-ერთს ირჩევენ: მარჩენალის მიერ სარჩენისათვის ფულის ხელიდან ხელში ფაქტობრივი გადაცემის გზას; სარჩენის პირად საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვას.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების დადების პრაქტიკის ანალიზი შესაძლებელს ხდის დავასკვნათ, რომ კომუნალური მომსახურებისათვის მოსაკრებელს იხდის მარჩენალი, თანაც მიუხედავად იმისა, ცხოვრობს თუ არა იგი სარჩენთან ერთად. სარჩენისა და მარჩენალის ცალ-ცალკე ცხოვრების შემთხვევაში, ვთვლით, რომ გაცილებით გონივრული იქნებოდა, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაში სარჩენისათვის დანახარჯების ანაზღაურების თაობაზე პირობის შეტანა, რომელიც მან კომუნალური მომსახურებისათვის მოსაკრებლის გადახდაზე გასწია. მოცემულ პირობაში ორივე მხარის ინტერესი იქნება გათვალისწინებული. სარჩენის ინტერესი კმაყოფილდება, რამდენადაც პირველ ყოვლისა, სარჩენმა საცხოვრებელი სადგომის სამისდღეშიო სარგებლობაში დატოვებით, კომუნალური მომსახურების მიხედვით არსებული შეღავათების უფლება უნდა შეინარჩუნოს. მეორე, კომუნალური მომსახურების სარგებლობით და თუნდაც თავდაპირველად, საკუთარი სახსრების ხარჯზე წყალს და ელექტროენერგიას იგი ეკონომიურად მოიხმარს. შედეგად, თანხა, რომლის გადახდა მარჩენალს დაეკისრება, იმაზე ნაკლები იქნება, ვიდრე თავად მარჩენალს უნდა გადაეხადა.

ერთ-ერთ სადავო საქმეზე სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო, რომ მოსარჩელები ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, საჭიროებდნენ ზრუნვას და მოვლა-პატრონობას,

ამიტომ ისინი მოპასუხეს შემდეგ პირობებზე შეუთანხმდნენ: მოსარჩელე ა. შ. გადასცემდა მოპასუხეს მის საკუთრებაში არსებულ ქონებას, რომლის განკარგვის უფლება მოპასუხეს მოსარჩელის გარდაცვალების შემდეგ ექნებოდა. ამ ქონების სანაცვლოდ, მოპასუხე მიაწოდებდა სარჩოს ნატურალური სახით. ამ ურთიერთობის რეგულირების მიზნით 2000 წლის 13 დეკემბერს მხარეებს შორის დაიდო ა. შ.-ის სახელზე რიცხული საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება.⁶⁰

დასკვნა

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების გამოყენებას დღეს ქვეყნისათვის სოციალური პოლიტიკის ინსტრუმენტის მნიშვნელობაც აქვს. მართებულიად უწოდა ცნობილმა ფრანგმა იურისტმა ალან ბენაბენტმა სამისდღეშიო რენტას საკუთარი თავისათვის გაკეთებული მემკვიდრეობა. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი იურიდიული თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის ალუატორული ნიშან-თვისებებითაა აღჭურვილი. გადასახდელი სამისდღეშიო სარჩოს ოდენობა მხარეთა შეთანხმებით დგინდება არა მხოლოდ სამისდღეშიო სარჩოს მიღების სანაცვლოდ გადაცემული უძრავი ქონების ღირებულების გათვალისწინებით, არამედ როგორც წესი, სარჩენის ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებითაც. გარდა ამისა, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება მიჩნეულია როგორც ალუატორული, ანუ სარჩოს მოქმედების პერიოდში გადახდას დაქვემდებარებული სარჩოს გადახდების საერთო ოდენობა სარჩოს მიღების სანაცვლოდ გადაცემული უძრავი ქონების ღირებულებაზე არაა დამოკიდებული. ამგვარად, უძრავი ქონების ფასი სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების არსებით პირობას არ წარმოადგენს.

შენიშვნები:

- ¹ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005, გვ. 270.
- ² კობახიძე ა., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2001, გვ. 325.
- ³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, 2001, გვ. 60-61.
- ⁴ Гражданское право ч.2-ая: Обязательственное право под ред. В.В. Залеского, М., 1998, стр. 142.
- ⁵ Красавчиков О.А., Гражданско-правовой договор: понятие, содержание, функции//Гражданско-правовой договор и его функции Межвузовский сборник научных трудов, Свердловск, 1980, стр. 7-21.
- ⁶ ჩიტოშვილი თ., ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებათა შინაარსი და სახეები (ზოგადი დახასიათება), უსაფუძვლო გამდიდრება (ზოგადი საკითხები), 2015, გვ. 25.
- ⁷ Новицкий И.Б., Лунц Л.А., Общее учение об обязательстве, М., 1950, стр. 14.
- ⁸ ბალიშვილი ეკ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ტანტურია (რედ.), 327, 1.
- ⁹ იქვე, გვ. 92.
- ¹⁰ ჩიტოშვილი თ., ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებათა შინაარსი და სახეები (ზოგადი დახასიათება), უსაფუძვლო გამდიდრება (ზოგადი საკითხები), 2015, გვ. 16.
- ¹¹ ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, 2017, გვ. 80.
- ¹² საქართველოს კონსტიტუცია, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36#!> [26.10.2022].
- ¹³ Шершеневич Г.Ф., Учебник русского гражданского права (по изданию 1907 г.), М., 1995, стр. 96.
- ¹⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, 2018, გვ. 10.
- ¹⁵ ტანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 145.
- ¹⁶ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009, გვ. 194.
- ¹⁷ Романец Ю.В., Система договоров в гражданском праве России М., 2001, 212.
- ¹⁸ საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის 1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, <https://matsne.gov.ge/document/view/30346?publication=35> [20.10.2022].
- ¹⁹ Иоффе О. С., Обязательственное право, М., 1975, стр. 297.
- ²⁰ Собрание законодательства РФ, 1998, №29, стр. 340.
- ²¹ Сыродоев Н. А., Регистрация прав на землю и другое недвижимое имущество. Государство и право 1998, №8, стр. 92.
- ²² Романец Ю.В., Система договоров в гражданском праве России М., 2001, стр. 220.
- ²³ Леонова Г.Б., Договор пожизненного содержания с иждивением // законодательство, 1999 №8, стр. 2.
- ²⁴ ტანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 147-148.
- ²⁵ საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ საქართველოს 1997 წლის 17 აპრილის კანონი, 05.07.2018 წ. მდგ., <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29824?publication=7> [20.10.2022].
- ²⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცორების საქმეთა პალატის 2001 წლის 31 იანვრის №3კ/782 განჩინება.

- ²⁷ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ივნისის N351 ბრძანებულება მინიმალური ხელფასის ოდენობის შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/112786?publication=0> [20.10.2022].
- ²⁸ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/49/saarsebo-minimumi> [20.10.2022].
- ²⁹ საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ საქართველოს 1997 წლის 17 აპრილის კანონი, 05.07.2018 წ. მდგ., <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29824?publication=7> [20.10.2022].
- ³⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართალი კერძო ნაწილი, ტ. 2, 2001, გვ. 317.
- ³¹ Гражданский кодекс РФ, ст. 602.2. <http://base.garant.ru/10164072/305464cf3c231170f1f7f42f4ac34ef3/> [20.10.2022].
- ³² Гражданский кодекс РФ, ч.2, Комментарий гл. 31: Мена. гл. 32: Дарение. гл. 33 Рента и пожизненное содержание с иждивением. Отв. ред. П.Е.Абова, А.Ю.Набалкин, 1999, стр. 59.
- ³³ Пахомов А.С., Купля-продажа с условием пожизненного содержания. Закон, 1998, №7, стр. 119.
- ³⁴ იქვე, გვ. 119.
- ³⁵ Пахомов А.С., Купля-продажа с условием пожизненного содержания. Закон, 1998, №7, стр. 120.
- ³⁶ გერნჰუბერის კომენტარებში „ორმხრივი ხელშეკრულების“ ნაცვლად გამოყენებულია ტერმინი „ორმხრივად მავალდებულებელი“ ან „სინალაგმატური ხელშეკრულება.“ იმისათვის, რათა გარკვეულ იქნას მოთხოვნები ორმხრივად მავალდებულებელი ვალდებულებების არსებობის თაობაზე, შდრ. ანალოგ., Gernhuber J., Handbuch des Schuldrechts: in Einzeldarstellungen, B. 8: Das Schuldverhältnis, Tübingen 1989, p. 310.
- ³⁷ Motive zu dem Entwurfe eines bürgerlichen Gesetzbuches für das Deutsche Reich, B.2, Recht der Schuldverhältnisse, Berlin/Leipzig 1888 –Nachdruck: 1983, S. 298. Mugdan B., Die gesamten Materialien zum Bürgerlichen Gesetzbuch für das Deutsche Reich, B. 2, Recht der Schuldverhältnisse, Aalen 1979 (Neudruck der Ausgabe Berlin 1899), p. 165.
- ³⁸ Sepp K., Der Leibrentenvertrag nach dem Bürgerlichen Gesetzbuch, München 1905, p. 17.
- ³⁹ რამდენიმე პირის შემთხვევაში, საუბარია კომბინირებულ ე. წ. „ძმურ რენტაზე“, Sepp K., Der Leibrentenvertrag nach dem Bürgerlichen Gesetzbuch, München 1905, p. 8.
- ⁴⁰ Meyer-S.A., Veräußerungsrenten und Versorgungsrenten: Die Übertragung eines Betriebs, Teilbetriebs oder Mitunternehmeranteils gegen Zahlung einer Leibrente, Hamburg, Univ., Diss., 1990, p. 28.
- ⁴¹ Winner M., Wert und Preis im Zivilrecht, Wien 2008, p. 116.
- ⁴² Rummel P., (Hrsg.), Kommentar zum Allgemeinen bürgerlichen Gesetzbuch, Wien – 2. B., 1. Teil: §§ 1175 bis 1502 ABGB, 2. Aufl., 1992, §§ 1267-1277 bearbeitet von Krejci H., §§ 1284-1286, Rn.14.
- ⁴³ Klang H.,/Gschntzer, F., (Hrsg.), Kommentar zum Allgemeinen bürgerlichen Gesetzbuch, Wien – 4. B., erster Halbband, §§ 859-1044, 2. Aufl., 1968 §§ 983-1001 bearbeitet von Stanzl G., §§ 985-989, p. 722.
- ⁴⁴ მომსახურების ხელშეკრულებები ზოგადად, რომლებიც სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებიდან განსხვავებით, რეგულარულად ირიბად რეგულირდებიან „clausula rebus sic stantibus“: Klang H.,/Gschntzer F., (Hrsg.),

Kommentar zum Allgemeinen bürgerlichen Gesetzbuch, Wien – 4. B., erster Halbband, §§ 859-1044, 2. Aufl., §§ 983-1001 bearbeitet von Stanzl G., 1968, §§ 985-989, p. 721.

⁴⁵ Ertl G., Inflation, Privatrecht und Wertsicherung, Wien 1980, p. 69.

⁴⁶ OGH, ZBl. 1926, 680 (681).

⁴⁷ OGH, EvBl. 1956/126, 238.

⁴⁸ ვალორიზაცია (ფრ. Valorisation) – რაიმე საქონლის ფასის ხელოვნურად აწევა უმთავრესად, ამ საქონლის წარმოების შეკვეცის გზით, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=14091> [20.10.2022].

⁴⁹ OGH, SZ 7/1, 3 (6).

⁵⁰ J.-Cl. Civil/de Quenaudon/Rakotovahiny, Art. 1976, fasc. 10, Nr. 2; Nr. 4.; Bernard/Landrieu, La vente en viager, 8-10.

⁵¹ J.-Cl. Civil/de Quenaudon/Rakotovahiny, Art. 1976, fasc. 10, Nr. 2 f.; Nr. 5; Bernard/Landrieu, La vente en viager, 8-10.

⁵² Artaz M., Viagers, Régime juridique et fiscal, Paris, 2005, 35.

⁵³ Le Court B., Guide des viagers, Héciry 2006, 159.

⁵⁴ Statistisches Bundesamt, Kommuntationszahlen und Versicherungsbarwerte 2009/2011, 51.

⁵⁵ J.-Cl. Civil/de Quenaudon/Rakotovahiny, Art. 1976, fasc. 20, Nr. 126.

⁵⁶ იქვე, Nr. 139.

⁵⁷ Bénabent A., Droit civil, Les contrats spéciaux civils et commerciaux, Paris, 2008, Rn.1383, p. 649.

⁵⁸ იქვე, გვ. 648.

⁵⁹ Пахомов А.С., Купля-продажа с условием пожизненного содержания. Закон, 1998, №7, стр. 121.

⁶⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 6 თებერვლის №3კ/992-02 განჩინება.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს კონსტიტუცია, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36#!>
2. „საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 17 აპრილის კანონი, 05.07.2018 წ. მდგ., <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29824?publication=7>
3. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ივნისის №351 ბრძანებულება მინიმალური ხელფასის ოდენობის შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/112786?publication=0>
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/49/saarsebo-minimumi>
5. ბალიშვილი ეკ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ტანტურია (რედ.);
6. ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005;
7. კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009;
8. კობახიძე ა., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2001;
9. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ვალდე-ბულებითი სამართალი კერძო ნაწილი, ტ. 2, 2001;

10. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, 2018;
11. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, 2001;
12. ჩიტოშვილი თ., ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებათა შინაარსი და სახეები (ზოგადი დახასიათება), უსაფუძვლო გამდიდრება (ზოგადი საკითხები), 2015;
13. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011;
14. ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, 2017;
15. Artaz M., Viagers, Régime juridique et fiscal, Paris, 2005;
16. Bénabent A., Droit civil, Les contrats spéciaux civils et commerciaux, Paris, 2008, Rn.1383;
17. Ertl G., Inflation, Privatrecht und Wertsicherung, Wien 1980;
18. Gernhuber J., Handbuch des Schuldrechts: in Einzeldarstellungen, B. 8: Das Schuldverhältnis, Tübingen 1989;
19. J.-Cl. Civil/de Quenaudon/Rakotovahiny, Art. 1976, fasc. 10, Nr. 2; Nr. 4.; Bernard/Landrieu, La vente en viager, 8-10;
20. J.-Cl. Civil/de Quenaudon/Rakotovahiny, Art. 1976, fasc. 20, Nr. 126;
21. Klang H.,/Gschnitzer F., (Hrsg.), Kommentar zum Allgemeinen bürgerlichen Gesetzbuch, Wien – 4. B., erster Halbband, §§ 859-1044, 2. Aufl., §§ 983-1001 bearbeitet von Stanzl G., 1968, §§ 985-989;
22. Le Court B., Guide des viagers, Héciry 2006;
23. Meyer-S.A., Veräußerungsrenten und Versorgungsrenten: Die Übertragung eines Betriebs, Teilbetriebs oder Mitunternehmeranteils gegen Zahlung einer Leibrente, Hamburg, Univ., Diss., 1990;
24. Motive zu dem Entwurfe eines bürgerlichen Gesetzbuches für das Deutsche Reich, B.2, Recht der Schuldverhältnisse, Berlin/Leipzig 1888 –Nachdruck: 1983, S. 298. Mugdan B., Die gesamten Materialien zum Bürgerlichen Gesetzbuch für das Deutsche Reich, B. 2, Recht der Schuldverhältnisse, Aalen 1979 (Neudruck der Ausgabe Berlin 1899);
25. Rummel P., (Hrsg.), Kommentar zum Allgemeinen bürgerlichen Gesetzbuch, Wien – 2. B., 1. Teil: §§ 1175 bis 1502 ABGB, 2. Aufl., 1992, §§ 1267-1277 bearbeitet von Krejci H., §§ 1284-1286, Rn.14;
26. Sepp K., Der Leibrentenvertrag nach dem Bürgerlichen Gesetzbuch, München 1905;
27. Statistisches Bundesamt, Kommutationszahlen und Versicherungsbarwerte 2009/2011;
28. Winner M., Wert und Preis im Zivilrecht, Wien 2008;
29. Гражданский кодекс РФ, ст. 602.2. <http://base.garant.ru/10164072/305464cf3c231170f1f7f42f4ac34ef3/>
30. Гражданский кодекс РФ, ч.2, Комментарий гл. 31: Мена. гл. 32: Дарение. гл. 33 Рента и пожизненное содержание с иждивением. Отв. ред. П.Е.Абова, А.Ю.Кабалкин, 1999;
31. Гражданское право ч.2-ая: Обязательственное право под ред. В.В. Залеского, М., 1998;
32. Иоффе О.С., Обязательственное право, М., 1975;
33. Красавчиков О.А., Гражданско-правовой договор: понятие, содержание, функции//Гражданско-правовой договор и его функции Межвузовский сборник научных трудов, Свердловск, 1980, 7-21;

34. Леонова Г.Б., Договор пожизненного содержания с иждивением // законодательство, 1999 №8, 2;
35. Новицкий И.Б., Лунц Л.А., Общее учение об обязательстве, М., 1950,14;
36. Пахомов А.С., Купля-продажа с условием пожизненного содержания. Закон, 1998, №7, 121;
37. Романец Ю.В., Система договоров в гражданском праве России М., 2001;
38. Собрание законодательства РФ, 1998, №29;
39. Сыродоев Н.А., Регистрация прав на землю и другое недвижимое имущество. Государство и право 1998, №8;
40. Шершеневич Г.Ф., Учебник русского гражданского права (по изданию 1907 г.), М., 1995;
41. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 6 თებერვლის №3კ/992-02 განჩინება;
42. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 31 იანვრის №3კ/782 განჩინება;
43. OGH, ZBl. 1926, 680 (681);
44. OGH, EvBl. 1956/126, 238;
45. OGH, SZ 7/1, 3 (6);
46. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=14091>

THE SUBJECT OF A LIFETIME ANNUITY CONTRACT AS AN ESSENTIAL CONDITION OF THE CONTRACT

BESIK TETELOSHVILI

Doctor of Law

The Lifetime Annuity Contract in this study is seen as a set of stipulated voluntary actions of individuals and legal entities, by signing which they seek to achieve a specified legal result, namely, the acquisition of ownership of the real estate in exchange for the provision of life annuity maintenance. The essential conditions of a Lifetime Annuity Contract, like any other Contract, are primarily the subject matter of the agreement. The subject of a Lifetime Annuity Contract is individually defined objects that are not prohibited for free circulation, namely objects of nature, and means of transport, which according to the law are classified as immovable property, detached houses, and non-residential buildings. The subject of the contract is maintenance for Life Annuity. Moreover, it does not matter whether it will be paid periodically in the form of a cash payment or content in kind. As for maintenance, the legislator will initially approve it in its "in kind" form as a social specificity of this contract. It includes the provision of housing, food, and clothing, as well as maintenance if the dependant's health condition requires it.

კომლის შემადგენლობაში არსებული მიწის ნაკვეთის მემკვიდრეობით მიღების პრობლემა საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით

ირაკლი ლეონიძე

სამართლის მაგისტრი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული

ცენტრის მკვლევარი

შესავალი

კომლის შემადგენლობაში არსებული მიწის ნაკვეთის მემკვიდრეობით მიღება ერთ-ერთი აქტუალური თემაა, როგორც მატერიალურ, ისე სამოქალაქო საპროცესო სამართალში. საქართველოს უზენაესი სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში ადასტურებს, რომ ეს არის ურთულესი პრობლემა, რადგან კომლის წევრი და არაწევრი მემკვიდრეების ნება და ინტერესი ხშირად არ შეესატყვისება მხარეთა შორის წარსულში არსებულ ურთიერთობებს – ზეპირი ფორმით დადებული სხვადასხვა შეთანხმება ერთი ან ორივე მხარის მიერ არ

სრულდება და წარმოშობს კონფლიქტს კომლის ქონების მემკვიდრეობით მიღების ეტაპზე.¹ საკომლო საკუთრების ფლობა, სარგებლობა, განკარგვასთან დაკავშირებით შეთანხმებისას, წერილობითი ფორმის დაუცველობა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სამოქალაქო სამართლის (ბრუნვის) სტაბილურობას² და აფართოებს მხარეთა მოთხოვნის წარმოდგენის ფარგლებს კომლის სამკვიდროზე იმ თვალსაზრისით, რა ნაწილშიც არ სრულდება ზეპირი ფორმით დადებული შეთანხმება მხარის ან მხარეთა მიერ.³

მოსამართლე მოკლებულია შესაძლებლობას, შეცვალოს ნორმის დისპოზიცია ან გასცდეს სასარჩელო მოთხოვნას.⁴ შესაბამისად, მხოლოდ ნორმა ან სასარჩელო მოთხოვნა ვერ უზრუნველყოფს მხარეთა თანაბარმნიშვნელოვანი ინტერესის დაკმაყოფილებას დავის წარმოშობისას.⁵ შედეგად, დავა საკომლო მიწის ნაკვეთის მემკვიდრეობით მიღების თაობაზე, საქართველოს სასამართლოების გამოწვევად გარდაიქმნება. ამ პრობლემის შინაარსი სსკ-ში კომლის მომწესრიგებელი ნორმის⁶ საიხლით, ფორმალური შემადგენლობის სიმცირითა და საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირების საქმიანობის არაერთგვაროვანი წესითაა განპირობებული.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია კომლის შემადგენლობაში არსებული მიწის ნაკვეთის მემკვიდრეობით მიღების ტექნიკურ, ტერმინოლოგიურ, შინაარსობრივ და სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, შემდეგ სამართლებრივ საკითხებზე: უძრავი ქონების ამონაწერში, მათ შორის, საკომლო ჩანაწერში ხარვეზის გასწორების სანოტარო, სარეგისტრაციო და სასამართლო წესი და ვადა; კომლის საკუთრების, წევრისა და მემკვიდრის სტატუსის ნორმატიული დეფინიცია; კომლის სამკვიდროს გახსნა, მოთხოვნის წარდგენა და ქონებრივი სიკეთეების სამოქალაქო ბრუნვის არსი; მემკვიდრის მიერ კომლის სამკვიდროზე საკუთრების უფლების მოპოვების გამოწვევები და პრეცედენტები საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში. მნიშვნელოვანია კრიტიკული აზრი კომლთან დაკავშირებული სხვადასხვა სამართლებრივი პრობლემის აღსაქმელად და კომლის მემკვიდრეთა უფლების დაცვის ეფექტიანი მექანიზმის შესამუშავებლად, რათა მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმის ახალი ეტაპის⁷ განხორციელებამ, ნოტარიუსის ან სხვა პირის მოქმედებებმა უნებურად, ხელი არ შეუწყოს კომლის მემკვიდრეთა საკუთრების უფლების ხელყოფას და მსგავსი სამართლებრივი შინაარსის დავებით სასამართლოს გადატვირთვას.

წინამდებარე კვლევა ეხება სამკვიდროს მისაღებად დადგენილი კანონისმიერი ვადის სიმცირეს, რადგან ეს ვადა არ არის საკმარისი, რომ მემკვიდრემ სანოტარო, სარეგისტრაციო ან

სასამართლო წესით გაასწოროს ხარვეზი ე. ი. ხარვეზის გასწორების ვადა უფრო ვრცელია, ვიდრე სამკვიდროს მიღების. ამის შემდეგ, მემკვიდრე ფაქტობრივი ფლობის საკითხთან დაკავშირებული პრობლემების წინაშე აღმოჩნდება, როდესაც უკვე ნოტარიუსი უარს ეუბნება სანოტარო მოქმედების განხორციელებაზე ან არ გასცემს სამკვიდრო მოწმობას მასზე.

ნაშრომი დააფიქრებს მკითხველს კომლის მემკვიდრეთა საჭიროებებსა და უფლების დაცვის კვალდაკვალ არსებულ მატერიალურ და პროცესუალურ ხარვეზებზე, საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში. პროცესუალური ხარვეზები ვლინდება: სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების შესაბამისი მტკიცებულებებით დასაბუთების, მტკიცების ტვირთის განაწილებისა და პროცესის მონაწილეთა განსაზღვრის საკითხებში.⁸ კვლევის მიზანი ორიენტირებულია საკომლო მიწის ნაკვეთის მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობის სამართლებრივი გამართულობის შეფასებასა და მისი თანმდევი პრობლემების აღმოფხვრის მექანიზმების ძიებაზე, სასამართლოში სარჩელის აღძვრის წინარე და საქმის განხილვის ეტაპზე. კვლევის მიზნის მისაღწევად გამოყენებულია ნორმატიული, დოგმატური, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.

1. ნორმის განმარტება, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები და პრობლემის დახასიათება

2019 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ,⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის ნორმებში რთულად თუ მოიძებნება ნორმა, რომელიც კომლის ქონებაზე სამკვიდროს გახსნასა და მემკვიდრეობის მიღებას აწესრიგებს. სსკ-ის 1323-ე მუხლი, რომელიც განმარტების თვალსაზრისით არასრული თუმცა, სადამფუძნებლო ხასიათის იყო, გაუქმდა. კანონმდებლის მიერ შემოთავაზებული ახალი ნორმა: 1513¹ მუხლი სამოქალაქო კოდექსის ბოლო ნაწილშია მოქცეული და ამ ფორმით ეხმიანება საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის სისტემას. ასევე, ამ ცვლილების შედეგად რედაქტირებული სხვა ნორმები კომლის მესაკუთრის დაცვის ნაკლები ფუნქციით ხასიათდება.¹⁰ დღესდღეობით, სსკ-ის 1513¹ მუხლის განმარტებისას გაუქმებული, 1323-ე მუხლის შინაარსი და განმარტების მსგავსი მეთოდი იკითხება, თითქოს ეს ნორმა პრაქტიკულად, კვლავ მოქმედებდეს. ახალმა ნორმამ კომლის წევრის გარდაცვალების დროისა და სივრცის განსაზღვრის კანონისმიერი ჩანაწერი შეიძინა. ამ ნორმის სახელწოდებაა „კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდროს გახსნა“, მაშინ როდესაც, უკვე გაუქმებული 1323-ე მუხლის სახელწოდება იყო „სამკვიდროს გახსნა კომლში.“¹¹ სიტყვების

გადათამაშებას, შინაარსის ცვლილებასა და ნორმის ადგილმონაცვლეობას შესაძლოა ჰქონოდა ლეგიტიმური სამართლებრივი საფუძველი თუმცა, კომლის მემკვიდრეთა სტატუსის ტიპოლოგიისა და სამკვიდროს მოთხოვნის უფლებრივი შინაარსის გარკვევისთვის კანონმდებლობა არ შეცვლილა.¹² გაუქმებული ნორმის შინაარსი ინტეგრირებულია ახალ ნორმაში, ხოლო სამოქალაქო კოდექსის 1513¹ მუხლის პირველი და მეორე ნაწილის მოქმედება პირდაპირ არ უკავშირდება სსკ-ის 1421-ე მუხლს და საჭიროებს საკომლო წიგნის საარქივო ჩანაწერში მონაცემების, კომლის წევრის გარდაცვალების ფაქტის, ბოლო წევრის სტატუსისა და სხვა თანმდევი შემთხვევების დაზუსტებას სანოტარო, სარეგისტრაციო და სასამართლო წესით. ამ საკითხების გაურკვევლად ნორმა მხოლოდ საშუალებაა, რომ ნოტარიუსმა, საჯარო რეესტრის თანამშრომელმა ან სხვა პირმა შინაარსის შეუსწავლელად, ფორმალურად განახორციელოს საქმიანობა.

გასათვალისწინებელია, შეცვალა თუ არა ნოტარიუსის ფუნქცია უძრავი ნივთების შესაძენად სანოტარო წესით დამოწმებული საბუთის მოთხოვნის გაუქმებამ,¹³ შემდგომში სანოტარო დამოწმებისა და დადასტურების ფორმალურ-შინაარსობრივმა აღრევამ,¹⁴ მაშინ როდესაც, „საქართველოს კანონმდებლობით კომლი არ წარმოადგენს სამართლურთიერთობის დამოუკიდებელ სუბიექტს. იგი არ არის იურიდიული პირი და არც ამხანაგობა/გაერთიანება, რომელიც ერთობლივი პასუხისმგებლობით მოქმედებს.“¹⁵ შესაძლებელია კანონმდებელს ნოტარიუსისთვის ნება დაერთო, რომ მოქალაქის მიმართვის/მოთხოვნის შინაარსობრივი შესწავლის გარეშე, ფორმალურად განეხორციელებინა სანოტარო მოქმედება?

ნორმაშემოქმედება კანონმდებლის ინტერესის საგანია, თუმცა, კომლის საკუთრების უფლების შინაარსი და უფლების დაცვის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება ამ ინტერესის მიღმაა. პროფესორი რომან შენგელია აღნიშნავს, რომ დღესდღეობით, შედარებით სრულყოფილი რეგულირების (ნორმათა სიმრავლის) მიუხედავად, პრობლემურია: „მემკვიდრეთა რიგების რაოდენობის, სამკვიდრო ქონების განაწილების, მამკვიდრებლისა და მემკვიდრეთა ინტერესის გათვალისწინების და სხვა საკითხები. მათი რეგულირების პროცესში კანონმდებლის მიერ გამოკვეთილი პოზიცია ზოგჯერ საკამათო ან შეუსაბამოა საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების მაღალ სტანდარტებთან.“¹⁶ 2019 წელს კანონმდებელმა აღიარა, რომ კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდროს გახსნა კომლის ბოლო წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის და დაუსაბუთებლად ზღუდავდა კომლის სხვა წევრების, მემკვიდრეების უფლებებს. რამდენად სწორი და დასაბუთებულია ეს შეფასება სხვა საკითხია,¹⁷ იმ ფონზე, როდესაც „არ არსებობს რეესტრთა ფუნდამენტური ტიპოლოგია.

რეესტრები აღიქმება, როგორც ტექნიკური, მხოლოდ დამხმარე ხასიათის მქონე საშუალება სხვა სამართლებრივი ინსტიტუტების მოწესრიგებისთვის.¹⁸

აღსანიშნავია, რომ კომლის საკუთრებაზე მემკვიდრის მოთხოვნის განხილვისას არსებობს, როგორც უფლების შინაარსთან დაკავშირებული, ისე ამ უფლების განხორციელებისას საკომლო მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისათვის დამახასიათებელი ხარვეზები. როგორც აღინიშნა, ეს ხარვეზები არის ტექნიკური, ტერმინოლოგიური, შინაარსობრივი და პრაქტიკიდან გამომდინარე. გერმანული სამართლიდან სანოტარო ნორმების რეცეფციისას არ იქნა გათვალისწინებული ის განმარტებები, რაც ნორმასთან ერთად განიხილებოდა და უზრუნველყოფდა რთულ სამართლებრივ შემთხვევასთან ნორმის მისადაგებასა და მოქალაქის საკუთრების უფლების ეფექტიან დაცვას. მართალია, ნოტარიუსი მხარეთა ეკონომიკური მრჩეველი არ არის, თუმცა, გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ დააკონკრეტა, რომ „ნოტარიუსი ვალდებულია, არა მხოლოდ მიუთითოს მოსალოდნელ საფრთხეებზე, არამედ უჩვენოს სულ მცირე, ორი ალტერნატივა, რომლებიც ხელშეკრულების სუსტი მხარის რისკებს ამცირებს.“¹⁹ პრობლემაა, თუ ნოტარიუსი თავის უფლებამოსილებას ვერ განახორციელებს,²⁰ მასზე უარყოფითად აისახება ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილება და ვერ გაიზარებს სანოტარო მოქმედების განხორციელებისას სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს.²¹

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ახალ კომენტარში აღნიშნულია, რომ ფიქციური ქორწინების მიზანია მატერიალური სარგებლის მიღება და არა ოჯახის შექმნა, ამ კონტექსტში მოიაზრება „ერთ-ერთი მეუღლის მიწაზე შენობის აღმართვისა და მასზე საერთო საკუთრების წარმოშობის ან ცალკე კომლად რეგისტრირების გამარტივების მიზანი“²² ე. ი. მოქალაქეები ცდილობდნენ კომლის საკუთრებისთვის დამახასიათებელი სირთულე სხვა სამართლებრივი ურთიერთობის (თუნდაც ფიქციურ) ფარგლებში დაეძლიათ.²³ მაშინ, როდესაც კანონმდებელი არ იჩენს ინიციატივას, დაადგინოს უფლების დამცავი კანონისმიერი მექანიზმები, არც ნოტარიუსია მოწოდებული, რომ უზრუნველყოს კომლის ყველა შესაძლო მემკვიდრის უფლების დაცვა სანოტარო მოქმედების განხორციელებისას. სწორედ ამიტომ, ჩნდება წარმოდგენა, რომ რაც უფრო მდიდრდება კანონმდებლობა დამატებითი ინფორმაციით, სამართლებრივი ტერმინებითა და პროცედურებით, მეთად იკარგება საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლების შინაარსი და მასზე ხელმისაწვდომობა. ამ საკითხს ეხმიანება პროფესორი ბესარიონ ზოიძე და განმარტავს, რომ „საკუთრების შინაარსის გამოფიტვა რა გზითაც არ უნდა მოხდეს, საკუთრებითი წესრიგისათვის მიუღებელია.“²⁴ მისი აზრით, ქართული სამართლებრივი მართლწესრიგისთვის დამახასიათებელია ის შეუსაბამო მდგომარეობა,

როდესაც საკუთრების ფლობით გამოწვეული სარგებელი და ტვირთი ურთიერთგამომრიცხავი ხასიათისაა და მოუწოდებს მესაკუთრეს, მომავალ მემკვიდრეს, გაუცხოვდეს უფლებასთან ან უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე.²⁵ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა კომლის მეურნეობის წარმოებაში მონაწილეობის ვერმიღების ფაქტობრივი გარემოებების შეფასება, როგორიცაა: ოკუპირებული ტერიტორიების არსებობა, შიდა და გარე მიგრაციის უარყოფითი გავლენა კომლთან წევრების კავშირზე, პერსონალური საკითხები – კომლის წევრის პატიმრობა,²⁶ წევრის გარეშე დარჩენილი კომლის ქონებით დიდი ხნის განმავლობაში ვერსარგებლობა და სხვა.²⁷

იურიდიულ ლიტერატურაში მწირია ცნობები კომლის საკუთრებისა და მემკვიდრეობის თეორიული ასპექტების შესახებ. ავტორები უპირატესობას ანიჭებენ საკუთრების უფლების ფართოდ ან ცალკეული ნორმის განხილვას, კომლის ცნება მისი ზუსტი დასახელებისა და მისთვის დამახასიათებელი პრობლემების შეფასების გარეშე მოიაზრება ან ჩაკარგულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებში.²⁸ ეს მიდგომა ხელს უშლის კომლის სამართლებრივი ბუნების დეტალურ შესწავლას, რადგან ასევე, გაურკვეველია კანონმდებლის პოზიცია კომლთან დაკავშირებით – ნორმები ბუნდოვანი და ხისტია, ხოლო საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში არსებული პრობლემები კომლის მემკვიდრეობასთან მიმართებაში, სათანადოდ არ ფასდება. ნაშრომები ხელმისაწვდომი რომ იყოს შესაძლებელი იქნებოდა კომლის სამკვიდროს მიღების პროცესში ინტერესთა კონფლიქტის (საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებასთან დაკავშირებული პრობლემების) გამოკვლევა და დავის გადაწყვეტის ალტერნატივების შეფასება. ამ პროცესში კანონმდებლის პოზიცია ჯერ კიდევ გაურკვეველია, თუმცა აშკარაა, რომ კანონმდებელი კომლის მომწესრიგებელი ნორმების დადგენა-განვითარებას არ ისახავს მიზნად და არ ითვალისწინებს კომლის საკუთრების სოციალურ შინაარსს. „წარმატებებისა და ეფექტური სარეგისტრაციო სისტემის, ერთ-ერთ სუსტ მხარედ ისევ რჩება არასრულყოფილი საინფორმაციო ბაზა და მონაცემთა ხარისხი“,²⁹ რადგან ჯერ კიდევ არ არის გააზრებული, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე უძრავი ქონების პირველადი რეგისტრაცია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვერ დასრულდება. ამავე დროს, პირველადი რეგისტრაციის დასრულების მოლოდინის დაკავშირება საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზების გაუმჯობესებაზე, სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის განვითარებაზე, არ არის საკმარისად დასაბუთებული. უმჯობესია, კომლის საკუთრების გარდაქმნასა და მემკვიდრეთა უფლებების დაცვაზე ზრუნვა და არა ისეთ ცნებებზე აქცენტირება, რომლებიც მიწის მესაკუთრის ნებისა და რეალური მოქმედების გარეშე ვერ მიიღწევა.

საკომლო მიწის მემკვიდრეობის მიღების პრობლემის წინაშე ვერ დადგება ის მემკვიდრე, რომელსაც არა აქვს უფლება კომლის ქონებაზე. პრობლემურია ქალაქად და სოფლად მცხოვრებ მოქალაქეთა უფლებრივი დატვირთვა და კომლის მეურნეობასთან კავშირის დასაბუთება, რომლის სიმყარე მოთხოვნის წარდგენის ნაწილში, ხშირად არ არის განპირობებული შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლით.³⁰ გამოწვევაა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის რამდენიმე მუხლის თანადროული განმარტება, გასარკვევია, არის თუ არა ამ ნორმებთან შესაბამისობაში „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის №487 ბრძანების ნორმები. გონივრულია, ნოტარიუსი, საჯარო რეესტრის თანამშრომელი ან სხვა პროფესიის წარმომადგენელი ამ საკითხს თავისი საქმიანობის (დაკისრებული მოვალეობების) ფარგლებში განიხილავენ, რაც შეუძლებელს ხდის პრობლემის თანამკვეთი ხასიათის აღქმას. კომლის მემკვიდრის უფლების დაცვის მიზნით მატერიალური საფუძვლების გაერთიანების მცდელობა წარმოშობს წინააღმდეგობას საკითხის საპროცესო ბუნებასთან დაკავშირებით, საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში: ა) როცა კომლის წევრი და არაწევრი მემკვიდრეები დავობენ ერთმანეთთან სხვადასხვა სასარჩელო მოთხოვნით; ბ) როცა კომლის წევრი ან არაწევრი მემკვიდრე ითხოვს სამკვიდროს მიღების ან მასთან დაკავშირებული სხვა იურიდიული ფაქტის დადგენა-დადასტურებას.

კანონმდებლობით პირდაპირ არ განისაზღვრება (არ არის სახელდებული) კომლის მემკვიდრეთა სახეები, თუმცა, შესაძლებელია სამოქალაქო კოდექსის რამდენიმე ნორმის განმარტებით (1336-ე, 1344-ე, 1421-ე, 1513') ჩამოყალიბდეს კომლის მემკვიდრეთა შემდეგი ცნებები: ა) კომლის ბოლო წევრი, რომელიც არის საკომლო ჩანაწერში აღნიშნული ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი ფიზიკური პირი; ბ) კომლის წევრი კანონისმიერი მემკვიდრე (ასეთ შემთხვევაში კომლის წევრები შესაძლოა ურთიერთმემკვიდრეები იყვნენ და მათი სტატუსი განისაზღვრება კანონისმიერი მემკვიდრეობის რიგითობის დაცვით, თუმცა, კომლის წევრობით განპირობებული უფლებრივი თანაბრობით); გ) კომლის წევრი ანდერძისმიერი მემკვიდრე, რომელიც ანდერძის წესით დასახელდა მემკვიდრედ და კანონის დაცვით, ასეთი შესაძლებლობის არსებობისას, ჩაიწერა კომლში; დ) კომლის არაწევრი კანონისმიერი მემკვიდრე (სტატუსი ასევე, განისაზღვრება ურთიერთმემკვიდრეობისა და კანონისმიერი მემკვიდრეობის რიგითობის დაცვით); ე) კომლის არაწევრი ანდერძისმიერი მემკვიდრე, რომელზეც გაიცა კომლის ქონება ან მისი ნაწილი კომლის ბოლო ან სხვა წევრის მიერ; ვ) კომლის წევრი ან არაწევრი, სამემკვიდრეო სტატუსის არმქონე პირი. აღნიშნული ყველა

ცნება ერთმანეთისგან თეორიულად გამიჯვნადია, თუმცა პრაქტიკულად თანამკვეთი, რის გამოც შესაძლებელია, რომ არ იქნას დაცული ზღვარი ერთ ან ორ ცნებას შორის.

კანონმდებლობას არ გააჩნია ჩამკეტი მექანიზმი, რომელიც კომლთან შემხებლობაში მყოფ პირს კონკრეტულ სტატუსს მიანიჭებდა და ამ სტატუსის ფარგლებში განუსაზღვრავდა მოთხოვნის წარმოდგენის კანონისმიერ საფუძვლებს. ამიტომ, ნოტარიუსები მნიშვნელობას ანიჭებენ, არა რამდენიმე ნორმის განმარტებას და უფლების საფუძვლის მისადაგებას, არამედ მხოლოდ 1421-ე მუხლის ვიწრო განმარტებას და პირის უფლების გამორიცხვას საკითხის შინაარსის შეუსწავლელად.³¹ გონივრულ აზრს არის მოკლებული და საკმაოდ ხშირია კომლის მემკვიდრის დავალდებულება: „ფაქტობრივად შეუსრულებელი“ მოქმედების განხორციელების ან უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის მოთხოვნით ისე, რომ გამოირიცხოს ამ მემკვიდრის უფლება სამკვიდროზე. უშედეგო და გაჭიანურებული დავა უფლების არსებობის შესახებ, აკნინებს საკომლო ქონებით სარგებლობის სურვილსა და სამართლებრივ სიკეთეს.

„დაუშვებელია კერძო საკუთრების საყოველთაო უფლების გაუქმება“ – აღნიშნულია საქართველოს კონსტიტუციაში, მაგრამ კომლის მომწესრიგებელი კანონმდებლობის (სამოქალაქო კოდექსის ნორმის) ბუნდოვანება ამ დანაწესს ეწინააღმდეგება, რადგან კომლის მემკვიდრე ნორმის ხარვეზის გამო, ვერ გარდაიქმნება კერძო მესაკუთრედ. ერთმანეთს თუ შევადარებთ სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის დავებს, თვალნათლივ დავინახავთ, თუ როგორ ურთულდებათ საქართველოს მოქალაქეებს თავიანთი ქონების რეგისტრაცია, ფლობა, სარგებლობა და განკარგვა. კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსი, შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფოს, თვითმმართველი ერთეულის, საქართველოს მოქალაქის ან საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანების საკუთრებაში. გამონაკლისი შემთხვევები შეიძლება დადგინდეს ორგანული კანონით, რომელიც მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ, ორი მესამედის უმრავლესობით.“ თუმცა, საქართველოს მოქალაქე კომლის სამკვიდროს, კანონისმიერი ვადის დაცვით ან ფაქტობრივი ფლობით, იმიტომ ვერ იღებს, რომ კანონმდებელს, ნოტარიუსსა და სხვა უფლებამოსილ პირს არა აქვს მკაფიო პოზიცია კომლის საკუთრებისა და მასზე მემკვიდრეობის უფლების მოპოვების მოწესრიგებასთან დაკავშირებით.

დღესდღეობით, პრობლემის აღმოჩენა თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით დაკავშირებულია მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმის ახალ ეტაპთან. რეფორმის

ფარგლებში, საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანო მოქალაქეების პრობლემებთან უშუალო შემხებლობაში აღმოჩნდა. რეფორმის მიმდინარეობისას გამოცხადდა არაერთი ვაკანსია სამსახურის საკადრო უზრუნველყოფის მიზნით, მაგრამ სტატისტიკურ მონაცემებზე დაფუძნებული წარმატება არ არის მუდმივი და სამოქალაქო სამართლის სტაბილურობის უზრუნველყოფის ერთადერთი საშუალება.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების მიმოხილვა

2.1. კომლის მემკვიდრეთა უფლებრივი მდგომარეობა 2019 წლამდე

კომლის შემადგენლობაში არსებული მიწის ნაკვეთის მემკვიდრეობით მიღების პრობლემა სასამართლო პრაქტიკაში სხვადასხვა ფორმით ვლინდება და ართულებს ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას. გადაწყვეტილებების მიმოხილვის ეტაპები შეიძლება დაიყოს შემდეგი რიგითობის დაცვით: ა) დამოუკიდებლობის აღდგენიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე, ბ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღებიდან კომლში წევრის ჩაწერის და ამოწერის შესაძლებლობის გაუქმებამდე, გ) კომლში წევრის ჩაწერის და ამოწერის შესაძლებლობის გაუქმებიდან 2019 წლის საკანონმდებლო ცვლილებამდე, დ) 2019 წლის საკანონმდებლო ცვლილებიდან დღემდე.

წლების განმავლობაში, კომლის არსებობის სოციალურ-ეკონომიკური მიზანი დასცილდა ფუნქციურ მნიშვნელობას და მასში მხოლოდ ოჯახის წევრთა კერძოსამართლებრივი ურთიერთობა მოიაზრებოდა, რაც შემდგომში კომლთან დაკავშირებული სასამართლო დავების გამოშვევ ფაქტობრივ გარემოებად ჩამოყალიბდა. ამ შემთხვევაში მხარეთა შორის სასამართლო დავა გულისხმობს სარჩელში ჩამოყალიბებული მოთხოვნის შემხებლობას კომლთან, მასზე უფლებრივი ბატონობის მოპოვების, ცვლილების, გაუქმების ან რეგისტრაციის მიზნით. თუმცა, შესაძლოა არსებობდეს შემთხვევები, როდესაც კომლის მემკვიდრე იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა-დადასტურებას მოითხოვს. კომლი რეალური დანიშნულების გარეშე არსებულ სათანადო ფორმის არმქონე წარმონაქმნად ჩამოყალიბდა, რამაც სოფლად მცხოვრები ოჯახები მწვავე კონფლიქტის წინაშე დააყენა. სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების აღიარება და დაცვა შესაბამისი ნორმების შემუშავებით. დღემდე არ არის კრიტიკულად შეფასებული მემკვიდრეობის მისაღებად, შემდგომში სამკვიდრო მოწმობის გაცემისთვის აუცილებელი დოკუმენტის – საკომლო საარქივო ცნობის ისტორიული, სოციალური და სამართლებრივი ფუნქცია.³²

სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლის არასწორი განმარტება თავიდანვე იყო ის მოცემულობა, რომელიც ზღუდავდა კომლის წევრთა უფლებებს.³³ სასამართლოები კომლის სამართლებრივი შემადგენლობის/ფორმის განსაზღვრისა და შეფასებისას, არ ითვალისწინებდნენ იმ საკითხს, თუ როდის უნდა ჩათვლილიყო კომლის საკუთრება (ქონებრივი სიკეთე) სამკვიდროში და როდის არა. ხშირი იყო კომლის მემკვიდრეთა უფლებრივი მდგომარეობის არამართლზომიერი შეზღუდვა. კომლის უფროსი, სხვა ასაკის ან უმცროსი წევრები განიცდიდნენ გავლენას კომლიდან ამოწერასთან დაკავშირებით, რაც შეუმჩნეველი რჩებოდა მარეგისტრირებული ორგანოსთვის. მოქალაქე არ ფლობდა ზუსტ ინფორმაციას კომლის შემადგენლობისა და საკომლო ჩანაწერში განხორციელებული ცვლილებების შესახებ. მდგომარეობა კომლში წევრის ჩაწერის და ამოწერის შესაძლებლობის გაუქმებამდე იყო მოუწესრიგებელი და განუსაზღვრელი სამართლებრივი შედეგის მქონე. მიუხედავად ამისა, საკუთრებას ჰქონდა სოციალური ფუნქცია, რომელსაც განაპირობებდა კომლის წევრთა ურთიერთდამოკიდებულება და სამართლებრივი შედეგების წინასწარ გაუთვალისწინებლობა ზეპირი შეთანხმებისას. დღეს უკვე, რამდენიმე საკითხის გაერთიანებით იქმნება კომლთან დაკავშირებული სასამართლო დავების კომპლექსურობა.³⁴

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2000 წლის გადაწყვეტილებაში³⁵ მიუთითა: ა) საბჭოთა მეურნეობის გარდამავალი ხასიათი დამოუკიდებლობის მოპოვებამდე და შემდეგ, სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე, რომელიც დღემდე განაპირობებს კომლის წევრთა უფლებრივ მდგომარეობას და მეურნეობის ახალ სამართლებრივ სტატუსს; ბ) კომლის განსხვავება მუშა-მოსამსახურის კომლის კატეგორიისგან ისე, რომ სასამართლომ ამომწურავად განიხილოს კომლის ყველა წევრის საკუთრების უფლება და ინტერესი; გ) კომლის გაყოფისა და გაუქმების შემთხვევების შეფასება კომლის წევრთა უფლებრივი მდგომარეობის ცვლილების შეფასების მიზნით; დ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (1964 წლის მდგომარეობით) ნორმების გამოყენების მიზანშეწონილობა საქმის განხილვისას მოქმედი კანონმდებლობის პირობებში; ე) როდის ვრცელდება კომლის ქონებაზე მემკვიდრეობითი სამართლის ნორმები, შემდგომში კომლის ქონება ხდება სამკვიდროს ობიექტი. შემოთავაზებული სისტემა რთულად საკვლევეია, ამიტომ შემდგომ წლებში, საერთო სასამართლოები ამ ჩამონათვალიდან მხოლოდ იმ ნაწილს იკვლევდნენ, რომელსაც მიზანშეწონილად მიიჩნევდნენ. შესაბამისად, შედეგი არ მოიაზრებდა კომლის ყველა წევრის უფლებრივი მდგომარეობის შეფასებას. საკითხის ფართო მასშტაბის გაუთვალისწინებლად შეფასებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა კომლის წევრთა უფლებრივ სტატუსზე და დაამკვიდრა უფლების ხელყოფის სასამართლო პრაქტიკა. თუ სწორად არ განისაზღვრა კომლის საკუთრების შინაარსი, მაშინ კომლის მემკვიდრის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება ვერ განხორციელდება.

სააპელაციო სასამართლომ ისე გააუქმა მხარეთა შორის სადავო სახლში (კომლის ქონება) მოპასუხის კომლის წევრად ჩაწერა (საკომლო ჩანაწერის ის ნაწილი, სადაც მოპასუხე ირიცხებოდა კომლის წევრად), რომ „არ დაასაბუთა თავისი დასკვნები და შესაბამისად, არ მიუთითა იმ კანონებზე, რომლებიც არეგულირებდნენ ამ საკითხებს და რომლითაც იგი ხელმძღვანელობდა, რითაც დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის „ე“ პუნქტის მოთხოვნა.“³⁶

კომლის ერთ-ერთმა წევრმა კომლის მთელი ქონება ანდერძით გასცა კომლის არაწევრ თუმცა, მასთან ნათესაურ კავშირში მყოფ პირზე. კომლის მეორე წევრმა, რომელიც თავს კომლის უკანასკნელ წევრად მიიჩნევს, მოითხოვა ანდერძის გაუქმება იმ მოტივით, რომ სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლის თანახმად, მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ უნდა გახსნილიყო სამკვიდრო. „მითითებულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებები სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოების მიერ მრავალჯერ იქნა გაუქმებული.“³⁷ საკასაციო სასამართლომ კომლის სახეობრიობა და მასზე სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლის გავრცელების საკითხი კასატორის მოთხოვნის დაუშვებლობით განმარტა. მსჯელობა დასაბუთებული იყო თუმცა, პირობითი ცნებები შეუსაბამოდ მაღალ სტანდარტს ამკვიდრებდა კომლის წევრთა მემკვიდრეობის უფლების შეზღუდვისთვის მაშინ, როდესაც სხვა გადაწყვეტილებებში ასეთი სტანდარტი საერთოდ არ ფიგურირებდა.³⁸ მისასაღმებელია, როდესაც სასამართლო აყალიბებს ხედვას კომლის ძირითადი ფორმის შესახებ თუმცა, იქვე უნდა განიხილოს კომლის წევრთა უფლებრივი მიჯაჭვულობა ამ ფორმაზე.

კომლში ჩაწერისა და ამოწერის შესაძლებლობის გაუქმებამდე, კომლის წევრები ხშირად ითხოვდნენ საცხოვრებელი სახლის სხვადასხვა სივრციდან ერთმანეთის გამოსახლებას. საცხოვრებელი სახლის ცალკეულ ოთახზე კომლის კონკრეტული წევრის უფლებრივი მდგომარეობის გათვალისწინება სასამართლოსთვის გამოწვევას წარმოადგენდა, რადგან ამ დროს არ მოიპოვებოდა კომლის საკუთრება მთლიანად ყველა წევრის საერთო ინტერესით.³⁹ საქმის განმხილველ მოსამართლეებს გაუჭირდათ უფლებრივი ინტერესების დაყოფა საკომლო ქონების კომპონენტებზე.

საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა კასატორის (კომლის წევრის) მოთხოვნას იმის შესახებ, რომ თუ ის ირიცხება იმ კომლში, სადაც წლების განმავლობაში არასდროს უცხოვრია, აღნიშნული გამოიწვევს უფლების მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობას. „პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში არავითარი იურიდიული საფუძველი მოსარჩელის

სადავო სახლში შესახლების არ არსებობს, მას სადავო ბინაზე არა აქვს არც საკუთრების და არც მფლობელობის უფლება,⁴⁰ მიუხედავად იმისა, რომ საკომლო ჩანაწერში ამ წევრის მითითებას მხარეები არ ხდიან სადავოდ. აღნიშნული განმარტება ყველაზე მეტად მივიწყებულია. საპირისპიროდ გამოიკვეთა მოსაზრება, რომ საკომლო ჩანაწერში პირის მითითება, თუ ჩანაწერის ბათილობა არ დადასტურდება, გულისხმობს საკუთრებისა და მფლობელობის უფლების წარმოშობას.⁴¹ ეს კი, უპირობოდ ზღუდავს კომლის წევრი და არაწევრი მემკვიდრეების ინტერესებს. ზოგადად, ისეთი მდგომარეობა იქმნება, რომ მოსამართლეს უჭირს გაიგოს საკითხის არსი, ხშირად სასამართლო ერთმანეთისგან ვერ არჩევს კომლის წევრ და არაწევრ მემკვიდრეს იმ პირებისგან, რომლებიც ასახელებენ თავიანთ თავს მემკვიდრეებად. ეს ყველაფერი კი, სწორედ კანონმდებლის მიერ კომლის სამართლებრივი ფორმის მოუწესრიგებლობამ გამოიწვია.

სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები და ფაქტობრივი გარემოებები. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა საკომლო ცნობა, რომლითაც დასტურდებოდა, რომ მოსარჩელე კომლის ბოლო წევრია. სასამართლომ არ მოუსმინა კომლის ბოლო წევრს, რომელსაც ნათესავებმა ძალის გამოყენებით დაატოვებინეს კომლი და ხელი მოაწერინეს კომლიდან გასვლის ხელწერილზე (რომელიც არ იყო რეალური ცნობა იმისა, რომ აღნიშნული პირი კომლიდან ამოწერილიყო). საკასაციო სასამართლომ დაგმო ის გულგრილობა, რაც სააპელაციო სასამართლომ გამოავლინა ამ საქმეზე. პალატამ მიიჩნია, რომ „სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული დასკვნა, რომელიც საფუძვლად დაედო მის მიერ მიღებულ განჩინებას, იურიდიულად დაუსაბუთებელია და არ იძლევა საშუალებას შემოწმდეს გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობა.“⁴² კომლიდან წევრის გაძევება ან იძულება ხშირი და სამწუხაროა საქართველოს სოციალური რეალობისთვის.⁴³ მოსამართლეს კი, გულმოდგინება მართებს საქმის განხილვისას.⁴⁴

კომლში სხვა წევრების მოწვევით და ჩაწერით საფრთხე ექმნება კომლის თავდაპირველი წევრების უფლებრივ მდგომარეობას. ამ საკითხს საკასაციო სასამართლო აღიქვამს, როგორც კომლის წევრის უფლებას შეუზღუდავად მოიწვიოს სხვა წევრები კომლში და ვიდრე მარეგისტრირებული ორგანო უზრუნველყოფს წევრთა რეგისტრაციას, ამ შესაძლებლობის შეზღუდვა არ არის მართლზომიერი. განმარტება სწორია, თუმცა, მაღევე შესაბამისი საფუძვლის გარეშე აღმოჩნდა. მეორე მხრივ, სასამართლოს არც კი უმსჯელია ქონების სამართლებრივ ბედზე და კომლის თავდაპირველი წევრების ინტერესზე. კომლში ჩაწერის შესაძლებლობის გაუქმების შემდეგ, განმარტებამ დაკარგა მნიშვნელობა.⁴⁵

კომლის წევრთა უფლებები იზღუდება მაშინ, როდესაც კომლის ქონება ერთ-ერთი წევრის მიერ ანდერძით ისე გაიცემა, რომ არ არის გათვალისწინებული სხვა პირთა ინტერესი.⁴⁶ ანდერძი, კანონისმიერ მემკვიდრეთა რიგი და კომლის წევრთა უფლებები უპირისპირდება ერთმანეთს.⁴⁷ თუმცა, სასამართლო პრაქტიკა ანდერძის გაუქმების შემდეგ, კანონისმიერ მემკვიდრეთა რიგის განხილვას აყენებს დღის წესრიგში და არა კომლის სხვა წევრების რიგითობას. რიგითობის განსაზღვრა კანონმდებლობის დაცვით უნდა განხორციელდეს, თუმცა მაშინ, როდესაც არსებობს საკითხის შეფასების სხვადასხვა ალტერნატივა, სასამართლოს მტკიცება არსებითად შემზღუდველია კომლის წევრთათვის. ცნებათა დამახინჯება ერთ-ერთი გამოწვევაა, რადგან კომლის საკუთრებასთან მიმართებით ცნებები: მამკვიდრებელი, მემკვიდრე და სამკვიდრო განსხვავებულ სოციალურ დანიშნულებას იძენს.

მტკიცება, რომ პირი კომლის წევრის ნათესავია და ამიტომ ისიც ამ კომლის წევრია, არ არის დასაბუთებული, თუ ის არ არის მითითებული საადგილმამულო წიგნში. სასამართლომ განმარტა 1993 და 1996 წლების შემდგომი კანონშემოქმედების სამართლებრივი ვალდებულებები კომლის წევრობის მსურველ პირთათვის.⁴⁸ საკასაციო სასამართლომ ამ წლებში მრავალჯერ გააუქმა ქვედა ინსტანციების გადაწყვეტილებები, სადაც კომლის წევრის სტატუსი არასწორად იყო შეფასებული. სხვა საქმეში საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე გარდაცვლილი კომლის ბოლო წევრის ქონება უპირობოდ არ გულისხმობს მის სამკვიდრო ქონებად მოაზრებას.⁴⁹ ფაქტია, რომ სასამართლოს მიერ განვითარებული მსჯელობა კონკრეტული საქმის ფარგლებში ფაქტობრივი გარემოებებით (სასარჩელო მოთხოვნით) იზღუდებოდა და კანონმდებელს არ უცდია საინფორმაციო ღონისძიებების განხორციელება, რათა კომლის მესაკუთრეები (ასევე, მემკვიდრეები) შესაძლო უარყოფითი შედეგებისგან დაეცვა. როგორც აღინიშნა, სასამართლო საპროცესო კანონმდებლობის დაცვით განიხილავს კომლთან დაკავშირებულ დავებს, თუმცა, კანონმდებლის პოზიცია პრობლემის არსებობის აღქმას ართულებს. ამიტომ, მხოლოდ, სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილება ვერ აღმოფხვრის კომლის მესაკუთრეთა უფლებრივ ნაკლს.

კომლში წევრის ჩაწერისა და ამოწერის ფუნქციის გაუქმების მოულოდნელობამ რთული სამართლებრივი შედეგები წარმოშვა, რადგან მუნიციპალიტეტების მიხედვით საკომლო ჩანაწერები არასრულად იყო შედგენილი და ამ ფუნქციის გაუქმების შემდეგ აღმოჩენილ ნებისმიერ ხარვეზზე კომლის წევრებს უნდა ედავათ სასამართლო წესით. კანონმდებლის ქმედებები არასდროს ყოფილა იმ მიზნით განსაზღვრული, რომ კომლის მესაკუთრეები წინასწარი შეტყობინებით და მოსამზადებელი ვადით მაინც დაეცვა ახალი ნორმატიული

რეალობის მკაცრი მოთხოვნებისგან. კანონმდებელი ჯერ კიდევ, ვერ აღიქვამს, თუ როგორ არასწორად, არასრულად და შეუსაბამოდ ახორციელებდნენ მუნიციპალური ორგანოები საკომლო დოკუმენტურ აღრიცხვას წარსულში. იმის მტკიცება, რომ სახელმწიფო ორგანო კანონის საფუძველზე მოქმედებს და კომლის წევრი უყურადღებოა – მიუღებელი და სამწუხაროა. საკანონმდებლო ცვლილებები სწორედ ამ ილუზიის ხიბლში აღმოჩნდა.

კომლის წევრთა უფლებრივი მდგომარეობა კომლში ჩაწერის ან ამოწერის შესაძლებლობის გაუქმებიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 2019 წლის საკანონმდებლო ცვლილებამდე არ იყო სამართლებრივად სათანადოდ მოწესრიგებული, რამაც დაამკვიდრა საქართველოს საერთო სასამართლოების ერთგვაროვანი და არაერთგვაროვანი პრაქტიკა. ეს პრაქტიკა არ იყო მოწოდებული სამომავლო დავების პრევენციამ, რადგან კანონმდებლის პოზიციის გაურკვევლობა ქმნიდა არასწორ მოლოდინს. სწორედ ამიტომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 2019 წლის საკანონმდებლო ცვლილებამდე ჩამოყალიბებული პრაქტიკა ერთგვარ გზამკვლევს წარმოადგენს კომლთან დაკავშირებული დავების განხილვისას, საიდანაც დგინდება საკითხის გადაწყვეტის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი (არსებითად დაუსაბუთებელი) პერსპექტივები.⁵⁰ დადებით პერსპექტივას რაც შეეხება, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების შედეგად, შესაძლებელი გახდა კომლის წევრთა სოციალური ურთიერთობების დროებით შენარჩუნება და მარეგისტრირებული ორგანოს ჭარბი დაინტერესების პრევენცია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა მოწოდებული იყო, დაედგინა კომლის წევრთა ზოგადსამართლებრივი უფლებრივი მდგომარეობა და ამ დებულებისთვის მიესადაგებინა კონკრეტული შემთხვევები. შემუშავებული მეთოდი საინტერესო და წარმატებული აღმოჩნდა, რადგან იგი მიზნად ისახავდა ცნებათა აღრევის პრევენციას, არსებითად სწორი ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებით. რამდენიმე სანიმუშო გადაწყვეტილებას თუ გავაერთიანებთ, მივიღებთ პრაქტიკულ პასუხებს კომლის სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებულ კითხვებზე.

2.2. კომლის მემკვიდრეთა უფლებრივი მდგომარეობა 2019 წლის შემდეგ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსიდან 1323-ე მუხლის ამოღებასთან დაკავშირებით, განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ: „კომლისთვის გადაცემული ქონება წარმოადგენს კომლის წევრების საერთო საკუთრებას. დღეს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ასევე, კომლის მეურნეობას. შესაბამისად, კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდროს გახსნა კომლის ბოლო წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, ეწინააღმდეგება საქართველოს

კონსტიტუციას და დაუსაბუთებლად ზღუდავს კომლის სხვა წევრების მემკვიდრეების უფლებებს.⁴⁵¹ 2019 წლის საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ, ნათელია დროში პირველი და უფლებაში უპირატესის პრინციპით მოქმედების მაგნე გავლენა, რომ ცალკეულმა პირებმა მიწის რეგისტრაციის გამარტივებული წესით ისე დაირეგისტრირონ ან გადაფარონ სხვათა უფლება სამკვიდროზე, რომ გამოირიცხონ ამ პირთა იურიდიული ინტერესი. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე გავრცელებულ განცხადებებში, კომლის წევრ ან არაწევრ მესაკუთრეთა განსაკუთრებული საჭიროებები დასახელების ეტაპზეც კი, არ არის მითითებული. სასურველია, მარეგისტრირებელი ორგანოს მოწოდებებს დაემატოს მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმა და ცნებათა სახელმძღვანელო განმარტება. მაგალითად, „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიზანია მეწარმე ქალთა მხარდაჭერა, საკუთრების უფლებაზე გენდერული თანასწორობის მიღწევა და ქალების წილისა და როლის ზრდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეებს შორის.“⁴⁵² როგორ უნდა მიაღწიოს ამ მიზანს მარეგისტრირებელმა ორგანომ, თუ კომლის წევრთა გენდერული განაწილება მისთვის უცნობია? საინტერესოა, რატომ არ იკვლევს მარეგისტრირებელი ორგანო კომლის წევრი ქალების უფლებებს – იყო თუ არა კომლიდან ქალი წევრის გაწერა გენდერული ნიშნით მოტივირებული და სხვა. „მსოფლიო ბანკის ხელშეწყობით, 50-ზე მეტ ქვეყანაში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციის პროექტები მიმდინარეობს. ორგანიზაციის მიზანია, მიწის ადმინისტრირების სისტემის ხარისხის გაუმჯობესებითა და რეგისტრაციის პროცესში მთელი მოსახლეობის ჩართვით, ხელი შეუწყოს მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პროცესს.“⁴⁵³ კვლავ ბუნდოვანია საკითხი, თუ რატომ უნდა ჩაერთოს მოქალაქე ამ პროცესში. სასურველი იქნებოდა, ადმინისტრაციულ ორგანოს პირდაპირ მიეთითებინა: იმისთვის, რომ მოქალაქეთა საკუთრება იყოს დაცული და სუბიექტთა კონსტიტუციური უფლებები იყოს აღქმული. ორიენტირი ზოგად მიზნებსა და საყოველთაო სიკეთის მომტან დანიშნულებაზე – მოქალაქეებისთვის გაუგებარია.⁴⁵⁴ ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გაუაზრებელი და დაჩქარებული პროცესები, როგორც წესი, უარყოფითად აისახება სამართლისა და სოციალური ურთიერთობების განვითარებაზე.

საქართველოში არ არსებობს მიწის რეგისტრაციის სამართლებრივი, სოციალური და სანოტარო-სარეგისტრაციო კულტურა, რადგან მოქალაქეები ცდილობენ, თვითნებურად დაიკავონ სახელმწიფოს ან სხვა ფიზიკურ პირთა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები. ასევე, მარეგისტრირებელი ორგანო ვერ უზრუნველყოფს არასწორი ნახაზების ამორიცხვას რეესტრის მონაცემიდან. დროში აჩქარებული ტემპით მოქმედი ორგანო რეალურ პრობლემებს წინ უსწრებს და ამკვიდრებს იდეალურ მიზნებს სახელმწიფოში მიწის რეგისტრაციის რეფორმის

ფუნქციონირების საკითხისთვის. შესაბამისად, კომლის წევრთა საკუთრება ყველაზე მოწყვლადი საკუთრებაა, რომელიც შესაძლოა ცალკეულ პირთა მიერ დატაცების საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს. მარეგისტრირებელმა ორგანომ ერთმანეთისგან უნდა განასხვავოს კომლის მართლზომიერი მესაკუთრე და ფიზიკური პირი, რომელიც კომლის საკუთრების მიტაცებას ცდილობს. დროთა განმავლობაში, კერძო მესაკუთრული ინტერესი სისხლის სამართლის დანაშაულის შემადგენლობას იძენს, რომლის ფარული ბუნება ქართულ სამართალში ჯერ კიდევ, შეუსწავლელია.⁵⁵

2019 წლის საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ, კომლის მესაკუთრეთა უფლებრივი მდგომარეობის შეფასების დღის წესრიგს წარმოადგენს: სასამართლოში ან სხვა რომელიმე უფლებამოსილ ორგანოში დროული და მიზნობრივი გადაკვალიფიცირება, მოქალაქეთა კითხვებზე პასუხის გაცემა. აღნიშნული აისახა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებში, თუმცა, სირთულეს წარმოადგენს სხვა ორგანოთა მიერ სასამართლოს მიერ დასახელებულ საკითხთა გაუთვალისწინებლობა.

საქართველოს საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „საკომლო ჩანაწერები ეფუძნება ჩანაწერის შესრულების დროს მოქმედ კანონმდებლობასა და მის საფუძვლად განხორციელებულ პროცედურებს, ისევე, როგორც კანონით გათვალისწინებულ ფაქტობრივ გარემოებებს. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, კომლის წევრად პირის რეგისტრაცია თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ იგი აკმაყოფილებდა კომლის წევრად რეგისტრაციის პირობებს.“⁵⁶ განმარტება ხშირად გამოიყენება 2019 წლის საკანონმდებლო ცვლილების შემდგომ და უშუალო მითითებაა საჯარო რეესტრისთვის, რომ კომლის წევრ მემკვიდრეთა ან არაწევრ მემკვიდრეთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები მათი წარმოშობის შესაბამისად შეფასდეს. სასამართლო აღნიშნავს, რომ „იმ პირობებში, როდესაც სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლმა დაკარგა იურიდიული ძალა, კომლის ბოლო წევრის გარდაცვალების ფაქტი ირელევანტურია“ თუმცა, აქვე დასძენს, თუ რა პრობლემის წინაშე აღმოჩნდა სასამართლო – 1513¹ მუხლის ამოქმედებამდე, როდესაც მოსამართლეები აფასებდნენ გაუქმებულ 1323-ე მუხლს, რადგან ახალი ნორმა ჯერ კიდევ, არ იყო ამოქმედებული.⁵⁷ ამიტომ, სამოქალაქო კოდექსის 1513¹ მუხლის მიზანი და დანაწესი დაკავშირებულია 1323-ე მუხლის განმარტებებთან და იმ შინაარსთან, რომელიც პრაქტიკულად განამტკიცა სასამართლო პრაქტიკამ.⁵⁸

საკასაციო სასამართლო აზუსტებს კომლის წარმოშობის რეალურ მიზნებს და იმ სოციალურ ფუნქციას, სადაც ვითარდებოდა ეს სამართლებრივი ფორმა. ერთ-ერთ გადაწყ-

ვეტილებაში მითითებულია: „საკოლმეურნეო კომლის საოჯახო ქონებრივი გაყოფა ძირითადად, დაკავშირებული იყო კომლის შემადგენლობის შეცვლასთან, რის შედეგადაც კომლი, როგორც საოჯახო შრომითი გაერთიანება, ან მთლიანად წყვეტდა თავის არსებობას და მის ბაზაზე იქმნებოდა ორი ან რამდენიმე ახალი კომლი, ან იგი რიგ-რიგობრივად მცირდებოდა კომლიდან წევრის გასვლის გამო. პირველ შემთხვევაში საქმე ეხება კომლის გაყრას, ხოლო მეორე შემთხვევაში – კომლიდან გამოყოფას. კომლიდან გამოყოფა, როგორც წესი, აღინიშნებოდა კომლიდან გასვლით, თუმცა არსებობდა შემთხვევები, როდესაც კომლის წევრი აპირებდა ქონების გაყოფას და ფიქრობდა კვლავ კომლში დარჩენას საცხოვრებლად.“⁵⁹ ამ მითითებით იზღუდება რეესტრი, რომელიც ვალდებულია აღიქვას გასული წლების საქმიანობის ფაქტობრივი გარემოებები და ყოველი ახალი რეფორმის ფარგლებში დაფიქსირდეს წარსულში დაურეგულირებელი საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობა.

სასამართლოს მტკიცებით, „დადასტურებას ექვემდებარება მხოლოდ იმ წევრთა ქონებრივი ინტერესები, რომლებმაც კომლის ქონების მესაკუთრედ ცნობის პრეტენზია გამოხატეს და საკუთრების მისაღებად სათანადო სამართლებრივი ნაბიჯები გადადგეს.“⁶⁰ მაშინ, როდესაც ერთი მემკვიდრის ნებაა გამოხატული და სხვა მემკვიდრის ნება არ იკითხება, ეს დაგვაფიქრებს, ხომ არ გამორიცხავს სასამართლო სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების საკითხს და გადამეტებულ მნიშვნელობას ხომ არ ანიჭებს მხოლოდ პრეტენზიის გამოხატვას და მოთხოვნის წარდგენას? ამ განმარტების საფუძველზე, „საკასაციო სასამართლო არაა უფლებამოსილი, იმსჯელოს კომლის დანარჩენი წევრებისთვის კომლის ქონებაზე საკუთრების უფლების მინიჭების თუ დადასტურების შესახებ; მით უმეტეს იმ ვითარებაში, როდესაც აღნიშნული პირები თავად არ გამოხატავენ საკუთრების მიღების ნებას.“⁶¹ ბუნდოვანია, რას გულისხმობს დათქმა: აღნიშნული პირები თავად არ გამოხატავენ საკუთრების მიღების ნებას, რადგან შეიძლება დგინდებოდეს სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღება, რომელიც უკვე გამოხატული ნებაა. მაგალითად, სხვა გადაწყვეტილებაში სასამართლო აღიარებს კომლის სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღებას, როგორც ნებას, რომელიც არ საჭიროებს დამატებით, პრეტენზიის გამოხატვას. ერთ-ერთ საქმეში „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის პირველი ნაწილის, 1319-ე მუხლისა და 1421-ე მუხლების საფუძველზე (კომლის წევრის გარდაცვალების), შემდგომ სამკვიდრო ქონების ფლობასა და მართვას ახორციელებდა (მისი მეუღლე, ასევე კომლის წევრი). ანუ მან ნება გამოხატა მემკვიდრეობის მისაღებად და შეასრულა მემკვიდრეობის მიღებისათვის საჭირო მოქმედება, დაეუფლა სამკვიდრო ქონებას.“⁶²

პრაქტიკაში ხშირია კომლის ქონების საკუთრებაში მიღების შესახებ ფართო თეორიული მსჯელობის ჩამოყალიბება, რათა სასამართლომ შექმნას დამატებითი გარანტია გადაწყვეტილების სამართლებრივი შინაარსის გადმოსაცემად (ხანდახან თეორიული განმარტებები სამართლებრივ შინაარსს მოცულობით სჭარბობს კიდევ). ამგვარად, მოსამართლეები ითავსებენ ნორმის განმარტების ფუნქციას. საკასაციო სასამართლომ შეაჯერა კომლის ცნება, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513¹ მუხლის განმარტებით უნდა ჩამოყალიბდეს: „კოლმეურნეობების გაუქმებით საკოლმეურნეო კომლის არსებობას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა და მან არსებობა შეწყვიტა. შესაბამისად, ქონება, რომელიც კომლის ქონებას და ამავე დროს, კომლის წევრთა საერთო საკუთრებას წარმოადგენდა, აღარ წარმოადგენს კომლის ქონებას და არის იმ პირთა საერთო საკუთრება თანაბარ წილში, რომლებიც კომლის წევრებს წარმოადგენენ. აღნიშნულ ქონებაზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საკუთრების საერთო რეჟიმი.“⁶³ ამ განმარტებას თავისი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლის გაუქმების შემდგომ, 1513¹ მუხლის პირველ, მეორე და მესამე ნაწილში აისახა.⁶⁴

კომლთან დაკავშირებული სამართლებრივი დავების სიხშირეს საქართველოს უზენაესი სასამართლო იმ გადაწყვეტილებების კვლავ გააზრებით პასუხობს, რომლებიც სახელმძღვანელო მითითებებს შეიცავს, აღიარებს და იცავს კომლის მესაკუთრეთა უფლებებს თუმცა, სასამართლო გადატვირთულობა საკითხის სირთულეს კიდევ უფრო ამწვავებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „იმისათვის, რომ პირმა შეძლოს საკუთრების უფლებით პრაქტიკული სარგებლობა, არ არის საკმარისი მისთვის აბსტრაქტული საკუთრებითი გარანტიის მინიჭება. მან ასევე, უნდა ისარგებლოს იმგვარი სამოქალაქო, კერძოსამართლებრივი წესრიგით, რომელიც შესაძლებელს გახდის საკუთრების უფლებით შეუფერხებელ სარგებლობას და შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვის განვითარებას.“⁶⁵ ამ შემთხვევაში, იგულისხმება კიდევ განსაკუთრებული საჭიროებების განსაზღვრის აუცილებლობა,⁶⁶ მაგრამ სასამართლო, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დაცვით მოქმედებს, ვერ შეიძენს მარეგისტრირებელი ან სანოტარო ორგანოს ფუნქციას და ამავე დროს, ვერ იქნება ფართომასშტაბიანი ხასიათის მქონე სარეგისტრაციო ღონისძიებებისკენ მოწოდების ინიციატორი. კომლთან დაკავშირებულ საკითხებზე აღსანიშნავია, განსხვავებები საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთი მხრივ, სამოქალაქო და მეორე მხრივ, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მსჯელობას შორის.⁶⁷

გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრება ნოტარიუსს, რომელიც გასცემს სამკვიდრო მოწმობას და საჯარო რეესტრის თანამშრომელს, რომელიც არეგისტრირებს პირს ნივთის მესა-

კუთრედ. შესაბამისად, კომლის წევრი და არაწევრი მემკვიდრეების საკუთრების უფლების დაცვა კომპლექსურ საკითხს წარმოადგენს, რომელიც კანონმდებლის, საჯარო რეესტრისა და ეროვნული სასამართლოების გამოწვევაა. პრობლემის უკეთ აღსაქმელად მნიშვნელოვანია ცნებათა სწორი განმარტება და მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, რაც გამოიწვია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2019 წელს განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებამ.

3. კერძო მესაკუთრული ინტერესის შეფასება და პრობლემის გადაწყვეტის ცდა

კომლის შემადგენლობაში არსებული მიწის ნაკვეთის მემკვიდრეობით მისაღებად სანოტარო ბიუროში წარდგენილ მოთხოვნას ახასიათებს კერძო მესაკუთრული ინტერესის გამოხატვა.⁶⁸ კერძო მესაკუთრული ინტერესის კვლევა სამოქალაქო სამართალში აქტუალური საკითხია.⁶⁹ კერძო მესაკუთრული ინტერესი შესაძლოა სოციალური ნიშნის მქონე განსაზღვრებიდან იურიდიული შედეგის მქონე სამართლებრივ მონაცემად ჩამოყალიბდეს, სადაც სახელმწიფოს მხრიდან ქონებრივი სიკეთეების მართვის პოლიტიკურ-სამართლებრივი კონცეფცია და დაინტერესებულ პირთა მიერ განსახორციელებელი მოქმედებები კერძო მესაკუთრული ინტერესების ეფექტიანი კონტროლის აუცილებლობას აყენებს დღის წესრიგში.⁷⁰ ბუნებრივია, თუ კომლის მემკვიდრეს ექნება კერძო მესაკუთრული ინტერესი კომლის სამკვიდროზე, თუმცა ეს არ უნდა იყოს შეუზღუდავი მოქმედებების განხორციელების საფუძველი.

კომლის მემკვიდრეობასთან დაკავშირებული კერძოსამართლებრივი ურთიერთობების ერთგვარ ნიხრად კერძო მესაკუთრული ინტერესის ჭარბი ხასიათის ჩამოყალიბება სახელმწიფოში მიმდინარე სხვადასხვა მოვლენამ განაპირობა. საწყის ეტაპზე მოქალაქეთა კერძო მესაკუთრული ინტერესის არსებობა უფლების დაცვისა და განხორციელების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა, რომ სოციალისტური საკუთრებისთვის დამახასიათებელი ქონებრივი სიკეთეების პრაქტიკული გადანაწილება სოციალისტური წესების შორის თანაბრად მომხდარიყო, რათა მოქმედ და სამომავლოდ მისაღებ კანონმდებლობას მოქალაქეთა საკუთრებითი ინტერესი არ აღმოეფხვრა. დროთა განმავლობაში ნორმების ჩამოყალიბებამ და საკუთრების შეძენის სახეების დადგენამ, ასევე საკუთრების უფლების თავისებურებების გააზრებამ კერძო მესაკუთრული ინტერესის მანვე გავლენის აღმოფხვრის აუცილებლობა განსაზღვრა. კერძოსამართლებრივი ურთიერთობები საკანონმდებლო რეგულირების მიუხედავად, მოქალაქეთა მხრიდან კვლავ ხასიათდებიან მესაკუთრული დაინტერესების სიმძლავრით, რაც იურიდიული შედეგის დადგენის თვალსაზრისით, სასამართლოში მოქალაქეთა

ლაქეთა მრავალი სასარჩელო მოთხოვნის წარმოდგენას გულისხმობს. მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმის ნოვატორული ხასიათი და რეფორმის ფარგლებში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების მაღალი რაოდენობა მოქალაქეთა კერძო მესაკუთრული ინტერესის სიჭარბეზე დაგვაფიქრებს. და მაინც, როდის ამწვავებს კანონმდებელი კერძო მესაკუთრულ ინტერესს? დამაფიქრებელია, საკანონმდებლო ცვლილებები: სანოტარო მოქმედებების აუცილებლობასთან დაკავშირებით, მიწის რეგისტრაციის სხვადასხვა რეფორმის მიმდინარეობის საკითხის განხილვით, კომლის საკუთრებასთან დაკავშირებული ცვლილებების თავისებურების გამოკვეთით. სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთა კერძო მესაკუთრული ინტერესის სხვადასხვა ფორმით საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ განსაზღვრებად გარდაქმნა მართლზომიერ ინტერესთან ერთად, შესაძლოა სხვა სახის დაფარული ბუნების მატარებელი აღმოჩნდეს. იცვლებიან უწყებათა კონცეფციის წარმმართველი პირები, საჯარო მოხელეები, ხოლო მოქალაქეთა კერძო მესაკუთრული ინტერესი ვითარდება, როგორც დროში პირველი, უფლებაში უპირატესი შესაძლებლობების მქონე მოცემულობა, მოქალაქეთა მიერ საკუთრებითი ობიექტის ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უზრუნველყოფის მიზნებისთვის.

განვიხილოთ კომლის წევრი ან არაწევრი მემკვიდრისთვის დამახასიათებელი კერძო მესაკუთრული ინტერესის დამაბალანსებელი და გამანეიტრალებელი სამართლებრივი ინსტიტუტები: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებიდან დღემდე, საჯარო მოხელის სტატუსისა და საქმიანობის გამოწვევებს არა მხოლოდ შიდა სისტემური, არამედ მიწის რეფორმის მოქმედების ფარგლებში ჩამოყალიბებული თანამშრომლობის აუცილებლობის ფორმა მიენიჭა. საჯარო მოხელეს ეკისრება რეფორმით გათვალისწინებული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა მოქალაქეთა ინფორმირებისა თუ პროფესიული მოქმედებების განხორციელების თვალსაზრისით. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სახელმწიფო პროექტის მიმართ მოქალაქეთა დაინტერესებისა და მოთხოვნის მაჩვენებელი, გასულ წლებთან შედარებით, იზრდება. რეფორმის სიახლეს თან სდევს მის განხორციელებასთან დაკავშირებული გამოწვევები, რაც ამ პროექტში მონაწილე უფლებამოსილ პირებს რეფორმით განსაზღვრული თანამშრომლობის მოვალეობას აკისრებს. მოქალაქეთა მიმართვიანობის გაზრდილი მაჩვენებელი დღის წესრიგში აყენებს კერძო მესაკუთრული ინტერესის შემცირების აუცილებლობას, რომლის მიმართ ერთგვარი კონტროლის მექანიზმის ჩამოყალიბება სწორედ საქმის წარმმართველ პირს ეკისრება.⁷¹ გასათვალისწინებელია, რომ საჯარო მოხელის მიერ განსახორციელებელი მოქმედებების უწყებრიობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არ არის იდენტური და რეფორმით გათვალისწინებული მოთხოვნები საჯარო მოხელეს, როგორც საჯარო მოსამსახურეს გულმოდგინებისკენ მოუწოდებს. ვგულისხმობთ რჩევის

გაცემის საკითხსა თუ განსახორციელებელი ქმედების მიმართ წინასწარი წარმოდგენების არსებობას – მაგალითად, მოიძიოს ინფორმაცია რეფორმით განსაზღვრული პირობებითა და წესის დაცვით. მოქალაქეთა კერძო მესაკუთრული ინტერესის ინტენსივობა ჯერ კიდევ, წარსულ ეპოქაში შეიმჩნეოდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, კერძო საკუთრების რეგისტრაციის აუცილებლობამ წარმოშვა მოქალაქეთა, შემდგომში კერძო მესაკუთრეთა დაინტერესების ფართო შესაძლებლობები, რა დროსაც მიწის ნაკვეთის დაუფლების მართლზომიერების საკითხი კანონმდებელს წლიდან წლამდე ახალი გამოწვევების წინაშე აყენებდა. მიწის რეგისტრაციის რეფორმათა ეტაპობრიობამ აჩვენა საჯარო მოხელეთა ის გაუთვალისწინებელი და არათანმიმდევრული მოქმედებები, რომლებიც მოქალაქეთა ჭარბი დაინტერესების ფონზე არათანმხვედრი ინტერესით ჩამოყალიბდა. რეგისტრაციის პროცესს თან ახლდა სასამართლო დავები და რეფორმის მიმდინარეობის არაგანგრძობადი ხასიათი, რაც საბოლოოდ, კერძო მესაკუთრეთა საკუთრებით ინტერესზე უარყოფითად აისახა.

კერძო მესაკუთრული ინტერესის ერთ-ერთ წარმომშობ წყაროდ შესაძლოა მივიჩნიოთ ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილი ორგანოების მიერ წარსულში განხორციელებული მოქმედებები, მათ შორის, მიწის აღიარების კომისიების მიერ გაცემული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობები, რომელთა ხასიათი სცდებოდა საკითხის ნორმატიულ სინამდვილეს და ქონებრივი სიკეთის ფართობისა თუ ტერიტორიული ასახვის თვალსაზრისით, კერძო მესაკუთრული დაინტერესების ღია არეალს ქმნიდა. საინტერესოა, ამ შემთხვევაში რამდენად მართლზომიერი და კანონიერი იყო უფლებამოსილ ორგანოთა მიერ განხორციელებული მოქმედებები. სასამართლო პრაქტიკას თუ გადავხედავთ აღნიშნული მკაფიოდ უკავშირდება დროის საერთო ინტერვალში სხვადასხვა მუნიციპალიტეტში გაცემული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობების არაკანონიერ ხასიათს. მიმდინარე რეფორმის ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილ ორგანოთა მიერ კერძო მესაკუთრული ინტერესის ნორმასთან შეჯერების საკითხი კვლავ პრობლემურია. უპირატესად, მიწის აღიარების კომისიების დაკომპლექტებისა და საკითხის განხილვის არაერთგვაროვნების თვალსაზრისით. ამიტომ, დასახელებულ ორგანოს არ გააჩნია მკაფიო ბერკეტები მოქალაქეთა არამართლზომიერი დაინტერესების შესაჩერებლად. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის რეფორმამ საჯარო მოხელის სტატუსი და საქმიანობა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ფარგლებში და სახელმწიფო სამართლებრივი ინსტიტუტების განვითარების თვალსაზრისით, უნიკალურ და თვითმყოფად პრინციპებს დააფუძნა,⁷² თუმცა, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნებისთვის განვითარებული სამართალი მოქალაქეებთან უფრო მეტად გაუცხოებულია,

ვიდრე ადრე. ცალკეული პირების უკანონო ქმედების ან ორგანოს უყურადღებობის გამო, მიწის ნაკვეთის გადაფარვის პრობლემა და სხვა სირთულეები, დღემდე გადაუჭრელია. სწორედ აღნიშნული პრინციპების მედეგობისა და შედეგუნარიანობის ერთ-ერთ გამოწვევად იქცა მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმის ფარგლებში, საჯარო მოხელის მიერ მოქალაქეთა ინფორმირებისა და მიმართვის საფუძველზე განსახორციელებელი მოქმედებების შეფასების საკითხი.⁷³

მოქალაქეთა საკუთრების უფლების რეგისტრაციის მნიშვნელობა განუზომელია, რადგან სწორედ საჯარო რეესტრი აყალიბებს კერძო საკუთრების დაცვის საერთო თეზისს, რომლის პატივისცემითაც უნდა განიმსჭვალონ მოქალაქეები და თვით რეესტრი. თავის მხრივ, რეგისტრაციის ფაქტი მოიცავს მოქალაქის მიერ განცხადების წარდგენის შესაძლებლობებს. ამასთან, ბუნდოვანია თუ რა პრინციპით ხელმძღვანელობს ეს ორგანო კერძო მესაკუთრული ინტერესის შეფასებისას ან საერთოდ მიიჩნევს თუ არა ამ საკითხს პრობლემად. რეფორმის მიმდინარეობისას, მოქალაქეთა გაზრდილი მიმართვიანობა სწორედ, რომ ამ რისკებს ამაღლებს. მიწის რეგისტრაციის რეფორმით გამოწვეულ საერთო წარმატებას კი, თან სდევს მოქალაქეთა არამართლზომიერი ინტერესის განუზომელი სიჭარბე, რომელთა ნაწილს უკვე მიენიჭა იურიდიული შედეგის მქონე ძალა, ხოლო ნაწილი კვლავ, წარმოების ეტაპზე იმყოფება. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ სწრაფ, მოქნილ და ახლებურ საწყისზე დაფუძნებულ წარმოებას უნდა ერთვოდეს წარსული გამოცდილების გამოწვევების გადააზრება, რაც საშუალებას მოგვცემს საკითხის შესახებ იდეალიზებული განსაზღვრება ობიექტური რეალობის აღქმით ჩავანაცვლოთ.

საარქივო მასალების მოძიება და ქონებრივი სიკეთის მახასიათებლების დადგენა უმნიშვნელოვანესია. კერძო მესაკუთრული ინტერესის მავნე გავლენა მოქალაქეთა მხრიდან საჯარო მოხელის საქმიანობით დაინტერესებისა და არამართლზომიერი მოქმედებების განხორციელების მოთხოვნის საფრთხეს წარმოშობს, რაც შემდგომში აისახება სამსახურის ფუნქციონირებაზე. მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი მოქმედებები კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს საჯარო სამსახურის სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფის აუცილებლობის საკითხზე, როდესაც რეფორმით განსაზღვრული მოთხოვნები დღის წესრიგში აყენებს თანამშრომლობის ვალდებულებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის მკაცრ მოთხოვნებს. მოხელის მიერ სახელმწიფო რეფორმის ფარგლებში განხორციელებული მოქმედებები მისი, როგორც სახელმწიფო მოსამსახურის, შემდგომში საჯარო მოსამსახურის სტატუსისა და საქმიანობის უზრუნველყოფით ვლინდება,

ხოლო რეფორმით გათვალისწინებული თანამშრომლობა მოიაზრებს ურთიერთობას სხვა საჯარო დაწესებულებებთან. საჯარო მოხელე კერძო მესაკუთრული ინტერესის სიჭარბეს კანონით დადგენილი საქმიანობის წესისა და პრინციპების შესაბამისად უნდა გაუმკლავდეს. პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრული პასუხისმგებლობის სამი სახე ნოტარიუსს საშუალებას აძლევს, რომ იყოს შეზღუდული სიახლის შემცველ საკითხებთან დაკავშირებით. რაც გულისხმობს პრობლემური საკითხის მიმართ უარის გაცხადებას ისე, რომ ნოტარიუსის უარი არ იყოს უკანონო და საკითხი გადაწყდეს კანონის მოთხოვნათა დაცვით, თუმცა, კერძო მესაკუთრული ინტერესის გამოურკვევლად. საგულისხმოა, რომ საკითხი კერძო მესაკუთრული ფსიქოლოგიის შეფასების შესახებ, ნოტარიუსის უფლებამოსილების არაპირდაპირი პოსტულატია თუმცა, ამ უკანასკნელის უარყოფა სანოტარო წარმოების ფორმალურ დონეზე, თავისუფლად არის შესაძლებელი. ნოტარიუსი ფლობს კერძო მესაკუთრული ინტერესის აღმოფხვრის რეალურ ბერკეტს თუმცა, მისი გამოყენებით შესაძლოა უნებურად ჩაერთოს დაუსრულებელ სანოტარო მოქმედებათა ან სასამართლო დავათა პროცესში, რაც მხოლოდ და მხოლოდ ხარჯსა და დამატებით პასუხისმგებლობას მოუტანს მას, სამართლის განვითარების იდეისათვის კი, არსებობს სასამართლო ინსტიტუცია, რომელსაც შესწევს უნარი პრეცედენტული გადაწყვეტილებების მისაღებად. უფლებამოსილ პირთა მიერ მიწის რესურსის მხოლოდ რეგისტრაციის სავალდებულოობის ნაწილში დარეგულირება, ვერ მოიცავს დაინტერესებულ პირთა თვითნებური ქმედების აღკვეთისა თუ უფლებამოსილ პირთა მიერ უკანონო მოქმედების გამოვლენის საფრთხეებს. საჯარო მოხელე და ნოტარიუსი დასახელებული გამოწვევების საპასუხოდ, საკითხის დასარეგულირებლად დაინტერესებული პირის სხვა ორგანოში გადამისამართებას ცდილობენ,⁷⁴ რათა დამოუკიდებელი მოქმედებებით არ გამოიწვიონ პროფესიული პასუხისმგებლობის დადგომა. ამ შემთხვევაში სანოტარო აქტის საჯარო და კერძო აქტის ფორმით გამიჯვნის საკითხი საჯარო რეესტრის მიერ გაცემული ხარვეზიანი ამონაწერის დიფერენცირების საშუალებას არ იძლევა, თუმცა კერძო აქტის ფორმით გაცემული სანოტარო აქტის მიმართ ნოტარიუსის პასუხისმგებლობის გაუვრცელებლობის საკანონმდებლო მოცემულობა პრევენციის ეფექტიანი საშუალებაა.⁷⁵

მედიაციის ინსტიტუტი ქმედითი და მოქნილი მექანიზმებით ხასიათდება,⁷⁶ რაც მედიატორს საშუალებას აძლევს, სოციალური ნიშნის მქონე კერძო მესაკუთრული ფსიქოლოგია ეფექტიანად მართოს. კერძო მესაკუთრული ინტერესის მავნე გავლენის შეფასებისთვის გასათვალისწინებელია შემდეგი: მოქალაქეთა კერძო მესაკუთრული ინტერესის სიმძაფრე სოციალური რეალობისთვის დამახასიათებელი და ბუნებრივი მოვლენაა, ამიტომ მისი სისტემური აღ-

მოფხვრა მხოლოდ საკუთრების უფლების რეგისტრირების სავალდებულობის მოთხოვნით წარმოდგენილია.⁷⁷ ამიტომ, მედიაციის ფუნქციონირებამ ნაკლოვანებები პრობლემური საწყისის ძიებით – მოლაპარაკების საშუალებით უნდა დაარეგულიროს. სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და საკანონმდებლო საქმიანობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული და განსახორციელებელი მოქმედებები უპირველესად, კერძო საკუთრების დაცვის იდეის აუცილებლობასა და სოციალური გარემოს მდგრადობას უნდა აყალიბებდეს, სადაც მედიაციის პროცესი მოქალაქეთა საკუთრების უფლების დაცვის საფუძველია. მეორე მხრივ, მედიაციის პროცესის ჩატარების უზრუნველყოფით შეუძლებელია კერძო მესაკუთრული ფსიქოლოგიის სრულად აღმოფხვრა, რადგან დასახელებული საკითხი თავისი სოციალური მახასიათებლებით წინ უსწრებს სამართლებრივი შედეგის მქონე მოთხოვნების დადგენას და ქმნის კონკრეტულ მიმართულებას სასარჩელო მოთხოვნების ჩამოსაყალიბებლად.⁷⁸

კერძო მესაკუთრული ინტერესის აღქმის მკაცრ ტესტს საქართველოს სამივე ინსტანციის სასამართლოები განსხვავებული თავისებურებებით ადგენენ. პირველი ინსტანციის სასამართლოში დავის წარმოება კერძო მესაკუთრული ფსიქოლოგიის ასახვის საწყისი ეპიზოდია, რომელიც სააპელაციო სასამართლოში იურიდიული შედეგების საფუძველზე, აპელაციის უფლების განხორციელებით მიმდინარეობს. საკასაციო სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტის, დაკვირვების, შემეცნებისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის შემუშავების მეთოდები სრულად მაინც ვერ არეგულირებს კერძო მესაკუთრული ინტერესის მავნე გავლენას, რადგან მხარეთა ინტერესებში მოქცეულ ფსიქოლოგიას სამართლისა და სამართლიანობის ურთიერთმიმართება ახასიათებს. გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები: სასამართლო ინსტანციათა სახესხვაობა, როგორც კერძო მესაკუთრული ფსიქოლოგიის სასარჩელო მოთხოვნებში გამოხატული სოციალურ-სამართლებრივი განსაზღვრება, დავათა კატეგორიები და თავისებურებები, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების გამოყენების შესაძლებლობები, მოსამართლის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები – სასამართლო გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება და ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრების პერსპექტივები. სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვით შესაძლებელია კომლის საკუთრებისა და მემკვიდრეობის პრობლემის აღქმა და შეფასება.⁷⁹ პრობლემის აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია, რომ მიწის რეფორმის მიმდინარეობისას, თავიდან იქნას აცილებული კომლის მესაკუთრეთა უფლების ხელყოფის შემთხვევები და ეტაპობრივად დაიწყოს პრობლემის გააზრება საკანონმდებლო დონეზე.⁸⁰ ასევე, ნოტარიუსებმა კარგად უნდა გაიაზრონ თავიანთი უფლებამოსილებები და საქმის სირთულის ან სხვა მიზეზით თავი არ აარიდონ მოქალაქის თხოვნას რჩევის გაცემასა და სანოტარო მოქმედების განხორციელებაზე.⁸¹

მნიშვნელოვანია, რომ კომლთან დაკავშირებული დავები პირველ ეტაპზე არ განიხილოს მხოლოდ სასამართლომ. მსგავსი დავები უნდა გადაეცეს სავალდებულო წესით სასამართლო მედიაციას, რათა ცალკეულმა პირებმა არ დაიწყონ სასამართლოში საქმის წარმოება სხვადასხვა ქვენაგრძნობით და არ ჰქონდეთ იმის მოლოდინი, რომ უსაფუძვლოდ შეუშლიან ხელს კეთილ-სინდისიერ მესაკუთრეს ქონების ფლობა – სარგებლობასა და განკარგვაში.⁸² ასევე, უნდა გააქტიურდეს ნოტარიუსი – გამოიკვეთოს მისი როლი, რომელიც მიუთითებს მსგავსი ქვენაგრძნობით მოქმედ პირს ამ ქმედების არაკანონიერების შესახებ და აუკრძალავს მას ამ მოთხოვნით კვლავ მომართვის შესაძლებლობას,⁸³ რათა არაკეთილსინდისიერმა პირმა, რომელსაც არასდროს უცხოვრია კომლში და არც კომლის არაწევრი მემკვიდრეა, არაერთგზის არ შეიტანოს განაცხადი საჯარო რეესტრში ე. ი. ნოტარიუსს უნდა მიეცეს უფლება, რომ აუკრძალოს არაკანონიერად მოქმედ პირს ერთი და იგივე მოთხოვნით სანოტარო ბიუროში სხვადასხვა ნოტარიუსთან განცხადების წარდგენა, რათა ამ პირმა ერთი ნოტარიუსის უარის მიუხედავად, ყალბი დოკუმენტებით სხვა ნოტარიუსისგან არ მიიღოს თანხმობა სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე.

დასკვნა

საბოლოოდ, კვლევის საფუძველზე ჩამოყალიბდა შემდეგი დასკვნები:

1. კომლის შემადგენლობაში არსებული მიწის ნაკვეთის მემკვიდრეობით მიღების პრობლემის ტექნიკური ხასიათი გულისხმობს, რომ უფლების დამდგენი დოკუმენტი შეიცავს ხარვეზს, ხოლო დოკუმენტში დაშვებული შეცდომა იმ წესის დაცვით უნდა გასწორდეს, რა ფორმითაც დოკუმენტი შეივსო, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩანაწერის ბათილობის საკითხს განიხილავს სასამართლო. მხარეთა შორის დავის შემთხვევაში და ასევე, მოდავე მხარის არარსებობის პირობებში, როგორც წესი, კომლის მემკვიდრე ვერ შეძლებს დამოუკიდებლად, სანოტარო მოქმედების განხორციელების მოთხოვნით ან საჯარო რეესტრისთვის მიმართვის საფუძველზე ამ პრობლემის ტექნიკური ხასიათის აღმოფხვრას. მსგავს შემთხვევაში, ეს საკითხი უდავო წარმოების წესით უნდა იქნას განხილული.
2. პრობლემის ტერმინოლოგიური ხასიათი უკავშირდება კომლისა და მასთან დაკავშირებული ცნებების სამართლებრივი განსაზღვრებების ბუნდოვანებას ან საერთოდ არარსებობას კანონმდებლობაში, რის გამოც კომლის მემკვიდრე სათანადოდ ვერ ასაბუთებს მემკვიდრეობის უფლებას/კომლის სამკვიდროს მიღების მოთხოვნას. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დარჩენილი მოთხოვნების სიმრავლე წარმოშობს კონფლიქტს კომლის ქონების მემკვიდრეობით მიღების ეტაპზე. ინტერესთა კონფლიქტის საპირწონედ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მემკვიდრეობითი სამართლის ნორმების

პირდაპირ გამოყენება, კომლის სამართლებრივი ბუნების და წევრთა შემადგენლობის შეუსწავლელად, ხელყოფს კომლის ქონებაზე რეალური მემკვიდრის უფლებას (იური-დიულ ინტერესს) და ხელს უწყობს კომლის სამკვიდროზე არაუფლებამოსილი პირების მოთხოვნის დასაბუთებას.

3. პრობლემის შინაარსობრივი ხასიათი ვლინდება როგორც ნორმის განმარტებისას, ისე სანოტარო ბიუროში ნოტარიუსისთვის მიმართვისა და საჯარო რეესტრში ქონების რეგისტრაციის მოთხოვნის წარდგენაში. კომლის სამკვიდროს გახსნა და ქონებრივი სიკეთეების სამოქალაქო ბრუნვის არსი შესაძლოა განსხვავებულად იყოს გაგებული ნოტარიუსის ან სხვა პირის მიერ. ამიტომ, მნიშვნელოვანია დადგინდეს: ა) რამდენად სწორად და ჯეროვნად ახორციელებს უფლებამოსილი პირი (ნოტარიუსი) თავის ფუნქციებს, მათ შორის, მყისიერად რეაგირებს მოქალაქის განცხადებაზე; ბ) იმოქმედა თუ არა საქმიანობის წესზე 2019 წლის საკანონმდებლო ცვლილებამ და რა ფორმით; გ) იკვლევს თუ არა უფლებამოსილი პირი (ნოტარიუსი) საკითხის/სამოქალაქო ურთიერთობის შინაარსს, თუ მხოლოდ ფორმალური პირობების შემოწმებით შემოიფარგლება. კომლის მემკვიდრეობის თეორიული კვლევა მნიშვნელოვანია თუმცა, მისი პრაქტიკული დანიშნულება უფრო მეტად მიმზიდველი უნდა იყოს მემკვიდრისთვის საკუთარი ინტერესის დაცვის თვალსაზრისით. თეორიასა და პრაქტიკაში, დავა კომლის სამკვიდროს მოთხოვნის უფლების არსებობის შესახებ არ უნდა გადაიქცეს კომლის მემკვიდრის უუფლებობის დასაბუთების მცდელობად.
4. სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, პრობლემის ბუნება ჯერ კიდევ, არ არის ჩამოყალიბებული. ცალკეული პრეცედენტი ვერ უზრუნველყოფს სტაბილური ხედვის შემუშავებას კომლის სამკვიდროს მიღების მატერიალური და პროცესუალური საკითხების განხილვის პროცესში. კომლთან დაკავშირებული, 2019 წლის საკანონმდებლო ცვლილებამდე არსებული პრაქტიკა გარდაიქმნა ცვლილების შემდგომი რეალობის შესაბამისად, თუმცა, სსკ-ის 1513¹ მუხლის განმარტებისას სასამართლოები ინერციით კვლავ იყენებენ გაუქმებული – 1323-ე მუხლის შინაარსსა და ამ ნორმასთან დაკავშირებულ მსჯელობებს. გასათვალისწინებელია, რომ 1513¹ მუხლის განმარტებისას, სასამართლო არ დაუბრუნდეს მხოლოდ გაუქმებული ნორმის შინაარსის გამოყენების პრაქტიკას და ეცადოს, განავითაროს მოქმედი ნორმის განმარტების პრაქტიკა.
5. მიწის რეგისტრაციის მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, კომლის შემადგენლობაში არსებული მიწის ნაკვეთის მემკვიდრეობით მიღების პრობლემა კვლავ აქტუალურია და აისახება საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში. მხარეთა დავის პროცესში, რთულ სამართლებრივ შემთხვევათა შესაფასებლად და თანაბარმნიშვნელოვანი ინტერესის გამოსაკვეთად უმჯობესია, გამოყენებული იყოს მედიაციის ინსტიტუტი.⁸⁴

შენიშვნები:

- ¹ იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-745-707-2013, 2015 წლის 30 იანვარი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1465-2019, 2020 წლის 10 აპრილი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-179-2020, 2022 წლის 11 მაისი.
- ² შეად. ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელმწიფოებო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2014, გვ. 9, შემდეგ: მესხიშვილი ნ., ქონების კეთილსინდისიერი შეძენა არაუფლებამოსილი პირისაგან, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2018, გვ. 48.
- ³ შეად. ამირანაშვილი გ., გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა, თბ., 2018, გვ. 147-148.
- ⁴ მესხიშვილი ქ., მე-4 მუხლის კომენტარი კრებულში: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (რჩეული მუხლები), თბ., 2020, გვ. 107; ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, მე-2 გამოცემა, თბ., 2005, გვ. 53-56; გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბ., 2013, გვ. 22-26; ამილახვარი თ., მტკიცების ტვირთი საერთო სამართლის ქვეყნებში, სტატიათა კრებული: მტკიცებითი სამართლის აქტუალური საკითხები, თბ., 2016, გვ. 16-17; კვინიკაძე ქ., ჩხაიძე გ., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო პროცესში და მისი სუბიექტები – მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირები, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, №1(44), 2015, გვ. 113-114.
- ⁵ იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 22 თებერვლის №1/4/258 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დინა ფოფხაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“ სასამართლოს განმარტებით: „განმწესრიგებელ სხდომაზე და საქმის არსებითად განხილვისათვის მომზადების პერიოდში გამოიკვეთა სადავო ნორმით – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლით („სამკვიდროს გახსნა კომლში“) გათვალისწინებული ურთიერთობების საკანონმდებლო მოწესრიგების სრულყოფის საჭიროება.“
- ⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997, 1513¹ მუხლი; საქართველოს კანონი „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“, 03/06/2016, მე-7 მუხლის მე-8 პუნქტი; საქართველოს კანონი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“, სსმ, 29, 11/07/2007, პირველი, მე-5, 7¹ და 7² მუხლები, საქართველოს ორგანული კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, სსმ, 25/06/2019, მე-4 მუხლი.
- ⁷ იხ.: მიწის სისტემური რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმის 2022-2024 წლების სტრატეგია: მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში კონკრეტულ ადმინისტრაციულ ერთეულებში საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების დაწყების დრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, <https://slr.napr.gov.ge/schedule> [24.10.2022].
- ⁸ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, გვ. 140-143.
- ⁹ საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, 25/06/2019, პირველი მუხლის მე-10, მე-11, მე-12, მე-13, მე-14 და მე-15 ნაწილი.
- ¹⁰ ავტორის შენიშვნა: იგულისხმება, სსკ-ის 1460-ე, 1461-ე და 1464-ე მუხლი.
- ¹¹ შენგელია რ., ახვლედიანი ზ., ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი V, საოხაჯო და მემკვიდრეობითი სამართალი,

- თბ., 2000, გვ. 377-379; შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2019, გვ. 427-428; ჩიტოშვილი თ., უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2006, გვ. 28-29, 80-85; სეხნიაიძე ბ., ნოტარიატი (ლექციების კურსი), თბ., 2004, გვ. 131-135; სუხიტაშვილი დ., სანოტარო სამართალი, თბ., 2012, გვ. 195-196, 203-205, 208-210.
- ¹² იხ.: განმარტებითი ბარათი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე (№07-3/294/9).
- ¹³ იხ.: საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, 08/12/2006, სსმ, 48, პირველი მუხლის პირველი და მე-2 ნაწილი.
- ¹⁴ ჭადაშვილი თ., ნოტარიუსი – დამატებითი ფორმალუბა თუ ხელშეკრულების მხარეთა ინფორმირებულობისა და თანასწორობის გარანტი? თბ., 2012, გვ. 22-24; ლეონიძე ი., სანოტარო აქტის საჯარო და კერძო აქტის ფორმით დაყოფის პრობლემატიკა და საკანონმდებლო გამოწვევები, ჟურნ. კერძო სამართლის მიმოხილვა, №3-4, 2021-2022, 2022, გვ. 320-321; ბიჭია მ., მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმის დადგენის თავისებურებები საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, №1(61), 2019, გვ. 86-87, მითითებულია: „აღნიშნული ცვლილებით ისეთი განსაკუთრებული მნიშვნელობის ხელშეკრულებების დროს, როგორიცაა უძრავი ქონების თაობაზე დადებული გარიგებები, კანონმდებელმა გაუმართლებლად დასწია მხარეთა დაცვის ხარისხი.“
- ¹⁵ იხ.: განმარტებითი ბარათი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე (№07-3/294/9).
- ¹⁶ შენგელია რ., სამემკვიდრეო სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების ინტერესების დაცვის მექანიზმების სრულყოფის აუცილებლობა, ჟურნ. ცხოვრება და კანონი, №1-2(57-58), 2022, გვ. 95.
- ¹⁷ ავტორის შენიშვნა: კანონმდებელი კომლის მემკვიდრეების უფლების შეზღუდვისას ვერ ხედავს ზღვარს სხვადასხვა მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტებს (მემკვიდრეებს) შორის. ამიტომ, ამ განმარტებით უპირატესობას ანიჭებს საკითხის ნაწილობრივ გადაწყვეტას.
- ¹⁸ ვუდარსკი ა., სირდაძე ლ., რეესტრების ჯუნგლები 21-ე საუკუნეში, ჟურნ. შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, №6, 2020, გვ. 31.
- ¹⁹ ბოკი რ., ნოტარიუსის სამსახურებრივი ვალდებულებები ხელშეკრულების სუსტი მხარის დასაცავად, ჟურნ. შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, №11, 2020, გვ. 3-4.
- ²⁰ იხ.: საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანება „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, 77-ე და შემდეგი მუხლები; საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“, 38-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები.
- ²¹ შეად. ბოკი რ., ნოტარიუსის სამსახურებრივი ვალდებულებები ხელშეკრულების სუსტი მხარის დასაცავად, ჟურნ. შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, №11, 2020, გვ. 3. მითითებულია: „რა საჭიროა ამ ქვეყანაში ნოტარიუსები“ – იკითხა მინისტრმა. ნოტარიუსმა ნამდვილად დაარღვია განმარტების ვალდებულება.“
- ²² რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ., ბიგვათა თ., მუხლი 1145. ფიქციური ქორწინების ბათილად ცნობა წიგნში: სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII (საოჯახო სამართალი), თბ., 2021, გვ. 58.
- ²³ შეად. ბიჭია მ., ფაქტობრივი საოჯახო ურთიერთობის სამართლებრივი მნიშვნელობა, ჟურნ. სამართალი და მსოფლიო, №5(1), 2019, გვ. 31-33.
- ²⁴ ზოიძე ბ., საკუთრების უფლების ევოლუცია ქართულ სამართალში, ერთობლივი კონფერენციის კრებული: საკუთრება და სამართლებრივი სტაბილურობა: საკუთრების ცნების ტრანსფორმაცია, თბ., 2015, გვ. 117.

- ²⁵ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005, გვ. 265–266; ზოიძე ბ., ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის კონცეფცია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში „ნოდარ დვალის საქმეზე“ საკუთრების კეთილსინდისიერ შეძენასთან დაკავშირებით, ჟურნ. კერძო სამართლის მიმოხილვა, №3–4, 2021–2022, 2022, გვ. 12–13.
- ²⁶ იხ.: ოყრეშიძე გ., კომლის მეურნეობის წარმოებაში მონაწილეობის ვერმიღება პატიმრობის გამო, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა, ჟურნ. შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, №6, 2021, გვ. 39–41.
- ²⁷ სხვა გარემოებასთან დაკავშირებით იხ.: ბაზედოვი ი., საკუთრების სამართლის განვითარება ევროპულ კავშირში, კრებული: საკუთრება და სამართლებრივი სტაბილურობა: საკუთრების ცნების ტრანსფორმაცია, თბ., 2015, გვ. 61–62; პუშკარი პ. ვ., საკუთრების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით. ინდივიდუალური საკუთრების უფლებებში ჩარევის პროპორციულობის დაბალანსების სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, ჟურნ. საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, №5, 2012, გვ. 184.
- ²⁸ იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჭეიჭერაძის საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“ II–33, 35; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/2/563 გადაწყვეტილება საქმეზე „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“ II–6; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის №2/1–370,382,390,402,405 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ზაურ ელაშვილი, სულიკო მამია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“ II–8; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/2/411 საქმეზე შპს „რუსენერგოსერვისი,“ შპს „პატარა კახი,“ სს „გორგოლა“, გივი აბაღაკის ინდივიდუალური საწარმო „ფერმერი“ და შპს „ენერგია“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ, II–9; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის №1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“ II–27; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის №2/2/867 გადაწყვეტილება საქმეზე „რემზი შარაძე საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ,“ II–2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“ II–43; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 დეკემბრის №2/3/1337 გადაწყვეტილება საქმეზე „ბათუნა წოწორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“ II–24.
- ²⁹ მესხიძე ე., ქონების სარეგისტრაციო სისტემა საქართველოში, ერთობლივი კონფერენციის კრებული: საკუთრება და სამართლებრივი სტაბილურობა: საკუთრების ცნების ტრანსფორმაცია, თბ., 2015, გვ. 293.
- ³⁰ ლეონიძე ი., მედიაციის მნიშვნელობა მეგვიდრეობის მიღების ფაქტისა და სამკვიდროს გახსნის ადგილის დადგენის საპროცესო თავისებურებების გარკვევის საკითხისთვის, ჟურნ. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწდეული 2021, სპეციალური გამოცემა, 2022, გვ. 196–198.
- ³¹ შეად. ხოფერია ნ., ნოტარიუსის როლი უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ ტრანსაქციებში, ერთობლივი კონფერენციის კრებული: საკუთრება და სამართლებრივი სტაბილურობა: საკუთრების ცნების ტრანსფორმაცია, თბ., 2015, გვ. 305.
- ³² ლეონიძე ი., მიწის სისტემური რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმის 2022–2024 წლების სტრატეგიის დადებითი და უარყოფითი ასპექტები კომლის

- საკუთრების ფიზიკურ პირზე რეგისტრაციისთვის, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის საერთაშორისო სტუდენტური კონფერენციის მოხსენებათა აბსტრაქტები, თბ., 2022, გვ. 100-101.
- ³³ შუად. ლაფაჩი ე., უძრავ ნივთებზე სანივთო უფლებათა რეგისტრაციის გავლენა სანივთო უფლებათა განხორციელებასა და დაცვაზე, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016, გვ. 76-77.
- ³⁴ ნაჭყეია ა., სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), თბ., 2014, გვ. 533-534.
- ³⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე №3კ-299-2000, 2000 წლის 26 იანვარი.
- ³⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე №3კ-343-2000, 2000 წლის 8 მარტი.
- ³⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე №3კ/529, 2000 წლის 11 ოქტომბერი.
- ³⁸ იხ.: საპირისპირო მსჯელობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე №3კ/121-01, 2001 წლის 16 მარტი.
- ³⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე №3კ/622, 2000 წლის 31 იანვარი.
- ⁴⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე №3კ/801, 2001 წლის 9 თებერვალი.
- ⁴¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №ას-7-2019, 2020 წლის 11 ივნისი.
- ⁴² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე №3კ/807, 2001 წლის 14 თებერვალი.
- ⁴³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე №3კ/836, 2001 წლის 14 თებერვალი.
- ⁴⁴ იხ.: წესი 4, სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპები. 25-26 ნომბერი, 2002.
- ⁴⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე №3კ/895, 2001 წლის 9 მარტი.
- ⁴⁶ ნანდოშვილი ე., ანდერძი და სამკვიდრო ქონება, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, №3(55), 2017, გვ. 111-112; ხარიტონაშვილი ნ., სანოტარო სამართალი, თბ., 2021, 27; გოგოლაძე მ., მარიამიძე გ., სანოტარო სამართალი, წიგნი II, თბ., 2018, გვ. 24-28.
- ⁴⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე №3კ/200-01, 2001 წლის 14 მარტი.
- ⁴⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე №3კ/863, 2001 წლის 2 მაისი.
- ⁴⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე №3კ/312-01, 2001 წლის 8 ივნისი.
- ⁵⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1350-1387-2014, 2015 წლის 27 ივლისი.
- ⁵¹ იხ.: განმარტებითი ბარათი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე (№07-3/294/9).

- ⁵² საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, „გენდერი და საკუთრება“, <https://napr.gov.ge/p/1113/> [14.06.2022].
- ⁵³ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, „WB-მსოფლიო ბანკი – „ირიგაცი-ისა და მიწის ბაზრის განვითარების“ პროექტის მიწის ბაზრის განვითარების კომპონენტი“, <https://napr.gov.ge/p/894/> [14.06.2022].
- ⁵⁴ Jacobs S., et al., Land Reform: Still a Goal Worth Pursuing for Rural Women? Paper to Development Studies Association, 2001, p. 3.
- ⁵⁵ Comp. Swinnen J., et al., An Explanation of Land Reform Choices in Central and Eastern Europe, Policy Research Group Working Paper, 5/1993, pp. 2-3.
- ⁵⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-798-2019, 2021 წლის 6 ივლისი.
- ⁵⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-235(კ-20), 2020 წლის 29 ივლისი.
- ⁵⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1273-2020, 2021 წლის 18 თებერვალი.
- ⁵⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1439-2020, 2021 წლის 22 აპრილი.
- ⁶⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-868-2018, 2022 წლის 10 თებერვალი.
- ⁶¹ იქვე.
- ⁶² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1465-2019, 2020 წლის 10 აპრილი.
- ⁶³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-186-2019, 2021 წლის 24 თებერვალი.
- ⁶⁴ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005, გვ. 266-267.
- ⁶⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის №2/2/867 გადაწყვეტილება საქმეზე „რეზმი შარაძე საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“, II-2.
- ⁶⁶ See.: Takacs-Gyorgy K., et al., Land Use and Land Reform in Former Central and East European Countries, Paper for the Seminar Agricultural Economics and Transition, 2007, pp. 4-5; The Council of the Notariats of the European Union, Annual Report, 2021.
- ⁶⁷ შენიშვნა: დავის საგნის მიხედვით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის პრაქტიკაში ხშირია: ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტების ბათილად ცნობისა და ახალი აქტის გამოცემის დავალდებულების მოთხოვნა, ახალი აქტის გამოცემით უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნა და სხვა. ად-მინისტრაციულ საქმეთა პალატის პრაქტიკის პერსპექტივები განსხვავდება სამოქალაქო საქმეთა პალატის მიმართულებისგან. მაგ. იხ.: წულუკიძე ჯ., მიწის სამართლის სფეროში ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის ნორმების გამიჯვნა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, თბ., №13, 2015, გვ. 583-585.
- ⁶⁸ მოთხოვნის საკითხთან დაკავშირებით იხ.: ბიჭია მ., მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმის დადგენის თავისებურებები საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, №1(61), 2019, გვ. 86; ძიძიგური ნ., კანონის ენის ზოგიერთი საკითხის შესახებ, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, №3(63), 2019, გვ. 152; ნინუა ე., სამკვიდროს მიღების ზოგიერთი თავისებურებები, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, №2(58), 2018, გვ. 119-120.
- ⁶⁹ ზარანდია თ., სანივთო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბ., 2019, გვ. 198.
- ⁷⁰ See.: European University Institute (EUI) Florence / European Private Law Forum, Real Property Law and Procedure in the European Union, General Report, 2005, pp. 27-30; Hall E. H., The Common Law and Civil Law Notary in

the European Union: a Shared Heritage and an Influential Future? Institute of Notarial Studies, London, 2015, pp. 11-14; European Commission for the Efficiency of Justice, Specific Study of the CEPEJ on the Legal Professions: Notaries – 2018 Data, 2021, pp. 4-5.

- ⁷¹ შეად. ყალიჩავა კ., ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ინტენსივობა – საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა და პრაქტიკა ფუნქციონირებადი სამართლებრივი სახელმწიფოს ტრილში, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, №1(69), 2021, გვ. 13-15.
- ⁷² გადაბაძე თ., მიწის რეგისტრაციაში ბლოკჩეინ ტექნოლოგიების გამოყენება საქართველოში, თბ., 2018, გვ. 8-10; ფხაკაძე თ., მიწის რესურსის მართვა, საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრის თვალსაზრისი, 2020, გვ. 4-5; მიქაუტაძე გ., გელაშვილი ს., სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების უფლება: ოპტიმალური გზა, პოლიტიკის კვლევა, თბ., გვ. 9-11.
- ⁷³ ხმალაძე მ., სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების წარმოშობის სამართლებრივი ასპექტები (თეორიული და პრაქტიკული ასპექტები), სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2018, გვ. 50-51; პაპა-ჩაშვილი თ., მიწის კადასტრის გეოინფორმაციული უზრუნველყოფის გზები (თეორიული წარმოდგენის მუნიციპალიტეტის მაგალითზე), სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2019, გვ. 8-9.
- ⁷⁴ იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-349-280-კ-05, 2005 წლის პირველი ივლისი, მითითებულია: „გამგეობა მოქალაქეს აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად სასამართლო ინსტანციებისთვის მიმართვას ურჩევს.“
- ⁷⁵ ლეონიძე ი., სანოტარო აქტის საჯარო და კერძო აქტის ფორმით დაცოფის პრობლემები და საკანონმდებლო გამოწვევები, ჟურნ. კერძო სამართლის მიმოხილვა, №3-4, 2021-2022, 2022, გვ. 327.
- ⁷⁶ ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2018, გვ. 245-246; ყანდაშვილი ი., მედიაცია: ეფექტიანი და ხარისხიანი მართლმსაჯულების შექმნის გარანტი, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, №2(66), 2020, გვ. 26.
- ⁷⁷ კეკელიძე ლ., უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების წარმოშობა ნასყიდობის ხელშეკრულების დროს და პრობლემური ასპექტები საქართველოში, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, №1(65), 2020, გვ. 128; გოგოლაძე მ., მარიამიძე გ., სანოტარო სამართალი, წიგნი II, თბ., 2018, გვ. 360-361; კაკო-იაშვილი ი., ჩაგანავა ა. (რედ.), იმიგრაციის გავლენა მიწის გასხვისებასა და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე საქართველოში, შუალედური ანგარიში, 2013, გვ. 32, მითითებულია: „ადგილობრივი მოსახლეობა არ იყო გაცნობიერებული მიწების რეგისტრაციის პროცედურებში, არც მუნიციპალიტეტები იყვნენ ინფორმირებულნი მიწების გასხვისების სახელმწიფო გეგმების შესახებ და ქმედით კონსულტაციებს ვერ უწევდნენ მოსახლეობას, რათა თავიდან აეცილებინათ მიწების შესაძლო დაკარგვა მათი სხვა პირებზე მიყიდვის გამო.“
- ⁷⁸ დამატებით იხ.: ხარიტონაშვილი ნ., მესამე პირები სამოქალაქო პროცესში, სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2017, გვ. 35-39.
- ⁷⁹ მაგ. იხ.: თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 8 აპრილის №2ბ/3321-14 საქმე, მითითებულია სტატიაში: ლეონიძე ი., მხარეთა შორის პოზიტიური დამოკიდებულების გაქარწყლების იურიდიული შედეგი ნივთის ჩუქებისას, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, №2(74), 2022, გვ. 89. ასევე, ლეონიძე ი., ჯანაშვილი ც., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს

გადაწყვეტილების ანალიზი საქმეზე: „ხათუნა წოწორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ჟურნ. კერძო სამართლის მიმოხილვა, №3-4, 2021-2022, 2022, გვ. 277-278.

⁸⁰ შეად. კომახიძე ც., საკუთრების უფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს კონსტიტუციისა და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, №2(54), 2017, გვ. 155.

⁸¹ შეად. ამირანაშვილი გ., სამოქალაქო უფლების ცნება და სტრუქტურა, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, №4(47), 2015, გვ. 155, მითითებულია: „ერთია უფლება და მეორე – მისი დაცვის გზა, რომელიც უფლების განხორციელების საშუალებას წარმოადგენს და არა მის შინაარსს.“

⁸² შეად. მისაბიშვილი გ., სამკვიდროს მიღების სამართლებრივი თავისებურებანი, ჟურნ. სამართლის მაცნე, №5, 2022, გვ. 164-165.

⁸³ შეად. მახათაძე ნ., ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, №3(71), 2021, გვ. 69.

⁸⁴ შენიშვნა: სასამართლო, კერძო ისე სანოტარო მედიაციის განხორციელების თვალსაზრისით.

THE PROBLEM OF INHERITING A HOUSEHOLD LAND ACCORDING TO GEORGIAN JUDICIAL PRACTICE

IRAKLI LEONIDZE

Master of Law, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Researcher at the National Center for Alternative Dispute Resolution

The article discusses the problem of inheriting a household plot of land according to Georgian judicial practice. Judicial precedents testify that this problem is related to the deliberate action of the heir to take possession of the object of ownership thus to officially get it registered at the National Agency of Public Registry so as to exclude the interest of other members of the household in one instance or it represents the heir not taking any action which encourages the wrongful action from another person. The study of the abovementioned issue is necessary to assess the importance of the problem in national law so that its negative effects are not reflected in notarial, registration, and judicial activities.

Article 19 of the Constitution of Georgia reinforces the meaning of the right to property, the composition of the right, cases of limitation, confiscation of property, and determination of the special importance of the object of ownership. The implementation and operation of the right to property as a basic right are connected with the development of legislative acts and judicial practice in Georgia, which reflects the normative content of the right and the consequences based on it. When the normative nature of the right cannot respond to the existing reality, one of the means of protecting the right of ownership by citizens is the expression of private ownership interest, regardless of its positive or negative qualities. As a result, the issue of household land ownership is revealed in the expression of this interest, which forces the family's heirs to decide whether to act to defend their rights under the influence of this interest or not.

საქართველოს სააღსრულებო სისტემის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან

ნინო გოგილაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციით გაცხადებულია, რომ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი. სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს,¹ ამ უფლებებს შორისაა უფლება სამართლიან სასამართლოზე. „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.“² აქვე, მნიშვნელოვანია შევხვით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. პრეცედენტის განმსაზღვრელ საქმესთან მიმართებაში „ჰორნსბი საბერძნეთის წინააღმდეგ“,³ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი გამოიყენება არა მხოლოდ სასა-

მართლოს წინაშე სამოქალაქო საკითხებზე სამართალწარმოების დაწყების უფლებასთან დაკავშირებით, არამედ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის უფლებასთან დაკავშირებითაც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სასამართლო პროცესი სრულდება არა სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანით, არამედ ამ გადაწყვეტილების აღსრულებით. საკითხის მსგავსი განმარტებებია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ არა ერთ გადაწყვეტილებაში, მათ შორის, 2008 წლის 17 დეკემბრის, ბს-325-316(კ-08) გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ: „სამართლიანი სასამართლოს, უფლება მოიცავს არა მარტო სასამართლოსადმი მიმართვის, საქმის საჯარო და სამართლიანი განხილვის, საკითხის გონივრულ ვადებში გადაწყვეტის უფლებას, არამედ გადაწყვეტილების აღსრულების უფლებასაც. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობა უთანაბრდება სასამართლოსადმი მიმართვის უფლების არცნობას იმდენად, რამდენადაც იგი მოჩვენებითს ხდის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობას და პირს ართმევს ამ უფლებით სარგებლობის ყველანაირ პრაქტიკულ საშუალებას.“⁴

აღსანიშნავია, რომ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპის მასშტაბითაც გადაწყვეტილებების აღსრულება სათანადოდ არ იყო დაფასებული. ყურადღებას ამხვილებდნენ სასამართლო სისტემის რეფორმასა და განვითარებაზე. სააღსრულებო სისტემის მეტად განვითარებაზე ზრუნვა დაიწყო მას შემდეგ, რაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლში ხსენებული სამართლიანი სასამართლოს უფლება აგრეთვე მოიცავს აღსრულებას და სამართლებრივი პროცესი უნდა ფოკუსირდებოდეს არა მხოლოდ სასამართლოზე და გადაწყვეტილების გამოტანაზე, არამედ ეფექტიანი აღსრულების სისტემის განვითარებაზე. საჭიროა ყურადღება გამახვილდეს დამოუკიდებელი, ანგარიშვალდებული და ეფექტიანი აღსრულების სისტემის ჩამოყალიბებაზე.

აღსრულების სისტემათა ორგანიზაციული სტრუქტურა

სააღსრულებო სისტემის მნიშვნელობაზე ცივილიზებულ სამყაროში საერთო თანხმობაა, თუმცა, სისტემის განვითარების ტენდენცია ერთგვაროვანი არ არის. ყველა სახელმწიფოში არსებობს მეტ-ნაკლებად განსხვავებული ინტერესები და სამართლებრივი ტრადიციები, რაც განაპირობებს სააღსრულებო სისტემის განსხვავებულ მოწყობას.

ზოგადად, სხვადასხვა ევროპულ იურისდიქციას უკავია განსხვავებული პოზიცია აღსრულების პროცესთან დაკავშირებით. ნათელია, რომ ვადაგადაცილებული გადახდა ან გადაუხდელობა

საფრთხეს უქმნის როგორც ბიზნესს, ასევე მომხმარებელთა ინტერესებს. ევროკომისიამ დაასკვნა, რომ სისტემის ეფექტიანობასთან დაკავშირებით არსებული სხვაობა რისკის წინაშე აყენებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებულ ბიზნესებს, როგორც საგადახდო დავალებების აღსრულების ეფექტიან სისტემას და იმ სისტემებს შორის კონკურენციას, სადაც აღნიშნული არ წარმოადგენს პრობლემას.⁵ ქვეყნებმა დაიწყეს ზრუნვა, რათა მათი კანონმდებლობა შესაბამისობაში იყოს აღსრულების სფეროში არსებულ საერთაშორისო სტანდარტებსა და პრინციპებთან, აქცენტი კეთდება დამოუკიდებელი, ანგარიშვალდებული და ეფექტიანი აღსრულების სისტემის ჩამოყალიბებაზე.

კვლევის შედეგად, მსოფლიო მასშტაბით არსებულ სისტემებს შორის შესაძლებელია სამი დომინანტი ფორმის გამოყოფა. ესაა სასამართლოს დაქვემდებარებული სააღსრულებო საქმიანობა, საჯარო სამსახურზე დაფუძნებული აღსრულება, ასეთის შემთხვევაში სამინისტროს დაქვემდებარებული საჯარო მოხელეები ეწევიან სააღსრულებო საქმიანობას და დამოუკიდებლად მოქმედი, თვითდასაქმებული ე. წ. კერძო აღმასრულებლები.⁶ ასევე, არის ქვეყნები, სადაც შერეული სისტემაა – ერთი მხრივ, აღმასრულებლები არიან საჯარო მოხელეები და ამავე დროს არსებობს კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი.

საკითხის უკეთ წარმოჩენისთვის გამოკვლეულ იქნა როგორც საქართველოს, ასევე სხვადასხვა ქვეყნის განვითარება და მიღწევები აღსრულების სისტემის სტრუქტურული ორგანიზების კუთხით.

განვიხილოთ საფრანგეთის რესპუბლიკის მაგალითი, რომელსაც კერძო სააღსრულებო სისტემის დიდი გამოცდილება აქვს. საფრანგეთში სააღსრულებო საქმიანობას კერძო აღმასრულებლები ახორციელებენ. აღმასრულებელს შეუძლია განახორციელოს მისი პროფესიული პრაქტიკა როგორც ინდივიდუალურად, ისე იურიდიული პირის ნაწილად. აღმასრულებელს აგრეთვე, შეუძლია სხვა აღმასრულებლებთან ერთად ჩამოაყალიბოს ასოციაცია, ასევე აღმასრულებლებს შეუძლიათ ჩამოაყალიბდნენ არაკომერციული სტრუქტურებად. არაკომერციული კომპანია შეიძლება შეიქმნას ერთი ან მეტი პირის მიერ, რომლებიც ეწევიან ერთი და იგივე დამოუკიდებელ პროფესიას. არაკომერციული კომპანიის მიზანია მისი წევრების მიერ პროფესიული პრაქტიკის ერთობლივად განხორციელება. აღმასრულებლის ბიუროში არაკომერციული კომპანიის გამოყენება და თითოეული პარტნიორის ასოცირებულ აღმასრულებლად დანიშვნა ხდება იუსტიციის მინისტრის განკარგულებით.⁷

საფრანგეთში ჯერ კიდევ, 1945 წლის 2 ნოემბრის კანონით შეიქმნა პალატის სამსაფეხურიანი სტრუქტურა. დეპარტამენტის, რეგიონის და ეროვნული მასშტაბით. დეპარტამენტის პალატები აერთიანებს ყველა აღმასრულებელს ერთი და იგივე დეპარტამენტში. საფრანგეთის კერძო აღმასრულებლები გაერთიანებული არიან აღმასრულებელთა პალატაში, რომელიც მდებარეობს ქალაქ პარიზში. კერძო აღმასრულებელთა რაოდენობა ძირითადად, მზარდია და 2021 წლისთვის შეადგენდა 3368 პირს.⁸ საფრანგეთი ამაცობს საკუთარი სააღსრულებო სისტემის მოწყობით. კერძო სააღსრულებო სისტემამ საკმაოდ კარგად დაიმკვიდრა თავი – აღმასრულებელს დამკვიდრებული აქვს ადგილი თავისუფალ პროფესიებს შორის.

რაც შეეხება ქვეყნებს, სადაც სააღსრულებო სისტემის მოწყობა საჯაროა – აღმასრულებლები საჯარო სტატუსით მოქმედებენ გერმანიაში, შვედეთში, ფინეთსა და დანიაში. გერმანიაში აღსრულებაზე პასუხისმგებელი უწყებაა სასამართლო, აღსრულებას ახორციელებენ სასამართლო აღმასრულებლები. იძულებითი აღსრულების დაწყებისთვის კრედიტორმა უნდა წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი, აღმასრულებლის საქმიანობა რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.⁹ შვედეთში აღსრულებაზე პასუხისმგებელი უწყებაა ფინანსთა სამინისტრო და აღმასრულებლები საჯარო მოხელეები¹⁰ არიან. აღსანიშნავია, რომ შვედეთში განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან სააღსრულებო წარმოებისას მხარეთა შორის ბალანსის დაცვას. ძირითადი ღირებულებები გაწერილია და ამბობენ, რომ მათი მისიის ფარგლებში ეხმარებიან მათ, ვისაც არ გადაუხადეს და ამავე დროს უწყვენ მხარდაჭერას მათ, ვინც უნდა გადაიხადონ და სწორედ მთავრობა ყოველწლიურად განსაზღვრავს მათი საქმიანობის პრიორიტეტებს.¹¹

საჯარო მოწყობის სისტემაში ყურადღება გამახვილებულია აღსრულების მთლიან ორგანიზაციაზე და არა ცალკეულ აღმასრულებლებზე. საჯარო მოხელის სტატუსის მქონე აღმასრულებლების მონიტორინგს და კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო. ძირითადად, ასეთი ორგანიზაციული სტრუქტურა მეტად ბიუროკრატიული და იერარქიულია.

სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში სააღსრულებო სისტემის განვითარების კვლევა ცხადყოფს, რომ რიგ ქვეყნებში საჯარო მოწყობა იცვლება კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის დანერგვით. შეიძლება ითქვას, რომ სისტემის განვითარების სწორედ ეს მიმართულება იქნა მიჩნეული პრიორიტეტად. მაგალითად, 2003 წელს, ლიეტუვას რესპუბლიკაში განხორცილდა რეფორმა, რომლის შედეგად სახელმწიფო აღსრულება მთლიანად შეიცვალა კერძო აღსრულებით. რეფორმის შემდგომ, აღმასრულებელთა საქმიანობა მოექცა აღმასრულებელთა

პალატის და იუსტიციის სამინისტროს კონტროლის ქვეშ, აღმასრულებლები ინიშნებიან იუსტიციის მინისტრის მიერ და მოქმედებენ ტერიტორიული პრინციპის დაცვით.¹² შემავალი მებლად შეიძლება ითქვას, რომ რეფორმას წარმატებულად აფასებენ და მიიჩნევენ, რომ ამჟამად დამოუკიდებელი, შედეგებზე ორიენტირებული სისტემა აქვთ. ასევე აღსანიშნავია, რომ რეფორმის შემდგომ მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ შემცირდა აღმასრულებელთა რაოდენობა იმატა დასრულებულ საქმეთა რაოდენობამ და 2018 წელს, ბიზნესსაქმიანობის რეიტინგში მეოთხე ადგილი მოიპოვეს.¹³

ლიეტუვას მსგავსად, ლატვიაშიც 2003 წლიდან მოქმედებს კერძო აღსრულების სისტემა და აღმასრულებელი კერძო, დამოუკიდებელი პროფესიაა. კერძო აღმასრულებლები ინიშნებიან იუსტიციის მინისტრის მიერ და ახორციელებენ თავიანთ მუშაობას მკაცრად გაწერილი დისციპლინური და პროფესიული სტანდარტების დაცვით. აღმასრულებლები თანამშრომლობენ ხუთიდან ერთ-ერთ რეგიონულ სასამართლოსთან და მათი უფლებამოსილება განისაზღვრება იმ იურისდიქციით, სადაც ისინი მოღვაწეობენ. ყველა კერძო აღმასრულებელი გაწევრიანებულია კერძო აღმასრულებელთა ასოციაციაში, რომელიც მდებარეობს ქალაქ რიგაში. კერძო აღმასრულებლები მოქმედებენ სამოქალაქო სამართლის მკაცრად გაწერილი ნორმებით, რომლის დაცვასაც ახორციელებს კერძო აღმასრულებელთა ასოციაცია.¹⁴

ასევე, ჩვენთვის საინტერესოა ბულგარეთის სააღსრულებო სისტემის მოწყობა იმდენად, რამდენადაც საქართველოს სისტემის მსგავსად, იქაც მოქმედებს ორი პარალელური სააღსრულებო სისტემა – კერძო და სახელმწიფო.¹⁵ 2005 წლიდან, კანონი კერძო აღმასრულებელთა შესახებ შევიდა ძალაში და 2006 წლიდან კერძო აღმასრულებლები შეუდგნენ აქტიურ მუშაობას. კერძო აღმასრულებლის იურისდიქცია შესაბამისი საოლქო სასამართლოს იურისდიქციაზეა მიბმული.¹⁶ ინსტიტუტის შემოღების პირველ წლებში, ბულგარეთში შედარებით ნაკლები კერძო აღმასრულებელი მოქმედებდა, ხოლო შემდგომ მათი რიცხვი მუდმივად იზრდებოდა. რაც შეეხება სახელმწიფო აღმასრულებლებს, ისინი რაიონული სასამართლოს იურისდიქციაზე არიან მიბმულნი და მათ რაოდენობას იუსტიციის მინისტრი განსაზღვრავს.

როგორც აღინიშნა, ბულგარეთში შერეული სისტემა – კერძო და სახელმწიფო და ორივეს აქვს თანაბარი უფლებები მცირე განსხვავებებით. კერძო აღმასრულებლის მთავარი განსხვავება სახელმწიფო აღმასრულებლისგან ისაა, რომ კერძო აღმასრულებელს მოქმედების უფრო ფართო არეალი აქვს, რომელიც შემოიფარგლება ოლქით და არა რაიონით, როგორც

სახელმწიფო აღმასრულებლის შემთხვევაშია. გარდა ამისა, სახელმწიფო აღმასრულებლისთვის გადახდილი აღსრულების გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტში ირიცხება და სახელმწიფო აღმასრულებელი ხელფასს იღებს, ხოლო კერძო აღმასრულებლისთვის გადახდილი აღსრულების გადასახადი მას რჩება, ბიუჯეტისთვის დადგენილი გადასახადის გარდა. რაც შეეხება ვალებს სახელმწიფოს მიმართ, ამისთვის არსებობენ ცალკე აღმასრულებლები – საჯარო აღსრულების ოფიცრები, ისინი ძირითადად, სახელმწიფო დაწესებულებებში არიან და აღასრულებენ სახელმწიფო ვალებს.

ბულგარეთის ყველა კერძო აღმასრულებელი ვალდებულია, ბულგარეთის კერძო აღმასრულებელთა პალატის წევრი გახდეს.¹⁷ პალატის მისიაა, ხელი შეუწყოს თავისუფალი პროფესიის დამკვიდრებას და გააუმჯობესოს აღსრულების პროცესი.¹⁸ პალატა უზრუნველყოფს მის წევრებს შორის პროფესიონალიზმისა და ეთიკური ქცევის უმაღლესი სტანდარტების დაცვას და ასევე, მიზნად ისახავს კერძო აღმასრულებლების მიმართ დადებითი იმიჯის ჩამოყალიბებასა და ნდობას.¹⁹

რაც შეეხება საქართველოს – 1991 წლის 9 აპრილის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის შემდეგ, 1995 წლის 24 აგვისტოს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კონსტიტუცია. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება სხვადასხვა ინსტიტუტების და მათ შორის, სააღსრულებო სისტემის მნიშვნელოვანი ცვლილება. საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ მიიღო საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, რომელიც აწესრიგებს საერთო სასამართლოების, ადმინისტრაციული ორგანოების, არბიტრაჟის, რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიისა და მისი კომიტეტის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული აქტების და ამ კანონით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილებების აღსრულების წესსა და პირობებს.²⁰ კანონი ძალაში შევიდა 1999 წლის 15 მაისს.

მანამდე კი, 90-იანი წლების საქართველოში, სასამართლო აღმასრულებლები ექვემდებარებოდნენ შესაბამის რაიონულ სასამართლოებს და განთავსებულნი იყვნენ სასამართლოს შენობაში. აღსრულების სისტემა რეალურად მხოლოდ იმ რაიონულ სასამართლოებში არსებობდა, სადაც წარმოდგენილი იყვნენ სასამართლო აღმასრულებლები. აღნიშნული პირები წარმოადგენდნენ სასამართლო პროცესის გაგრძელებას. არ იკვეთება სტრუქტურული ერთეულის არსებობა, რომელიც ახდენდა აღმასრულებელთა კოორდინირებას, პრაქტიკის ერთგვაროვნებისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლს.

1999 წელს, სასამართლო სისტემიდან სასამართლო აღმასრულებლები გამოცალკევდნენ და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიქმნა სააღსრულებო დეპარტამენტი. სააღსრულებო დეპარტამენტს კონტროლს უწევდა იუსტიციის სამინისტრო და იგი წარმოადგენდა იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულს. 2000 წელს, საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, სააღსრულებო დეპარტამენტთან ერთად არსებობა დაიწყო და დღემდე ფუნქციონირებს აღსრულების პოლიცია.²¹

2008 წელს განხორციელდა მორიგი სტრუქტურული ცვლილება და ჩამოყალიბდა იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო. ამ ცვლილების საფუძველზე კიდევ უფრო გაიზარდა სისტემის დამოუკიდებლობის ხარისხი.

აღსრულების ეროვნული ბიუროს ძირითად და უმთავრეს მიზანს წარმოადგენს კანონით გათვალისწინებული აღსასრულებელი აქტების აღსრულების უზრუნველყოფა.²² სააღსრულებო წარმოებისას, ბიურო ხელმძღვანელობს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით, იუსტიციის მინისტრის შესაბამისი ბრძანებებით და სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. აღსრულების ეროვნულ ბიუროს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე. აღსრულების ეროვნული ბიურო სააღსრულებო პროცესის მართვას უზრუნველყოფს ტერიტორიული ორგანოების – სააღსრულებო ბიუროების მეშვეობით. დღეის მდგომარეობით, აღსრულების ეროვნული ბიუროს შემადგენლობაში შედის რვა ტერიტორიული სააღსრულებო ბიურო. ბიუროებისათვის სამოქმედო იურისდიქცია განსაზღვრულია და უფლებამოსილებას ახორციელებენ ტერიტორიული პრინციპის დაცვით.

2008 წლიდან იწყება საქართველოში კერძო სააღსრულებო სისტემის დანერგვა. კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის შემოღება სააღსრულებო სისტემის რეფორმირების ერთ-ერთი ნაწილი გახლდათ. საქართველოს პარლამენტმა 2008 წლის 19 დეკემბერს მიიღო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც კერძო სააღსრულებო საქმიანობის შესაძლებლობას ითვალისწინებს. ამ პროექტის შესაბამისად, კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი 2009 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა.

ვინაიდან, საქართველოს არ ჰქონდა კერძო სააღსრულებო საქმიანობის გამოცდილება, მიზანშეწონილად ჩაითვალა ორივე სისტემის თანაარსებობა და ქვეყანაში დღემდე ფუნქცი-

ონირებს როგორც სახელმწიფო აღსრულება, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სახით, ასევე კერძო აღსრულება, დამოუკიდებელი კერძო აღმასრულებლების სახით. აღსანიშნავია, რომ კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის საფუძველზე დაინერგა ჯანსაღი კონკურენცია სააღსრულებო საქმიანობის სფეროში. საზოგადოებას მიეცა ალტერნატიული აღსრულების არჩევის საშუალება, გაიზარდა სასამართლო გადაწყვეტილებების ეფექტიანი აღსრულების ხელმისაწვდომობა.

დღის წესრიგში კვლავ დგას სააღსრულებო სისტემის ხელახალი რეფორმირების აუცილებლობა. საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია აღსრულების ახალი კოდექსი,²³ რომლის თანახმადაც, იცვლება დღეს არსებული მოდელი. კერძოდ, აღსრულების მოქმედი ე. წ. შერეული სისტემა, რომლის მიხედვით, აღსრულებას ახორციელებს როგორც სახელმწიფო ორგანო – იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო, ისე კერძო აღმასრულებლები, ერთიანდება და ყალიბდება ერთიანი სისტემა სახელით – საქართველოს აღმასრულებელი. აღმასრულებლები გაერთიანდებიან აღმასრულებელთა პალატაში. პალატა იქნება წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

აღმასრულებლის პროფესიული სტატუსი

მნიშვნელოვანია განსაზღვრული იყოს აღმასრულებლის სტატუსი. მიუხედავად საჯარო თუ კერძო მოწყობისა, სახელმწიფოებმა თავად უნდა განსაზღვრონ აღმასრულებლების პროფესიული სტატუსი. პირები, რომელთაც დაევაღათ აღსრულება, უნდა დაექვემდებარონ მათი პროფესიული სტატუსის მომწესრიგებელ რეგულაციას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს აღსრულების მაღალი ხარისხი, მაღალი იურიდიული კვალიფიკაციის მოთხოვნით.²⁴ აღმასრულებელი უნდა იყოს მიუკერძოებელი, კვალიფიციური, ანგარიშვალდებული, ხელმისაწვდომი, მოტივირებული და ეფექტიანი. სათანადოდ უნდა იყოს უზრუნველყოფილი აღმასრულებლის სამუშაო პირობები, ადამიანური და მატერიალური რესურსები. ნათელია, რომ აღმასრულებელს საკმაოდ დიდი და მნიშვნელოვანი საქმიანობის განხორციელება ევალება და იგი უფლებამოსილია სახელმწიფოს მიერ და შესაბამისად, იგი უნდა მოქმედებდეს სათანადოდ, მაღალი პროფესიული და ეთიკური სტანდარტების დაცვით.

აღსრულების პროცესის წარმოებას უზრუნველყოფს აღმასრულებელი, რომელიც არის სახელმწიფოს მიერ სააღსრულებლო წარმოების სისრულეში მოსაყვანად ჯეროვნად უფლებამოსილი პირი იმის მიუხედავად, აღნიშნული პირი წარმოდგენილი იქნება თუ არა

საჯარო სამსახურში. არავითარი ფორმალური პოზიცია არ არის წარმოდგენილი აღმასრულებელთა პროფესიულ და ინსტიტუციურ სტატუსთან დაკავშირებით. აღმასრულებლის ცნება გულისხმობს სააღსრულებო წარმოებაზე პასუხისმგებელ სხვადასხვა პირებს. მაგალითად, სააღსრულებო მოსამართლეებს, იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში წარმოდგენილ საჯარო მოხელეებს, სასამართლოების დაქვემდებარებაში მყოფ სასამართლო მოხელეებს, დამოუკიდებლად მოქმედ თვითდასაქმებულ პირებს და ზემოაღნიშნულის კომბინაციით მომუშავე პირებს. როგორც წარმოდგენილი კვლევა ცხადყოფს, სხვადასხვა სახელმწიფოში აღნიშნული პირების როლი, პასუხისმგებლობა, ორგანიზაცია და პროფესიული სტატუსი, ასევე მათი სამუშაო პირობები და ანაზღაურება განსხვავდება.

აღსრულების შესახებ ევროპის საბჭოს რეკომენდაცია აღმასრულებელს განმარტავს როგორც პროფესიონალს, რომელიც ჩართულია აღსრულებაში. „აღმასრულებელი ნიშნავს პირს, რომელსაც სახელმწიფოს მიერ მინიჭებული აქვს უფლებამოსილება განახორციელოს აღსრულების პროცესი, იმისდა მიუხედავად, ეს პირი სახელმწიფოს მიერ არის დაქირავებული თუ არა.“²⁵ საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროფესიაში შესვლის საკითხს. ევროსაბჭოს კომიტეტი მართლმსაჯულების ეფექტიანობაზე (CEPEJ) ევროპის სამართლებრივი სისტემების შეფასებაში აღნიშნავს, რომ აღმასრულებელთა პოსტზე დასანიშნ კანდიდატებს ხშირად მოეთხოვებათ პრაქტიკული სტაჟირების გავლა და/ან იურისტის ხარისხის ქონა.²⁶ ქვეყნების უმეტესობაში პროფესიაში შესასვლელად არსებობს სპეციალური წინასწარი ტრენინგი და საკვალიფიკაციო გამოცდა, აღმასრულებელთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შესაფასებლად. რეკომენდაციაში მითითებულია, რომ აღმასრულებელმა უნდა გაიაროს საწყისი ტრენინგები და შემდგომი გადამზადება, ჩამოყალიბებული და ჯეროვნად სტრუქტურირებული მიზნების შესაბამისად.²⁷ აღნიშნული რეკომენდაციით, ევროპის საბჭო აღიარებს, რომ ეფექტიან სააღსრულებო სისტემას, კანონის უზენაესობის პრინციპებიდან გამომდინარე, ესაჭიროება პროფესიონალი და კვალიფიციური აღმასრულებლები, რომელთაც აქვთ სათანადო უფლება და ეკისრებათ საწყისი ტრენინგების და შემდგომი გადამზადების გავლის ვალდებულება. წინამდებარე რეკომენდაციით გათვალისწინებული პრინციპი იცავს სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონს, რომ არ აღმოჩნდეს იმ ადამიანების ხელში, რომელთაც არ გააჩნიათ სათანადო განათლება. აღმასრულებლების როლის, პასუხისმგებლობებისა და უფლებამოსილების რეგულირება მართლმსაჯულების სამართლიანად განხორციელების მიზნით, მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნას აღსრულების ხარისხი. სახელმწიფოებმა აკრედიტაცია უნდა მისცენ აღმასრულებლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატებს აქვთ მათი ფუნქციების სირთულესთან შესაბამისი სტანდარტი და ტრენინგი.²⁸ პროფესიონალთა მაღალი დონის ტრენინგი მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად და იმისათვის, რომ გაიზარდოს

მომხმარებელთა ნდობა მართლმსაჯულების სისტემის მიმართ. ასევე მნიშვნელოვანია, შენარჩუნდეს აღმასრულებლების პროფესიონალიზმი და მაღალი სტანდარტი. ეს უნდა მოხდეს იმის უზრუნველყოფით, რომ აღმასრულებლებმა გარდა საწყისი ტრენინგისა, აგრეთვე გაიარონ განგრძობადი სწავლება. ევროსაბჭოს კომიტეტი მართლმსაჯულების ეფექტიანობაზე (CEPEJ) 2009 წლის სახელმძღვანელო დირექტივებში დეტალურად აღწერს ასეთი ტრენინგების შინაარსს. დამატებით, სახელმძღვანელო დირექტივების შესაბამისად, აღმასრულებლები ასევე, უფლებამოსილი უნდა იყვნენ მათ ფუნქციებთან დაკავშირებული მეორადი ფუნქციების შესრულებაზე, რაც მხარეების უფლებების აღიარებასა და დაცვასთან და სააღსრულებო პროცესის ხელშეწყობასთანაა დაკავშირებული.

ცალკე უნდა აღინიშნოს სტაჟირება – უმრავლეს ევროპულ ქვეყანაში სავალდებულოა სტაჟირება. აღნიშნულ პროფესიაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია პრაქტიკული გამოცდილება. ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის ბელგია, საფრანგეთი, ჰოლანდია – აღმასრულებლებს, დანიშვნამდე მოეთხოვებათ ასისტენტად რამდენიმე წლის მუშაობის გამოცდილება. ჰოლანდიაში აღმასრულებელს უნდა ჰქონდეს სულ მცირე, ორი წლის აღმასრულებლის ასისტენტად მუშაობის გამოცდილება. აღმასრულებლის ასისტენტად დასანიშნად კანდიდატს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს თეორიული გამოცდები და უნდა ჰქონდეს დასრულებული ერთ-წლიანი სტაჟირება. ბელგიაში აღმასრულებლად დასანიშნად კანდიდატს სულ მცირე, ხუთი წელი უნდა ჰქონდეს ნამუშევარი აღმასრულებლის ასისტენტად.²⁹

აღმასრულებლებთან მიმართებით უნდა გაიმიჯნოს ტრენინგი სამართლებრივ საკითხებში და ტრენინგი სხვა უნარებში, მაგალითად, მენეჯერულ უნარებში. ეს უკანასკნელი არ უნდა იქნას უგულვებელყოფილი, მით უმეტეს, რომ კერძო აღმასრულებელი მოქმედებს როგორც დამოუკიდებელი პირი და ამგვარად, სააღსრულებო ქმედებების გარდა, იგი ასევე, პასუხისმგებელია ოფისის მართვაზე.³⁰ ამასთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პროფესიის მიმართ მოთხოვნები არ შემოიფარგლება მხოლოდ საწყისი ეტაპით და არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება შემდგომ განვითარებას.

ლიეტუვაში აღმასრულებლები ინიშნებიან და თავისუფლდებიან იუსტიციის მინისტრის მიერ.³¹ სავალდებულოა აღმასრულებელს გავლილი ჰქონდეს პროფესიული ტრენინგი და ჩაბარებული აღმასრულებლის გამოცდა. თითოეული პირი, რომელიც აკმაყოფილებს მოთხოვნებს და ჩააბარა გამოცდა, პოზიციაზე დანიშნისას ასევე, დებს ფიცს. აცხადებს რომ: იქნება ერთგული ლიეტუვას რესპუბლიკის, დაიცავს მის კონსტიტუციას და კანონებს, იქნება პატიოსანი და კეთილსინდისიერად შეასრულებს მის მოვალეობებს.³² დამატებით ხდება აღმასრულებელთა შემდგომ კვალიფიკაციაზე ზრუნვა. ყოველი აღმასრულებელი აბარებს საკვალიფიკაციო გამოცდას სულ

მცირე, ხუთ წელიწადში ერთხელ (მისი პოზიციაზე დანიშვნის დღიდან ან წინა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დღიდან). ყოველ 5 წელიწადში სასამართლო აღმასრულებელს შეუძლია დააგროვოს საკვალიფიკაციო კრედიტები, რაც მას საშუალებს მისცემს სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების ვალდებულებისაგან. საკრედიტო ქულები გაიცემა მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესით, აკადემიური ან სამეცნიერო საქმიანობისთვის, კურსებისა და სემინარების დასწრებისთვის, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისა და სხვა აქტივობებისთვის, რაც ზრდის აღმასრულებლების კვალიფიკაციას.³³

საფრანგეთში კერძო აღმასრულებლები ინიშნებიან იუსტიციის მინისტრის მიერ. აღმასრულებლად დანიშვნისთვის გაწერილია მოთხოვნები და პირი მათ უნდა აკმაყოფილებდეს, რომ მიიღოს აღმასრულებლად მუშაობის უფლება. დანიშვნის ზოგადი პირობებია: საფრანგეთის მოქალაქეობა, არ უნდა ჰქონდეს კრიმინალური ისტორია და არ უნდა იყოს მიღებული რაიმე დისციპლინური ზომები მის წინააღმდეგ; არასდროს არ უნდა ჰქონდეს ჩადენილი ღირსების, პატიოსნების და მორალის საწინააღმდეგო ქმედება; არასდროს არ უნდა იყოს ცნობილი გაკოტრებულად. დამატებითი მოთხოვნებია: კანდიდატს უნდა ჰქონდეს უნივერსიტეტის ხარისხი სამართალში; გავლილი უნდა ჰქონდეს პრაქტიკული ტრენინგი; ჩაბარებული უნდა ჰქონდეს პროფესიული გამოცდა.³⁴

პროფესიაში შესვლის სტანდარტული მეთოდი კი, შემდეგნაირია: მომავალ აღმასრულებელს უნდა ჰქონდეს იურისტის ხარისხი ან ეკვივალენტური კვალიფიკაცია პრაქტიკული ტრენინგის დაწყებამდე. პრაქტიკული ტრენინგის ხანგრძლივობა ორი წელია, რომლის ნახევარი გატარებულ უნდა იქნას აღმასრულებლის ოფისში. მეორე ნახევარი უნდა შესრულდეს ნოტარიუსის, აუქციონისტის, იურისტის (ადვოკატის), ბუღალტრის, საჯარო მმართველის, კომპანიის იურიდიული ან საგადასახადო დეპარტამენტის ან რეგულირებული იურიდიული ან სასამართლო პროფესიის წევრთან საზღვარგარეთ. პრაქტიკული ტრენინგის ეს პერიოდი შეიძლება შემცირდეს ერთი წლით იმ კანდიდატებისთვის, რომელთაც ჩააბარეს კომერციული სასამართლოს თანაშემწის, აუქციონისტის, ნოტარიუსის გამოცდა ან კანდიდატისთვის, რომელსაც აქვს მეორე ხარისხის (ასპირანტის) იურიდიული განათლება, რითაც მათ ენიჭებათ იურისტის კვალიფიკაცია. პრაქტიკული გამოცდილების პერიოდი მოიცავს პროფესიულ პრაქტიკას და სასწავლო კურსებს, რომლებიც ტარდება აღმასრულებელთა ეროვნული პალატისა და პროცესის ეროვნული სკოლის მიერ.³⁵

საფრანგეთში აღმასრულებლად დანიშვნის ერთ ერთი პირობაა აღმასრულებელთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება. ყოველწლიურად ტარდება ორი გამოცდა პარიზში, გამომცდელთა ეროვნული საბჭოს მიერ, რომელსაც ნიშნავს იუსტიციის მინისტრი და ხელმძღვანელობს

უმენაესი სასამართლოს მოსამართლე. გამომცდელთა საბჭო შედგება მოსამართლეებისგან, უნივერსიტეტის ლექტორებისგან, აღმასრულებლების, მდივნებისა და უფროსი მდივნებისაგან. გამოცდა შედგება წერილობითი და ზეპირი ტესტისგან და გამოირჩევა სიმკაცრით – 70–75%-მდე ჩაჭრის მაჩვენებლით. საბოლოო პროფესიული გამოცდა ფინანსდება აღმასრულებელთა ეროვნული პალატის მიერ.³⁶ ასევე დიდი ყურადღება ენიჭება აღმასრულებელთა სამომავლო კვალიფიკაციას და ამ მიზნით დაწესებულია სავალდებულო ტრენინგები.

რაც შეეხება საქართველოს – აღსრულების ეროვნული ბიურო აღსრულებას უზრუნველყოფს თავისი სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების სააღსრულებო ბიუროების მეშვეობით.³⁷ ტერიტორიული სააღსრულებო ბიუროები დაკომპლექტებული არიან აღმასრულებლებით, რომლებიც აღსასრულებელ გადაწყვეტილებებს აღსრულების ეროვნული ბიუროს სახელით უშუალოდ აღასრულებენ.³⁸ აღსრულების ეროვნული ბიუროს მოხელეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე.³⁹ აღმასრულებლის თანამდებობაზე დანიშვნა მოწესრიგებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში აღსრულების ეროვნულ ბიუროში კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე.“ აღსანიშნავია, რომ რაიმე სახის განსაკუთრებული მოთხოვნები პირის აღმასრულებლად დანიშვნის შემთხვევაში ნორმატიული აქტებით არ არის დარეგულირებული და მხოლოდ ბიუროს მიერ გამოცხადებული კონკურსის საკვალიფიკაციო მოთხოვნებშია ასახული, ხოლო საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგინდება ინდივიდუალურად გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში.

რაც შეეხება კერძო აღმასრულებლებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კერძო აღმასრულებელი არის ფიზიკური პირი, რომელიც საჯარო უფლებამოსილებას, სააღსრულებო საქმიანობას ახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის საფუძველზე, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.⁴⁰ სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიას შესაბამისი წესით გასცემს აღსრულების ეროვნული ბიურო. ლიცენზიის მისაღებად ფიზიკური პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს: არის ქმედუნარიანი საქართველოს მოქალაქე, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, ჩაბარებული აქვს აღმასრულებლის საკვალიფიკაციო გამოცდა ან მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო ან სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალობით.⁴¹ სააღსრულებო საქმიანობის დაწყების მომენტი პირდაპირ კავშირშია კერძო აღმასრულებლის რეგისტრაციასთან კერძო აღმასრულებელთა რეესტრში, რომელსაც ახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიურო.

კერძო აღმასრულებლის ლიცენზიის მოპოვების ერთ-ერთი წინაპირობაა აღმასრულებლის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რომელიც რეგულირდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების შესაბამისად და მასში აღნიშნულია, რომ აღმასრულებლის საკვალიფიკაციო გამოცდის მიზანია მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევა შემდგომში აღმასრულებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ან/და კერძო აღმასრულებლის სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის მოსაპოვებლად.⁴² უნდა აღინიშნოს, რომ აღმასრულებლის საკვალიფიკაციო გამოცდის ძირითადი მიზანი ფაქტობრივად, არ სრულდება, უკანასკნელად აღმასრულებელთა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩატარდა 2010 წელს.

როგორც აღინიშნა საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია აღსრულების ახალი კოდექსი,⁴³ რომლის თანახმად, აღმასრულებლისა და აღმასრულებლის თანაშემწის გაწვევრიანება სავალდებულოა აღმასრულებელთა პალატაში. ამასთან, აღმასრულებლად დანიშვნის პირობაა, რომ პირს ჩაბარებული აქვს აღმასრულებლის საკვალიფიკაციო გამოცდა სსიპ – საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში, მიღებული აქვს შესაბამისი სერტიფიკატი და გავლილი აქვს სავალდებულო სწავლების კურსი. ასევე, პირი ვალდებულია აღმასრულებელთა პალატაში გაწვევრიანებიდან ყოველ 7 წელიწადში ერთხელ, განაახლოს სერტიფიკატი. ამასთან, აღსრულების ეროვნული ბიუროს ვალდებულებაა, რომ აღმასრულებელთა პალატასა და საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრთან ერთად, მუდმივად ზრუნავდეს აღმასრულებელთა პროფესიულ განვითარებაზე, შეიმუშაოს კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამები და უზრუნველყოს აღმასრულებლებისათვის სავალდებულო სასწავლო კურსების ორგანიზება.

ეფექტიანი აღსრულების წარმოებისათვის, აღმასრულებლები უნდა იცნობდნენ სამართლის სხვადასხვა დარგებს, ასევე მუდმივად ეცნობოდნენ სასამართლო პრაქტიკას, ფლობდნენ საქმის მართვის და მხარეებთან კომუნიკაციის კარგად განვითარებულ უნარებს. პროფესია აღმასრულებლების მხრიდან მაღალ კვალიფიკაციასა და დარგში მიმდინარე სიახლეების მუდმივად საქმის კურსში ყოფნას მოითხოვს. აღნიშნული ამოცანის გადასაჭრელად კი, აუცილებელია კარგად ორგანიზებული, ეფექტიანი აღმასრულებელთა პროფესიული განვითარების სისტემის არსებობა.

დასკვნა

სამართლიანი სასამართლოს განმტკიცება აუცილებელია ეფექტიანი სააღსრულებო სისტემით. ნათელია, რომ აღსრულება წარმოადგენს მართლმსაჯულების პროცესის გადამწყვეტი

მნიშვნელობის მქონე ნაწილს. სხვადასხვა ევროპულ ქვეყანას აღსრულების სისტემებთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია უკავიათ. ამავდროულად, საერთო თანხმობაა, რომ გადაწყვეტილებების დროული და ეფექტიანი აღსრულების განხორციელებისთვის სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეფექტიანი აღსრულების სისტემის არსებობა, რადგან გამართული სააღსრულებო სისტემა მართლმსაჯულების არსებობის ერთადერთი და უპირობო გარანტიაა.

საქართველოს აღსრულების სისტემა ძირეული რეფორმის მოლოდინშია, რომლის შედეგადაც იგი თვისებრივად ახლებურ მოწყობაზე გადადის. აღსრულების კოდექსის ამოქმედებით ქვეყანაში ჩამოყალიბდება ახალი აღსრულების სისტემა, ხოლო ამ სისტემის მთავარ აქტორებად წარმოგვიდგებიან კერძო აღმასრულებლები. გამომდინარე აქედან, კიდევ უფრო აქტუალური ხდება სისტემის მოწყობა და აღმასრულებლების პროფესიონალიზმი.

მნიშვნელოვანია, სისტემის რეფორმირების პროცესი წარიმართოს გამჭვირვალედ; მოხდეს პროცესში საზოგადოებრივი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინება; დაინერგოს ადამიანის უფლებების, მათი სოციალური დაცვის თანამედროვე, დასავლეთის ქვეყნებში უკვე აპრობირებული მეთოდები.

ამასთან, კრიტიკულად მნიშვნელოვანია აღმასრულებელთა კვალიფიკაციის მაღალი ხარისხი, რადგან მეტწილად, სწორედ აღმასრულებლების კვალიფიკაციაზე, პროფესიულ მომზადებაზე, ეთიკურ სტანდარტებსა და საქმეთა მართვის კარგად განვითარებულ უნარებზე არის დამოკიდებული აღსრულების სისტემის ეფექტიანობა. კვლევამ ცხადყო, რომ სათანადო ყურადღება არ ეთმობა აღმასრულებელთა პროფესიაში დაშვების, პროფესიული განათლებისა და უნარების მუდმივ განვითარებას. მნიშვნელოვანია, ევროპის საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული აღმასრულებელთა პროფესიაში დაშვების, მომზადებისა და პროფესიული განვითარების სისტემის მოდელის შემუშავება და დანერგვა, რომელიც მუდმივად უზრუნველყოფს აღმასრულებელთა მაღალ პროფესიონალიზმს, კვალიფიციურობას და საქმეთა დამოუკიდებლად მართვის უნარების გამომუშავებას.

საქართველო ნელ-ნელა ამკვიდრებს თანამედროვე მმართველობის სტანდარტებს. მნიშვნელოვანია, ქვეყანაში არსებობდეს და სახელმწიფომ უზრუნველყოს სათანადო აღსრულების სისტემისა და სათანადო კვალიფიკაციის აღმასრულებლების არსებობა, რადგან გამართული სააღსრულებო სისტემა მართლმსაჯულების არსებობის ერთადერთი და უპირობო გარანტიაა.

შენიშვნები:

- ¹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 4, პუნქტი 2.
- ² საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31, პუნქტი 1.
- ³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1997 წლის 19 მარტი, ჰორნ-სბი საბერძნეთის წინააღმდეგ საქმე №18357/91, https://www.google.com/url?esrc=s&q=&rct=j&sa=U&url=http://hudoc.echr.coe.int/app/conversion/pdf/%3Flibrary%3DECHR%26id%3D001-58020%26filename%3D001-58020.pdf&ved=2ahUKewjFtcac1fX3AhUTivOHhbyAtsQFnoECAUQAg&usq=A0vVaw1mf_H-ctP9leaVoz7m7uCU [20.05.2022].
- ⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, <http://prg.supremecourt.ge/CaseAdminResult.aspx> [06.06.2022].
- ⁵ ევროკავშირში სასამართლო განაჩენების აღსრულების ეფექტიანობის გაუმჯობესების შესახებ საბანკო ანგარიშების დაყადაღება, ბრიუსელი, 24.10.2006.
- ⁶ ევროპის აღსრულების ატლასი, სამოქალაქო აღსრულება ევროკავშირში, შედარებითი მიმოხილვა. 2021, <https://www.enforcementatlas.eu/wp-content/uploads/2021/03/EU-Enforcement-Atlas-Comparative-Report.pdf> , გვ. 13 [20.05.2022].
- ⁷ უიტდეჰაიგი ა., აღსრულების საკითხების მიმოხილვა ევროპაში, 2017, გვ. 84-85. <https://www.statista.com/statistics/1078721/judicial-officers-bailiffs-france/> [06.06.2022].
- ⁸ სასამართლო აღმასრულებლები ევროპაში. <http://www.europe-eje.eu/en/fiches-thematiques/pays/allemanne> [06.06.2022].
- ¹⁰ კრონოფოგდენ, შვედეთის აღსრულების სამსახურის ოფიციალური საიტი, <https://kronofogden.se/om-kronofogden/var-organisation> [06.06.2022].
- ¹¹ კრონოფოგდენ, შვედეთის აღსრულების სამსახურის ოფიციალური საიტი, <https://kronofogden.se/om-kronofogden/uppdrag-och-vardegrund> [06.06.2022].
- ¹² ლიეტუვას აღმასრულებელთა პალატის საიტი, <https://www.antstoliurumai.lt/en/lietuvos-antstoliu-rumai> [06.06.2022].
- ¹³ ლიეტუვას აღმასრულებელთა პალატის საიტი, <https://www.antstoliurumai.lt/en/lietuvos-antstoliu-rumai> [06.06.2022].
- ¹⁴ უიტდეჰაიგია., აღსრულების საკითხების მიმოხილვა ევროპაში, 2017, გვ. 71-75.
- ¹⁵ ევროპის აღსრულების ატლასი, სამოქალაქო აღსრულება ევროკავშირში, შედარებითი მიმოხილვა. 2021, <https://www.enforcementatlas.eu/wp-content/uploads/2021/03/EU-Enforcement-Atlas-Comparative-Report.pdf>, გვ. 13 [06.06.2022].
- ¹⁶ ბულგარეთის კანონი კერძო აღმასრულებლების შესახებ, მუხლი 2.
- ¹⁷ ბულგარეთის კანონი კერძო აღმასრულებლების შესახებ, მუხლი 3.
- ¹⁸ ბულგარეთის კანონი კერძო აღმასრულებლების შესახებ, მუხლი 7.
- ¹⁹ ბულგარეთის კერძო აღმასრულებელთა პალატის საიტი, <https://www.bcpea.org/en/aboutus/mission> [06.06.2022].
- ²⁰ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, თავი I, მოგადი დებულებანი, მუხლი 1.
- ²¹ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე 2000 წლის 5 დეკემბერი, კანონი №636.
- ²² საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №220, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 3.

- ²³ <https://parliament.ge/legislation/find-legislation> [01.05.2022].
- ²⁴ აღსრულების მსოფლიო კოდექსი, COMONEX, მუხლი 18.
- ²⁵ აღსრულების შესახებ ევროპის საბჭოს რეკომენდაცია, მიღებული მინისტრთა კომიტეტის მიერ 2003 წლის 9 სექტემბერს, მინისტრთა მოადგილეების 851-ე შეხვედრაზე.
- ²⁶ ევროსაბჭოს კომიტეტი მართლმსაჯულების ეფექტიანობაზე CEPEJ ევროპის სასამართლო სისტემები. 2012, გვ. 328-329.
- ²⁷ აღსრულების შესახებ ევროპის საბჭოს რეკომენდაცია, მიღებული მინისტრთა კომიტეტის მიერ 2003 წლის 9 სექტემბერს, მინისტრთა მოადგილეების 851-ე შეხვედრაზე.
- ²⁸ ადრიანუს (იოს) უიტდეჰააგი, აღსრულების საკითხების მიმოხილვა ევროპაში, 2017, გვ. 47.
- ²⁹ ადრიანუს (იოს) უიტდეჰააგი, აღსრულების საკითხების მიმოხილვა ევროპაში, 2017, გვ. 145-157.
- ³⁰ ადრიანუს (იოს) უიტდეჰააგი, აღსრულების საკითხების მიმოხილვა ევროპაში, 2017, გვ. 158.
- ³¹ ლიეტუვას რესპუბლიკის კანონი სასამართლო აღმასრულებლების შესახებ, მუხლი 2.
- ³² ლიეტუვას რესპუბლიკის კანონი სასამართლო აღმასრულებლების შესახებ, მუხლი 9.
- ³³ ადრიანუს (იოს) უიტდეჰააგი, აღსრულების საკითხების მიმოხილვა ევროპაში, 2017, გვ. 145-157.
- ³⁴ ადრიანუს (იოს) უიტდეჰააგი, აღსრულების საკითხების მიმოხილვა ევროპაში, 2017, გვ. 145-157.
- ³⁵ ადრიანუს (იოს) უიტდეჰააგი, აღსრულების საკითხების მიმოხილვა ევროპაში, 2017, გვ. 154-170.
- ³⁶ ადრიანუს (იოს) უიტდეჰააგი, აღსრულების საკითხების მიმოხილვა ევროპაში, 2017, გვ. 145-157.
- ³⁷ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, თავი II, აღსრულების ორგანოები, მუხლი 5, პუნქტი 1.
- ³⁸ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, თავი II, აღსრულების ორგანოები, მუხლი 5, პუნქტი 2.
- ³⁹ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, თავი II, აღსრულების ორგანოები, მუხლი 4, პუნქტი 6.
- ⁴⁰ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, თავი III², კერძო აღმასრულებელი, მუხლი 14⁶.
- ⁴¹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №116, კერძო აღმასრულებლის სამუშაო ადგილის მოწყობის წესის დამტკიცების თაობაზე.
- ⁴² საქართველოს იუსტიციის მინისტრის 05.05.2009 წლის ბრძანება №92, აღმასრულებლის საკვალიფიკაციო-საგამოცდო პროგრამის, მისი ჩატარების, საკვალიფიკაციო-საგამოცდო კომისიის შექმნის და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 16.
- ⁴³ <https://parliament.ge/legislation/find-legislation> [01.05.2022].

COMPLIANCE OF THE GEORGIAN ENFORCEMENT SYSTEM WITH EUROPEAN STANDARDS

NINO GOGELASHVILI

Caucasus International University

Ph.D. student at the Faculty of Law

When justice is discussed, emphasis should be placed not only on a court decision but on its enforcement as a coronary phase. An effective enforcement system is the only unconditional guarantee of the existence of justice.

This paper examines the significance and development of enforcers as a profession and an enforcement system as a whole. The article answers the question on the issue of compliance of the current Georgian enforcement system and enforcer status with internationally set modern standards.

In recent years, various legislative initiatives have changed the enforcement system. The institution of private bailiffs has been implemented, although no thorough research has been conducted. The state does not have an answer obtained from an appropriate analysis on which direction the system should develop. Through scientific research and analysis, it should be decided which enforcement system is the most relevant and timely for Georgia at this stage of development – which model provides the best results regarding human rights and the best interests of the state.

პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგები

ხვირა ბეგიაშვილი

*საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის
უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი*

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ქვაკუთხედი შეჯიბრობითობის პრინციპია, თუმცა, იგი კვლავაც აღჭურვილია ინკვიზიციური ელემენტებით (მაგალითად, მოსამართლის როლი გამოძიების სტადიაზე დაკითხვის დროს, ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სტადიაზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების დროს და სხვა). საქართველოში დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ყველაზე მეტად ენათესავება ამერიკის შეერთებული შტატების პრეცედენტულ სისხლის სამართლის საპროცესო წესებს. თავის მხრივ, ამერიკული სამართლის სისტემა განეკუთვნება ანგლოსაქსური სამართლის სისტემას, სადაც პროკურორს თავისუფლად შეუძლია განახორციელოს სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის შესაძლებლობა, რაც გულისხმობს საქმის წარმოების საბოლოოდ შეწყვეტას. მიუხედავად იმისა, რომ ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ახლოს დგას ამერიკულ საპროცესო წესებთან და ჩვენს კანონმდებლობაშიც რეგლამენტირებულია დისპოზიციურობის პრინციპი, ქართული სამართლის სისტემა მაინც განეკუთვნება რომანულ-გერმანული სამართლის სისტემას, სადაც პროკურორი როგორც წესი, მთლიანად მოკლებულია ბრალდებაზე უარის თქმის უფლებას, როგორც

მაგალითად, საფრანგეთში, ან მას აქვს ასეთი შესაძლებლობა, მაგრამ კანონმდებელი ადგენს გარკვეულ დაბრკოლებებს და ბარიერებს მასთან მიმართებაში. აღსანიშნავია, რომ წლების მანძილზე ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებულმა ხშირმა ცვლილებებმა, რაც მეტწილად, განპირობებული იყო ანგლოსაქსური მიდგომების დანერგვაში, რაც თავის მხრივ, იწვევდა რიგი ინკვიზიციური ელემენტების ხელაღებით და უაპელაციოდ გაუქმებას, სისხლის სამართალწარმოებაში წარმოქმნა სერიოზული პრობლემები.

სისხლის სამართლის პროცესის სუბიექტების მიერ, სისხლის სამართლის საქმეზე მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას აქვს თავისი სამართლებრივი შედეგები. მოქმედი საპროცესო წესები, პროკურორის უფლებამოსილებათა არსენალს სისხლის სამართალწარმოების დროს, პრაქტიკულად განუსაზღვრელს ხდის, შესაბამისად, მისი თითოეული გადაწყვეტილება, განსაკუთრებული სამართლებრივი შედეგების მომტანი არის მხარეებისთვის და სისხლის სამართლის პროცესისთვის. პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმა, ისეთივე მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგის მომტანია სისხლის სამართლის საქმეზე, როგორც მისი გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ. პროკურორის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი თანამდებობის პირის ისეთი გადაწყვეტილებები, როგორიც არის: პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა, პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა და ბრალდებაზე უარის თქმა – პირდაპირ არის დაკავშირებული ადამიანის ფუნდამენტური უფლებების და თავისუფლებების დაცვასთან. მაშინაც კი, როდესაც პროკურორი სახელმწიფოს სახელით, კონკრეტული პირის მიმართ იწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას, გამოიყენებს აღკვეთის ღონისძიების კონკრეტულ სახეს ან საპროცესო იძულების ღონისძიებებს – მოწოდებულია ადამიანის უფლებათა განუხრელი დაცვისკენ. დიახ, თუნდაც ერთი პირის მიმართ პატიმრობის გამოყენებით, იგი იცავს სხვა პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს. პროკურორის მიერ, ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტის კანონიერი და დასაბუთებული გამოყენება, პირდაპირ კავშირშია მართლმსაჯულების კანონიერ და სამართლიან განხორციელებასთან.

მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგები ორი სახის არის, კერძოდ: 1. პროკურორის მიერ ბრალდებაზე კანონიერი და დასაბუთებული უარის თქმის შედეგები, რასაც პოზიტიურ შედეგებსაც უწოდებენ; 2. პროკურორის მიერ ბრალდებაზე უკანონო და დაუსაბუთებული უარის თქმის შედეგები, რასაც ნეგატიურ შედეგებსაც უწოდებენ.¹

სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ, ბრალდებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია გამოიტანოს განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ, იმის გათვალისწინებით რა მოთხოვნა აქვს სახელმწიფო ბრალმდებელს.² სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა რა თქმა უნდა, არ ნიშნავს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას და რა სამართლებრივი შედეგები დგება ასეთ შემთხვევებში და რა პრობლემატიკა ახლავს აღნიშნულ საკითხს, შევეცდებით მის იდენტიფიცირებას მოცემულ სტატიაში.

საქართველოს კანონმდებლობით არ არის გათვლილი, როდესაც სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმე დამატებითი გამოძიებისთვის შესაძლოა დაუბრუნდეს პროკურატურას, რაც საკმაოდ პრობლემატური საკითხია ისეთ შემთხვევებში, როდესაც ერთი პირის ბრალდების საქმეზე სახელმწიფო ბრალმდებელი მთლიანად ამბობს უარს სახელმწიფო ბრალდებაზე. ასეთ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კანონი ავალდებულებს სასამართლოს შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა და არა სისხლის სამართლის საქმე მთლიანად. ასეთ ვითარებაში სახეზე გვაქვს გარკვეული საკანონმდებლო პრობლემა, რაც დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვიდან გამოძიებაში დაბრუნების საკანონმდებლო რეგულაციების არარსებობასთან.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს საქმის სასამართლოდან გამოძიებაში (პროკურორისათვის) დაბრუნების ორ შესაძლებლობას, კერძოდ, განრიდების გამოყენების შემთხვევაში³ და სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის თქმის შემთხვევაში.⁴ ქართული საპროცესო კანონმდებლობით, საქმის სასამართლოდან გამოძიებაში დაბრუნების სხვა შესაძლებლობა არ არის გათვალისწინებული.

ასეთ ვითარებაში საინტერესოა პასუხი მოეძებნოს ისეთ კითხვას, თუ რა ხდება იმ დროს, როდესაც მაგალითად, მკვლელობის საქმეზე, სასამართლო განხილვის დროს, სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებათა ერთობლიობის ანალიზით დადგინდა, რომ მკვლელობაში ბრალდებულ ერთადერთ პირს არ ჩაუდენია მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფო ბრალმდებელი ვალდებულია უარი თქვას სახელმწიფო ბრალდებაზე, რაც გულისხმობს მკვლელობაში ბრალდებული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას. ასეთ დროს, სასამართლოში რჩება მკვლელობის საქმე, რომელსაც არ ჰყავს ბრალდებული, მაგრამ ჰყავს როგორც მსხვერპლი, აგრეთვე მისი უფლებამონაცვლე დაზარალებული. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოქმედი რეგულაციები ასეთ დროს, არ იძლევა საშუალებას, რომ არასრულად ჩატარებული გამოძიება შეავსოს სასამართლო სხდომამ ან მოსამართლემ. კერძოდ, სასამართლო განხილვის

სტადიაზე, მოსამართლე ვერ გამოიტანს გამამტყუნებელ განაჩენს ისეთი პირის მიმართ, რომელსაც ბრალი არა აქვს წარდგენილი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ, ბრალდებაზე უარის თქმა გამოწვეული იყო გარდა იმ გარემოებებისა, რომ პირს არ ჩაუდენია ბრალად შერაცხული ქმედება, სასამართლო განხილვის დროს მოპოვებული იქნა მტკიცებულებები სხვა პირის მიერ განსახილველი მკვლელობის ჩადენის თაობაზე და შესაბამისად, პროკურორი გამოთქვამს მზაობას დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა აღნიშნული პირის მიმართ, სასამართლოს არა აქვს უფლება აღნიშნული სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისათვის საჭირო სამართლებრივი პროცედურების განხორციელებისათვის საქმე დაუბრუნოს პროკურორს. აღსანიშნავია, რომ მოსამართლე აღნიშნული უფლებამოსილებით სარგებლობდა 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.⁵

შედარებისათვის, გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, სასამართლო განხილვის სტადიაზეც არის შესაძლებელი, სათანადო მტკიცებულებების არსებობის დროს, გარეშე პირის მიმართ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა და მისი საკითხი განხილული იქნას სასამართლოში წარმართულ იმ სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც ბრალდებული იყო სხვა პირი.⁶ აღნიშნული რეგულაციების არსებობა, გერმანიის სისხლის სამართლის პროცესში, ჩვენს მიერ განხილული რეალობის დადგომის შემთხვევაში, არ წარმოშობს სასამართლო განხილვიდან სისხლის სამართლის საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების აუცილებლობას.

საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, სასამართლო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მხარეთა შუამდგომლობით, აგრეთვე სასამართლოს ინიციატივით, შესაძლებელია დამატებითი გამოძიების ჩატარება, რასაც უზრუნველყოფს გამოძიებელი-მოსამართლე, ხოლო აღნიშნული გამოძიების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლო განხილვის სტადიაზე, გარეშე პირის მიმართ, შესაძლებელია დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა.⁷ ფაქტია, ასეთი მიდგომა ამარტივებს სამართალ-წარმოების პროცესს და არ არსებობს საჭიროება და შესაბამისად, არ იცნობს საფრანგეთის კანონმდებლობა სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისათვის დაბრუნების სამართლებრივ რეგულაციას.

აშშ-ის სისხლის სამართლის საპროცესო ფედერალური წესები, ცალკე აღებული, არ იცნობს სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვიდან გამოძიებაში დაბრუნების ინსტიტუტს, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც, პირველი ინსტანციის სასამართლო განხილვის სტადიაზე,

სათანადო მტკიცებულებების გამოვლენის შემთხვევაში, პროკურორი უფლებამოსილია სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყოს გარეშე პირების მიმართაც, რომლებიც არ ყოფილან მიცემული პასუხისგებაში სასამართლო განხილვის დაწყებამდე. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს პირველი ინსტანციის სასამართლოს, სადაც შესაძლებელია კონკრეტული მსჯავრდების შეცვლა, სასჯელის შეცვლა ან საერთოდ ახალი სასამართლო განხილვის დანიშვნა.⁸

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სისხლის სამართლის საქმის სასამართლოდან გამოძიებაში დაბრუნების სამართლებრივი მექანიზმი, დღეს მოქმედ საპროცესო კოდექსში აღარ არსებობს, აგრეთვე არ არსებობს სასამართლო განხილვის სტადიაზე სხვა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების სამართლებრივი რეგულაცია, სისხლის სამართლის პროცესის ეს ორი კონტრასტული დებულება, პროცესის მონაწილეებს აიძულებს გარკვეული სამართლებრივი გამოსავლის მოძიებას, რათა არ დაზიანდეს გამოძიების, სახელმწიფო და საზოგადოების ინტერესები. ფაქტია, რომ სისხლის სამართლის საქმეზე, პირის მიმართ წარდგენილი ბრალდება, რაოდენ მყარი და მრავალრიცხოვანი მტკიცებულებებიც არ უნდა არსებობდეს საქმეში, არ იძლევა გამამტყუნებელი განაჩენის დადგომის სრულ გარანტიას. საქმეზე, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით, მოსამართლე გადაწყვეტილებას ღებულობს მხარეების მიერ სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის შემდეგ. ამასთან, თუ რა შედეგები ექნება სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულების გამოკვლევას, ეს წინასწარ არავისთვის არის ცნობილი. ნებისმიერი საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორი, რომელმაც პირ(ებ)ის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა და საქმეს განსახილველად გზავნის სასამართლოში, ითავისებს, რომ არსებობს სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის ალბათობა, აგრეთვე სასამართლო განხილვის დროს გამოიკვეთოს სხვა ისეთი პირის ბრალეულობა, ვისაც ბრალი არა აქვს წარდგენილი კონკრეტული დანაშაულის ჩადენისთვის.⁹

ხშირად, პროკურორები საქმის სასამართლოში წარმართვამდე, იყენებენ დისკრეციულ უფლებამოსილებას სისხლის სამართლის საქმის გამოყოფის შესახებ, რაც ხელოვნურად ზრდის სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობას და დანაშაულის სტატისტიკას, ვინაიდან სისხლის სამართლის წარმოების ელექტრონული პროგრამა დაკავშირებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკურ დეპარტამენტთან და პროგრამულად განხორციელებული საპროცესო გადაწყვეტილებები ავტომატურად აისახება საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის ელექტრონულ ბაზებში.¹⁰ ასეთ დროს ხდება სისხლის სამართლის საქმის დუბლირება, არა მარტო გამოძიების ელექტრონულ სისტემაში, არამედ მატერიალური სახითაც, რაც ითხოვს დამატებით მატერიალურ და ადამიანურ რესურსს. აღნიშნული პრობლემის იდენტიფიცირებისათვის შესაძლებელია გამოვიყენოთ 2001-2011 წლებში რეგისტრირებული დანაშაულის

სტატისტიკური მონაცემებიც, რომლის მიხედვით, დანაშაულის სტატისტიკა ნახტომისებურად იზრდება 2005–2006 წლებიდან და ეს ტენდენცია დღემდე უცვლელია. აღნიშნულ პერიოდში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელდა რადიკალური ცვლილებები, კერძოდ, 2005 წლის მაისიდან გაუქმებული იქნა მოკვლევის ინსტიტუტი, ხოლო 2006 წლიდან შეუძლებელი გახდა სასამართლო განხილვის სტადიიდან სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაში დაბრუნების შესაძლებლობა.¹¹

აღნიშნულ პრობლემატიკაზე საუბრობს ქართველ მეცნიერთა გარკვეული ნაწილი, რომელიც საკითხს განიხილავს სასამართლოს მიერ საქმეზე გამამართლებელი განაჩენის გამოტანის ჭრილში. კერძოდ, სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის შემდეგ, შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმე შესანახად იგზავნება სასამართლოს არქივში, ამასთან, დანაშაულის ფაქტი კი, რჩება გამოუძიებელი.¹² სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის დროს, თუ მოსამართლე ვალდებულია შეწყვიტოს მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნა, საქმეზე გამამართლებელი განაჩენის დადგომა იმავდროულად, პრაქტიკაში გულისხმობს აღნიშნულ საქმეზე სამართალწარმოების შეწყვეტას, მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო კოდექსი, როგორც სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ასევე გამამართლებელი განაჩენის დროს, საქმის საბოლოო ბედის გადაწყვეტის საკითხს გვერდს უვლის.¹³

როგორც ვხედავთ, მოქმედ საპროცესო კოდექსს ამ მხრივ აქვს ხარვეზი, რასთან დაკავშირებითაც ვხვდებით რიგი მეცნიერების საინტერესო მოსაზრებებს. ამ მხრივ, ჩვენს კრიტიკას იმსახურებს 2018 წელს გამოცემული სახელმძღვანელო, სადაც შესულია დღეისათვის უკვე მოძველებული 2002 წლის სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც ეფუძნებოდა 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, შესაბამისად, მასში განხილული დებულებები, შესაძლებელია რელევანტური ყოფილიყო დისერტაციის წარდგენისა და დაცვის დროისთვის, მაგრამ 2018 წელს, როდესაც უკვე მოქმედებდა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ჩვენი კვლევის უმთავრესი საგნის სახელმწიფო ბრალდებაზე პროკურორის უარის და მისი სამართლებრივი შედეგების დასაბუთება ძველი ნორმებით წარმოადგენს შეცდომას, რამაც შესაძლოა დაბნეულობა გამოიწვიოს განსაკუთრებით, საკითხით დაინტერესებული იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებში. კერძოდ, გემოაღნიშნულ სახელმძღვანელოში განხილულია საკითხი, რომ პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმე თუ გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი, ავტორი მიუთითებს, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც პროკურორი უარს ამბობს სახელმწიფო ბრალდებაზე შემდეგი საფუძვლებით: განსასჯელს არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება და განსასჯელის ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო, სასამართლო ვალდებულია გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი, რის დასტურად

მითითებულია ძველი საპროცესო კოდექსის ნორმები,¹⁴ რასაც ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა, მოსამართლეს ასეთ ვალდებულებას აღარ უწესებს,¹⁵ უფრო მეტიც, კანონი ავალდებულებს მოსამართლეს სახელმწიფო ბრალდებაზე სრულად უარის თქმის შემთხვევაში შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

დავუბრუნდეთ ჩვენ მიერ ზემოთ შემოთავაზებულ ჰიპოთეტურ მკვლელობის საქმეს, როდესაც ერთადერთი ბრალდებულის მიმართ, პროკურორმა სრული მოცულობით უარი თქვა სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე, ასეთ შემთხვევაში საქმე რჩება ბრალდებულის გარეშე და საქმე რჩება სასამართლოში, რომლის პროკურორისათვის ან გამოძიებაში დაბრუნების სამართლებრივი გზა დღეის მდგომარეობით – არ არსებობს, აგრეთვე არ არსებობს სასამართლოში წარმართულ საქმეზე, სხვა პირების მიმართ, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მექანიზმი, როგორც ეს ჩვენს მიერ განხილული ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის და გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიხედვით არის შესაძლებელი. ასეთ მოცემულობაში აგრეთვე, ბუნდოვანია თუ რა მექანიზმი უნდა ამოქმედდეს პროკურორმა და გამოძიებამ, რათა უზრუნველყოს მკვლელობის ჩამდენი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, გარდა იმისა, რომ დაიწყოს მკვლელობის საქმეზე ახალი გამოძიება, რაც რბილად რომ ვთქვათ, აცდენილი იქნება ზოგადად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პრინციპებთან.

ამ მხრივ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მიზანშეწონილია, განხორციელდეს გარკვეული ცვლილებები, რომლის მიხედვით, მხარეებს შეეძლება სასამართლო განხილვის სტადიაზე, დამატებითი მტკიცებულებების მოპოვება და სასამართლოში წარდგენა, აგრეთვე პროკურორს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე, მათ შორის, პირველი და სააპელაციო ინსტანციების სტადიაზე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყოს სხვა პირების მიმართ, რომლებსაც გამოძიების სტადიაზე ბრალი არ ჰქონდათ წარდგენილი. ამასთან, სასამართლოს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ, სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე უარის თქმის და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმე დააბრუნოს გამოძიებაში (პირველი ინსტანციის შემთხვევაში), ხოლო ზედა ინსტანციებმა – პირველი ინსტანციის სასამართლოში,¹⁶ სადაც საქმის განახლება პროკურორს შეეძლება დანაშაულის ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში და საკმარისი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, პირის მიმართ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა.¹⁷

ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ნათლად უნდა განისაზღვროს პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე სრულად უარის თქმის ისეთი შემთხვევა,

როდესაც სახეზე არა გვაქვს დანაშაულის შემადგენლობა – რა ბედი უნდა ეწიოს სისხლის სამართლის საქმეს, ასეთ შემთხვევებში მართებული იქნება მოსამართლემ თავისი განჩინებით, ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტასთან ერთად, მიიღოს გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზეც, რაც აღმოფხვრის მოქმედ საპროცესო კანონმდებლობაში არსებულ კონკრეტულ ხარვეზს.

სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ, სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით, სამეცნიერო ლიტერატურაში, ვხვდებით მეცნიერთა, ერთობ კონტრასტულ და საინტერესო მოსაზრებებს. მაგალითად, მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმა, არ უნდა იწვევდეს ავტომატურად სასამართლოს მიერ საქმის შეწყვეტის გადაწყვეტილებას, ვინაიდან ასეთ დროს პროკურორი „იჭრება“ სასამართლოს უფლებამოსილებაში, ითავსებს მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოს ფუნქციებს და მისი პოზიციის სასამართლოს მიერ უაპელაციოდ გაზიარება არღვევს მოსამართლის დამოუკიდებლობის საკითხს.¹⁸ უფრო მეტიც, მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სასამართლომ, არათუ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება, არამედ უნდა გააგრძელოს საქმის განხილვა და საბოლოოდ გამოიტანოს გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენი.¹⁹

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გვაქვს განსხვავებული მოსაზრება, თავდაპირველად აღვნიშნავთ, რომ ჩვენი მოსაზრება, არ უნდა იყოს გაგებული ისე, თითქმის ვეწინააღმდეგებით სასამართლოს, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი ერთადერთი ხელისუფლების დამოუკიდებლობას, აგრეთვე მიგვაჩნია, რომ სასამართლოს საქმიანობაში ნებისმიერი ფორმით ჩარევა არღვევს, როგორც საერთაშორისო, ისე კონსტიტუციით რეგლამენტირებულ სასამართლო ხელისუფლების და მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპებს. ამასთან მიგვაჩნია, რომ პროკურორის მიერ, ბრალდებაზე უარის თქმის შემდეგ, სასამართლოს მიერ საქმის განხილვის გაგრძელებით მოსამართლე შეითავსებს ბრალმდებლის უფლება-მოვალეობებს. იმისათვის, რომ სასამართლომ განახორციელოს მართლმსაჯულების ფუნდამენტური ფუნქცია, პირველ ყოვლისა, საჭიროა არსებობდეს დანაშაულის ფაქტი, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ჩატარებული გამოძიების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებები, რომელიც ქმნის საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და რაზე დაყრდნობითაც, პროკურორი იწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას, რაც თავის მხრივ, მოქმედი კანონმდებლობით, პირს შესძენს ბრალდებულის სტატუსს. სწორედ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და პირისათვის ბრალდებულის სტატუსის მინიჭების შემდეგ, იწყება საქმის სასამართლოსათვის გადასაცემად მომზადებისა და საბოლოოდ, გადაცემის ეტაპი, ხოლო წინასასამართლო სხდომის წარმატებით გავლის შემდეგ, იწყება

საქმის არსებითად განხილვა. ყველა ამ ეტაპზე საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორი, ხოლო სასამართლოში უკვე სახელმწიფო ბრალმძებელი, წარმოადგენს სახელმწიფოს და ბრალდების მხარდამჭერ ფიგურას, რომელსაც კანონმდებელმა ანდო, როგორც დანაშაულის კვალიფიკაციის, აგრეთვე ბრალდების ფორმულირების უმნიშვნელოვანესი საკითხები. აღნიშნულ საქმიანობას, პროკურორი ახორციელებს საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებების დეტალური ანალიზის საფუძველზე. პროკურორს, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის დამწყებ და განმახორციელებელ პირს, ნებისმიერ ეტაპზე უფლება აქვს შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან უარი თქვას ბრალდებაზე, ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო, მისი აღმასრულებელი შტოს – პროკურორის მეშვეობით, უარს ამბობს ბრალდებაზე. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს, როგორც მართლმსაჯულების ორგანოს მიერ სახელმწიფო ბრალდების შეთავსება, ვერ უპასუხებს ვერც საერთაშორისო სამართლის და ვერც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ფუნდამენტურ პრინციპებს. ამასთან, პროკურორი, რომელიც მხარს აღარ უჭერს სახელმწიფო ბრალდებას, ვეღარ შეასრულებს ბრალმძებლის ფუნქციებს. ისმის კითხვა, ვინ იქნება ასეთ შემთხვევაში ბრალმძებელი? პროკურორი, რომელიც არის ბრალდების არქიტექტორი, თავისთავად ვეღარ შეასრულებს ბრალმძებლის ფუნქციას, ვინაიდან მისი შინაგანი რწმენა, ასეთ ვითარებაში ეწინააღმდეგება კლასიკური ბრალმძებლის ბუნებას. ამასთან, მოქმედი საპროცესო კოდექსით, დაზარალებული აღარ წარმოადგენს ბრალდების მხარეს და არც იქნებოდა მართებული ფიზიკურ პირს, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს, სახელმწიფოს სახელით შეესრულებინა ალტერნატიული ბრალმძებლის ფუნქცია. საქართველოში სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე,²⁰ მოქმედი საპროცესო წესებით კი, მოსამართლე წარმოადგენს აღნიშნული პროცესის ობიექტურ არბიტრს.²¹ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ანტიკონსტიტუციურად იქნა ცნობილი მოსამართლისათვის, მხარეებთან შეთანხმების გარეშე, მოწმისათვის კითხვის დასმის უფლება, ამავე გადაწყვეტილებაში ცალსახად არის განსაზღვრული, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება წარმოადგენს სახელმწიფოს მონოპოლიურ უფლებას და სწორედ სახელმწიფოს ვალდებულებაა, საამისოდ კომპეტენტური ორგანოების მეშვეობით დაიცვას კონკრეტული პირებისა თუ საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესები.²² ხოლო ასეთ კომპეტენტურ ორგანოს, რომელსაც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, წარმოება ან/და შეწყვეტა დაავალა სახელმწიფომ, არის პროკურატურა. აქვე ჩნდება კიდევ ერთი პრობლემური მოცემულობა. პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმას, რომელიც ავტომატურად იწვევს ბრალდებული პირის მიმართ სასამართლოში არსებული საქმის შეწყვეტას, თუ ჩავთვლით პროკურორის მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის ფაქტად, ასევე შესაძლოა ვისაუბროთ სასამართლოს მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს ფუნქციებში „შეჭრაზე“, იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლეს მიენიჭება უფლებამოსილება, პროკურორის მიერ, ბრალდებაზე უარის თქმის შემდეგ, მაინც გააგრძელოს საქმის განხილვა. დაბოლოს, განსაკუთრებული კითხვის ნიშნები გაჩნდება, ასეთ ვითარებაში,

გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, ბრალდებულის უფლებების დაცვის კუთხით, რაც საბოლოოდ, ვერ უპასუხებს სამართლიანი სასამართლოს და საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების კუთხით არსებულ გამოწვევებს.

მიგვაჩნია, რომ ბრალდებაზე სახელმწიფო ბრალმდებლის უარი, არ უნდა იქნას აღქმული მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის მცდელობად, ვინაიდან ასეთ დროს, პროკურორი მოქმედებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფომ სწორედ მას და მხოლოდ მას მიანიჭა სისხლისსამართლებრივი დევნის მნიშვნელოვანი საკითხები. პროკურორი უზრუნველყოფს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას, მის განხორციელებასა და მხარდაჭერას, როგორც გამოძიების, ასევე სასამართლო განხილვის სტადიაზე. შესაბამისად, სათანადო ფორმალური და ფაქტობრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, მას უნდა ჰქონდეს უფლება უარი თქვას ბრალდებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახეზე გვექნება პროკურორის უფლებების არამართლზომიერი შეზღუდვა, რაც ზოგადად, დააზიანებს მართლმსაჯულების ინტერესებსაც. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნულ მეცნიერთა მოსაზრებას გავიზიარებთ და სასამართლოს მიეცემა უფლება საქმისწარმოება გააგრძელოს, იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო ბრალმდებელმა უარი თქვა ბრალდებაზე, მაშინ აზრი ეკარგება პროკურორის განსაკუთრებულ დისკრეციულ უფლებამოსილებას და ზოგადად, ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტს. აღნიშნული ინსტიტუტის არსებობა ხელს უწყობს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების სრულყოფილებას, ხოლო მისი პროკურორის უფლებამოსილებათა არსენალიდან ამოღება, სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესს დააკარგვინებს ეფექტიანობას, ვინაიდან სახეზე გვექნება დროში გაჭიმული სასამართლო პროცესები, სადაც სახელმწიფო ბრალმდებელი პროცესის ისეთ სუბიექტად მოგვევლინება, რომლის მიღებულ გადაწყვეტილებას რევიზიას უტარებს სასამართლო. პროკურორი ასეთ შემთხვევებში, თავისი პოზიციების დაცვის ტაქტიკიდან გამომდინარე, სასამართლო განხილვაზე იქნება არა სახელმწიფო ბრალმდებელი, არამედ ბრალდებულის ადვოკატი. ამასთან, ნეიტრალური არბიტრი მოსამართლე, მოისხამს ბრალმდებლის მანტიას. თავის მხრივ, გაიზრდება სასამართლო განხილვის ვადები, რაც უფრო მეტად დააზიანებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას. აქვე თავს იჩენს კიდევ ერთი პრობლემატური საკითხი, იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ბრალმდებელი სრულად ამბობს ბრალდებაზე უარს, რა სტატუსით უნდა გააგრძელოს ბრალდებულმა სასამართლო განხილვაში მონაწილეობა? უფლებამოსილი პირის მიერ, ბრალდებაზე უარის თქმის შემდეგ, მას დაეკარგება ბრალდებულის სტატუსი და ამ პირობებში, მის მდგომარეობას უფრო დაზარალებულის სტატუსი შეესაბამება, ვინაიდან პროკურორმა უარყო მისი დანაშაულთან კავშირი, ხოლო სასამართლო აგრძელებს მის მიმართ საქმის განხილვას და არსებობს ალბათობა, რომ ასეთ პირობებშიც კი, მის მიმართ გამოტანილი იქნას გამამტყუნებელი განაჩენი.

მეცნიერებში გავრცელებულია ერთიანი მოსაზრება, რომ სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმა ნიშნავს საკუთრივ დანაშაულის

ფაქტის არარსებობას, ბრალდებულის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობას, ან კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებაში ბრალდებულის მონაწილეობის ფაქტის დაუდასტურებლობას. ამასთან, შესაძლებელია სახეზე გვექონდეს ადმინისტრაციული ან/და დისციპლინური დარღვევა, ჩნდება ლეგიტიმური კითხვა, რა ღონისძიება უნდა გაატაროს სახელმწიფო ბრალმძებელმა ასეთ შემთხვევაში? მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ასეთ შემთხვევებში, პროკურორს და მოსამართლეს, რაიმე სახის პოზიტიურ ვალდებულებას არ უწესებს. მიგვაჩნია, რომ რათა ფაქტი არ დარჩეს რეაგირების გარეშე, პროკურორმა თავის კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კანონით განსაზღვრულ ორგანოში უნდა შეიტანოს წარდგინება კანონმდებლობის დარღვევის, მისი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღმოსაფხვრელად,²³ რაც თავის მხრივ, გახდება ადმინისტრაციული ან დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი და შესაბამისად, დარღვევა არ დარჩება რეაგირების გარეშე.

საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, ბრალდებაზე უარის თქმას მოჰყვება სისხლისსამართლებრივი დევნისა და საქმისწარმოების შეწყვეტა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ასეთი გადაწყვეტილების მიღება, სახელმწიფო ბრალმძებლისგან მოითხოვს საქმისა და ბრალდების დეტალების კარგ ცოდნას და საქმეში არსებული მტკიცებულებების კეთილსინდისიერ და ობიექტურ ანალიზს. ბრალდებაზე უარის თქმის დროს, პროკურორმა მკაცრად უნდა დაიცვას კანონის მოთხოვნები, რათა მისი მკაცრად განსაზღვრული და შეუქცევადი შედეგებიდან გამომდინარე, გამოირიცხოს ყოველგვარი სავარაუდო შეცდომა, ხოლო სუბიექტური და სხვა სახის ქვენა გრძნობით მოტივირებულ შემთხვევებში კი, პროკურორის მიმართ დისციპლინური ან სულაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწყების ალბათობა.

სახელმწიფო ბრალდების ხარისხიანი წარმართვა პირდაპირ კავშირში არის მართლმსაჯულების პროცესის სრულყოფისა და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენასთან, რომლის აუცილებელი და გარდაუვალი ნაწილი არის ბრალდებაზე უარის თქმის ფაქტორი. ამასთან, პროკურორის გააზრებული, არგუმენტირებული და სამართლებრივად დასაბუთებული პოზიცია შეამცირებს სასამართლოს მიერ შეცდომის დაშვების ალბათობას.

პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმას სამართლებრივი შედეგები, მხოლოდ ბრალდებულისთვის და სისხლის სამართლის შემდგომი ბედისთვის არ მოაქვს, არამედ ის ეხება პროცესის სხვა მონაწილეებსაც და მათ შორის, თავად პროკურორს, რაზეც ჩვენი კვლევის შემდეგ ნაწილში ვისაუბრებთ.

შენიშვნები:

- ¹ Зеленецкий В., Отказ прокурора от государственного обвинения, Учеб. Пособие, Харьков, Харьк. юрид. ин-т, 1979, стр. 88.
- ² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009, მუხ. 250, ნაწ. 1.
- ³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009, მუხ. 168².
- ⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009, მუხ. 110.
- ⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 1998, მუხ. 424.
- ⁶ გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1987 წლის 7 აპრილი, მუხ. 264-265.
- ⁷ საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2000 წლის 15 ივნისი, მუხ. 201-205.
- ⁸ აშშ იუსტიციის დეპარტამენტი, ფედერალური სისხლის სამართლის პროცესის სტადიები, <https://www.justice.gov/usao/justice-101/steps-federal-criminal-process>.
- ⁹ ბეგიაშვილი ხ., სისხლის სამართლის საქმის გამოყოფის სამართლებრივი რეგულაციის და საქმის სასამართლოდან გამოძიებაში დაბრუნების სამართლებრივი მექანიზმის არარსებობის მანკიერი ურთიერთკავშირი, პრობლემის გადაჭრის გზები, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, თბ., 2020, #4(68)'20, გვ. 142.
- ¹⁰ ბეგიაშვილი ხ., სისხლის სამართლის საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამის არსი, მნიშვნელობა და მოქმედების სფერო, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, თბ. 2019, #2(62)'19, გვ. 124.
- ¹¹ სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სისხლის სამართლის სტატისტიკა, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika>, [28.05.2022].
- ¹² გახოკიძე ჯ., მამნიაშვილი მ., გაბისონია ი., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა იურისტების სამყარო, თბ., 2015, გვ. 29.
- ¹³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009, მუხ. 276.
- ¹⁴ კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალდებელი, თბ., 2018, გამომც. იურისტების სამყარო, გვ. 106-107.
- ¹⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ. 2009, მუხ. 270.
- ¹⁶ იმ შემთხვევებში, როდესაც პროკურორი სახელმწიფო ბრალდებაზე უარს ამბობს ან სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი გამოაქვს ბრალდებულის მიმართ, როდესაც დასტურდება, რომ მას არ ჩაუდენია ის დანაშაულებრივი ქმედება, რაც ბრალად აქვს შერაცხული (ავტ. შენ.).
- ¹⁷ ბეგიაშვილი ხ., სისხლის სამართლის საქმის გამოყოფის სამართლებრივი რეგულაციის და საქმის სასამართლოდან გამოძიებაში დაბრუნების სამართლებრივი მექანიზმის არ არსებობის მანკიერი ურთიერთკავშირი, პრობლემის გადაჭრის გზები, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, თბ., 2020, #4(68)'20, გვ. 145.
- ¹⁸ ფაფიაშვილი შ., სისხლის სამართლის საქმისა და სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 1999, გვ. 29-31; გოგშელიძე რ., პროკურატურის როლი დემოკრატიულ სამოგადოებაში, ჟურნ. სამართალი, თბ., 2002, #7, გვ. 8; ფალიაშვილი ა., საბჭოთა სისხლის

სამართლის პროცესი, თბ., 1988, გვ. 418-420; ფალიაშვილი ა., პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბრალმდებლის პროცესუალური მდგომარეობის შესახებ, ჟურნ. საბჭოთა სამართალი, თბ., 1981, #5, გვ. 35-37; გაბისონია ი., პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში, თბ., 1999, გვ. 305; კობალაძე პ., პროკურორის უარი ბრალდებაზე და სამართლებრივი შედეგები, ჟურნ. მართლმსაჯულება, თბ., 2010, #1, გვ. 65-66; გაბისონია ი., სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა სასამართლოში, თბ., 2002, გვ. 120-123; Зеленецкий В. С., Отказ прокурора от государственного обвинения, Учебное пособие, Харьков, Юридический институт, 1979, С. 90-95; Леви А., Отказ государственного обвинителя от обвинения, Журнал Законность, 2006, №6, стр. 41-43.

- ¹⁹ კობალაძე პ., პროკურორი, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი, თბ., 2018, გვ. 113-114; Перлов И. Д., Судебное разбирательство в советском уголовном процессе. Часть пятая. Приговор в советском уголовном процессе, М., 1960, стр. 21-22; Лупинская П. А., Решения в уголовном судопроизводстве: теория, законодательство, практика, 2-е изд., перераб. и доп. М., 2010, стр. 54; Михаил Лавнов, Современная модель отказа прокурора от обвинения и перспективы ее совершенствования в российском уголовном процессе, Вестник Саратовской государственной юридической академии, № 6 (95), 2013., стр. 207-208.
- ²⁰ საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995, მუხ. 62, პუნქტი 5.
- ²¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009, მუხ. 25.
- ²² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება №3/2/1478, 2021 წლის 28 დეკემბერი, ბათუმი, პუნქტი 30.
- ²³ „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, თბ., 2018, მუხ. 48. კვლევა (გრანტი #PHDF-22-541) განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

LEGAL CONSEQUENCES OF THE PROSECUTOR'S WAIVER TO FILE A STATE CHARGE

KHVICHA BEGIASHVILI

David Agmashenebeli University School of Law PhD student

The article discusses the legal consequences of the prosecutor's decline to charge, in particular the types of legal consequences. In this regard, the author presents a characterization of the legal consequences, during which the problems in the current legislation and the ways to solve them are identified.

The article also presents hypothetical examples, which makes it easier for the reader to understand the problems associated with this issue and what law enforcement agencies have to deal with on a daily basis.

It should be noted that the topic presented in the article, which refers to the legal consequences of refusing to charge according to the current procedural legislation, will interest both practitioners working on criminal law cases, as well as scholars in the field of criminal law and students of higher law schools.

This research (grant#PHDF-22-541) has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/TEL-FAX: (+995 32) 292 34 90, +995 599 51 97 36

საქართველოს უზენაესი სასამართლო
THE SUPREME COURT OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/TEL-FAX: (+995 32) 299 70 01